საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი

ლევან ჭილაშვილი

# ქალაქები ფეოდალურ საქართველოში

## II

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1970

ნაშრომში, ავტორის მიერ შემუშავებული პერიოდიზაციის მიხედვით, შესწავლილია ადრე და განვითარებული ფეოდალური ხანის ქალაქები. გარდამავალ ხანაში დაწინაურებული პოლიტიკური ცენტრებიდან განხილულია თბილისი, უჯარმა, ჭერემი. «ახალქალაქობის» დახასიათებისას კი ატენი, ახალქალაქი, არტანუჯი, დმანისი, რუსთავი. ნაშრომში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქალაქებთან დაკავშირებით ისეთი საკითხების განხილვას, როგორიცაა «ქალაქების გარეგანი სახე», «საქალაქო მეურნეობის წამყვანი დარგები», «სასაქონლო პროდუქციის წარმოება», «გზები» და სხვა მრავალი.

## თავი პირველი

# ქალაქები ადრეფეოდალურ ხანაში

### 1. გაკვრით IV — VI სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. ფეოდალური ხანის ქართული ქალაქების პერიოდიზაცია

ძველ საქართველოში, კლასობრივი საზოგადოების არსებობის პირობებში, რამდენიმე დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური და სოციალური გადატრიალებაა მომხდარი, რომელთა როლი ქვეყნის წინსვლისათვის განსაკუთრებული იყო. ყველა მათგანი, რამდენადაც დაკვირვების საშუალება არსებობს, დიდი ქარტეხილებით ხასიათდება; გარეშე ძალასთან დაპირისპირება, შინ ძირფესვიანი ცვლილებები, უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა.

ასეთი ვითარების ამსახველი სურათები, განსაკუთრებით არქეოლოგიური. ნაცრადქცეული და დანახშირებული, გადაბუგული ნასახლარებით არის წარმოდგენილი. ამ გადამწვარმა ფენებმა მთელი იბერია დაფარა ძვ. წ. IV—III საუკუნეების მიჯნაზე. მისი ამსახველი დოკუმენტია „ქართლის ცხოვრების" ცნობები ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში ლაშქრობის შესახებ. ბერძენთა ეს შემოსევა, რომელიც იმდროინდელი მსოფლიოს პირველ ადამიანს დაუკავშირეს, დიდი სისასტიკით წარმოგვიდგინეს წყაროებში — „დაიპყრა ალექსანდრე ყოველი ქართლი, და მოსრნა ყოველნი იგი ნათესავნი აღრეულნი ქართლს მყოფნი, და უცხონი იგი ნათესავნი მოსრნა და დაატყუევნა, და დედანი და ყმანი უცებნი, თხუთმეტისა წლისა უმცროსნი"[1].

საგულისხმო ფაქტია, რომ ბერძენთა ასეთი სამხედრო ღონისძიებანი ქართლის წინაალმდეგ ხდება მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი აღმავალი გზით იწყებდა სვლას და თითქოს გარეგანმა ძალამ, მისი დამანგრეველი შედეგების მიუხედავად, კიდევ უფრო დააჩქარა ეს პროცესი, რომელიც ქართლში კლასობრივი საზოგადოების სწრაფი განვითარების მაჩვენებელი იყო.

ძვ. წ. VI — IV საუკუნეებში, ქართლის საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებანი შეპირობებული იყო მრავალსაუკუნოვანი განვითარებით, რომელიც ინტენსიური, დამჯდარი მიწათმოქმედებით და განსაკუთრებით კი რკინის მეტალურგიის დაწინაურებით იყო განსაზღვრული. სრულებითაც არ არის შემთხვევითი, რომ პირველივე ქართული ქალაქების რიგში, რომლებიც კი „მოქ-

---

[1] «ქ ც-ბა», I, გვ. 18.

ცევის“ ავტორმა იცის, სარკინეც მოხვდა, ქართლის სამეფოს რკინის წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი. ეს ის დროა, როდესაც ცალკეული მტკიცე ერთეულები არსებობენ, ძლიერი წარჩინებულით სათავეში, ისეთი წარჩინებულით, რომელიც პატრონია ახალგორის, ალგეთის ან ვანის სამარხისა. ერთი სიტყვით, ვისაც პატივი ედება მეფური დიდებით დაკრძალვისა[2]. ეს ის დროა, როდესაც საზოგადოების ერთ ჯგუფს შეუძლია მეტად ფაქიზი ნივთები დაამზადოს ძვირფასი ლითონებისაგან და ეს კი სპეციფიკური დაინტერესებისა და დასპეციალების გარეშე ვერ მოხერხდებოდა. ხდება კიდევ ერთი დიდი დანაწილება შრომისა, რის შედეგადაც ამ დროს უკვე კლასების არსებობა შეიძლება ვივარაუდოთ[3]. ამავე დროს არის სანიშნებელი ქალაქების წარმოშობა-განვითარებაც[4].

აი, ამაზე მოყოლებით, გარეგანი ფაქტორის მოძალების შემდეგ ფარნავაზის მეფობა (ძვ. წ. IV საუკუნის ბოლო და III ს. დასაწყისი) თითქოს ფინალია დიდი სოციალური ძვრებისა, რომელიც დააგვირგვინა მისმა რეფორმებმა. ფარნავაზი პირველი დიდი პოლიტიკური მოღვაწეა, რომელმაც საზოგადოებაში თანდათანობითი განვითარებით მომხდარი ცვლილებები სახელმწიფო კანონებით აკურთხა.

ეს იყო პირველი დიდი სოციალური გადატრიალება, რომელმაც ქართლის სამეფო აღმავალ გზაზე დააყენა.

მეორე დიდი სოციალური რევოლუცია ქართლში ახ. წ. IV საუკუნეში მოხდა. ეს არის პერიოდი რამდენიმე დიდი ისტორიული მოვლენისა, რომელთაც ძირფესვიანად შესცვალეს არსებული საზოგადოების არსი და მას, თავისებური, ახლებური მიმართულება მისცეს. აი ამიტომ, თუ შეიძლება საერთოდ ვარაუდი ძირფესვიან გადატრიალებაზე, ეს პირველ რიგში IV საუკუნეში შეიძლება დავუშვათ. ს. ჯანაშია საქართველოში, ფეოდალიზმის განვითარების ადრეული საფეხურების შესწავლისას VI საუკუნეს მიიჩნევდა დიდი ძვრებისა და ისტორიული მოსაბრუნის პერიოდად ჩვენი ქვეყნის განვითარების თვალსაზრისით[5]. ეს, პატივცემული მკვლევარის კონცეფციას თუ გავითვალისწინებთ, მართებულია, რადგან საქმე ეხება ფეოდალური ურთიერთობის სრულ გამარჯვებას, რომელიც, ეჭვგარეშეა, ახალი ისტორიული ფაქტორით იყო გაპირობებული[6].

მაგრამ მთელი რიგი მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ფეოდალური რევოლუცია საქართველოში IV საუკუნის შუახანებშია მომხდარი და მასზე ბევრი სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა იყო დამოკიდებული. არავისთვის საეჭვო არ შეიძლება იყოს, რომ „ახალგაზრდა ფეოდალურმა კლასმა თავის პირველს დიდ გამარჯვებას მეოთხე საუკუნის შუაწლებისათვის მიაღ-

---

[2] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, стр. 40.

[3] გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 131—132.

[4] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии XVII — XVIII вв., Тб., 1959, стр. 10.

[5] ს. ჯანაშია, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, გვ. 1.

[6] ს. ჯანაშიას სიტყვებით «მეექვსე საუკუნე ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვების საუკუნე იყო», იქვე, გვ. 125.

წია".[7] ცვლილებები IV საუკუნის ქართლისა საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა კუთხეში შეიჭრა. ფეოდალური ურთიერთობის წესი ქვეყნის ეკონომიური ყოფის საყრდენად შეიქნა. ახალმა ფორმაციამ სოციალური სურათი ძირფესვიანად გამოსცვალა და ახალი იდეოლოგიური იარაღი შეიძინა.

ფეოდალიზმის გამარჯვება უწინარეს ყოვლისა მოასწავებდა მწარმოებელი მასისა და გაბატონებული ფენის ახლებურ იურიდიულ დამოკიდებულებას. ქართლში ფეოდალური რევოლუციისათვის სათანადო პირობები უკვე შექმნილი იყო და მისი წარმატებით განხორციელება თითქმის გარანტირებულიც.

მაგრამ ფეოდალიზმი ჩვენში ვერ გაიმარჯვებდა, თუ მას მტკიცე იდეოლოგიური დასაყრდენი არ ექნებოდა. ქრისტიანობის შემოსვლა და გავრცელება მზარდი სოციალური ფენის შესანიშნავი მხარდაჭერა იყო. არც ერთი და არც მეორე მოვლენა უმტკივნეულოდ არ ჩასახულა და განვითარებულა.

ფეოდალიზმის გამარჯვებისათვის სხვადასხვა ხელისშემწყობ პირობებთან ერთად, ასევე მთავარია ისიც, რომ ძლიერდება ადგილობრივი ელემენტი, ღვიძებს ეროვნული თვითშეგნება და ამან არც თუ მცირე როლი ითამაშა. ქრისტიანობის გავრცელებაცა და ფეოდალიზაციაც ჩვენში ადგილობრივი ელემენტის წინ წამოწევას გულისხმობდა. თუ ქართლის სამეფოში ამ დროს შექმნილი ვითარებით ვიმსჯელებთ, ეს მომენტი ღირსია გულდასმითი დაკვირვებისა და შესწავლისა. აქ კიდევ ერთი ძველი პარალელი უნდა მოვიშველიოთ:

ლეონტი მროველი თავისი თხზულების იმ ნაწილში, სადაც მაკედონელის ქართლში შემოსვლის წინა პერიოდს აღწერს, საგანგებოდ შენიშნავს: „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა"[8]. ფარნავაზის დამსახურებისა და მის ღირსებათა ჩამოთვლის შემდეგ, იგივე ლეონტი მროველი კვლავ საგანგებოდ ამბობს: „ა მ ა ნ გ ა ნ ა ვ რ ც ო ე ნ ა ქ ა რ თ უ ლ ი; დ ა ა რ ღ ა რ ა ი ზ რ ა ხ ე ბ ო დ ა ს ხ უ ა ე ნ ა ქ ა რ თ ლ ს ა შ ი ნ ა თ ვ ი ნ ი ე რ ქ ა რ თ უ ლ ი ს ა"[9]. ეს მეტად საგულისხმო ფაქტია, რომელსაც ღრმა ანალიზი სჭირდება. კი მაგრამ, რით შესძლო ფარნავაზმა ასეთი ძირფესვიანი ცვლილებების მოხდენა? ადგილობრივი, ე. ი. ქართული ენის თავის უფლებებში აღდგენისათვის მას, რა თქმა უნდა, შეეძლო რეფორმებით მიეღწია, მაგრამ სხვა, ზემოთ ჩამოთვლილ ენებზე ხომ სხვა ერის წარმომადგენლები ლაპარაკობდნენ, რომლებიც ასე მრავლად სახლობდნენ, განსაკუთრებით ქალაქებში. განა ქართული ენის გავრცობა ნიშნავდა მის სავალდებულოდ გამოცხადებას უცხო ერის წარმომადგენლებისათვის? ხომ ნათქვამია: „იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნიო..." განა ფარნავაზის მიერ ადგილობრივი ელემენტის წამოწევა და დაწინაურება, ეჭვი არ არის სხვების დაჩრდილვის ხარჯზე, საკმარისი იქნებოდა ქართული ენის გავრცობისათვის, როცა „არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა"? ფარნავაზს, შესაძლებელია, სხვა ღონისძიებების მიღებაც დასჭირდა. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, ფარნავაზს მის მიერვე დაწე-

[7] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ი ქ ვ ე, გვ. 126.
[8] «ქ ც-ბა», I, გვ. 16.
[9] «ქ ც-ბა», I, გვ. 26.

სებულ საერისთავოებში და სამოხელეო აპარატში ადგილობრივი ელემენტი წამოუწევია. ლეონტი მროველის გადმოცემით ფარნავაზმაო „შექმნა მწიგნობრობა ქართული“[10], რაც აღნიშნულის სასარგებლოდვე ლაპარაკობს.

ფარნავაზის მიერ გატარებული ღონისძიებები ცხოვრებით იყო ნაკარნახევი და სწორედ ასეთი აუცილებელი რეფორმის წინაშე აღმოჩნდა ალბათ ქართლის სამეფო კარიც ახ. წ. IV საუკუნეშიც მირიანის მეფობის ჟამს. ყველაფერი დანარჩენი—ქრისტიანობის მიღებაც და ფეოდალიზაციის გამარჯვებაც, ეჭვს გარეშეა, მომწიფებული, მეტად მტკივნეული საკითხის გადაჭრას დაუკავშირდა.

მზარდ ფეოდალთა კლასს დასაყრდენი — იდეოლოგიური იარაღი ესაჭიროებოდა და ეს იშოვა კიდევაც ქრისტიანობის სახით. მას ასევე მასების მხარდაჭერა ესაჭიროებოდა და ესეც მიიღო, რადგან ახალი რელიგიის აღიარებით იგი დაუპირისპირდებოდა უცხოს. ყოველივე ეს იწვევდა ადგილობრივი ელემენტის დაწინაურებასა და ზრდას. აქ კიდევ უნდა აღინიშნოს ის ძირფესვიანი გარდატეხა, რაც ქართლის სამეფოს საზოგადოებაში მომხდარა, ადგილობრივი ელემენტის წინ წამოწევასთან დაკავშირებით. ფეოდალიზმის გამარჯვებით ადგილობრივ დიდებულთა ფენა, უმთავრესად მიწათმფლობელთა ჯგუფი, უპირისპირდება უცხოს, ძირითადად ქალაქის ძლიერ ფენას, რომელზედაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო ქვეყნის ეკონომიკაც. შემთხვევითი არ არის, რომ მცხეთაში, ასევე ურბნისში, ცალკე უბნები იყო ებრაელთა სამოსახლოებით. ურბნისში მას „ნაურიალს“ ეძახიან, ან „ეშმაკეულს“. ლეონტი მროველის გადმოცემით „ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელ იღეს“, მხოლოდ ბარბიანთ მიუღიათ, 50 სახლს, რისთვისაც მათთვის ციხე-დიდი უბოძებიათ[11]. თუ რას ნიშნავდა ნათლისღებაზე უარის თქმა, ეს ცხადია; გავლენიანი სამეფო კარი, და აქ კონკრეტულ შემთხვევაში მირიანი, ამას უყურებდა როგორც პროტესტს, და ასეთ ხალხზე იგი ძალას ხმარობდა.

ასეა თუ ისე, მირიანისა და ფარნავაზის მეფობას შორის ბევრი დამაკავშირებელი ძაფი შეიძლება არსებობდეს, რომლითაც მათი, ორივეს მოღვაწეობა, ძალიან ძუნწად გაშუქებული წყაროებში, ადგილობრივი ელემენტის წამოწევას ისახავდა მიზნად. ცალ-ცალკე ორივეს მოღვაწეობა ემთხვეოდა ორი დიდი ეტაპის განვითარებასა და დაწყებას საქართველოს ისტორიაში, კლასობრივი საზოგადოების განმტკიცებასა და დაკანონებას, და ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებას.

განა საგულისხმო ფაქტი არ არის, რომ მირიანი ტომით სპარსი, მამამისის, სპარსთა მეფის რჩევით აღმასრულებელი ორივე რჯულისა, სპარსთა ჩვეულებისამებრ ცეცხლისმსახურებისა და ქართველთა წესისამებრ კერპთმსახურებისა, ხდება მხურვალე გამავრცელებელი ქრისტიანობისა, უცხო რელიგიისა? ამ შემთხვევაში მირიანს, როგორც ჩანს, სხვა გამოსავალი არა აქვს, მას უნდა ანგარიში გაეწია შექმნილი ვითარებისათვის. ბოლოს და ბოლოს ისიც ხომ თვით იქცა მსხვილ ფეოდალად. ქრისტიანობა სამეფო კარს და მსხვილ ფეოდალებს საბაბს აძლევდა რელიგიის საფარის ქვეშ თავისუფალ თემებს დაპატრონებოდნენ. ნებით თუ უნებლიეთ, წყაროების მიხედვით, ქართველთა განმანათლებელი წმ. ნინოც კი ფეოდალთა იარაღად იქცა. გავიხსენოთ წერილობითი ცნობა ნინოს მიერ მთიულთა მოქცევის თაობაზე. მეფის ერისთავი,

[10] ქც-ბაა, I, გვ. 26.

[11] ქც-ბაა, I, გვ. 116.

რა თქმა უნდა შეიარაღებული რაზმით, წმ. ნინოს წინამძღოლობით, შედის არაგვისა და ივრის ხეობების მთიან ზოლში, მთიულთა მოსაქცევად. ერწო-თიანელთ ნათელ-იღეს მხოლოდ იმის შემდეგ, რაც „ერისთავმან მეფისამან მცირედ წარმართა მახვილი მათ ზედა, ძლევით შემუსრა კერპნი მათნი". ფხოველთ არ მიიღეს ქრისტიანობა და თუშეთს გარდაიხვეწნენ. მთიულთა გარკვეული ნაწილი ამავე მიზეზით კახეთში დაბინავდა. წმ. ნინოს რელიგი-ურ მისიას კახეთ-ჰერეთში, ასევე საფიქრებელია, პოლიტიკური მნიშვნელო-ბაც უნდა ჰქონოდა.

ფეოდალიზმის გამარჯვება და შესაბამისად ქვეყანაში ახალი ფორმაციის შემოსვლა-დამკვიდრება ძირფესვიანად სცვლიდა არსებულ ეკონომიურ საყრ-დენს. მარქსიზმის კლასიკოსები ამტკიცებენ, რომ ფეოდალიზმის ამომავალი წერტილი ეს არის სოფლის მეურნეობის უპირატესი დაწინაურება — „თუ ანტიკური ქვეყანა ქალაქიდან და მისი მცირე ოლქიდან გამოდიოდა, საშუა-ლო საუკუნეები გამოდიოდნენ სოფლიდანო"[12]. ეს სურათი შესანიშნავად ჩანს ქართლის ქალაქების მაგალითითაც. თუ რას წარმოადგენდა ადრეული ფეოდა-ლიზმის ხანის ქართული ქალაქი, კარგად ირკვევა ურბნისის არქეოლოგიური გათხრების წყალობით. ვაჭრობა-ხელოსნობის ისეთი მნიშვნელოვანი ცენტ-რიც კი, როგორიც ურბნისი იყო, ვერ გადაურჩა ახალი ფორმაციის დამკვიდ-რებით გამოწვეულ ცვლილებებს. ამ დროიდან მოყოლებული, ქალაქი თანდა-თან ეცემა და ბოლოს კი მის ეკონომიკაში საქალაქო სახეები ძლიერ სუსტად-ღა არის წარმოდგენილი, ეს იმ დროს, როდესაც სასოფლო-სამეურნეო სახეე-ბი აქ ჭარბობენ.

ფეოდალიზმის გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი შედეგია, რომ ქალა-ქებში მკვეთრად ეცემა საქალაქო მეურნეობა. ერთი ფორმაციიდან მეორეზე გადასვლა, რა თქმა უნდა, არ ხდება მკვეთრად. უცებ, არამედ თანდათანობით, ისე, რომ ის, რაც ახალია და მზარდი, სულ უფრო და უფრო გაბატონებულ მდგომარეობას იჭერს. IV საუკუნიდან მოყოლებული, როგორც ეს არქეო-ლოგიური მასალებით ირკვევა, იგრძნობა საქალაქო მეურნეობის ცალკეული სახეების დაცემა, თუმცა პირველ ხანებში ინერციით დინება აშკარაა. ასეთი სურათი გვაქვს IV—VI საუკუნეებში, როცა კვლავ ძლიერია ანტიკური გად-მონაშთები და მიუხედავად საქალაქო მეურნეობის დაქვეითებისა, ის მაინც შედარებით მაღალ დონეს ინარჩუნებს.

IV—VI საუკუნეები ქართული ქალაქების ისტორიაში გარდამავალი ხა-ნაა. ეს არის დრო, როდესაც შერწყმულად ეხვდებით როგორც ანტიკურ, ისე ფეოდალურ ელემენტებს. VI საუკუნიდან ფეოდალიზმი უკვე წამყვანია: „მთელ საქართველოს მიწა-წყალზე შეუზღუდველად მკვიდრდება ფეოდალუ-რი საწარმოო წესი, ფეოდალური საკუთრება და სახელმწიფოებრივობა, ფე-ოდალური იდეოლოგია. ზედმეტია იმის მტკიცება, რომ ახალ საზოგადოებას თავის განვითარების ზენიტამდე ჯერ კიდევ დიდი გზა უძევს"[13]. IV—VI სა-უკუხეებში აგრძელებენ არსებობას ძირითადად ძველი ქართული ქალაქები. გარდამავალი ხანა თითქმის ყველა ქართულმა ქალაქმა დასძლია. აქ საქმე გვქონდა განვითარების ინერციით დინებასთან და ამდენად კრიზისულ მდგომა-რეობას უკიდურესობამდე არ მიუღწევია.

---

[12] კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, გერმანული იდეოლოგიიდან, თბ., 1948, გვ. 21.
[13] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 127.

გარდამავალ ხანაში, ისევე როგორც შემდგომ პერიოდში, ვიდრე IX საუკუნემდე, საქართველოში არ არსებობდა პირობები ქალაქების (როგორც ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრების) წარმოშობისათვის. რამდენიმე გამონაკლისი მხოლოდ შექმნილი პოლიტიკური ამბებით იყო გაპირობებული (ამის შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი). გარდამავალ ხანაში ხდებოდა ძველი ქართული ქალაქების ფეოდალიზაციის პროცესი, რაც წერილობით ცნობებშიაც არის ასახული; საეპისკოპოსო ცენტრების ქალაქებში დაწესება, ასევე მათი საუფლისწულოებად გამოცხადება, ფეოდალიზმის აღმავალი მსვლელობის საუკეთესო გამოხატულებაა. მიუხედავად ქალაქის მფლობელობის სამეფო (საერო) თუ საეკლესიო ხასიათისა, შედეგი ერთია: საქმე გვაქვს ახლადშობილ ფეოდალურ ერთეულებთან.

გარდამავალი ხანის ქართული ქალაქების ერთი მთავარი ნიშანია ის, რომ მიუხედავად საქალაქო მეურნეობის დაქვეითებისა და „სოფლური" ელემენტების წამოწევისა, ვაჭრობა და ხელოსნობა ქალაქებში კვლავ, შედარებით, მაღალ დონეს ინარჩუნებს. ეს საერთო მოვლენა ჩანს და იგი მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ქალაქებზე არ შეიძლება გავრცელდეს. აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სურათი სხვადასხვა მეზობელ ქვეყნებში ერთნაირად არ ასახულა, რაზედაც პირველყოვლისა, პოლიტიკური ცხოვრება ახდენდა ზეგავლენას. საქართველო კი ამ მხრივ ძნელ პირობებში იმყოფებოდა. ის ამ ხანაში ორი მძლავრი პოლიტიკური ძალის ორბიტში მოექცა. ერთის მხრივ არის ახლადშობილი ბიზანტიის სახელმწიფო, რომელიც ქრისტიანობის სამოსელში გახვეული აგრძელებს ძველ ბერძნულ ტრადიციებს პოლიტიკურ ასპარეზზე და მეორეა სასანიანთა ირანი, აღმოსავლეთის მძლავრი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, რომელიც თავის პრეტენზიებს აცხადებს საქართველოზედაც. ეს უკანასკნელი, როგორც არაერთხელ ყოფილა ისტორიაში, ორი ძლიერი მეზობლის საქიშპო საგნად იქცა. მისსავე დღეში აღმოჩნდა მეზობელი სომხეთი და შუამდინარეთი, თავისი მდიდარი და კეთილმოწყობილი ქალაქებით.

საინტერესო ისტორიული სურათია: ტიგროსისა და ევფრატის შუამდინარეთი, ძველი დროიდან მოფენილი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებით — ქალაქებით, საცილობელი ასპარეზი ხდება ბიზანტია-ირანისათვის. საომარი ექსპედიციები თითქოსდა ანელებენ საქალაქო ცხოვრებას, მაგრამ ბევრით ვერა. რომაელთა დაპყრობის შემდეგ, ევფრატს გაღმა ტერიტორიაზე ორი შუამდინარული ცენტრი წარმოიშობა, ჩრდილოეთისა ამიდი (დღევანდელი დიარბექირი) და სამხრეთისა ედესა (სირიულად ურხა). ედესას როგორც ბიზანტიაში, ისე ირანში, უყურებდნენ როგორც გასაღებს შუამდინარეთის სხვა პროვინციებისაკენ[14]. მისგან დასავლეთით მდებარეობდნენ აპამეა და ზეიგმა, რომელზედაც გადიოდა გზა სირიიდან შუამდინარეთისაკენ. მისგან სამხრეთით კი რომაული ციხე დურა-ევროპოსი იყო, დღეს კარგად ცნობილი არქეოლოგიური ძეგლი[15]. ედესის ჩრდილოეთით მდ. ევფრატზე მდებარეობდა სამოსატა, მისგან სამხრეთით კი ქ. ჰარრანი (ასევე ცნობილი არქეოლოგიური ძეგ-

[14] Н. Пигулевская, Месопотамия на рубеже V—VI вв. н. э. (Сирийская хроника Иешу Стилита как исторический источник), М-Л., 1940, стр. 32.

[15] The Excavations at Dura-Europos, New Havan, ანგარიშები ქვეყნდებოდა პერიოდულა 1929 წლიდან.

ლი)[16]. ჰარრანის სამხრეთით, მდ. ევფრატის მახლობლად მდებარეობდა კალინიკუსი, იგივე რაკკა (შემოზღუდული 449 წელს), რომელმაც შუასაუკუნეებში სახელი გაითქვა როგორც მოჭიქული მხატვრული კერამიკის ერთ-ერთმა ცენტრმა. ედესის აღმოსავლეთით მდებარეობდა ნიზიბია ირან-ბიზანტიის ერთ-ერთი ყველაზე საცილობელი პუნქტი.

მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების სისხლსავსე ცხოვრებაში ბევრი ეროვნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ: ბერძნები, სპარსელები, სირიელები. ეს უკანასკნელნი განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდნენ, ისე, რომ ისეთი დიდი ქალაქები, როგორიც იყო ედესა, ამიდი, ნიზიბინი და სხვ. შეიძლება სირიულ ქალაქებადაც კი გამოვაცხადოთ[17]. სირიელთა კოლონიები იყო სპარსულ ქალაქებში — სელევკიაში (კტეზიფონში), გუნდე-შაპურში და სხვ. IV—VI საუკუნეებში მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ორომტრიალში ხშირად შეხვდებოდით სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულთაც. მაგალითად, სირიული წყაროების მიხედვით ედესაში, რომელიც გზაჯვარედინს წარმოადგენდა, ნახავდით ქართველებს, ლაზებს, კოპტებს, ეთიოპებს და სხვ.[18]

მაგრამ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ხვედრი ისე იყო განაწილებული, რომ არც ბიზანტიას და არც ირანს, რა თქმა უნდა, არც სირიელებს, არ ეწერათ დაუფლებოდნენ მესოპოტამიის ქალაქებს. ასპარეზზე ახალი პოლიტიკური ძალა გამოდის. არაბებმა და ისლამის რელიგიით გაერთიანებული ხალხის ტალღებმა სრულად შეცვალეს მახლობელი აღმოსავლეთის რუკა. VII საუკუნის შუახანებიდან არაბების გამოჩენამ და მომძლავრებამ ასპარეზს ჩამოაშორა ბიზანტია, ირანი და ისინი კარგა ხანს ერთადერთ რეალურ ძალას წარმოადგენდნენ აღმოსავლეთში.

თუ IV—VI საუკუნეებში სპარსეთისა და ბიზანტიის ქალაქებში, ასევე შუამდინარეთში საქალაქო მეურნეობის კვლავ მაღალი დონე ჩანს, ეს უპირველეს ყოვლისა ამ ქვეყნების პოლიტიკური უპირატესობის გამო იყო; აღმოსავლეთ რომის პროვინციაში ახალი სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის გაჩენა ძლიერი აღმავლობით ხასიათდებოდა, რომელიც აღმოსავლეთში ცდილობდა ტოლი არ დაედო ასევე ძლიერი სასანიანთა დინასტიისათვის. მათ შორის ჭიდილში საქართველო ძლიერ დაზარალდა. თუ IV—VI საუკუნეებში ქართველ ვაჭრებს კვლავ შეეძლოთ მეზობელ ქვეყნებში სიარული (როგორც ზევით იყო აღნიშნული), შემდგომად ეს თითქმის მიუღწეველი გახდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

გარდამავალი ხანის ქართული ქალაქების კვლევისათვის ახლო აღმოსავლეთის და ბიზანტიის ქალაქების ისტორია ამ ქვეყნების პოლიტიკური დაწინაურების გამო, რაც ერთგვარად ქალაქების ცხოვრებაზედაც ისახებოდა, შესაძლებელია სრულ სურათს ვერ შეგვიქმნის იმ პროცესის საილუსტრაციოდ, რის შესახებაც ზევით უკვე ითქვა, თუმცა ბზარი საქალაქო ცხოვრებაში წინამავალ პერიოდთან შედარებით აქაც საგრძნობია. ყველაზე მახლობელი, ტერი-

---

[16] Seton Lloyd and William Brice, Harran, AS, I, 1951; Studies in Medieval Harran, O. S. Rice, AS, II,1952.

[17] Н. Пигулевская, Города Ирана в раннем средневековье, М.-Л, 1956, стр. 50.

[18] Н. Пигулевская, Месопотамия на рубеже V—VI вв. н. э., стр. 36.

პროკოფი კესარიელის სიტყვებით, ქართველები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სავაჭრო ურთიერთობებში სომხებთანაც, დეინთან. იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, 2, თბ., 1965, გვ. 88.

ტორიულად და სოციალურ-ეკონომიური განვითარების პირობებითაც მეზობელი სომხეთი იყო და, როგორც ჩანს, ამ ორი ქვეყნის ქალაქების განვითარების ეტაპებიც თითქმის ერთი და იგივეა.

სომხეთში ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებასთან დაკავშირებით საგრძნობლად ეცემა საქალაქო მეურნეობა. IV—V საუკუნეებიდან მოყოლებული ძველი სომხური ქალაქები, რომლებიც მნიშვნელოვან ეკონომიურ ძალას წარმოადგენდნენ და მოწინავე როლს ასრულებდნენ ქვეყნის ცხოვრებაში, ქვეითდებიან ან ეცემიან. ასეთი ბედი ეწია არტაშატს, გარნისს და სხ. IV—IX საუკუნეებში სომხეთში მხოლოდ სამი ქალაქი არსებობდა. აქედანაც ორი მათგანი სამხედრო-ადმინისტრაციული პუნქტია, მხოლოდ დვინი შეიძლება ჩაითვალოს ასე თუ ისე მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად[19]. სომხეთის ძველი პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრის არტაშატის დაცემა, ახალი, მზარდი სოციალური ძალების გამარჯვებას უნდა მიეწეროს. ძველი ცენტრის (არტაშატი) ახლით (დვინი) შეცვალა ზუსტი ანარეკლია ახალი სოციალური ძალების გამარჯვებისა. სხვათაშორის, პოლიტიკური ცენტრების მონაცვლეობითაც (არტაშატ-დვინი) სომხეთის ქალაქების ისტორია ზუსტი ანალოგიაა საქართველოში მომხდარი მსგავსივე შენაცვლებისა (მცხეთა-თბილისი). ადრეფეოდალურ ხანაში დვინის მოწინავეობა საქალაქო ცხოვრების წინსვლის სფეროშიაც, ვფიქრობთ, პოლიტიკური მოტივებით უნდა აიხსნას. დვინი დედაქალაქად ხდება IV ს. 30-იანი წლებიდან.[20]

ქართული ქალაქების შემდგომი ეტაპი პოლიტიკურ და სოციალურ სფეროში ორი დიდი მოვლენით არის გამოყოფილი. პოლიტიკურ ასპარეზზე ქართლის სამეფოს წარმატებები ვერა აქვს; ირან-ბიზანტიის გაუთავებელმა ომებმა ქვეყანა მოღალა და დიდი ეკონომიური ზარალი მიაყენა მას. 523 წელს მოისპო მეფობა ქართლში და ამიერიდან თავი აიშვეს ქვეყნის გამთიშავმა ძალებმა. აზნაურობა თავის სანუკვარ უფლებებში შედის. ომებმა მოშალეს ძველი სატრანზიტო გზა მტკვრის ხეობაზე, რამაც დიდი ზარალი მიაყენა გზაზე მდებარე ქართულ ქალაქებს. სოციალურ სფეროში სიახლე ფეოდალიზმის საბოლოო გამარჯვებას ეხება. VI საუკუნიდან გაბატონებულია და „შეუზღუდველად მკვიდრდება“ წარმოების ფეოდალური წესი, რამაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ქალაქების ცხოვრებაში.

წარმოების ფეოდალურმა ხასიათმა თავისი დაღი დაასვა ქართულ ქალაქებს. ამიერიდან ეცემა საქალაქო მეურნეობა. VI საუკუნიდან ის მცირე მასშტაბითღაა წარმოდგენილი. ფეოდალიზმის ამომავალი წერტილი სოფელში იყო და ამდენად ფეოდალური ხანის ქალაქები „სოფლურობის“ დიდი ელემენტით ხასიათდებიან. მათ წყაროებში, მართალია, კვლავ ქალაქების სახელით მოიხსენიებენ, მაგრამ ეს ტრადიციის გავლენის ნაყოფი უნდა იყოს. ჯუანშერი მურვან ყრუს ლაშქრობის შესახებ გადმოგვცემს: „მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრხისათა. რამეთუ იყო მაშინ ქალაქი იგი სახელოვანი, ძ ვ ე ლ ნ ა შ ე ნ ე ბ ი ს ა ღ ა ღ ი რ ი ს ე ბ ი თ ი...

ძველ ნაქმართა მისთათვის“[21] (ხაზი ჩვენია, ლ. ჭ.).

[19] Б. Н. Аракелян, Развитие ремесел и товарного производства в Армении в IX—XIII веках, СА, XXVI, 1956, стр. 118.

[20] К. Г. Кафадарян, Город Двин и его раскопки, стр. 266 (სომხურ ენაზე, რუსული რეზიუმით).

[21] ქც, I, გვ. 234.

ქართული ქალაქების ისტორიის ამ მონაკვეთში, მხედველობაში გვაქვს სამსაუკუნოვანი პერიოდი, VI საუკუნის შუაწლებიდან IX საუკუნის შუამდე, არ არსებობდა პირობები ფეოდალური ქალაქების წარმოშობისათვის. ამ დროს ვხვდებით ქალაქებს, რომლებიც არსებობდნენ ადრეც, ანტიკურ ხანაში და აგრძელებდნენ ცხოვრებას შემდეგშიაც. ეს პერიოდი, შესაძლებლად მიგვაჩნია იწოდოს ქალაქების დაქვეითების, დაცემის ხანად. აქ ერთი პირობა უნდა იყოს გათვალისწინებული; როდესაც ლაპარაკია ქალაქების დაცემაზე, იგულისხმება ქალაქების საქალაქო მეურნეობა და ამ მეურნეობის დაქვეითება და დაცემა და არა საერთოდ ქალაქის ეკონომიკის დაკნინება. არქეოლოგიურმა მონაცემებმა ნათელი გახადეს, რომ ამ დროის ქალაქის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის დარგებს, განსაკუთრებით მიწათმოქმედებას და მევენახეობა-მეღვინეობას. სოფლის მეურნეობის დარგების ასეთმა განვითარებამ ეკონომიური სიძლიერე შეუნარჩუნა ქალაქს, ისე რომ საქალაქო მეურნეობის დაქვეითებით გამოწვეულ ხარვეზს იგი წარმატებით ავსებდა. ქალაქის ძლიერების წყარო შეიცვალა, ეკონომიური საფუძველი კი კვლავ მაღალ დონეს ინარჩუნებდა.

VII საუკუნის შუახანებიდან აღმოსავლეთ საქართველოს ახალი დამპყრობელი მოევლინა. ისლამის რელიგიით გაერთიანებულმა არაბებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს პოლიტიკურ ასპარეზზედაც. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნები ხალიფატის სამფლობელოებად იქცა. ქართლი, კერძოდ თბილისი, არაბების ჩრდილოეთის უკიდურეს სასაზღვრო წერტილს — სუღრს წარმოადგეხდა. არ შეიძლება არ დაგვებადოს კითხვა: ქართული ქალაქების არაბებთან დამოკიდებულებაში, ჰქონდათ თუ არა არაბებს განმსაზღვრელი მნიშვნელობა ქართული ქალაქების დაცემის საკითხში? მთელი რიგი მონაცემებით ცხადი ხდება, რომ არაბების ბატონობა ქართული ქალაქების დაცემის საკითხში განმსაზღვრელად ვერ გამოდგება. VII—IX საუკუნეების ქართლმა იცის არაერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი, რომლის შექმნაც მკაცრი დამპყრობლური პოლიტიკის პირობებში შეუძლებელი უნდა ყოფილიყო. პირველი გამანადგურებელი სამხედრო ექსპედიცია ქართლში მურვან ყრუმ ჩაატარა 737—738 წლებში. არაბთა ეს შემოსევა მეტად სასტიკი იყო და მას ბევრი ქალაქი ემსხვერპლა. თუ წერილობით ცნობებს დაეჯერება, ამ დროს შეწყვიტეს არსებობა როგორც ქალაქებმა მცხეთამ, კასპმა, ურბნისმა, ხორანთამ და სხვ. მაგრამ შეიძლებოდა კი ქალაქების მოსპობა გარეშე ექსპანსიით, რომ ის შემდგომ არ განახლებულიყო? ამ შემთხვევაში, ვფიქრობთ, მურვან ყრუმ ბოლო მოუღო ძველ ქალაქებს, რომლებიც ფეოდალიზაციის პროცესით დაკნინებულნი იყვნენ და მხოლოდ მცირე ბიძგიღა იყო საჭირო მათი დაცემისათვის. განახლება კი შეუძლებელი იყო, რადგან საამისო ეკონომიური საყრდენი აღარ გააჩნდათ. განა ნაკლები სისასტიკის შემოსევები განიცადა XI საუკუნეში აღმ. საქართველომ ალფ-არსლანის დროს? მაგრამ სულ მალევე განახლდა ცხოვრება, იმიტომ რომ ქვეყანა აღმავლობის გზაზე იდგა და გარეშე ექსპანსიით გამოწვეულ ნგრევას მალევე შენება-განახლება მოსდევდა. მურვან ყრუს ლაშქრობა ერთგვარი გამოცდა იყო ისედაც დაცემული ქართული ქალაქებისათვის.

ამდენად, არაფრით არაბობა განმსაზღვრელად არ მიგვაჩნია ქართული ქალაქების დაცემისათვის. განმსაზღვრელი ნიშნები სოციალურ სფეროში უნდა ვეძიოთ, კერძოდ, ფეოდალიზმის პროცესში, რომელმაც თავისი დაღი დაასვა ქალაქების განვითარებას. VI—IX საუკუნეების ქალაქებში საქალაქო მეურნეობა დაცემულია და ის გაცილებით ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე სასოფლო დარგები. რომ VI—IX საუკუნეები ქართული ქალაქების დაქვეითების ხანაა, კარგად ჩანს სულ უბრალო შედარებითაც. ვინც იცნობს არქეოლოგიურ მასალას, მისთვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს პერიოდი გაცილებით ჩამორჩება როგორც წინამავალ ეპოქას (იხ. წ. პირველი საუკუნეები), ისე შემდგომს, X—XIII საუკუნეებს, როდესაც კვლავ ხდება ქალაქების აღმავლობა. ერთხელ კიდევ გვსურს გავიმეოროთ, რომ როდესაც ლაპარაკია ქართული ქალაქების დაცემა-დაქვეითების ხანაზე, აქ ნაგულისხმევია საქალაქო მეურნეობის სახეების დაცემა და არა მთლიანად ეკონომიური დონისა.

ახალი ფორმაციის შემოსვლის შედეგად ქალაქების დაქვეითება და დაცემა არავითარ შემთხვევაში მხოლოდ ქართული მოვლენა არ არის, არამედ მას შესანიშნავი პარალელები მოეძებნება საქართველოს გარეთაც. ანალოგიური სურათი ჩანს მეზობელ სომხეთში, სადაც, როგორც უკვე ითქვა, IV—IX საუკუნეებში მხოლოდ სამი ქალაქიღა შემორჩა. სომხურმა წერილობითმა ტრადიციამ სპეციალური ტერმინიც კი შექმნა სოფლადქცეული ქალაქის აღსანიშნავად (Գիւղաքաղաք — გიუღა ქალაქ) ე. ი. სოფელ-ქალაქი. ამ ტერმინით აღინიშნებოდა დაქვეითებული სოფელ-ქალაქები, ე. ი. ძველი ქალაქები, ამჟამად უკვე სოფლის დღეში ჩაყენებული.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა, ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის, აქვს ბიზანტიური ქალაქების კვლევის შედეგებს, რომლებთანაც ქართული ქალაქები პარალელებს ამჟღავნებენ. ბურჟუაზიულ-ისტორიულ ლიტერატურაში მიღებულია აზრი, თითქოს ბიზანტიის იმპერია წარმოადგენდა ყოველთვის ქალაქურ ქვეყანას. მაგრამ როგორც უკანასკნელი გამოკვლევებით ჩანს, განსაკუთრებით არქეოლოგიური მონაცემებით, საქმე სრულიადაც არ არის ასე. ბიზანტიური ქალაქები VI საუკუნიდან მოყოლებული IX საუკუნის ნახევრამდე განიცდიან ღრმა ეკონომიურ კრიზისს, რასაც თან სდევს ქალაქების დაცემა და მათი გადაქცევა აგრარულ პუნქტებად.

ბიზანტიის შინა ეკონომიური პირობების ახსნაში განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა საყურადღებო დაკვირვება ნუმიზმატიკურ მასალებზე. ბიზანტიური მონეტების მოჭრისა და გავრცელების მიხედვით ცხადი შეიქმნა, რომ VII—VIII საუკუნეების მიჯნაზე ბიზანტია განიცდის არსებით ეკონომიურ ცვლილებებს, რაც გავლენას ახდენს, უფრო სწორად, ამცირებს ბიზანტიური ფულის მოჭრის ინტენსივობას[22]. ა. პ. კაჟდანის დაკვირვებით, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა ბიზანტიური მონეტების კატალოგები ევროპის, აფრიკის თუ მცირე აზიის ქვეყნებში აღმოჩენილი ფულებისა, VI—VII საუკუნეებში მოჭრილი მონეტები შედარებით მრავალრიცხოვანია, VIII—IX საუკუნეებისა კი გაცილებით ცოტა. X საუკუნიდან და განსაკუთრებით XI საუკუნიდან მონეტების რაოდენობა ძლიერ იზრდება. ამიერკავკასიაში, მაგალითად, ასეთი სურათია (ა. კაჟდანს გამოქვეყნებული აქვს ძველი მონაცემები): VI და VII სს. მონეტების განძები შედარებით ბევრია, — დაახლოებით

[22] А. П. Каждан, Византийские города в VII—XI вв., СА, XXI, 1954, стр. 167.

30; VII საუკუნის მონეტები გაცილებით ცოტაა — სულ 6 ცალი. IX საუკუნით თარიღდება 1 მონეტა; X საუკუნისა 10 განძია; XI საუკუნისა კი ოცდაათზე მეტი განძია.[23] მსგავსივე სურათი ჩანს ნუმიზმატიკური მონაცემებისა უშუალოდ ბიზანტიის ტერიტორიაზედაც. ამ მოვლენის ახსნა, ა. კაჟდანის სამართლიანი ვარაუდით, არ შეიძლება გარეშე პოლიტიკური ფაქტორით. ის უნდა აიხსნას ბიზანტიური ქალაქების მდგომარეობის მკვეთრი შემობრუნებით, სასაქონლო პროდუქციის შემცირებით და ნატურალური მეურნეობის ტენდენციების ზრდით.

ეს, რაც შეეხება ნუმიზმატიკურ მონაცემებს, მაგრამ ემთხვევა თუ არა არქეოლოგიური გათხრების შედეგები ნუმიზმატიკურს? ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოკლედ მოვიხსენიოთ ზოგიერთი არქეოლოგიური მონაცემი. ბალკანეთის ქალაქებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ქალაქი სტობი. იგი IV—VI საუკუნეებში საკმაოდ ძლიერ სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა.[24] VI საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი იწყებს დაცემას ისე, რომ შუასაუკუნეებში იგი საცოდავი დასახლებაღაა.[25]

ანალოგიური სურათი ჩანს ათენშიც. ელადის ეს ძველი ბრწყინვალე ცენტრი IV—V საუკუნეებში კვლავ გამოცოცხლდა; ძველი ნასახლარებიდან აგებენ ახალ სახლებს. VI საუკუნიდან ისიც ეცემა, ვიდრე IX—X საუკუნეებში აქ კვლავ არ განახლდა ცხოვრება.[26]

პელოპონესის ბიზანტიური ქალაქებიდან ყველაზე უკეთ შესწავლილია კორინთი. იგი დაწინაურდა IV საუკუნიდან, ქრისტიანობის გავრცელების დროიდან. VI საუკუნიდან განიცდის ეკონომიურ დაცემას. ხელახლა აღსდგა IX საუკუნის ბოლოდან. XI—XII საუკუნეებში ქალაქმა დიდ განვითარებას მიაღწია.[27]

ანალოგიური სურათი, მსგავსი ბალკანეთისა და პელოპონესის ბიზანტიური ქალაქებისა, შეინიშნება მცირე აზიის ქალაქებშიც (სოლუნი, ეფესი, პერგამი), ასევე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში. ამ უკანასკნელიდან ყურადღების ცენტრში შეიძლება მოვაქციოთ ხერსონესი, რომელიც გარდა იმისა, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ინტენსიური არქეოლოგიური კვლევის ობიექტად არის ქცეული,[28] უკანასკნელ ხანს შესწავლილ იქნა ადრეფეოდა-

---

[23] უკანასკნელი წლების აღმოჩენები მხოლოდ რაოდენობრივ ცვლილებებს იძლევიან, ზემოთ აღნიშნული მომენტი კვლავ ძალაში რჩება. იხ. თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახ. მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966.

[24] E r n s t K i t z i n g e r, A Survey of the Early Christian-tawn of Stobi, Dumbarton Oaks Papers, № 3, 1946.

[25] А. П. К а ж д а н, დასახ. ნაშრომი, გვ. 176

[26] ათენის გათხრების შესახებ იხ. R. S. L o u n g, An Industrial district of ancient Athens, Hesperia, № 20, 1951; E u g e n e V a n d e r p o o l, Roads of the Northwest Corner of the Athenian Agora, Hesp., № 28, 1959; H o m e r A. T h o m p s o n, Activities in the Athenian Agora 1958, Hesp., № 28, 1959; J o h n L. C a s k e y, H. S. R o b i n s o n-ის ნაშრომები Hesperia-ში 1959 და სხვ.

[27] კორინთში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო ამერიკულმა სკოლამ 1896 წელს. მის შესახებ გამოქვეყნებულია მრავალი ნაშრომი. შემაჯამებელია; Corinth, Results of Excavations conducted by the American school of Classical Studies at Athens. ჩვენთვის ცნობილია 15 ტომი. კორინთის არქეოლოგიის შესახებ იხ. ასევე Hesperia, 1934, III; Byzantion, 1940 — 1941 წწ. XV და სხვ.

[28] А. Л. Я к о б с о н, Средневековый Херсонес, МИА, 17, 1950.

ლური ხანის პერიოდიზაციის საკითხებთან დაკავშირებითაც.[29] გულდასმითმა დაკვირვებამ ხერსონესში სამონეტო მიმოქცევაზე, ასევე წამყვან არქეოლოგიურ კომპლექსებზე, ბიზანტიოლოგი დ. ლ. ტალისი მიიყვანა დასკვნამდე, რომ ხერსონესიც მსგავსად ბალკანეთის, პელოპონესის, მცირე აზიის ბიზანტიური ქალაქებისა, გარკვეულ პერიოდში განიცდის ეკონომიურ კრიზისს, რაც გამოწვეული იყო წარმოების შემცირებით, ვაჭრობის და სამონეტო მიმოქცევის დაქვეითებით. ყველაფერმა ამან კი მიიყვანა ქალაქი დაცემამდე. IV — VI საუკუნეებში, უფრო სწორად VI საუკუნის ნახევრამდე, ზემოხსენებული ავტორი კვლავ ვარაუდობს წარმოების მაღალ დონეს.[30] შემდგომი ეტაპი განვითარებისა მოიცავს სამსაუკუნოვან პერიოდს—VI საუკუნის შუაწლებიდან IX საუკუნის ნახევრამდე. ამ დროს ხდება წარმოების დონის მკვეთრი დაცემა, დაქვეითება ვაჭრობისა და სამონეტო მიმოქცევისა, ეკონომიური ურთიერთობების შემცირება[31]. მისივე აზრით, ეს არ აიხსნება რაიმე კატასტროფული მოვლენით, ხერსონესმა დაჰკარგა რა ქალაქობა სოციალურ-ეკონომიური თვალსაზრისით, დარჩა სამხედრო-ადმინისტრაციულ და საეკლესიო ცენტრად[32]. მკვეთრი ცვლილებები ქალაქის ცხოვრებაში VI საუკუნიდან გამოწვეული იყო არა მტრების დამანგრეველი მოქმედებით, არამედ შინაგანი განვითარების ფაქტორებით და წმინდა ეკონომიური სიძნელეებით.[33]

ზემოთ აღნიშნულიდან კარგად ჩანს, თუ რა ცვლილებები მოხდა ქალაქების ცხოვრებაში ახალი ფორმაციის შემოსვლის შედეგად, როცა ქალაქის ეკონომიური სახე საფუძვლიანი გადატრიალების აუცილებლობის წინაშე აღმოჩნდა. დაქვეითდა ვაჭრობა, დაეცა წარმოების დონე, ეკონომიური ურთიერთობა, სამონეტო მიმოქცევა შესუსტდა. ერთი სიტყვით, ქალაქები ეცემა. ამასვე ხელს უწყობდა გარეშე პოლიტიკური ძალდატანება, თუმცა არა გადამწყვეტი მნიშვნელობით. ქართული ქალაქების ისტორიის ეს პერიოდი დაახლოებით სამ საუკუნეს მოიცავს, VI საუკუნის მეორე ნახევრიდან IX საუკუნის მეორე ნახევრამდე.[34]

ქართული ქალაქების განვითარების ისტორიაში ერთ-ერთი ძირითადი ეტაპია IX—XI საუკუნეები, როდესაც ადგილი ჰქონდა ქართული ფეოდალური ქალაქის ჩამოყალიბებასა და წარმოშობას. ეს პერიოდი, მრავალრიცხოვანი ქართული ფეოდალური ქალაქის წარმოშობისა, შესაძლებელია დავიწყოთ

---

[29] Д. Л. Талис. Вопросы периодизации истории Херсона в эпоху раннего средневековья. ВВ, XVIII, 1961.

[30] იქვე. გვ. 55—56.

[31] იქვე. გვ. 61.

[32] იქვე.

[33] იქვე. გვ. 65.

[34] ეს სურათი შესანიშნავად არის ასახული ქართულ ნუმიზმატიკურ მონაცემებში. ანტიკური ხანის შემდეგ ქართული მონეტები აღარა ჩანს. ისეთი დიდი პოლიტიკური მოღვაწეც კი, როგორიც ვახტანგ გორგასალი იყო, არა სჭრის საკუთარ მონეტას. უფლებრივი შეზღუდვა მას, რა თქმა უნდა, არა ჰქონდა. მცირერიცხოვანი მონეტები ერისმთავრებისა (გურგენი, ვახტანგი, სტეფანოზი) უფრო პოლიტიკური აღიარებისათვის იყო მოჭრილი, ვიდრე ეკონომიური მნიშვნელობით. ქალაქების დაცემის პირობებში, ნატურალური მეურნეობის ბატონობის ხანაში ასეთი სურათი სავსებით კანონზომიერია. ფეოდალური ქალაქების წარმოშობის ეპოქაში (IX—XI სს.), როცა საქალაქო მეურნეობის გაძლიერება იწყება და ეკონომიური კავშირურთიერთობა სამონეტო მიმოქცევის აღმავლობას მოითხოვს, კვლავ აღსდგა ადგილობრივი მონეტების მოჭრა და მიმოქცევა. მომძლიერებული ტაო-კლარჯეთის მფლობელები ამ საქმის დროული წამომწყებნი იყვნენ.

IX საუკუნის მეორე ნახევრით, სიზუსტე ქრონოლოგიისა აქ ძნელია დავიცვათ, ზოგ შემთხვევაში ცოტა ადრეც არის საგულისხმებელი. იგი შეიძლება დავამთავროთ XI საუკუნით. XI საუკუნის ბოლოსათვის საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ძირითადში დამთავრებულია. ქართული ფეოდალური ქალაქის წარმოშობის პროცესიც აქ უნდა სრულდებოდეს. ამიერიდან საქმე გვაქვს ფეოდალიზმის წიაღში ახალ სოციალურ-ეკონომიურ ყოფაში აღმოცენებულ და განვითარებულ ქალაქთან. IX — XI საუკუნეები ახალქალაქების, იგივე ფეოდალური ქალაქების გაჩენის ხანაა. ერთიანი პოლიტიკური გაერთიანების პირობებში, როდესაც იქმნება მყარი საფუძველი ერთიანი ეკონომიური საყრდენის შექმნისათვის, ქართული ფეოდალური ქალაქი დიდ წარმატებას აღწევს საქალაქო მეურნეობის განვითარების საქმეში. ამ დროსაა წარმოშობილი ჯავახეთის ახალქალაქი, ატენი, თელავი, განახლდა არტანუჯი, დმანისი, ხელახლა აღსდგნენ რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი, არნახულ განვითარებას მიაღწია თბილისმა.

XII—XIII საუკუნეები ქართული ფეოდალური ქალაქების აყვავების ხანაა. არ არსებობს საქალაქო მეურნეობის რომელიმე მნიშვნელოვანი დარგი, რომ ის ქართულ ქალაქებში არ ყოფილიყო წარმოდგენილი: — საფეიქრო წარმოება, ოქრომჭედლობა, მეთუნეობა, მინის წარმოება, მეტყავეობა, მჭედლობა, ხალიჩების ქსოვა, ძვლის დამუშავება და სხვა მრავალი ხელობა ქართველ სპეციალისტთა ხელმისაწვდომი საქმიანობა იყო. საქართველოს ქალაქებიდან პროდუქციის ერთი ნაწილი უცხო ქვეყნებშიც გაჰქონდათ; ასევე დიდძალი ნაწარმი შემოდიოდა ჩვენშიაც. საქართველოს ქალაქები კეთილმოწყობილი გზებით უკავშირდებოდა იმდროინდელ თითქმის ყველა დაწინაურებულ ცენტრს.

ფეოდალური ქალაქების ზრდასა და განვითარებას, ბუნებრივია, უნდა მიეღწია ახალი, უფრო მაღალი საფეხურისათვის, მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა, რადგანაც ის ძნელადგადასალახავი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა გარეშე საფრთხის მომძლავრებასთან დაკავშირებით; ამასთანავე ერთად სიძნელეები იქმნებოდა სოციალურ-ეკონომიური განვითარების სფეროშიაც, ფეოდალური ურთიერთობა მისი წარმოების წესით უკვე მოძველებული იყო. ფეოდალიზმი რღვევის პროცესში შედიოდა.

## 2. IV საუკუნე — მველი ქართული ქალაქების დაცემის დასაწყისი

IV საუკუნე რომ ერთგვარი ზღვარია ორ ურთიერთისაგან მკვეთრად გამოყოფილ ფორმაციას შორის, კარგად დგინდება არქეოლოგიური მონაცემების შეშვეობით. პირველ ყოვლისა, ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა მცხეთა: მცხეთის სამაროვნების მიხედვით შესანიშნავად ჩანს, რომ იქმნება რაღაც ახალი გარემო, წრე, ან თუ შეიძლება ვთქვათ „კულტურა", რომელიც თავისებურად გამორჩეულსა და დამახასიათებელ სურათს გვაძლევს მეოთხე საუკუნიდან დაწყებული. ეს იყო ახალი ეტაპის დასაწყისი საქართველოს ისტორიაში.

თითქმის არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ამ ხანის ქალაქების სოციალური არსის გამოსარკვევად; რას წარმოადგენდნენ ისინი? დამოუკიდებელი ქალაქები იყვნენ თავისი საკუთარი თვითმმართველობით, თუ იურიდიული სტატუსით დაკავშირებული რომელიმე დიდებულთან ან მეფესთან. ვერ

ირკვევა. ეს საკითხები უდავოდ შესწავლილია, რადგან მათი გათვალისწინების გარეშე ძნელი მისახვედრი იქნება განსაკუთრებით გარდამავალი ხანის ქალაქების რაობის საკითხი. ნიშნავს თუ არა მცხეთის „სამეუფო ქალაქობა“ მის კუთვნილებას მეფის კარისადმი, ანდა თუ ეს ასეა, შეიძლება თუ არა იგივენაირად მივუდგეთ სხვა ქალაქებსაც, როგორც სამეუფო, ე. ი. მეფის კუთვნილ ქალაქებს? ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელად გადასაჭრელი პრობლემაა და მის გაგებას დამატებითი ცნობების მოძიება ესაჭიროება. ერთი რამ ცხადი უნდა იყოს, რომ IV საუკუნიდან მოკიდებული, უკვე მირიანის დროიდან, ქალაქებისადმი, როგორც მზარდი ფეოდალური ერთეულებისადმი, ინტერესი მატულობს. ეჭვს გარეშეა, ქალაქი ამ დროს შესანიშნავ ეკონომიურსა და პოლიტიკურ დასაყრდენს წარმოადგენდა, რომლის ხელში ჩაგდებაც გარკვეულ პრივილეგიას შეადგენდა.

ფეოდალიზაციის აშკარა შედეგებზე უნდა მიუთითებდეს სამეფო კარის ზრდა-გაძლიერება და განსაკუთრებით საუფლისწულო მამულების გამრავლება. რუსთავი, რომელიც წყაროების მიხედვით ანტიკურ ხანაში წარმოშობილი ქალაქია და შესაბამისად ერთ-ერთი უძველესი ქართული ქალაქიც, IV საუკუნეში, მირიანის დროსვე, საუფლისწულო ცენტრად იქცევა. ლეონტი მროველის მიხედვით: — „მეფობდა მირიან მუნ ქართლს, რანს, ჰერეთს და მოვაკანს და აქუნდა ეგრისიცა ვიდრე ეგრისწყლამდე; და მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ (ხაზი ჩვენია, ლ. ჭ.) კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას“[35]. კახეთ-კუხეთის საუფლისწულოდ გამოცხადება, რა თქმა უნდა, უპირველესად გულისხმობდა მათი ცენტრების უჯარმისა და რუსთავის საუფლისწულო მამულად ქცევას. უჯარმა შემდეგშიაც, როგორც ცნობილია, სამეფო ქალაქად იქცა გორგასალის დროს. რუსთავი კი, რომელმაც ამ ამბებთან დაკავშირებით მიიღო მეორე სახელიც ვუსტან-ქალაქი (დამახინჯებულად „ბოსტან-ქალაქი“), რაც ნიშნავს საეუსტნო — საუფლისწულო მამულს, დომენს, შემდეგშიაც კვლავ რევიანთა მამულს წარმოადგენდა“[36]. IV საუკუნის ბოლოს ბაქარმა მირიანის ძემ „მოიყვანა ძმისწულნი მისნი (რევიანნი) და მისცა კუხეთი და დასხნა რუსთავს ერისთავად“.[37] ასეთივე მდგომარეობა ჩანს V საუკუნეშიც ვახტანგ გორგასალის დროს; ჯუანშერის გადმოცემით: „მირიან და გრიგოლ იყვნეს ნათესავისაგან რევისა, მირიანისვე ძისა, და აქუნდა მათ კუხეთი, და ცხოვნდებოდეს რუსთავს ციხე-ქალაქსა“[38].

ეს პროცესი კიდევ უფრო ღრმავდება გორგასალის დროს. თვით გორგასალი, ჩანს, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ფეოდალია, რომელიც თავის უფლებებში აქცევს ბევრ მნიშვნელოვან ქალაქს. წყაროების ძუნწი ცნობებით გორგასალის სახელთან არის დაკავშირებული, მცხეთას რომ თავი დავანებოთ, უჯარმა, ჭერემი, არტანუჯი, თბილისი, წუნდა, ოძრხე. თუ პირველი სამი მის სამემკვიდროში შენდება მისივე ინიციატივით, თბილისი საცილობელი პუნქტია სპარსელ დიდებულთა და ქართველ მეფეთა შორის. საქმე იმაშია, რომ სპარსი მოხელე, რომელიც თბილისში ციხეს აშენებს „შურად მცხეთისად,“ დამპყრობელის ინტერესების გამომხატველია, თუმცა პირადად ის შეძლებული

[35] «ქ ც-ბაჲ», I, გვ. 70—71.
[36] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 46.
[37] «ქ ც-ბაჲ», I, გვ. 131.
[38] «ქ ც-ბაჲ», I, გვ. 159.

და გავლენიანი ძირია, რომელსაც ახლადშობილი ქალაქი თუ ციხე ემორჩილება. ქართველი მეფეების ცდა თბილისის ხელში ჩასაგდებად წარმატებით მთავრდება. მათ ხელთ იგდეს რა პუნქტი, რომელზედაც აპირებდა დაყრდნობას უცხო ძალა, ამასთანავე ახალი შემოსავლის წყარო გაიჩინეს. გორგასალის ცდა თბილისის აშენების და გაძლიერებისა, პირველ ყოვლისა, პოლიტიკურ მიზნებს ისახავდა. ამასთანავე ის ახალი ქალაქის მფლობელი ხდებოდა.

კერძო მფლობელობაში მოხვდა თუ არა რომელიმე ქალაქი, ამ დროს არ არის ცნობილი. უდიდესი უმრავლესობა სამეფო საკუთრების ქალაქებია (მათ შორის საუფლისწულოები). ერთადერთი, რაც კი შეიძლება ვივარაუდოთ, ეს უცხო გამგებლების ხელქვეით მოქცეული ქალაქებია, რომლებიც შესაძლებელია უცხო დიდებულების საკუთრებაში მოხვდნენ შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო. არც ის არის გამორიცხული, რომ მაგალითად, ცურტავი ყოფილიყოს პიტიახშების, დიდმოხელეთა საკუთრება, რომელთაც აქ ჰქონდათ რეზიდენცია და რომელიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა.

IV — V საუკუნეებს სამეფო კარის მესვეურები ყოველნაირად ცდილობენ თავისი პოლიტიკური და უფლებრივი გავლენის გამოყენებას ქალაქებზე. ეს უფლება მათ პირველი ქალაქების წარმოშობისთანავე მოიპოვეს. ქალაქთა მფლობელობის საკითხში, წინამავალ პერიოდთან შედარებით, ამ დროს სურათი თითქმის არ უნდა იყოს შეცვლილი, სამეფო კარის უპირატესობა აქ ცხადზე უცხადესია. ერთ-ერთი, ყველაზე სერიოზული კონკურენტი ხსენებულ პერიოდში ეკლესიაა, რომელიც თანდათან მზარდ გავლენიან ძალად იქცევა. ქართული ეკლესია გორგასალის დროს რთულ აპარატად იქცა; შეიქმნა საეპისკოპოსო ცენტრები, რომლებიც სულ მალე გავლენიან საეკლესიო ბუდეებად გადაიქცნენ. ასეთი ცენტრები უმთავრესად ქალაქებში იყო თავმოყრილი, რა თქმა უნდა, წარმართული რელიგიური კერების თავისებური სამემკვიდრეო უფლებებით. ჯუანშერის მიხედვით, გორგასალის დროს მცხეთაში საკათალიკოზოს გვერდითვე არსებობდა საეპისკოპოსო ცენტრიც უშუალოდ მცხეთისათვის. საეპისკოპოსო კათედრები იქმნება: კლარჯეთისა — ახიზას, ერუშეთისა — არტაანს, ჯავახეთისა — წუნდას. ასევე მანგლისს, ბოლნისს, რუსთავს, ნინოწმინდას, ჩერემს, ჩელეთს, ხორნაბუჯს და ბოლოს ნიქოზას აშენებს საეპისკოპოსო ეკლესიას „საგზებელსა თანა ცეცხლისასა".[39]

ს. ჯანაშიას დაკვირვებით, ეს ფაქტი იმ მხრივაა საყურადღებო, რომ იგი მიუთითებს იმ ცენტრალურ პუნქტთა რიცხვის ზრდაზე, რომელთა გარშემოც ჯგუფდებიან ქართლის ახალგაზრდა ფეოდალური ძალები".[40] სრულიად სამართლიანი შენიშვნაა. მართებულია ასევე მისი ვარაუდი, რომ საეკლესიო კათედრებთან მეტნაკლებად განვითარებული სენიორალური ცენტრები იგულისხმება.[41]

ქრისტიანობის გავრცელების პირველივე საუკუნიდან ეკლესია მზარდ ფეოდალურ ფენას წარმოადგენს, რომლის ხელშიც თანდათანობით მიწების და, საერთოდ, ქონების დიდი ნაწილი გადადის და შესაბამისად ძლიერების გზაზე მდგარ ფეოდალთა კლასად იქცევა. ქრისტიანული ეკლესია, იმის შემდეგ, რაც ამსხვრევს და სპობს წარმართულ კერებს, იკავებს მის ადგილს და ერთგვარად მისი მემკვიდრის როლში გამოდის, რაც აძლევს მას უფლებას უ-

---

[39] «ქ ც-ბა», I, გვ. 199

[40] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, გვ. 229.

[41] ი ქ ვ ე.

ლი დაადოს მის არც თუ მცირერიცხოვან ავლადიდებას. რელიგიის, რომელიც არ უნდა იყოს ის, კანონგარეშე გამოცხადება და მოსპობა რეფორმებით ძალიან ძნელია და მიუხედავად ახლის პროგრესულობისა, ძველისადმი ლტოლვა მაინც ძლიერია პირველ ხანებში მაინც, ისე რომ ძველის ნანგრევებზე, დღეს ეს კარგად არის გამორკვეული მეცნიერებაში, ახალ, ქრისტიანულ ეკლესიებს აგებენ. ეს ერთგვარი პატივისცემისა და მოწიწების ნიშანია, ხარკი ძველისადმი.

ეს სურათი შესანიშნავად ჩანს ურბნისში, არქეოლოგიური გათხრების მიხედვით. ურბნისის ადრეული ქრისტიანული ხანის საეკლესიო ნაგებობა ძველი, წარმართული რელიგიის ნაშთებზეა აღმოცენებული. ამავე დროს გვიანანტიკური ხანის წარმართული „მარნის" ადგილზე, სადაც არამეულწარწერიანი ქვევრის პირია აღმოჩენილი სარიტუალო წარწერით; „სამსხვერპლო შენაწირი" ჩნდება ახალი მარანი, ქრისტიანული ეკლესიის საკუთრება. ქვევრების დიდ ნაწილს ქრისტიანობის სიმბოლო — ჯვარი ამშვენებს. ასეთი სწრაფი მონაცვლეობა ურბნისში უკვე IV საუკუნიდანვე შეიძლება შეინიშნოს.

კიდევ ერთ გარემოებას შეიძლება მიექცეს ყურადღება: ურბნისში რელიგიური მომენტი წინ არის წამოწეული, რის გამოც შეიძლება დავუშვათ, რომ მისი დიდი ნაწილი, და შეიძლება მთლიანადაც, საეკლესიო მამულად იქცა. ეს შესანიშნავი მაგალითი იქნება ახალი ფორმაციის აღმავლობის დასახასიათებლად. ქალაქის მფლობელობის განსაზღვრის თვალსაზრისით. სამეფო თუ საუფლისწულო ქალაქების გვერდით, შესაძლებელია საეკლესიო ქალაქიც ვიგულისხმოთ.[42]

ამავე ასპექტში საყურადღებოა ბიჭვინტის განხილვა. როგორც ირკვევა, ახ. წ. IV საუკუნიდან მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს წარმოადგენდა ბიჭვინტაც, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი ძლიერი პუნქტი, სადაც საქალაქო ცხოვრების კერა სავარაუდოა ელინისტური ხანიდან, როცა ის იქცა „უმდიდრეს ქალაქად"[43]. 325 წელს ბიჭვინტის ეპისკოპოსი სტრატოფილოსი მონაწილე იყო ნიკეის საეკლესიო კრებისა[44], რაც უდავოდ მიუთითებს ბიჭვინტის საეკლესიო საგამგეოს როლზე საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველსავე წლებში. ბიჭვინტის ნაქალაქარზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად ჩანს, რომ IV—V საუკუნეების ფენებში სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები და ნივთები მატულობს, რაც ზოგ მკვლევარს ავარაუდებინებს, ჩვენი აზრით სამართლიანად, რომ „ქრისტიანული ეკლესიისა და საეკლესიო პირების მფლობელობაში უნდა გადასულიყო ბიჭვინტის სასოფლო ტერიტორიის დიდი ნაწილი"[45]. ასევე საინტერესოა დასკვნა, რომ შესაძლებელია ასეთივე პირს წარმოადგენდა ბიჭვინტის მოზაიკის ბერძნულ წარწერაში მოხსენებული „ორელი" — „მაღალი მდგომარეობის" ადამიანი, რომლის სახსრებითაც არის აგებული ბიჭვინტის ტაძრის მოზაიკის იატაკი ან

[42] შესაძლებელია ტრადიციის გამო იყო შერჩეული ადგილი თავყრილობისათვის, 1103 წელს რუისსა და ურბნისში რომ იყო მოწვეული. მხედველობაში გვაქვს დავით აღმაშენებლის ინიციატივით მოწვეული საეკლესიო კრება, რომელზედაც მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყდა.

[43] მ. ი ნ ა ძ ე, ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები, «მაცნე», 1963, № 4, გვ. 131.

[44] გეორგიკა, I, თბილისი, 1961, გვ. 3—10.

[45] მ. ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

მთლიანად ეკლესია[46]. ზემოაღნიშნულის მიხედვით, რა თქმა უნდა, ძნელია ვამტკიცოთ, რომ ბიჭვინტა საეკლესიო ქალაქს წარმოადგენდა, ანდა, რომ ის ქალაქი იყო ადრეფეოდალურ ხანაში. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნა გვსურდა, თუ როგორი მზარდი ფეოდალური ძალა ხდება ეკლესია, და რომ ბიჭვინტის მაგალითიც საერთო ფეოდალური განვითარების პროცესის კარგი ანარეკლია.

ფეოდალიზმის განვითარების პირველ საუკუნეებში არ იყო პირობები ქალაქების განვითარებისათვის, პირიქით, საქალაქო მეურნეობის მრავალი დარგის დაქვეითება თვალშისაცემი ხდება სწორედ IV საუკუნიდან. საქალაქო მეურნეობის დარგების დაცემის პარალელურად ხდება სოფლის მეურნეობის ინტენსიური ზრდა და აღმავლობა. ნატურალური მეურნეობა ქალაქებში განსაკუთრებული სიძლიერით სწორედ აღებული ხანიდან იკიდებს ფეხს. შემთხვევითი არ არის, რომ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის საჭირო ღონისძიებანი ადრეფეოდალური ხანის დასაწყისისათვის ტარდება. მხედველობაში გვაქვს საირიგაციო ნაგებობების შექმნა, რაც ეჭვი არ არის, გაზრდილი აგრარული საკითხით იყო ნაკარნახევი. სწორედ IV საუკუნეში მოხდა რუსთავის არხის განახლება თრდატის მიერ, რითაც საკმაოდ იზრდებოდა რუსთავის მხარის ეკონომიური შესაძლებლობები. არ არის გამორიცხული სწორი იყოს ვარაუდი, რომ ასეთი ღონისძიებები იწვევდნენ სასაქონლო წარმოებისათვის საჭირო პროდუქციის შექმნასაც.[47] რუსთავის მხარე მეურნეობისათვის გაცილებით ადრე იყო ათვისებული. IV საუკუნისათვის ადგილი ჰქონდა, როგორც ჩანს, არხის განახლებას და შესაბამისად მეურნეობის გამოცოცხლებას, სადაც ძირითადი დარგები იყო მიწათმოქმედება და მევენახეობა[48].

იმავე დარგების განსაკუთრებული დაწინაურება ხდება ურბნისშიცაქაც მეურნეობის მაღალი დონე გაპირობებული იყო კარგად მოწყობილი საირიგაციო სისტემით. წამყვანი დარგია მევენახეობა, რაზედაც კარგად მიგვითითებს არა მარტო უამრავი მარანი, არამედ სხვადასხვა ჯიშის ყურძნის წიპწებიც. ეს სურათი საქალაქო და სასოფლო მეურნეობების ცვალებადობისა, რომლის ზღვარიც სწორედ IV საუკუნიდან ჩანს, ურბნისის გათხრების წყალობით კარგად არის საცნაური.

ადრე აღნიშნული გვქონდა და ეხლაც გავიმეორებთ, რომ IV—V საუკუნეებიდან ქალაქის ეკონომიკაში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წონის მატება არქეოლოგიური გათხრების წყალობით კარგად შეიმჩნევა ბიჭვინტაში. აქაც, ნაქალაქარზე, ქალაქის ციტადელში, სადაც ძველად მარმარილოთი შემკული დიდი ნაგებობა მდგარა, შემდგომად მარანი გაუმართავთ.[49] ექსპედიციამ აქ გათხარა დიდი ზომის ქვევრები.[50] ეს საკმაო საბუთია, რომ ძველ ძლიერ საქალაქო დასახლებაში აგრარული ელემენტების სიჭარბე წარმოვიდგინოთ უკვე IV—V საუკუნეებიდან.

ახ. წ. IV საუკუნიდან ეცემა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მდიდარი და მნიშვნელოვანი ანტიკური პუნქტი დიოსკურია-სებასტოპოლისი (თანამედ-

---

[46] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბიჭვინტის მოზაიკის ბერძნული წარწერა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XVI, № 1, 1955; მ. ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, იქვე.

[47] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 90—91.

[48] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 35; რუსთავის არხზე ვრცლად იხ. ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მორწყვა ძველ საქართველოში, გვ. 34.

[49] მ. ი ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[50] ი ქ ვ ე.

როვე სოხუმის ტერიტორიაზე)[51], როგორც არქეოლოგიური გათხრებით მტკიცდება, აქ საქალაქო ცხოვრება ხელახალ აყვავებას განიცდის ახ. წ. II—III საუკუნეებში[52]. IV საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ქალაქი ეცემა, ისე რომ V საუკუნის დასაწყისისათვის თვით ნაქალაქარზე და ციხის კედლების შიგნითაც კი სამაროვანი გაჩენილა.[53] შესაძლებელია დიოსკურია-სებასტოპოლისის დაცემა დაკავშირებული იყოს პოლიტიკურ ამბებთან, როცა აქ ციხეს ანგრევენ ბიზანტიელები, რათა ის სპარსელებმა არ ჩაიგდონ ხელში, თუმცა როგორც სხვა შემთხვევებში ხდებოდა, არ არის გამორიცხული მისი დაქვეითება და დაცემა სოციალურ-ეკონომიური მოტივებით აიხსნას. შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ, უფრო სავარაუდოა, დააჩქარა სოციალურ-ეკონომიური სიძნელეებით გამოწვეული კრიზისი, და შედეგმაც არ დააყოვნა—სებასტოპოლისი დაეცა.

## 3. IV საუკუნის არქეოლოგიური მასალების მოკლე მიმოხილვა

აქ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია ამ დროის მასალის მიმოხილვა მთლიანად, და ეს ზედმეტიც იქნებოდა, მხოლოდ ზოგიერთი მონაცემის გათვალისწინებაა საჭირო. ზოგადად, დროის დასახასიათებლად. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები მთავარი წყაროა მოსახლეობის სოციალური და ეკონომიურ-კულტურული სურათის გასარკვევად.

ადრეც იყო აღნიშნული, რომ IV საუკუნე არქეოლოგიური მასალების მიხედვით ცალკეა გამოსაყოფი, როგორც ზღვარი ორ ისტორიულ ეპოქას შორის, მისი მნიშვნელობა წინამავალ და მომდევნო კულტურებთან შეფარდებაში განსაკუთრებულია. ერთის მხრივ, ამ დროს კვლავ ვხვდებით ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელ ტრადიციებს, მეორეს მხრივ კი ეს მასალა მომდევნო ხანის არქეოლოგიური ძეგლებიდან გამორჩეულია, და საერთო ფონზე, როდესაც საქალაქო მეურნეობის დაცემით უარესდება ნივთიერი ძეგლების ხარისხი, იგი კვლავ, შედარებით უკეთესი ნახელავის შთაბეჭდილებას სტოვებს. ეს, რა თქმა უნდა, ნათელ სურათს იძლევა თანდათანობითი შესუსტებისა და დაცემისა, მატერიალური კულტურის ძეგლების წარმოების დარგში, ანტიკურიდან IV საუკუნეზე და შემდეგ, გარდამავალ ხანაზე გადასვლისას.

IV საუკუნის მასალების უდიდესი უმრავლესობა სამარხეულია. ძეგლთა ასეთმა ხასიათმა რამდენადმე განსაზღვრა მათი შედარებით ზუსტი დათარიღება, რამდენადაც ამ დროიდან, ე. ი. ქრისტიანობის მიღების შემდეგ, შემოდის და ვრცელდება სრულიად განსხვავებული დაკრძალვის რიტუალი, გამორჩეული წარმართული დროის წესისაგან. ამიერიდან გაშოტილი, ზურგზე დაკრძალვა დამახასიათებელ ნიშნად იქცა ქრისტიანთა დამარხვის დროს.

IV საუკუნის სამარხეული მასალების წარმოჩინების ერთ-ერთი პირველი შედეგია ის, რომ წარმოდგენა გვექმნება სხვადასხვა სოციალური ფენის ნივთიერი კულტურის ძეგლებზე. თუ არმაზისხევის IV საუკუნის მდიდრული

---

[51] Л. А. Шервашидзе, Л. Н. Соловьев, Исследование древнего Себастополиса, СА, 1960, № 3, стр. 178.

[52] ა. აფაქიძე, ოთ. ლორთქიფანიძე, მასალები დიოსკურია-სებასტოპოლისის არქეოლოგიისათვის, «მაცნე», 1965, № 3, გვ. 126.

[53] Л. А. Шервашидзе, Л. Н. Соловьев, დასახ. ნაშრომი, გვ. 177.

სამარხების მიხედვით შესაძლებელია გავეცნოთ დიდებულთა წრეს, პიტიახშთა ნაშიერების ნივთიერ ძეგლებს, ურბნისის IV საუკუნის სამარხების მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინოთ საშუალო შეძლების მოქალაქეები; სამთავროს სინქრონული სამარხების მიხედვით კი არსებობს საშუალება გამოიყოს მცხეთის მოსახლეობის დაბალი ფენების მოქალაქეთა ჭრელი, ეთნიურად თუ საქმიანობის მიხედვით, საზოგადოების წარმომადგენლები.

არმაზისხევის IV საუკუნის სამარხები, მათი დიდებულთა წრისადმი კუთვნილების გამო, ძლიერ გამოირჩევა მასობრივი სამაროვნებიდან. თითქოს პიტიახშთა სამარხების მსგავსად, აქაც ნატიფი საგნებია დადასტურებული: თვლებით მოოჭვილი ოქროული, ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ქვაზე ნაკვეთი სახეები და სხვა.[54] მაგრამ განსხვავება საკმაოდ საგრძნობია მათი წინაპრების ინვენტართან შედარებით. აქედან გამომდინარე, არმაზისხევის სამარხების გამთხრელები სრულიად სამართლიანად შენიშნავდნენ: „I—III საუკუნეებისათვის მოხაზული ეს ზოგადი სურათი რამდენადმე სახეცვლილად გამოიყურება მომდევნო ხანაში. არქეოლოგიური მონაპოვარი მოწმობს, რომ IV საუკუნიდან არმაზისხევის დიდებულთა წრეში თვალსაჩინო ცვლილება მომხდარა. ერისთავთა ნაგებობანი ამ დროისათვის განადგურებულია. IV საუკუნის ნაგებობანი და სამარხები თავისი სიმტკიცით თუ საერთო იერით ვერ შეედრება უწინდელებს. შეინიშნება სამარხეული ინვენტარის შემცირება და ზოგჯერ მხატვრული ღირსების დაქვეითებაც“[55].

ურბნისშიც საკმაოდ ბლომად ვხვდებით ნივთებს IV საუკუნის სამარხებში. ეს უკანასკნელი, განსხვავებით არმაზულისაგან, როგორც მოსალოდნელი იყო, შედარებით სხვა ელფერის ინვენტარს იძლევა. ეს არც არის გასაკვირი; ურბნისი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი იყო და მის მოქალაქეთა ძირითად ფენას ვაჭრები და ხელოსნები შეადგენდნენ. ეს კარგად ჩანს წერილობითი ცნობებიდანაც. რომ ურბნისის IV საუკუნის სამარხებში, არმაზულთან შედარებით დაბალი სოციალური ფენების წევრები არიან დაკრძალულნი, ჩანს უმეტესწილად თვით სამარხეული ინვენტარის მიხედვით. მართალია, აქაც ვხვდებით ოქროს ნივთებს — თვლებით მოოჭვილს, გემმებს და სხვა გამორჩეულ მასალას, მაგრამ არმაზისხევის ინვენტარს ფუფუნების იერი აქვს და გამოირჩევა ურბნული პირველი მოხმარების საგნებისა და სამკაულისაგან. ურბნულ სამარხეულ მასალებში ჭარბადაა წარმოდგენილი კერამიკული ნაწარმი, რასაც არმაზისხევში ვერ ვხვდებით[56]. ამ დროის ურბნული მასალა ბევრ საყურადღებო სურათს გვაძლევს, პირველ ყოვლისა თვალშისაცემია სამარხთა მრავალფეროვნება. აქ ვხვდებით ორმოსამარხებს, ხის ძელებით შეკრულ სარკოფაგებს, ასევე ალიზის აგურებით ნაგებ სამარხებს. ქვის ლოდებით ნაგებ სამარხებში ჩადგმული ხის სარკოფაგები ცნობილია არმაზისხევში.[57] საყურადღებოა, რომ ვხვდებით კოლექტიური დაკრძალვის შემთხვევებსაც, რაც, ეჭვგარეშეა, ემოწმება სამთავროს კოლექტიური სამარხების შესახებ გამოთქმულ ვარაუდს, რომ ეს წესი, რომელიც განსაკუთრებით IV საუკუნიდან ვრცელდე-

---

[54] ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, გვ. 104—129.

[55] მცხეთა, I, გვ. 207.

[56] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 60—90, ტაბ. XX—XXIII.

[57] მცხეთა, I, იქვე.

ბა, უნდა მიუთითებდეს ქართლის საზოგადოებრივ-ეკონომიურ განვითარებაში მომხდარ ტეხილზე.[58] კოლექტიური დაკრძალვისათვის ამ დროს იყენებდნენ თიხის სარკოფაგებსაც, რომლებიც განსაკუთრებით ქართლშია გავრცელებული.

ურბნისის IV საუკუნის სამარხების გათხრების შედეგებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია არა ის, რომ იქ ძვირფასი ნივთებია აღმოჩენილი, არამედ ის, რომ აქ ბლომად იყო დადასტურებული კერამიკული ნაწარმი, რამაც საშუალება მოგვცა ბევრი სახელმძღვანელო ფორმა შეგვესწავლა ხსენებული პერიოდის ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგისათვის. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ საქმე უნდა გვქონდეს ქალაქის მცხოვრებთა საშუალო ფენის წარმომადგენლებთან.

განსაკუთრებით მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მასალებია აღმოჩენილი სამთავროს სამაროვნის IV—VIII საუკუნეების სამარხებში. სამწუხაროდ, აქ IV საუკუნის მასალები ჯერჯერობით ცალკე არ არის გამოყოფილი, რაც საშუალებას არ გვაძლევს უფრო დაწვრილებით შევჩერებულიყავით მათზე.[59]

არმაზისხევისა და ურბნისის IV საუკუნის სამარხების განხილვა კიდევ ერთი მხრით არის საჭირო; ორივე მათგანში წინა პერიოდის ძეგლებიც არის წარმოდგენილი და ეს კი კონკრეტულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების საშუალებას გვაძლევს და შესაბამისად არ არის ძნელი ურთიერთდაპირისპირებით აღვადგინოთ სურათი ორი სხვადასხვა და ერთმანეთის მომიჯნავე პერიოდის ძეგლებს შორის.

თუ რას წარმოადგენდა არმაზისხევის პირველი საუკუნეების სამაროვანი, ეს დღეს კარგადაა ცნობილი შესანიშნავად გამოცემული მონოგრაფიის მიხედვით. ამიტომ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით დავკმაყოფილდებით. ყველაფრით ჩანს, რომ IV საუკუნეში არმაზისხევის სამაროვანზე დაკრძალულნი არიან პიტიახშთა წრის მემკვიდრენი და ასევე მაღალი ფენის საზოგადოების წევრები. სამარხეული მასალა მდიდრულია, მაგრამ საგრძნობლად ჩამორჩება პიტიახშებისას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო სამარხთა მოწყობის შედარება რად ღირს. შესანიშნავად გათლილ მონოლითებს ბრტყელი თუ ორფერდა სახურავებით, IV საუკუნეში ცვლის ტლანქი, გაუთლელი ლოდებით ნაგები სამარხები, რომელთა მოწყობის დროსაც ლოდებს შორის დარჩენილი ფარღიატები წვრილი ქვებით იყო შევსებული. ზევიდანაც ორი და სამი ლოდისაგან შედგენილი სახურავები ეწყო.[60]

IV საუკუნის სამარხებში ნაკლებად იყო დიდებულთა პატივის შესაფერისი ძვირფასეულობანი. „მიუხედავად წარმოშობითი ერთიანობისა და ტიპოლოგიური მსგავსებისა, არმაზისხევის უძველესი (II საუკუნე — III საუკუნის პირველი ნახევარი) სამარხების და უფრო ახალ (III საუკ. მეორე ნახევარი — IV საუკუნე) მდიდრულ სამარხთა ინვენტარს შორის საკმაოდ თვალსაჩინო განსხვავებაა. ეს შედეგია იმ ცვლილებებისა, რომელიც სამი საუკუნის მანძილზე მომხდარა ქართლის სამეფოს ამ ცენტრში".[61] აი, ასე წერდნენ

[58] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 332.
[59] იქვე, გვ. 333.
[60] მცხეთა, I, იქვე.
[61] იქვე, I, გვ. 205.

არმაზისხევის სამაროვნის გამთხრელები თავის მონოგრაფიაში. საინტერესოა კიდევ ერთი კვალიფიკაცია: „ამ ათიოდე სამარხში დაკრძალულნი არიან არმაზისხეველ პიტიახშთა შორეული, უფლებრივ-ქონებრივად დაკნინებული, მაგრამ მაინც საკმაოდ ღონიერი შთამომავლები“.[62]

სწორედ ასეთივე სურათი გვაქვს ურბნისშიაც, ოღონდ შედარებით პატარა მასშტაბისა. პირველი საუკუნეების სამარხების მიხედვით, რომლებიც ურბნისშია გათხრილი, ალბათ ეჭვი არავის შეეპარება, რომ საქმე უნდა გვქონდეს საქალაქო მეურნეობის ძლიერ განვითარებულ სახეებთან. რომ ამ დროს ქალაქში მოსახლეობის დიდი პროცენტი ვაჭარ-ხელოსნები არიან, გვიანანტიკური ხანის სამაროვნით კარგად მტკიცდება. ხომ გვხვდება ამ დროის სამარხებში მდიდრული ნივთები, ოქროული, ვერცხლეული, ძვირფასი თვლებიტ, გემმები შემკული უამრავი სიუჟეტური სახეებით, მინის შესანიშნავი ნაწარმი, მაინც ვერ ვიტყვით, რომ აქ დაკრძალულნი მაღალი ფენის წარმომადგენლები იყვნენ. მაგალითად, ისეთი რანგისა, როგორსაც მიეკუთვნებოდნენ არმაზელი პიტიახშები. ურბნელთა სიმდიდრე ეჭვს გარეშეა, მაგრამ მათ აკლიათ სიდიადე და ისეთი გამორჩევა, როგორც წარჩინებულთა ბუნებისათვის იყო დამახასიათებელი.

საქართველოში ჯერჯერობით სხვაგან არსად არ არის აღმოჩენილი გვიანი ანტიკური ხანის ისეთი კოლექცია გემმებისა, როგორიც ურბნისში, ბევრი მათგანი უნიკალურია. აქ არ არის საჭირო მტკიცება, რომ ზოგი შემოტანილია, ზოგიც ადგილობრივი და სხვა. ერთი რამ ცხადზე უცხადესია — ურბნისი ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრია და ასეთი ქალაქების რიგში უნდა იყოს განხილული. მისი ეკონომიკის ძირითადი სახეებია ხელოსნობა, წარმოება, ვაჭრობა. ათობით და ასობით აღმოჩენილი გემმა-საბეჭდავიც ამაზევე მიუთითებს. საბეჭდავი პირველ ყოვლისა ხელწერაა, საბუთია სხვადასხვა ოპერაციების, უმთავრესად სავაჭრო და საგამრიგებლო საქმეებში. და ასეთი საქმიანობა ქალაქში პირველ რიგში იდგა.

აი ამ მონაცემების შემდეგ, რა თქმა უნდა, IV საუკუნის სამარხები შედარებით მკრთალად გამოიყურება. მართალია, აქაც ვხვდებით ძვირფას ნივთებს, მინის ჭურჭელს, კერამიკას და სხ. მაგრამ ცხადად ჩანს, საქალაქო მეურნეობას აქედან მოკიდებული ბზარი უჩნდება, რომელიც თანდათან ღრმავდება.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული საშუალებას იძლევა გავიმეოროთ, რომ IV საუკუნეში, მიუხედავად იმისა, რომ სიმდიდრე ამ დროის სამარხებში კიდევ იგრძნობა, შეიმჩნევა დიდი გარდატეხა: ამის საუკეთესო დადასტურებაა თანდათანობით სამარხეული ინვენტარის შემცირება და ბოლოს კი გაქრობა. VI საუკუნეში და შემდეგ სამარხეული მასალა წარმოდგენილია ტანსაცმელთან დაკავშირებული და იშვიათად კი საპირისფარეშო ნივთებით.

აი, ასეთია სურათი გარდამავალი ხანის დასაწყისისა, რომელიც შეიძლება წარმოვიდგინოთ არქეოლოგიური აღმოჩენების წყალობით. საქმე ნათელია, ხდება დიდი სოციალური გადატრიალება, რომლის შედეგიცაა ეკონომიური საფუძვლის შეცვლა. წარმოების ახალ წესს ცხოვრების ახალი პირობები მოაქვს. არქეოლოგისათვის ეს ადვილი შესამჩნევი უნდა იყოს, რადგან წარმოების ახალი წესი ნივთიერი კულტურის ძეგლების შემცირებასა და დაკნინე-

---

[62] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 333.

ბას გულისხმობს. IV საუკუნიდან მოკიდებული ქალაქების განვითარებისათვის პირობები უკვე აღარ არსებობდა. ეს არის ერთ-ერთი პირველი შედეგი ჩვენში ფეოდალიზმის გამარჯვებული წიაღსვლისა და ახალი სოციალური გარემოს შექმნისა.

## 4. IV — VI სს. გარდამავალი ხანის მოკლე არქეოლოგიური მიმოხილვა

როდესაც IV—VI საუკუნეებზეა მსჯელობა, შეუძლებელია ამ დროის ნივთიერ კულტურაში ორი ფორმაციის შერწყმის მრავლისმთქმელი სურათები არ დავინახოთ. ეს პერიოდი გარდამავალი ხასიათისაა, სადაც თანდათანობით მძლავრად წარმოდგება ახალი სოციალური ძალა. ქართლის პოლიტიკური მდგომარეობა ამ ხნის განმავლობაში რამდენჯერმე მკვეთრად შეიცვალა. ხანგრძლივი ომიანობა ბიზანტიასთან და ირანთან შინაგანი ძალების სხვადასხვაგვარ დაჯგუფებებს იწვევდა. ვახტანგ გორგასალის დროსაც კი, რომელიც ცნობილი იყო არაჩვეულებრივი სადი გონებითა და პოლიტიკური მოღვაწის ღრმა აზროვნებით, ასეთი შინაგანი განხეთქილებანი უცხო არ ყოფილა. მაგრამ ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე ასეთ შემთხვევებში თითქმის ყოველთვის პოულობდა გამოსავალს და ენერგიული ღონისძიებებით პოლიტიკურ ცხოვრებას ნორმალურ მიმდინარეობას აძლევდა.

საფიქრებელია, ნაკლებად არსებობს საბუთიანობა იმის დასამტკიცებლად, თითქოს ვახტანგ გორგასალი უკანასკნელი დამცველი ყოფილიყოს ძველი, მონათმფლობელური წესწყობილებისა, თითქოს ის ქართლის კონსერვატული ელემენტების მეთაური ყოფილიყოს.[63] პირიქით, გორგასალი ახალი, მზარდი სოციალური ჯგუფის სულისჩამდგმელად უფრო გვევლინება, რომელიც თავისი ღონისძიებებით ფეოდალიზაციის პროცესს განსაკუთრებით აჩქარებდა. ახალი, მზარდი სოციალური ჯგუფი მეფის კარისათვის დამღუპველად მოქმედებდა. ფეოდალური სამფლობელოების ჩამოყალიბებამ და გამრავლებამ ქვეყნის დაშლისა და დეცენტრალიზაციის ტენდენციები განამტკიცა. მათზე დაყრდნობით გარეგანმა ძალამ შესძლო 523 წელს ქართლში მეფობის გაუქმება.

VI საუკუნის ბოლოსათვის ფეოდალთა ინიციატივით საკუთარ წესზე ქვეყნის გამგებლობისათვის ერისმთავართა ინსტიტუტი იქნა შემოღებული. ერისმთავრები დიდგვარიან ფეოდალებზე იყვნენ დამოკიდებულნი. ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი იყო, რითაც ცხადი გახდა, რომ ფეოდალური ფორმაცია ამიერიდან ქვეყნის პოლიტიკური ძალაუფლების გამგებელიც შეიქმნა.

ეს, თითქმის ორსაუკუნოვანი გარდამავალი ხანა საინტერესო არქეოლოგიურ სურათს იძლევა. ძეგლებიდან, სადაც შესაძლებელია არქეოლოგიურ ნივთთა მონაცვლეობას გავადევნოთ თვალი და შესაბამისად განსხვავებული თავისებურებანი დავიჭიროთ, პირველ ყოვლისა იქცევს ყურადღებას სამთავროს სამაროვანი, საინტერესოა ასევე ურბნისის, რუსთავის და სხვ. მსგავსივე ძეგლები.

ადრე, IV საუკუნის ნივთიერი კულტურის დახასიათებისას შენიშნული გვქონდა, რომ ამ დროს ჯერ კიდევ გვხვდება მდიდრული სამარხები, შემდგო-

[63] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 293.

მად კი ხდება თანდათანობითი შემცირება სამარხეული ინვენტარისა და ბოლოს კი თითქმის ქრება კიდევაც; „V საუკუნის შემდგომ ასეთი, სიმდიდრით გამორჩეული სამარხები აღარსად გვეგულებაო"[64], — აღნიშნულია „საქართველოს არქეოლოგიაში", — „ფუფუნებით დაკრძალვის ანტიკური ტრადიცია თანდათან ნელდება და მხოლოდ IV საუკუნის მანძილზე განაგრძობს ჯერ კიდევ საკმაო სიძლიერით არსებობას"[65].

ერთხანს, სამარხებში ნივთების გაქრობის მიზეზი ქრისტიანული დოგმატიკის თავისებურებების გავრცელებით იყო ახსნილი. ამ მოძღვრების მიხედვით „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქვეყანათა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან"[66]. მაგრამ შეიძლება კი ახსნა მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური მოტივებით? რა თქმა უნდა, სარწმუნოებრივმა დოგმატიკამ თავისი როლი შეასრულა, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ძირითადი მიზეზი უნდა ვეძიოთ ეკონომიურ შესაძლებლობებში. როგორ შეიძლება სამარხებში ნივთების ჩატანებაზე იყოს საუბარი ადრეული ფეოდალური ხანისათვის, როცა მოძალებული მტრებისაგან შეწუხებულნი, მაგალითად, სომხეთში, ხარკის გადასახდელად, მოსახლეობა, გაჭირვების ჟამს, თვით ფიქრობდა ეთხარა ძველი საფლავები და იქიდან ამოღებული ძვირფასეულობით გაესტუმრებინათ მოთარეშეები[67]. იბერიის მდგომარეობა აღებულ ხანაში დიდად არ უნდა განსხვავებულიყო სომხეთისაგან. სამარხეული ინვენტარის გაქრობა, განსაკუთრებით VI საუკუნის შემდეგი დროის სამარხებში, სწორედ ასეთი მიზეზით უნდა აიხსნას. მსგავსი სურათია მოსალოდნელი დაახლოებით X საუკუნემდე, შემდეგ კი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების ზრდასთან, საქართველოს მომძლავრებისა და თავისუფლების ჟამს. როდესაც მოსახლეობის ქონებრივი შესაძლებლობები გაიზარდა, იცვლება სამარხების მოწყობის წესიც. ამიერიდან არც თუ იშვიათად კვლავ მდიდრულ სამარხებს ვხვდებით. ამის საუკეთესო მაგალითია რუსთავის XII — XIII საუკუნეების სამაროვანი.[68]

სამთავროს სამაროვნის მრავალრიცხოვან სამარხებში, რომელთა ხნოვანებაც IV—IX საუკუნეებითაა განსაზღვრული, არქეოლოგიური მასალებით და განსაკუთრებით კი სამარხეული ნივთების შედარებითი სიჭარბით IV—VI საუკუნეები გამოირჩევა. აღნიშნული განათხარი ძეგლებიდან უდიდესი უმეტესობაა სამკაული. დამახასიათებელია, რომ ასობით გათხრილი სამარხიდან მხოლოდ სამი მომცრო ხელადა და ერთი ჯამია წარმოდგენილი. ეს იმ დროს, როდესაც კერამიკული ნაწარმი ადრე ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო სამარხეული ინვენტარისათვის. კანტი-კუნტადღა გვხვდება გამორჩეული ნივთებიც.

მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ როდესაც საქმე ეხება მცხეთის სამაროვნებს (სამთავრო, არმაზისხევი), აქ უპირატესობა კარგა ხანს იყო შენარჩუნებული. მცხეთა ხომ ტრადიციული მდიდრული ქალაქი იყო, განვითარებული საქალაქო მეურნეობით. ამიტომ აქ, როგორც ირკვევა, შედარებით დიდხანს შემოინახა ხელოსნობის საკმაოდ მრავალრიცხოვანი დარგები. აღსანიშ-

---

[64] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 333.

[65] იქვე.

[66] მათე 6/19.

[67] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 7.

[68] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 136—149.

ნავია. რომ. როგორც ვარაუდობენ, სწორედ IV—VIII საუკუნეების მონაკვეთზე მცხეთელი მინის ოსტატები საკმაოდ დიდ წარმატებებს აღწევენ (რა თქმა უნდა, სხვა დარგებთან შედარებით), იგრძნობა ახალ ფორმათა ძიება, ამასთანავე თურმე „ხერხდება გამოვლენა და დადგენა ტიპიური მცხეთური ფორმების, ხოლო ზოგს „სამთავროულიც" კი შეიძლება ეწოდოს"[69]. ზოგიერთი თავისებურებით იმდროინდელ მცხეთაში საკუთარი მინის წარმოებასაც გულისხმობენ.[70] სამთავროს სამაროვნის ერთ სამარხში, მაგალითად, 39 ცალი მინის სანელსაცხებლეა დადასტურებული, რის მიხედვითაც მას მინის ხელოსნის სამარხად მიიჩნევენ.[71]

როდესაც მცხეთის IV—VI საუკუნეების ქალაქურ წარმოებაზეა ლაპარაკი, გვერდს ვერ ავუვლით ერთ-ერთ სამარხს, რომელიც პირობითად „ოქრომჭედლის" ან „იუველირის" სამარხად არის მიჩნეული. სამარხში დადასტურებულია ასეთი ხელოსნის ხელსაწყოები — პატარა სასწორი და საწონები, ასევე ბეჭდებში ჩასასმელად გამზადებული ხუთი თვალი. სასწორი შედგება ბრინჯაოს მინიატურული ჯამებისაგან, რომლებიც ნაპირებდახვრეტილია უღელზე ჩამოსაკიდებლად. საწონები ხუთია შემორჩენილი, უმცირესი — 1,68 გრამი და უდიდესი — 13,2 გრამი[72]. ასეთი მცირე საწონები, ეჭვს გარეშეა, მხოლოდ კეთილშობილი ლითონებისათვის და ძვირფასი თვლებისათვის გამოიყენებოდა. ეს უნიკალური აღმოჩენაა ჩვენს არქეოლოგიაში.

როგორც აღნიშნული იყო, კერამიკა სამთავროს სამაროვანზე (IV — IX სს.) თითქმის არ ჩანს. მინა კი საკმაოდ ჭარბადაა წარმოდგენილი. ყურადღებას იმსახურებს მინის თასი ფარშავანგისა და სიცოცხლის ხის გამოსახულებით, რომელზედაც ბერძნული წარწერაა: „შესვი, იცოცხლე".[73]

მინის ჭურჭლებს, განსაკუთრებით, ერთი მეტად გავრცელებული სახისას, გვხვდებით ურბნისის ნაქალაქარზედაც. მხედველობაში გვაქვს წრიული ღრმულებით შემკული სქელკედლიანი ფიალები, რომლებიც ურბნისში გვხვდება V—VIII საუკუნეების ფენებში[74]. სამწუხაროდ, ჯერჯერობით შეუძლებელია მათი წარმომავლობის გარკვევა.

სამთავროს სამაროვნის IV—IX საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილი ნივთების მიხედვით ერთი თვალშისაცემი სიახლე იგრძნობა; ვრცელდება ღეროვანი და მშვილდის მოყვანილობის საკინძები, რომლებიც ძალიან ბევრ თავისებურ ჯგუფს ქმნიან და მცხეთელ მოსახლეთა ტანსაცმელთან დაკავშირებით ძირითად ნივთებს წარმოადგენენ. ასეთი დანიშნულების საგნები, როგორც ქინძისთავები, ისე მშვილდსაკინძები, ძლიერ გავრცელებული ჩანს ამ დროის საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ რაიონებში და მისი მასობრივი შემოსვლა-გავრცელება დაკავშირებული უნდა იყოს ახალი სახის სამოსის შემოსვლასთან.

---

[69] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 342.

[70] იქვე.

[71] იქვე, გვ. 340.

[72] იქვე, გვ. 339—340.

[73] ნ. უგრელიძე, ფარშავანგის გამოსახულებით შემკული მინის ჭურჭელი სამთავროდან, „მიმომხილველი", II, 1951.

[74] Л. А. Чилашвили, Некоторые моменты археологического исследования, Урбниси, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXIV—B, 1964.

აქ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ სამთავროს ქინძისთავებზე გამოთქმულ საყურადღებო დაკვირვებას, რომ „იმ სამარხებში, რომლებიც ბეჭდებისა და მონეტების მიხედვით ახ. წ. IV—V სს. თარიღდება, აღმოჩენილია ფაქიზად ნაკეთები ქინძისთავები, ხოლო VI — VIII სს. ნივთებთან (მონეტებთან და სხ.) ერთად აღმოჩენილი ქინძისთავები ამგვარ შთაბეჭდილებას აღარ სტოვებენ: ამ ქინძისთავების მძივები ხშირად უხეშადაა ნაკეთები, ხოლო ზოგიერთი ქინძისთავის მძივი შუაზეა გაბზარული და შემდეგ წვრილი მავთული აქვს შემოხვეული"[75].

სამთავროს სამაროვნის გამთხრელები ვარაუდობენ, რომ „IV საუკუნეში თანდათან იწყებს გაქრობას უცხოეთიდან შემოტანილი თუ უცხოურის მიბაძვით შექმნილი ჭურჭელიცა და ზოგი სხვა ნივთიც"[76]. როგორც ჩანს, ეს საერთო სურათი უნდა იყოს სხვა ხელოსნური ცენტრებისათვისაც, განსაკუთრებით VI—VII საუკუნეებისათვის, როცა გარეგანი საფრთხის გაძლიერებასთან დაკავშირებით სავაჭრო გზები ან მოიშალა, ანდა ძველებური ინტენსივობით ვეღარ მოქმედებდა.

სურათი ნათელია: მცხეთის სამაროვნების მიხედვით, რომლებიც IV—IX სს. ქალაქის ცხოვრების უტყუარ საბუთებს გვაძლევენ, აშკარად იგრძნობა ახალი სოციალური ძალის შემოჭრა-დამკვიდრება. IV საუკუნიდან მოკიდებული თანდათან შეინიშნება რეგრესი არქეოლოგიურ მასალებში, ისე რომ IV—VI საუკუნეებში კვლავ ჩანს და მძლავრობს ძველის გადმონაშთები, ტრადიციები და შესაბამისად დონეც შედარებით მაღალია ნივთიერი კულტურისა, შემდეგ კი (VI საუკუნის შემდეგ) საქალაქო მეურნეობის მკვეთრი დაქვეითება ჩანს.

გარდამავალი ხანის დასახასიათებლად ბევრი ხელშესახები მასალაა მოპოვებული ურბნისის გათხრების შედეგადაც. აქ შესაძლებელი გახდა აღნიშნული პერიოდის ცალკეული ფენებიც კი გამოგვეყო; სამარხების ერთი წყება IV საუკუნით არის დათარიღებული, ამასთანავე ვცადეთ IV — V საუკუნეების სამარხების გამოცალკევება. რაც შესაძლებელი გახდა არქეოლოგიური მასალისა და დაკრძალვის წესის თავისებურებების გათვალისწინებით. საყურადღებო სურათი ჩანს IV—V საუკუნეებში დაკრძალვის წესში. ყველგან მიცვალებული გაშოტილია დასვენებული. ზოგს ფეხები მუხლებში მოხრილი აქვს, რითაც ძლიერ წააგავს წარმართულ სამარხებს; ზედა ნაწილი კი ზურგზეა დასვენებული, გულზე ხელებდაკრეფილი, ქრისტიანულად. ასეთი წარმართულ-ქრისტიანული დაკრძალვის წესით დასვენება არ შეიძლება შემთხვევითი იყოს, არამედ, სავარაუდოა, საქმე გვქონდეს რელიგიურ ამბებთან, ყოველი შემთხვევისათვის საფიქრებელია მიცვალებულთათვის ფეხების მოკრუნჩხვა წარმართობის ელემენტებთან იყოს დაკავშირებული, რომელიც ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებშიც არა ყოფილა დავიწყებული.

სამარხთა დამხრობისა და დაკრძალვის პოზის მიხედვით საქმე უნდა გვქონდეს წარმართობიდან ქრისტიანობაზე გარდამავალ საფეხურთან, წარმართულ-ქრისტიანულ სამარხებთან. იმავე სამაროვანზე ვხვდებით წმინდა ქრისტიანულ სამარხებსაც. მსგავსივე წარმართულ-ქრისტიანული სამაროვნები

---

[75] ო. ტყეშელაშვილი, სამთავროს ახ. წ. IV—VIII სს. სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები, მუზეუმის მოამბე, XIXA—XXIB, გვ. 155.

[76] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 342.

ცნობილია სხვებიც. მხედველობაში გვაქვს ძევრ-საგვარჯილეს ზედა ფენის სამაროვანი, სადაც ერთიმეორის გვერდით გათხრილია როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული სამარხები, ერთი და იგივე პერიოდისა.[77]

ურბნისის IV—V საუკუნეების სამარხების ნივთები ძირითადად განსხვავდება IV საუკუნის სამარხეული მასალისაგან. თუ ამ უკანასკნელში ვხვდებით ძვირფას ნივთებს, ასევე ინვენტარს, რომელიც უფრო III საუკუნის ტრადიციებისაკენ იხრება, IV—V საუკუნეების სამარხეული არქეოლოგიური მასალა უმთავრესად ამჟღავნებს ნათესაობას და სიახლოვეს ადრეფეოდალური ხანის მასალასთან.

IV—V საუკუნეების ურბნისში დაკრძალვის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა თიხის სარკოფაგები, გამოყენებული უმთავრესად კოლექტიური დაკრძალვისათვის. ასეთი სარკოფაგები საქართველოში ბევრგანაა დადასტურებული და მათ ბევრი საინტერესო პროტოტიპი მოეპოვებათ წინა აზიაში. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ თიხის სარკოფაგების გავრცელება ჩვენში ემთხვევა კოლექტიური ქვაყუთების შემოსვლას. არ არის გამორიცხული, კოლექტიური დაკრძალვის თუ ოჯახობრივი აკლდამების შემოღება, და მათთან ერთად დაკრძალვის ახალი საშუალებების გავრცელება (თიხის სარკოფაგები, ქვაყუთები) ახალ რელიგიურ და სოციალურ-ეკონომიურ ამბებთან იყოს დაკავშირებული. დაკრძალვის რიტუალი და სამარხის მოწყობა, ქვის ფილების გათლა თუ თიხის სარკოფაგების შეძენა, ერთი სიტყვით, სამარხის მოწყობა, საკმაო ხარჯებს მოითხოვდა, რაც მძიმე ტვირთი იყო იმდროინდელი მოსახლეობის გარკვეული ფენებისათვის. აქედან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, სწორედ ქონებრივი პირობების გამო, იქმნება საოჯახო აკლდამები, რომლებსაც კოლექტიურ სამარხებს ვეძახით, სადაც ხდებოდა ხოლმე გვარის თუ ოჯახის წევრების დაკრძალვა[78]. კოლექტიური სამარხების დიდ ნაწილში რომ სხვადასხვა დროის დაკრძალვის ნიშნებია, ეს კარგად ჩანს გათხრების შედეგად. სამარხები ერთეული დაკრძალვით შესაძლებელია უფრო შეძლებული ფენის წევრების საკუთრება ყოფილიყო.

IV — VI საუკუნეების სხვა სამარხეულ კომპლექსთაგან ყურადღებას იმსახურებს ასევე რუსთავის სამაროვანი, გათხრილი მტკვრის მარჯვენა ნაპირზე 1949 წელს. ექსპედიციამ აქ 20-ზე მეტი სამარხი გათხარა, რომელთაგანაც შვიდი ინვენტარიანი აღმოჩნდა. სამარხეული მასალა წარმოდგენილია მინის ჭურჭლეულით, ოქროს საყურეებით, ოქროს და ბრინჯაოს ბეჭდებით და სხვა. სამწუხაროდ, აქ IV საუკუნის სამარხების გამოყოფა სხვა, მოგვიანო ხანის სამარხებიდან ვერ მოხერხდა და ამდენად არ არის საშუალება თვალი მივა-

---

[77] ვსარგებლობთ გ. ცქიტიშვილის ცნობით, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა აღნიშნული სამარხების გათხრებს. მსგავსივე სურათი ჩანს ცხინვალის ნაცარგორის ზედა ფენებშიაც. იხ. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 152.

[78] ამ მხრივ საინტერესოა მცხეთაში, სამთავროს სამაროვანზე 1938 წელს აღმოჩენილი ბერძნულ-წარწერიანი, ქვა, რომელიც მხატვართუხუცესსა და ხუროთმოძღვარს აქოლისს ეკუთვნოდა. წარწერაში იკითხება: «ავრელი აქოლისი, მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აქ განვისვენებ ჩემ მეუღლე ბევრაზურიასთან ერთად. ვთხოვ მეგობრებსა და გამვლელებს, რომ ყური უგდონ ერთმანეთს... ისე რომ თუ ვინმე მოინდომებს ჩვენთან ერთად (დასაფლავებას?) ან (ჩვენი) ტომისა ან სხვა უცხოელი, პასუხი აგოს თავისი აღდგომისას». წარწერა IV—V საუკუნეებისაა. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში, გვ. 254—256.

დევნოთ ზემოთ აღნიშნულ პროცესს[79]. მასალის მიხედვით აქაც, ალბათ, მსგავსივე მოვლენა შეიძლება ვიგულისხმოთ. ეტყობა სამარხები, მსგავსად სამთავროულისა და ურბნულისა, გარდამავალი პერიოდისაა.

მტკვრის მარჯვენა ნაპირის დასახლებული ადგილი, რომელიც რუსთავის მოპირდაპირე მხარეს იყო განლაგებული, უძველესი დროიდან ჩანს ათვისებული. აქ ერთ-ერთი ძველი ნამოსახლარია სავარაუდებელი. რუსთავის გაქალაქების დროს ის ქალაქის ნაწილს შეადგენდა, რუსთავის უბანი იყო, რომელსაც თავისი სამაროვანიც ექნებოდა. სხვათა შორის, სამაროვნის ძველი ფენები ძვ. წ. I ათასწლეულის სამარხებით ერთ-ერთი ძველი ძეგლია საერთოდ რუსთავისათვის. ერთი სიტყვით, მარჯვენა ნაპირის უბანი, თუ უბნები, „დიდი რუსთავის“ შემადგენელი ნაწილი იყო ადრეფეოდალურ ხანამდე. დაახლოებით VII საუკუნიდან. ქალაქის დაქვეითების დროს, როდესაც გარეშე საფრთხე გაიზარდა (აქ გადიოდა გზა სამხრეთის ქვეყნებიდან) მარჯვენა ნაპირის უბნები აიყარა და, სავარაუდოა, შეუერთდა მარცხენა ნაპირზე გაშენებული ქალაქის ძირითად ბირთვს, როგორც უფრო დაცულსა და საიმედოს[80].

ზემოხსენებული პერიოდის სამარხეული მასალები რუსთავში ცნობილია მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირიდანაც მ. ივაშჩენკოს გათხრების მიხედვით[81]. სამარხები ძირითადად VI—VII საუკუნეებისაა. მაგრამ გვხვდება გარდამავალი ხანის მასალებიც. უპირატესად სამკაული და ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები. მ. ივაშჩენკოს გამოანგარიშებით, სამაროვანს 17 ჰექტარი სჭერია. სულ გაითხარა 16 ქვაყუთი. სამარხები ქვიშაქვის ბრტყელი ფილებით იყო ნაგები და ძალიან ემსგავსებოდა სამთავროს ქვაყუთებს. სამარხები საოჯახო საფლავებს წარმოადგენდა. სადაც დაკრძალულთა რიცხვი მერყეობდა 4-დან 15-მდე. ერთში კი 42 თავის ქალა იყო დადასტურებული.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე. არქეოლოგებისათვის უფრო ხელშესახებ მასალას სამარხები იძლევა. ამიტომაც ზევით სამაროვნების მოკლე მიმოხილვა დაგვჭირდა. ესეც რომ არ იყოს, ამ ხანის ძეგლებზე წარმოდგენა უპირატესად სამარხეული მასალებითა გვაქვს. არქეოლოგიური მასალები კულტურული ფენებიდან, უშუალოდ ნასახლარებიდან ძლიერ ცოტაა, და რაც არის სავსებით ეთანხმება სამარხეული მასალების შესწავლით მიღებულ შთაბეჭდილებას.

ნამოსახლარი ძეგლებიდან კვლავ ურბნისს უნდა მივმართოთ. გარდამავალი ხანისა აქ რამდენიმე ნამოსახლარია. რომელთაგან პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებს ე. წ. „დამწვარი ნაგებობანი“. დამწვარ და განადგურებულ ნაგებობებში, რომელთა დაქცევის თარიღად V—VI საუკუნეების მიჯნაა მიღებული, ბევრი მნიშვნელოვანი რამ არის დადასტურებული. აქ არაფერს ვამბობთ კერამიკული ნაწარმის საგულისხმო ფორმებზე. მათ შესახებ საკმაოდ ვრცლად არის აღნიშნული სპეციალურ მონოგრაფიაში[82]. აქ მხოლოდ შევეხე-

---

[79] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, I, გვ. 173—175.

[80] ლ. ჭილაშვილი ქალაქი რუსთავი, გვ. 161.

[81] М. М. Иващенко, Руставский могильник. ხელნაწერი ანგარიში ინახება ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქივში.

[82] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 90—94.

ბით საბრძოლო იარაღებისა და ჯაჭვის პერანგის ნაშთების აღმოჩენას, რაც გარკვეული შიდგომით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია. ამრიგად, ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს მახვილის ზედა, სატარე ნაწილი, რომელიღაც ღეროვანი საბრძოლო ნივთი და ჯაჭვის პერანგის ერთიმეორესთან შეჟანგული ნატეხები. იქვე იყო აღმოჩენილი პორტუპეის რგოლებიც[83]. ჯაჭვის პერანგი წარმოადგენდა რკინის პატარა მრგვალი რგოლებით ნაქსოვ ჩასაცმელს, რომლის ნაწილის დასამაგრებლად ვერცხლის პატარა ბრტყელი ფირფიტები იყო გამოყენებული.

საქართველოში ასეთი აღმოჩენები მაინცდამაინც ხშირი არ არის, თანაც რასაც ჩვენამდე მოუღწევია, უმეტესწილად ნაკლულია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია ერთგვარად თვალი გავადევნოთ ამ შეჭურვილობის ისტორიას ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული.

ჯაჭვის პერანგის აღმოჩენის პირველი შემთხვევა ფიქსირებული აქვს ა. ბოლტუნოვა-ამირანაშვილს 1930 წელს სოფ. თაგილონში (გალის რაიონი). აქ სხვადასხვა ძვირფას ნივთებთან ერთად აღმოჩნდა რკინის ჯაჭვის პერანგის ნაწილებიც. როგორც ა. ბოლტუნოვა-ამირანაშვილი ვარაუდობს, აქ დადასტურებული იქროს ნივთები, ცხენის აკაზმულობანი, იარაღი, ჭურჭელი, რკინის ჯაჭვის პერანგი, რკინის მუზარადი და სხვა, სამარხეული ინვენტარის ნაწილია, რომელიც I — II საუკუნეებს მიეკუთვნება[84]. თაგილონის ჯაჭვის თანადროულია კლდეეთის სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში ექსპედიციამდე აღმოჩენილი ჯაჭვის პერანგის ნაწყვეტები, რომელიც განსხვავებით, სპილენძის თუ ბრინჯაოს რგოლებისაგან ყოფილა ნაქსოვი[85].

როგორც ირკვევა არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით, ჩვენში საბრძოლო შეჭურვილობის ერთ-ერთი რთული სახე — ჯაჭვის პერანგი, უკვე გავრცელებული ჩანს ახ. წ. პირველი საუკუნიდან. სტრაბონის ცნობის მიხედვით, იბერიელები ალბანელების მსგავსად შეჭურვილნი ყოფილან ჯავშნითა და ფარით, აგრეთვე ცხოველთა ტყავის მუზარადით.[86] საყურადღებოა, რომ ამნაირი შეჭურვილობის გვერდით წარჩინებული მეომრის მეორე დამახასიათებელი ნიშანია ცხენი. ძალიან ბევრი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც ადამიანი (მეომარი) და ცხენი ერთად არიან დაკრძალულნი. ეს ცხენის საბრძოლო მნიშვნელობის ზრდაზე მიუთითებს. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ცხენი იქცა დამახასიათებელ ნიშნად გარკვეული პრივილეგიური სოციალური ჯგუფისათვის, რომლის ძირითადი ნიშანია მეომრის აღჭურვილობა. თაგილონში, კლდეეთსა და ურბნისში საბრძოლო შეჭურვილობის ნაშთების აღმოჩენა შესანიშნავი მაგალითია ახალი, მზარდი სოციალური ფენის დასახასიათებლად. ამ მხრივ ბევრი საგულისხმო ადგილია შემონახული წერილობით წყაროებშიაც: „და იხილა წმიდამან ნინო, რამეთუ დგა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეცუა ჯაჭვი ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მჯარი, და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ხელთა მითა აქუნდა

---

[83] ლ. ჭილაშვილი, იქვე, გვ. 95, სურ. 41.

[84] А. Амиранашвили, Новая находка в низовьях р. Ингури, Материалы по археологии Грузии, თბილისი, 1935, გვ. 37, 41.

[85] გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, გვ. 13, ტაბ. VIII—2.

[86] სტრაბონის გეოგრაფია, თ. ყაუხჩიშვილის თარგმანი და გამოცემა, თბ., 1957, გვ. 133.

ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა...“[87] მეომრის გარდა შეჯავშნული იყო ასევე ცხენიც... „და აღჯდა ტაიჭსა შეჭურვილსა ჯავშნითა, და აღიღო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკუეთდა მახვილიო“,[88] ნათქვამია ვახტანგ გორგასალზე.

ასეთი შეიარაღებული მხედარი, რა თქმა უნდა, საომედოდ დაცული იყო. „მძიმე აბჯარი“, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავდა, ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იყო და უეჭველია ის დაწინაურებული, პრივილეგიური ჯგუფის წარმომადგენლის ატრიბუტი იყო. იგი ასევე დამახასიათებელი ნიშანია მზარდი ფეოდალური არისტოკრატიისათვისაც. ს. ჯანაშიამ ყურადღება მიაქცია ერთ მეტად საინტერესო წერილობით ცნობას; როცა მეფემ როსტომ ბიბილურს ერისთაობა უბოძა, მასთან ერთად მისცა გარეგანი ნიშნებიც: „შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თვისი, საჭურველი და ცხენი თოროსანი დროშა და შუბი“.[89]

დაწინაურებული სოციალური ფენის ეს უტყუარი ნიშანი, რომლის არსებობაც არქეოლოგიურადაც არის დადასტურებული, დამახასიათებელი მომენტია ფეოდალიზმის ხანაში. მართალია, საბრძოლო აღჭურვილობის შესანიშნავი გამოსახულებანი ჩვენში ცნობილია სხვადასხვა ფრესკული მხატვრობიდან და ოქრომჭედლობის ნიმუშებიდან, მაინც არქეოლოგიურად დადასტურებულ სხვა ორიოდე აღმოჩენასაც თავისი ფასი არ დაუკარგავს. ასეთია 1937 წელს დმანისის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ჯაჭვის პერანგი, რომელიც XII—XIII საუკუნეებით თარიღდება და 1961 წელს ო. ჯაფარიძის მიერ დმანისის რაიონში, ზურტაკეტთან, შუაბრინჯაოს ხანის ყორღანის თხრისას (ჩაშვებულ სამარხში) აღმოჩენილი ცხენის აკაზმულობის ნაწილები, ისრისპირები, რკინის ჯაჭვის პერანგი და XI საუკუნის ბიზანტიური ოქროს მონეტა.

ეჭვს გარეშეა, ურბნისში აღმოჩენილი საბრძოლო შეჭურვილობის ნაშთების სახით საქმე უნდა გვქონდეს მზარდი ფეოდალური კლასის რომელიღაც წარმომადგენელთან.

ურბნისის ნაქალაქარი ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია, სადაც აშკარად ჩანს გარდამავალი ხანისათვის დამახასიათებელი სურათი; ქალაქი თანდათანობით სავაჭრო და სახელოსნო ცენტრიდან იქცევა აგრარულ პუნქტად. ანტიკური ხანისათვის დამახასიათებელი ძვირფასი ნივთები იცვლება სამეურნეო დანიშნულების ჭურჭლეულით, რომლის დამზადების ტექნოლოგიაც აშკარად უარესდება. შეღებილი და პრიალა ზედაპირიანი თიხის ნაწარმი, რომლითაც ხასიათდება ახ. წ. პირველი საუკუნეები, ვიდრე IV და V საუკუნეებამდე, შემდეგში აღარ გვხვდება: თიხაც შედარებით დაუდევრად არის დამუშავებული, სქელკედლიანია, მინარევებით. ერთი სიტყვით, ადგილი აქვს სახელოსნო პროდუქციის გაუარესებას. სამკაულისა და ფუფუნების დანიშნულების ნივთების ნაცვლად მატულობს სამეურნეო ჭურჭელი: დოქები, დერგები, ქვევრები, ასევე ხელსაფქვავები და თვით სამეურნეო დანიშნულების სათავსოებიც ჭარბად არის წარმოდგენილი: უამრავი მარნები, ხაროები, ბეღლები

---

[87] «ქ ც-ბა», I, გვ. 89.

[88] «ქ ც-ბა», I, გვ. 154.

[89] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 4; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ადრეული ფეოდალიზმი, შრომები, II, გვ. 190—191.

და სხვა. ერთი სიტყვით, სოფლური ელემენტი საკმაოდ ძლიერად გამოიყურება (მცხეთა. ურბნისი, რუსთავი, ბიჭვინტა და სხვ.).

ასეთ ცვლილებებს ვერ გადაურჩა თვით მცხეთაც კი, იბერიის პოლიტიკური ცენტრი, ვაჭრობა-ხელოსნობის მნიშვნელოვანი ადგილი, ანტიკური ხანის დაწინაურებული ქალაქი. მცხეთის სამაროვნების სურათი, რაც მოკლედ იქნა ზევით აღწერილი, ანარეკლია სწორედ იმ ცხოვრებისა, რაც გარდამავალი ხანის ქალაქს გააჩნდა. არქეოლოგიური გათხრები უშუალოდ მცხეთის ტერიტორიაზე (ძირითადად სვეტიცხოვლის ტაძრის მიდამოებში), რომელიც საკმაო წარმატებით მიმდინარეობს ამ ბოლო წლების განმავლობაში, ადასტურებენ ზემოთ აღნიშნულს[90]: მცხეთა, ურბნისის მსგავსად. გარდამავალ ხანაში თადნათანობით თმობს პოზიციებს, ეცემა საქალაქო მეურნეობა და ამიერიდან იგი უფრო აგრარულ პუნქტს წარმოადგენს, ვიდრე ნებიერსა და savaჭრო-სახელოსნო ცენტრს, როგორც ახ. წ. პირველ საუკუნეებში. უამრავი ქვევრი. სამეურნეო ჭურჭელი და სამეურნეო სათავსო, აი რა განსაზღვრავდა აშკარად მცხეთის ეკონომიკას. ეს იყო არა ურბნისის და მცხეთის კონკრეტული სახე. არამედ ეს იყო ახალი ცხოვრებით შექმნილი ეკონომიური სურათი. რომელიც დამახასიათებელ ნიშნად იქცა ძველი ქართული ქალაქებისათვის. რომლებიც აგრძელებენ არსებობას გარდამავალ ხანაშიაც.

იყო თუ არა არსებითი განსხვავება გარდამავალ ხანაში არსებული ქალაქებისა და ამავე დროის სოფლების ნივთიერ კულტურაში? ეს კითხვა უნებურად დაისმის. როდესაც გარდამავალი ხანის ქალაქების სახის წარმოდგენას შევეცდებით. ის, რაც ამ დროის ქალაქებში თითქმის განმსაზღვრელად იქცევა ნატურალური მეურნეობის პირობებში. როგორ იყო, ან იყო თუ არა ასევე წარმოდგენილი უშუალოდ სოფლურ დასახლებებში?

სამწუხაროდ. ამ მხრივ არქეოლოგიური კვლევა-ძიება თითქმის არ არის გაშლილი. მხოლოდ ერთი პუნქტია მცირეოდენი გათხრებით დაზვერილი და უნდა ითქვას. რომ შედეგი შესანიშნავია; თითქმის არავითარი სხვაობა დასახლების ამ ორი ძირითადი ტიპის მატერიალურ კულტურაში არ შეინიშნება. ნასოფლარი. რომლის შესწავლის შედეგებსაც აქ ვიყენებთ. ლოჭინის ხევში მდებარეობს. მის ნარცხენა სანაპიროზე. ნასოფლარს უკავია საკმაოდ ვრცელი ტერიტორია, რომლის მხოლოდ პატარა მონაკვეთის გათხრა მოხერხდა 1952 წელს.[91] საცხოვრებელი ნაგებობების მიხედვით მხოლოდ ერთი ფენა შეინიშნება. აღმოჩენილი მასალის უდიდესი უმრავლესობა სამეურნეო დანიშნულების თიხის ჭურჭელია, ქვევრები, ქილები, დიდი დოქები, ასევე მომცრო ზომის ჭურჭლები. ნასოფლარის მნიშვნელობაზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ გათხრილ ამ პატარა ფართობზე ორი ნიმუში გვაქვს ძველი ქართული დამწერლობისა. მართალია, ორივე მათგანი საკმაოდ მოკლეა, ერთი მაინც, სადაც მხოლოდ რამდენიმე. თითქმის უკვე გადაშლილი ასოა შემორჩენილი, ბოლნურ ჯვართან ერთად, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც აშკარად ჩანს, რომ

---

[90] ალ. კალანდაძე, ალ. ბოხოჩაძე. მცხეთის არქ. ექსპედიციის საველე მუშაობის ძირითადი შედეგები, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიების მასალები 1964—65 წწ.

[91] რ. აბრამიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ლოჭინის ნასოფლარის გათხრები, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXIII-B, თბილისი, 1962.

ქართული დამწერლობა სულ მალე სწრაფად ვრცელდება და იგი საკმაოდ ფესვგადგმულია მოსახლეობაში.

ლოჭინის არქეოლოგიური მასალა სრულ მსგავსებას ამჟღავნებს მცხეთის და ურბნისის, ასევე რუსთავის შესაბამის ძეგლებთან და არაფრით, არც ტექნოლოგიური მხარეებით და არც მხატვრული ღირსებით არ ჩამორჩება მათ.

ცხადზე უცხადესია: გარდამავალმა ხანამ, რომელიც ორი ფორმაციის შერწყმისა და ჭიდილის ეპოქაა, ღრმა კრიზისი მოუტანა ძველ ქართულ ქალაქებს. ზემოთ მიმოხილული არქეოლოგიური მონაცემები ნათლად მეტყველებს ქართულ ქალაქებში წარმოშობილ ბზარზე, რამაც საბოლოოდ საქალაქო მეურნეობა დაცემამდე მიიყვანა და ქალაქები აქცია აგრარულ პუნქტებად. გარდამავალი ხანა ჯერ კიდევ ითმენს საქალაქო მეურნეობას, ქალაქები ამ დროს ინერციით მიემართებიან წინ, თუმცა განვითარებისათვის მათ საფუძველი გამოცლილი აქვთ. შუასაუკუნეების ამოსავალი წერტილი სოფელია.[92] სოფლებისა და ქალაქების ურთიერთობის გამორკვევისას კ. მარქსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შუასაუკუნეებში „სოფელი როგორც ასეთი, წარმოადგენს ისტორიის გამოსავალ წერტილს, ისტორიისა, რომლის შემდგომი განვითარება შემდეგში ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების ფორმით მიმდინარეობს; უახლესი ისტორია სოფლის გაქალაქებაა და არა ქალაქის გასოფლება, როგორც ეს ანტიკურ ხანაში იყო“[93].

სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მოტივებთან ერთად ქართული ქალაქების დაქვეითებას და შესუსტებას ხელი შეუწყო ასევე გზების მოშლამაც. ირანბიზანტიას შორის ატეხილმა ომმა და საქართველოს ხან ერთისა და ხანაც მეორისადმი მეგობრულმა თუ მტრულმა დამოკიდებულებამ, დიდი ზიანი მიაყენეს სავაჭრო გზას. რომელიც ანტიკურ ხანაში წარმატებით მოქმედებდა. ძველი ქართული ქალაქების დიდი უმეტესობა ან ამ გზაზე მდებარეობდა ან დაკავშირებული იყო მასთან.

ადრე ნათქვამი იყო, რომ ეს მოვლენა, სახელდობრ, ქალაქების შესუსტება ან ტენდენციები დაქვეითებისაკენ სრულიადაც არ შეიძლება აიხსნას გარეგანი ფაქტორით. ეს წმინდა წყლის სოციალური მოვლენა იყო, რომელიც აპირობებდა თავისებურ ეკონომიურ არსს. გარეგანი ძალის როლი გამოიხატებოდა მხოლოდ ნაწილობრივ სტიმულირებაში. გარეგან ძალას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ექნებოდა მაშინ, თუ სოციალურ-ეკონომიური ხასიათის ცვლილებები მარტო ადგილობრივი ქართული მოვლენა იქნებოდა. ყველაფრით კი ჩანს, რომ ფეოდალიზმით „დაავადებული“ იყო არა მარტო იბერიის საზოგადოება, არამედ ისინიც, ვინც გარეგან ფაქტორს ჰქმნიდნენ (სპარსეთი, ბიზანტია, ხალიფატი). ამდენად, მათ არსებული სურათის შესაცვლელად ძალა არ ეყოფოდათ.

ქართული ქალაქების პერიოდიზაციის საკითხის განხილვისას აღნიშნული იყო, რომ შუასაუკუნეებმა არანაკლები კრიზისი მოახვიეს თავს აღმოსავლეთის ქალაქებს. შუამდინარეთის კულტურული ცენტრების ფუფუნება მოჩვენებითია, ბზარი აქაც გაჩნდა, თუმცა არა ისეთი ღრმა, როგორც საქართველოსა და სომხეთში. გარდამავალ ხანაში ბიზანტიის ქალაქებიც მოახლოებული

---

[92] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, გერმანული იდეოლოგია, გვ. 21.

[93] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, გვ. 20.

კრიზისის მოლოდინშია; IV—VI საუკუნეებში მათ კიდევ წყალობთ ბედი, მაგრამ სურათი ნათლად ისახება, ისინი განწირულნი არიან ემსხვერპლონ მოახლოებულ სოციალურ ქარტეხილს. და ეს იმ დროს, როდესაც ქალაქების მფარველად გვევლინება ისეთი სახელმოხვეჭილი დინასტია, როგორიცაა სასანიანები და ისეთი ღონიერი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, როგორიც იყო ბიზანტია. სოციალური განვითარების კანონზომიერ ეტაპს წინ ვერაფერი დაუდგებოდა, მით უმეტეს საქართველოში, თუნდაც რომ მას ძლიერი დინასტია ჰყოლოდა და მყარი სახელმწიფოებრივი ძალაც გასჩენოდა.

## 5. გარდამავალ ხანაში დაწინაურებული ქართული ქალაქები

ადრე აღნიშნული იყო, რომ გარდამავალ ხანაში განაგრძობენ არსებობას, თუმცა კი არა ძველებური წარმატებით, ანტიკური ქართული ქალაქები. მათი განვითარება უფრო ინერციის შედეგი იყო, ვიდრე ცხოვრებისეული პირობებით გამოწვეული. ყველაფრით ჩანს, რომ ქალაქების გამოცოცხლებისათვის და საქალაქო ცხოვრების ზრდისათვის აღარ არსებობდა სათანადო პირობები. ადრე, ქალაქების ტიპოლოგიური დახასიათებისას (წიგნი I), აღნიშნული გვქონდა რამდენიმე, ერთიმეორისაგან განსხვავებული ტიპი ქალაქებისა, რომლებიც გარეგანი ნიშნებით თუ საქალაქო ცხოვრების თავისებურებების მიხედვით ცალკე ჯგუფებში განვიხილეთ. ადრეფეოდალურ ხანაში დაქვეითება განსაკუთრებით სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს დაეტყოთ, ე. ი. იმ ქალაქებს, რომლებშიც წამყვანი როლი საქალაქო მეურნეობის სახეების განვითარებას ჰქონდა მინდობილი (ურბნისი). რაც შეეხება სატახტო ქალაქსა და სტრატეგიულ პუნქტებს, პოლიტიკური როლისა და გეოგრაფიული მდებარეობის გამო მათ გარკვეული მნიშვნელობა, ასეთი უპირატესობის გამო, რა თქმა უნდა, დარჩათ.

**ადრეფეოდალურ ხანაში (IV—VIII სს.) არ არსებობდა პირობები ქალაქების წარმოშობისათვის. ვიმეორებთ: ამ დროს განაგრძობენ არსებობას ძველი, ანტიკური ხანის ქალაქები, რომლებმაც შესძლეს რამდენადმე შეთვისებოდნენ ახალ ყოფას.** ფეოდალური ქალაქის წარმოშობა შედარებით მოგვიანო ამბავია (ამის შესახებ შემდეგ იქნება ლაპარაკი). თითქოს წამოყენებული კონცეფციის წინააღმდეგ მეტყველებს ზოგი წერილობითი ცნობა, სადაც ლაპარაკია რამდენიმე პუნქტის დაწინაურებაზე სწორედ ამ ხანებში. სხვაზე რომ არაფერი ითქვას, ამ დროს ძლიერდება და ვითარდება თბილისი, რომელიც პოლიტიკურ ჰეგემონობას სტაცებს მცხეთას. ამ დროსვე დაწინაურდნენ უჯარმა, ჰერემი, წარმოიშვა არტანუჯი.

ყველა ზემოთ ნახსენები პუნქტის დაწინაურება ადრეფეოდალურ ხანაში პოლიტიკური ამბებით იყო ნაკარნახევი. სიმპტომატურია, რომ ყველა ესენი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული პუნქტებია, რომელთა დაწინაურებასაც გარკვეული მიზანდასახულობა ჰქონდა. თბილისში, პირველად, იქმნება ციხე. შესაძლებელია იგი ამიტომაც პირველი დანიშნულების მიხედვით ციხე-ქალაქია („ციხედ ქალაქად"). ძველი უჯარმაც პირველად „ციხე-ქალაქად" მოიხსენიება, რაც ხაზს უსვამს მის პირვანდელ დანიშნულებას. ასეთვეა ჰერემიც, რომელიც სამხედრო-სტრატეგიული პუნქტი იყო. აღარაფერს ვამბობთ არტანუჯზე, რამდენადაც ეჭვის შეტანაც კი ძნელია, რომ ის პირვე-

ლივე ყურადღებას ვახტანგ გორგასალის დროს იმსახურებს როგორც მიუვალი ადგილი, სადაც ბრძანა ციხის აშენება. ე. ი. ზემოხსენებული პუნქტები უწინარეს ყოვლისა ციხე-ქალაქებია, სადაც წინ მათი სტრატეგიული დანიშნულება და პოლიტიკური საქმიანობაა წამოწეული. სხვა ამბავია, რომ ზოგი მათგანი შემდგომად ახალქალაქების დროს უფრო მეტად დაწინაურდა, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრი (თბილისი, არტანუჯი); ჩანს, მათ სამისო პირობებიც შეექმნათ. უჯარმა და ჰერემი კი დაეცნენ. მათ პოლიტიკური მისია წარმატებით შეასრულეს, რის გამოც მოხდა მათი დაწინაურება ადრეფეოდალურ ხანაში, შემდეგ კი ჩამოშორდნენ აქტიურ ასპარეზს.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები, რომლებიც განსაკუთრებით დაწინაურდნენ ადრეფეოდალურ ხანაში, განვიხილოთ ცალცალკე.

## უ ჯ ა რ მ ა

როდესაც უჯარმას ახსენებენ, მაშინვე თვალწინ წარმოგვიდგება ვახტანგ გორგასალის პოლიტიკური საქმიანობა, რამაც უჯარმა წინა რიგში წამოსწია. ამან თითქოსდა დაჩრდილა კიდევაც სხვა ცნობები, რომელთა მიხედვით უჯარმა ძველი პუნქტი უნდა იყოს. ეჭვი არ არის, უჯარმის არცთუ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ორი სხვადასხვა ქრონოლოგიური შრე უნდა გაირჩეს; უჯარმა ანტიკური ქალაქი — თავისებურ ეკონომიურ საფუძველზე აღმოცენებული პუნქტი — III საუკუნეში ასფაგურის დროს გაქალაქებული, და უჯარმა ციხე-ქალაქი, სტრატეგიული ცენტრი, რომლის დაფუძნება, და შეიძლება აშენებაც, ვახტანგ გორგასალს მიეწერება. უჯარმის ისტორიის ეს ორი ძირითადი საფეხური, სავარაუდოა, გეოგრაფიულადაც იყო ერთმანეთისაგან გამოყოფილი, მაგრამ ამის შესახებ შემდეგ უფრო უპრიანი იქნება ლაპარაკი.

უჯარმა ივრის ხეობის შუაწელის გეოგრაფიულ გარემოშია აღმოცენებული, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს სამი მნიშვნელოვანი პროვინციის — კახეთის, კუხეთის და ჰერეთის მიჯნაზე მდებარეობდა. გეოგრაფიული მდებარეობით მისი მნიშვნელობა განსაკუთრებულია, ეკონომიური ფაქტორითაც საკმაოდ დაწინაურებული. წერილობითი წყაროების მონაცემებს თუ დავეუჯერებთ, უჯარმა გვიანანტიკურ ხანაშია აშენებული; ლეონტი მროველი ასფაგურს მიიჩნევს ციხე-ქალაქის მაშენებლად.[94] ეს გარემოება სრულიადაც არ მიუთითებს, რომ ამ დროს ადგილი ჰქონოდეს საფუძვლის დადებას. უფრო მოსალოდნელია ასფაგურის ღონისძიება შეეხებოდეს ადრევე არსებული მოწინავე პუნქტისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას და აქ ციხე-ქალაქის დაფუძნებას. სამართლიანად ვარაუდობენ, რომ ამ ცნობის მიხედვით იგულისხმება ქალაქის აშენება არა ცარიელ ადგილზე, არამედ მისი გაქალაქება.[95]

წყაროები უჯარმის დაწინაურებას და შესაბამისად განსაკუთრებული როლის შესრულებას ვახტანგ გორგასალის ეპოქაში გვაგულისხმებინებენ. ვახ-

[94] «ქ ც-ბაა», I, გვ. 59; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II. თბ., 1965, გვ. 47.
[95] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, თბ., 1966, გვ. 46—47.

ტანგ გორგასალი გამჭრიახი პოლიტიკური მოღვაწე იყო და მას კარგად ესმოდა მნიშვნელობა იმ მოსალოდნელი შედეგისა, რაც უნდა მოჰყოლოდა აღმოსავლეთის პროვინციების შემომტკიცებას. ამ მიმართულებით მისი ენერგიული ღონისძიებანი შორს გამიზნული პოლიტიკური ნაბიჯებია. გორგასალი სატახტო ქალაქად ფიქრობს გაიხადოს თბილისი და აი ამ დროსვე იგი აშენებს უჯარმას და თავის რეზიდენციად აქცევს მას: „ხოლო ძესა მისსა პირმშოსა პირველისა ცოლისასა, დაჩის, მისცა ქალაქი ჰერეთისა და ნეკრესისა და ქალაქი კამბეჩოვნისა, რომელ არს ხორნაბუჯი; და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით. და თვით ვახტანგ დაჯდა უჯარმას, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა".[96]

ივრის ხეობის ძლიერი ეკონომიური შესაძლებლობანი, მიწათმოქმედება, მევენახეობა, მესაქონლეობა, განსაკუთრებით მეცხვარეობა, იძლეოდა გარანტიას ხეობის დაწინაურებისათვის, სადაც უჯარმამდე არაერთი მოწინავე ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრი იყო ცნობილი (ბერ, ჩელეთი, არტანი). სტრატეგიული მდებარეობა უჯარმისა ასევე განსაკუთრებული იყო; ჯერ ერთი, მასზეა დამოკიდებული ხეობის ზედა წელი და იგი ერთადერთი გამოსასვლელია ბარში, და მეორეც, ის კონტროლს უწევს აღმოსავლეთიდან მცხეთისაკენ და თბილისისაკენ მიმავალ გზას.[97] თუ ამას დავუმატებთ ასევე ანგარიშგასაწევ ფაქტს, რომ ციხე-ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოს სამი მოწინავე პროვინციის შესაყარზეა განლაგებული, ადვილი წარმოსადგენი იქნება გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში მისი დაწინაურების მიზეზები.

არ უნდა იყოს საკამათო, რომ ივრის ხეობა და, რა თქმა უნდა უჯარმაც, თავისი დაწინაურებული მომთაბარული მეცხოველეობით, გაცილებით ადრე, სანამ უჯარმის, როგორც ციხე-ქალაქის აღმავლობა დაიწყებოდა. საზაფხულო საძოვრების მჭიდრო პროვინციებთან მჭიდრო კონტაქტს მოითხოვდა, ისტორიული კუხეთი და განსაკუთრებით კი მისი ქვედა წელი, რუსთავის მხარე, როგორც საზამთრო საძოვრები, ივრის ხეობის ბუნებრივ-ეკონომიური ზონის გაგრძელებას წარმოადგენდა. უჯარმა და რუსთავი ერთი ეკონომიური მთლიანობის ერთეულად იქცნენ, რაც პოლიტიკური ამბებითაც იყო შეპირობებული. უჯარმას — ხევის ქალაქს, რუსთავი — ველის ციხე, ველის ქალაქი უბამდა მხარს. ადრეული ფეოდალური ხანიდან უჯარმა ივრის ხეობის მთიანი ზოლის სინონიმად იქცა. მან შესცვალა ხეობის ძველი ცენტრები სტრატეგიული მდებარეობის უპირატესობით და მისი დაწინაურებაც ადრეფეოდალურ ხანაში ამით იყო გაპირობებული. უჯარმა კახ-ების განსახლების და ჰერეთის ტერიტორიის დასახლების დასაყრდენი პუნქტი, პოლიტიკური ბატონობის ცენტრი გახდა.[98] მისი განმსაზღვრელი ნიშანი ამიერიდან აღმოსავლეთის ათვისებაა, რაც დიდი ხნით ადრე დაიწყო და უჯარმას ამიერიდან პროცესის საფინალო როლი უნდა შეესრულებინა.

ჰერეთის რაიონების შემოერთება-შემომტკიცებისათვის ვახტანგ გორგასალს ენერგიული ღონისძიებების მიღება დასჭირდა. უჯარმა ამ ბრძოლაში

---

[96] ქც-ბაა, I, გვ. 199.

[97] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 52—55. ამ ნაშრომში დეტალურად არის განხილული უჯარმის როგორც ციხე-ქალაქის განვითარების საკითხები, ასევე მისი დამოკიდებულება მეზობელ პროვინციებთან, მისი წარმოშობის ეკონომიური საფუძვლები და პოლიტიკური სურათი კახეთ-ჰერეთის ურთიერთობის საკითხებში.

[98] დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 38 და შემდეგ.

ძარტო არა ყოფილა; ანალოგიური ამოცანის განხორციელება ხვდა წილად თბილისს, ასევე ჰერეთს. უჯარმისადმი განსაკუთრებული ყურადღება ამ ამბის გამო უნდა ყოფილიყო გამოწვეული. სწორედ ამიტომ იყო, რომ გორგასალმა უჯარმა „აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთაო“.

უჯარმის არქიტექტურა უნიკალურია. შენების ტექნიკა, გეგმარება, პროპორციები სამშენებლო საქმის მაღალ დონეზე მიუთითებს. ივრის ნაპირის დაქანებული ფერდობის მიუხედავად, სადაც ციხე-ქალაქია გაშენებული, მშენებლებს ამ უჩვეულო რელიეფის მიუხედავად უცდიათ მისთვის სწორკუთხოვანი გეგმარება შეექმნათ, რითაც იგი ერთგვარად ემსგავსება რომაულ ხანაში გავრცელებულ ციხე-სიმაგრეებს (კასტელებს). ციხე-ქალაქი ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა, და სავარაუდოა, პირველ ხანებში მაინც, იგი ქალაქის ზღუდეს არც სცილდებოდა. საქალაქო ცხოვრება მთლიანად მაღალი გალავნის კედლებში იყო მოქცეული. ციხე-ქალაქი გაშენებული ყოფილა მდინარე ივრის მარჯვენა ნაპირზე. მას უკავია მთლიანად ფერდობი და მდინარის გასწვრივი ქედის ნაწილიც. იგი ორნაწილიანია. პირველია შიდა ციხე, რომელიც ქედზე იყო გაშენებული, და საკუთრივ ქალაქი, რომელიც რამდენჯერმე აღემატებოდა ციხის ტერიტორიას.

გალავანი ნაგებია თლილი ქვით, საკმაოდ გულმოდგინედ და გაწაფული ხელით. შიდა-ციხეში მშენებლობის ძველი ფენებიდან გადარჩენილია ცალკეული ფრაგმენტები. ერთი მათგანი უშუალოდ ეკვრის ძველსავე ეკლესიას. შიდა-ციხის კოშკიანი კედლის წყობა ზედმიწევნით მსგავსებას ამჟღავნებს ზეგნის ყველაწმინდის, ვაზისუბნის (ურიათუბნის) და გურჯაანის ორგუმბათიანი ეკლესიის კედლის წყობასთან.[99]

შიდა-ციხის კედლები რამდენიმეგზის გადაკეთების კვალს შეიცავს. ისე რომ აქ ვხვდებით სათოფურებსაც კი ცეცხლის მსროლელი იარაღისათვის.[100]

უჯარმის შიდა-ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აგებული ყოფილა დიდი ზომის ორსართულიანი შენობა, რომლის თითოეულ სართულზე სამსამი სათავსო (თითო დიდი და ორ-ორი მომცრო) ჰქონიათ მოწყობილი. სათავსოებში მაღალი თაღოვანი სარკმლები ყოფილა დატანებული. ზედა სართულის კარები, როგორც ჩანს. შვერილ აივანზე გამოდიოდა.[101] შენობის ქვეშ სარდაფი ყოფილა მოწყობილი. როგორც ვარაუდობენ, შესაძლებელია ნაგებობის სახით საქმე გვქონდეს სასახლესთან.[102]

შიდა-ციხის ტერიტორიაზე სასახლის გარდა შემორჩენილია სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები. განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას „ჯვარპატიოსნად“ სახელდებული ეკლესია, რომლის სახელიც შემდეგში მთლიანად ციხეზე გავრცელებულა. ეკლესიის უძველესი ნაწილია ქვედა სართულის პატარა ეკლესია, რომლის კონქი, კამარა, შესასვლელის თაღი, ნალისებრი ყოფილა. ეკლესიის ზედა სართული დაშენებულია IX—X საუკუნეებში.[103]

შიდა-ციხესთან შედარებით, ციხე-ქალაქის ძირითადი ნაწილი უკეთ არის შემონახული. იგი დიდი სწორკუთხედის ფორმისაა, განლაგებული ივრის ნა-

---

[99] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахети, стр. 515, 516.

[100] იქვე.

[101] ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, გვ. 50.

[102] იქვე.

[103] Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 515; ი. ციციშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

პირიდან ზევით, ფერდობზე. მდინარისაკენ მიმართულ კედლებში მეტნაკლებად თანაბარი მანძილით დაცილებული ოთხ-ოთხი კოშკია დატანებული, მდინარის გასწვრივ კედელში კი მხოლოდ ერთი, რომელსაც დახურული გასასვლელი ექნებოდა წყლისაკენ.

გალავნის კოშკები ორ და სამ სართულიანები ყოფილა, კბილანებით შემორიგებული ზედა ბაქნით. როგორც ვარაუდობენ, შემორჩენილი კოჭის სადგარი ბუდეებით, სართულშუა გადახურვა ეყრდნობოდა ხის ოთხ მძლავრ კოჭს. გარეთა მხრიდან კოშკები ყრუ კედლებითაა ამოყვანილი, ეზოს მხრიდან კარსარკმლები ჰქონია დატანებული. წერილობითი ცნობების მიხედვით, ასევე არქიტექტურული დეტალებით, ციხე-ქალაქი V საუკუნის ძეგლია.

ზემოთ აღვნიშნეთ და აქაც გავიმეორებთ, რომ უჯარმის ნაგებობების მშენებლობაში უპირველეს ყოვლისა იქცევს ყურადღებას სამშენებლო მასალის გულმოდგინე დამუშავება, ქვის ჭრა, გათლა სწორკუთხა კვადრებად და შენება, რაც ს. ჯანაშიას ჯერ კიდევ მონური შრომის გამოყენების ნაყოფად მიაჩნდა.[104] მკვლევარის კონცეფციით, ზევითაც იყო აღნიშნული, რომ ვახტანგ გორგასალი მონათმფლობელური ფორმაციის წარმომადგენელია. ეჭვი არ არის, უჯარმის შენება გრანდიოზულ სამუშაოებს, კვალიფიციური ხელოსნების ხანგრძლივ გარჯასა და დიდ ფინანსურ საშუალებებს მოითხოვდა. მიუხედავად ამისა, აქ მონათა შრომის გამოყენების დაშვება რთული სამუშაოების შესრულების გამო არა გვგონია გამართლებული იყოს. მაშინ რაღა უნდა ვთქვათ ურბნისის ზღუდე-გალავნის აშენებაზე, სადაც არანაკლები სიძნელის ღონისძიებებია ჩატარებული VI—VII საუკუნეების მიჯნაზე, და შემდეგ მიწის ზვინულის შექმნის დროს. უჯარმის ნაგებობების შექმნა დიდი შემოქმედებითი უნარის გამომჟღავნებაა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული დაჯელოვნებული ოსტატების საქმიანობასთან და დიდ ფინანსურ დანახარჯებთან.

უჯარმის შესწავლისათვის ერთ-ერთი შესანიშნავი ღონისძიება იყო იქ არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, რომელიც ითავა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტთან ერთად ნ. ბერძენიშვილის საერთო ხელმძღვანელობით. ადგილზე გათხრებს ხელმძღვანელობდა ისტორიის მეცნ. კანდიდატი გ. ლომთათიძე. სამწუხაროდ, არქეოლოგიური სამუშაოები მხოლოდ სამი კამპანიის განმავლობაში მიმდინარეობდა (1950 — 1952 წწ.) და ამდენად საკმაოდ დიდი ფართობი კვლავ გასათხრელია. ასევე დასანანია, რომ უჯარმის გათხრებით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული.

გათხრების შედეგად ციხე-ქალაქის ტერიტორიაზე გაიწმინდა შიდა-ციხის სასახლე, ასევე რამდენიმე კოშკიც. კულტურული ფენები ბევრ საყურადღებო მასალას შეიცავს. არქეოლოგიურ მონაპოვარზე დაკვირვებით ერთგვარი შეუსაბამობა იგრძნობა; ნივთების დიდი უმეტესობა (კერამიკა) უფრო მოგვიანო ხანისაა და მნიშვნელოვნად სცილდება ციხე-ქალაქში გორგასალის მიერ ჩატარებული ღონისძიებების თარიღს. ეს ერთის მხრივ არც შეიძლება იყოს გასაკვირი. იგი, როგორც სამოსახლო, ძალიან დიდხანს არსებობდა. მეორეს მხრივ, ეჭვები შეუძლებელია არ გაგვიძლიერდეს იმ ამბით, რომ ძველი მასალა არ ჩანს. წყაროების მიხედვით აქ ხომ უნდა მოველოდეთ III საუკუნის ნივთიერ ძეგლებსაც, თუ რა თქმა უნდა, ვიგულისხმებთ ასფაგურის უჯარმას? ჯერჯე-

---

[104] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 293.

რობით ეს შეიძლება დაბრალდეს უჯარმის არქეოლოგიურად ნაკლებშესწავლილობას, მაგრამ იქნებ არც არის აქ მოსალოდნელი გორგასლამდელი ეპოქის საცხოვრისის კვალი? ეგების უჯარმა, ზემოთ განხილული ციხე-ქალაქი, როგორც კარგი სტრატეგიული ადგილი, გარკვეული მიზნებისათვის გორგასალმა გამოიყენა და გაამაგრა, ძველი უჯარმა კი, რომლის აშენებაც ასფაგურს მიეწერება, სხვაგან მდებარეობდა, ვთქვათ, დღევანდელი სოფელ უჯარმის ტერიტორიაზე? განა ასეთი შესაძლებლობა გამორიცხულია? სოფელ უჯარმის ტერიტორიაც ხომ ძველი ფენების შემცველი ძეგლია, უფრო უკეთესი ეკონომიური გარეუბნებით.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ზოგ მკვლევარს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ გათხრების ობიექტს წარმოადგენდა უჯარმის ციხე, და ქალაქი კი ციხე-ქალაქ უჯარმის მეორე ძირითადი კომპონენტი „საკუთრივ სამოსახლო, ზღუდის გარეთ უნდა ეიგულისხმოთ. ქალაქი დღევანდელი სოფელ უჯარმის ადგილას უფრო უნდა ყოფილიყო".[105] ასე ვარაუდობდა უჯარმის საველე სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი გ. ლომთათიძე. იგი ასევე ფიქრობს, რომ გათხრილი ობიექტის ერთიმეორისაგან გამოყოფილი ორი ნაწილი არის ზედა ციხე და ქვედა ციხე. ზედა ციხე, იგივე შიდა ციხე, ყოველთვის უფრო გამაგრებული ნაწილია ხოლმე ქალაქში, იგი უმთავრესად თავშესაფარია, სამყოფელია დიდებულთა ოჯახის, რომელიც გაცილებით უკეთ არის გამაგრებული, ვიდრე ქალაქის დანარჩენი ტერიტორია, თანაც უპირატესი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს. ადვილი შესაძლებელია შიდა-ციხე სწორედ გორგასალის რეზიდენცია ყოფილიყო („და თვით ვახტანგ დაჯდა უჯარმას, და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა...")[106]. რომ შიდა-ციხე ქალაქის დანარჩენი ტერიტორიიდან ზღუდით არის გამოყოფილი, ეს შემთხვევითი მოვლენა არ არის, და გარდა იმისა, რომ ეს საჭიროა მისი უკეთ დაცვისათვის, არ უნდა დავივიწყოთ, რომ შიდა-ციხე ამავე დროს დიდებულთა სოციალური დასაყრდენიცაა. უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება, სადაც ასეთივე მდგომარეობაა ქალაქის მშენებლობაში: არის დედა-ციხე და მის გვერდით კი სამოსახლოებია, რომლებიც ასევე ზღუდითაა დაცული. უჯარმა ასეთი ციხისა და სამოსახლოს სინთეზს უნდა წარმოადგენდეს. სამწუხაროა, რომ ციხე-ქალაქის შიგნით მდებარე სამოსახლო ნაკლებად არის შესწავლილი არქეოლოგიურად და ამიტომ მის შესახებ ცოტა რამ ვიცით. ყოველი შემთხვევისათვის აქ აღმოჩენილი ზოგიერთი ნახევარფაბრიკატის მიხედვით მოგვიანებით X—XIII საუკუნეებში საკუთარი მოჭიქული კერამიკის წარმოება შეიძლება ვივარაუდოთ.[107]

რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ ვარაუდს, რომ ქალაქი მდებარეობდა დღევანდელი სოფელ უჯარმის ტერიტორიაზე და განათხარ ობიექტებზე კი ქალაქის ციხე იყო გაშენებული (ქვედა და ზედა ციხეებით), არა გვგონია მართებული იყოს. ქალაქების პირველ წიგნში, როდესაც ლაპარაკი იყო ქალაქებისა და მათი ციხეების შესახებ, სხვადასხვა მაგალითების და წყაროთა ჩვენების მიხედვით გამოვყავით ქალაქები და ციხეები, რომლებიც საკმაოდ იყვნენ ერთიმეორისაგან მოცილებული (წუნდა-ხერთვისი, კასპი-უფლისციხე, ჭერემი-ველისციხე და სხვა.), მაგრამ ამ შემთხვევებში სხვა სურათი გვაქვს. აქ საქმე

105 საქართველოს არქეოლოგია, გვ. 351.

106 ქ ც-ბაა, I, გვ. 199; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 74.

107 ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 134, 135.

ეხება ქალაქს, რომელსაც თვით გააჩნია საფორთიფიკაციო ნაგებობანი, ე. ი. დაცულია მკვიდრად და ამავე დროს გააჩნია სხვა ციხეც, რომელიც იცავს ქალაქს, ხევს და მასზე დამოკიდებულ ერთეულს; ჰერემს, ხევის ქალაქს იცავდა ველისციხე, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ უშუალოდ ჰერემს არ ჰქონდა ციხე და არ იყო დაცული. პირიქით, მას თვითონაც ჰქონდა ციხე და ველისციხეც იცავდა მას და მთლიანად ხეობასაც („მოვიდა ხუასრო მეფე და შემუსრნა ქალაქი კამბეჩოანი, და ჰერმის ციხე, და ველის-ციხე"). ასფაგურის მიერ აშენებული ქალაქი დამოუკიდებელი ერთეულია და მისი დაკავშირება ციხე-ქალაქთან (არქეოლოგიურ ძეგლთან) არასინქრონულობის გამო შეუძლებელია. ასფაგურის უჯარმა თანამედროვე სოფ. უჯარმის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო გაშენებული (ეკონომიური ცენტრი), ციხე-ქალაქი უჯარმა კი შენდება მოგვიანებით სულ სხვაგან, სხვა მიზნებით (პოლიტიკური ცენტრი).

უჯარმის ციხე-კოშკების განლაგება ისეთია, რომ იგი აგებული უნდა იყოს ერთიანი გეგმით, ერთს გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში. საეჭვოდ გვეჩვენება, თითქოს ციხე-ქალაქის რომელიმე კოშკი გორგასალამდე იყოს აგებული. ამის სამტკიცებლად პეროზის დრაქმის აღმოჩენას იშველიებენ. მონეტა აღმოჩენილია ივრისპირა შუა კოშკის ღრმა ფენაში, „რაც იმას ნიშნავს, რომ კოშკი უკვე კარგა ხნის აღმართული ყოფილა, როდესაც ეს მონეტა მის ძირას, მიწაში მოხვედრილა. ეგებ ეს იყოს ერთი იმ გარემოებათაგანი, რომლებიც დაადასტურებენ წერილობითი წყაროების ცნობებს უჯარმის ციხის ზოგიერთი ნაგებობის ვახტანგ გორგასალამდე არსებობის შესახებ"[108]. ეს მოსაზრება გ. ლომთათიძეს ეკუთვნის. მისივე ვარაუდით სხვა საბუთების მოტანაც შეიძლება აღნიშნულის დასამტკიცებლად. ესაა „ღრმა ფენებიდან მომდინარე თავისებური, მოჭიქული და მოუჭიქავი, ზოგჯერ ძალიან ფაქიზი კერამიკა, რომელიც უფრო ძველებურად გამოიყურება, ვიდრე აქ მრავლად აღმოჩენილი, ნაძღვილი შუაფეოდალური ხანის კერამიკა. ერთ-ერთი ნაგებობის ღრმა ფენაში ნაპოვნია აგრეთვე ლაჟვარდისაგან გამოთლილი საკინძის თავი, ბროწეულის ყვავილის მოყვანილობისა, მცხეთის IV—VI საუკუნეთა სამარხებში ძლიერ გავრცელებული ტიპისა".[109] სულ სხვა შედეგი იქნებოდა საკინძის თავი ბროწეულის ყვავილის გამოსახულებით IV საუკუნით რომ თარიღდებოდეს; IV—VI საუკუნეებში გავრცელებული ტიპი სრულიად არ ნიშნავს, რომ ის სწორედ ასეთი მოსაზრების სასარგებლოდ ლაპარაკობდეს (გორგასლამდელი ნიმუში იყოს). ასეთი საკინძები გორგასლის დროსაც გამოიყენებოდა და შემდგომაც. რაც შეეხება გორგასლამდე კოშკის არსებობის მტკიცებას ზოგიერთი კერამიკული ნაწარმით, არა გვგონია მისაღები იყოს. საქმე ის არის, რომ მოუჭიქავი თხელკედლიანი ნაწარმი მართლაც არის აქ დადასტურებული, მაგრამ შეიძლება მათზე ლაპარაკი, რომ მაინცდამაინც V საუკუნეზე უადრესია? თანაც აქ არ უნდა გამოგვრჩეს, რომ მოჭიქული კერამიკაც არის დადასტურებული. ჩვენში მოჭიქული კერამიკის წარმოება IV საუკუნის ან თუნდაც V საუკუნის პირველ ნახევარში არაფრით არ დასტურდება. ის უფრო მოგვიანებით ჩნდება (ამის შესახებ ცალკე იქნება აღნიშნული), და მასვე უნდა დაუკავშირდეს უჯარმული ზოგი ნიმუშიც. რაც მთავარია, ირკვევა, რომ ივრისპირა შუა კოშკის ღრმა ფენაში აღმოჩენილი მასალა in situ არა ყოფილა დადას-

---

[108] საქართველოს არქეოლოგია, გვ. 352.

[109] იქვე.

ტურებული. ფენა არეული ჩანს. პეროზის მონეტაც (459—484 წწ.) სწორედ გორგასლის ეპოქაზე უნდა მიუთითებდეს.

უჯარმის შესწავლას ერთი საცთური მომენტი ახლავს; ის ვინც ცდილობს ციხე-ქალაქ უჯარმის ტერიტორიაზე იპოვოს აუცილებლად ძველი ნაგებობანი, ეჭვს გარეშეა წერილობითი წყაროების გავლენის ქვეშ არის მოქცეული. განა აუცილებელია უჯარმის სახელით ერთი და იმავე ადგილზე სხვადასხვა დროის ძეგლი ვძებნოთ? დღევანდელი ტოპონიმური მასალა ხომ სხვას გვეუბნება. შესაძლებელია ამ გარემოებისათვის სხვა დროს არც კი მიგვექცია ყურადღება, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი პრინციპული საკითხია, რითაც უნდა გაირკვეს უჯარმის ცხოვრების ერთი მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი; აქვეა თუ არა სავარაუდებელი ასფაგურის მიერ აშენებული ქალაქი და ამავე დროს არის თუ არა აქ ციხე და ქალაქი ერთად თავმოყრილი. საბოლოო დასკვნის გამოტანა, სანამ არქეოლოგიურად არ შესწავლილა ის ბოლომდე, ძნელია; არ არის გამორიცხული, აქ საქმე გვქონდეს გორგასალის მიერ აგებულ ციხე-ქალაქთან, ძველი უჯარმა კი დღევანდელი სოფელ უჯარმის ტერიტორიაზე იყოს სავარაუდებელი. ძველ უჯარმაში ვგულისხმობთ ქალაქს, ამ ტერმინის სრული გაგებით, ე. ი. ქალაქურ დასახლებას სათანადო თავდაცვითი ნაგებობებითურთ.

აღნიშნული საკითხით, ბუნებრივია, დაინტერესებული იყო დ. მუსხელიშვილიც, რომელმაც მონოგრაფიულად შეისწავლა უჯარმა. მისი მართებული ვარაუდით, ქალაქი უჯარმა „განლაგებული უნდა ყოფილიყო ან თვით ციხე-დარბაზის მახლობლად თუ გარშემო, რაზედაც თითქოს ნასახლარების ინტენსიური კვალი უნდა მიუთითებდეს, თუმცა თითოეროლა ნასახლარის გათხრამ საამისო არაფერი უჩვენა... ანდა ქალაქი დღევანდელი უჯარმის სოფლის ტერიტორიაზე უნდა ყოფილიყო, რაზედაც იქ ამართული დიდი ბორცვი უნდა მიუთითებდეს, რომელიც, შესაძლებელია, ძველ ნამოსახლარ „გორას" წარმოადგენდეს".[110] მასვე მართებულად არ მიაჩნია ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომ „ზედა ციხეში" იყო განლაგებული უძველესი ქალაქი და რომ ქალაქ უჯარმას წარმოადგენდა ის ნაგებობა, რომელიც მიჩნეული უნდა იყოს სამეფო ციხე-დარბაზად.[111]

თანამედროვე სოფელი უჯარმა ბევრი სხვა ნიშნითაც იქცევს ყურადღებას. ისე, რომ ზემოთ აღნიშნული ვარაუდი შესაძლებელია რეალური გამოდგეს. ვახტანგ გორგასლის მიერ უჯარმის (ციხე-ქალაქის) აშენება ძირითადად ერთ მიზანს ემსახურებოდა, პოლიტიკური ბატონობის გავრცელებას აღმოსავლეთის პროვინციებზე, ამდენად მას აღმოსავლეთის გზაზე ძლიერი სტრატეგიული პუნქტები ესაჭიროებოდა. ერთ-ერთი მათგანია უჯარმაც. გორგასალის მიერ ციხე-ქალაქ უჯარმის გაძლიერებასთან და იქ რეზიდენციის მოწყობასთან ერთად, ძველი უჯარმა ეცემა; მისი ნაწილი, სავარაუდოა, ციხე-ქალაქს მიეტანებოდა და თანდათანობით თავის პოზიციებსაც დასთმობდა ისე, რომ ახალქალაქობის ჟამს მას უკვე საქალაქო მეურნეობაც გასჩენია. მხედველობაში გვაქვს კერამიკული წარმოება, რომელსაც ვგულისხმობთ აქ აღმოჩენილი ნახევარფაბრიკატების მიხედვით.

კიდევ ერთ გარემოებაზე გვსურს ყურადღების გამახვილება: ვახტანგ გორგასალი საეპისკოპოსო კათედრებს ძირითადად ქალაქებში ამტკიცებს. ეს

---

110 დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, გვ. 74.

111 იქვე.

გასაგები გარემოებაა, მაგრამ უჯარმის მიხედვით წესის დარღვევა ცოტა არ იყოს უცნაურია. ლეონტი მროველი წერს: ერთი ეპისკოპოსი დასვაო „ნინოწმინდას. უჯარმის კარსა, რომელი გორგასალსა აღეშენა“[112]. უჯარმა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების ერთ-ერთი ძლიერი ცენტრია, რომელთანაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნინოს მოღვაწეობა. გავიხსენოთ, რომ მასთან არის დაკავშირებული წმ. ნინოს მოღვაწეობის უკანასკნელი დღეები, აქ გახდა იგი ავად და წყაროს მიხედვით სწორედ სალომე უჯარმელმა ითავა მისი ცხოვრების ჩაწერა. უფრო უპრიანი იქნებოდა საეპისკოპოსო ცენტრი უჯარმაში დაარსებულიყო, თუ, რა თქმა უნდა, საეკლესიო კათედრის ძირითადი მოღვაწეობა ახალნერგი სარწმუნოების გავრცელება და განმტკიცება იყო. ცნობილია, თუ როგორი შეუპოვრობით აქცევდნენ ზურგს მთიელები ქრისტეს მოძღვრებას. მაგრამ საქმე სწორედ ის არის, რომ გორგასალს სულ სხვა მიზნები ამოძრავებდა. იგი უჯარმაში ფორპოსტს ხედავდა პოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად, ამიტომაც საეკლესიო ცენტრს იგი უჯარმიდან ცოტა მოცილებით, უჯარმის კარზე, და ე. ი. ივრის ხეობის კარზე, თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელების გზაზე, ნინოწმიდაში აარსებს. ამით მან კიდევ ერთი დასაყრდენი პუნქტი გაიჩინა.

ვახტანგ გორგასალის ასეთი ღონისძიებები ენერგიული პოლიტიკური მოქმედების საწინდარი იყო; ძლიერი სტრატეგიული ცენტრებით მას შეეძლო თავისი პოლიტიკური გავლენის გავრცელება აღმოსავლეთის პროვინციებზე და სამეფოს ეფექტური დაცვის მოწყობა. მისი ასეთი საქმიანობა შეუმჩნეველი არ შეიძლებოდა დარჩენილიყო გარეგანი ძალისათვის, რომელიც ასევე დაინტერესებული იყო ამ საკითხით. მხედველობაში გვაქვს სასანიანთა სამეფო კარი. გორგასალის სტრატეგიული გეგმა სპარსელთა წინააღმდეგ ახალი ციხესიმაგრეებით გადამღობი ხაზის მოწყობას გულისხმობდა. თბილისი, უჯარმა, ჰერეთი ღერძის ცენტრებია, რომელთაც უნდა შეაჩერონ ქვეყნის სიღრმეში მტრის შეჭრა. გორგასალის უკანასკნელი ბრძოლის ეპიზოდი სპარსელებთან სწორედ ამ ხაზზე წარიმართა. სპარსელები ჰერეთით შემოვიდნენ, მოაოხრეს „ქალაქი კამბეჩოანი, და ჰერმისა ციხე, და ველის-ციხე და ვითარცა მოიწივნეს კახეთად, დაიბანაკეს იორსა ზედა“.[113] სპარსელთა ჯარი იკავებს რუსთავს, დაჭრილი გორგასალი კი უჯარმას მაგრდება. უჯარმა, ჩანს, ყველაზე უფრო გამაგრებული იყო, თვით გორგასალიც ხომ აღნიშნავს „...მტკიცენი და ძლიერნი ზღუდენი აქა დავსხენითო“.[114] უჯარმა სპარსელებმა ვერ აიღეს, ვერც მცხეთას მოუხერხეს-რა, თბილისი, არმაზი და არაგვისპირები კი მოაოხრეს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას: უჯარმა ძველი მნიშვნელოვანი პუნქტია ივრის ხეობაში, თვალსაჩინო სტრატეგიული ადგილი, ხეობის მოწინავე ეკონომიური ერთეული, რომელიც გვიანანტიკური ხანიდან განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია და არ არის გამორიცხული ამ დროსვე ქალაქად ქცეულიყოს. იგი მეოთხე საუკუნეში, ქრისტიანობის ქადაგების პირველსავე საუკუნეს, მცხეთის მხარდამხარ მოიხსენება. V საუკუნეში დიდ აღმშენებლობით საქმიანობას ეწევა აქ ვახტანგ გორგასალი. ციხე-ქალაქის დღემდე მოღწეული ნაშთები სწორედ ამ დროის ძეგლებს უნდა წარმოადგენდნენ. სავარაუდებელია ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის პუნქტების ტერიტორიული

---

112 ქ. ც-ბა, I, გვ. 199.

113 იქვე, გვ. 201.

114 იქვე, გვ. 202.

მონაცვლეობაც. ძველი ქალაქი უჯარმა, შესაძლებელია, თანამედროვე სოფ. უჯარმის ტერიტორიაზე მდებარეობდა. ციხე-ქალაქი უჯარმა, გორგასალის მიერ აშენებული, ძირითადად სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. მან თავისი ამოცანა ბრწყინვალედ შეასრულა და შემდეგში კი თანდათანობით ჩამოშორდა ასპარეზს. მართალია, აქ ცხოვრება კიდევ დიდხანს ჩანს, მაგრამ მისი მნიშვნელობა გაცილებით ნაკლებია.

## ჰ ე რ ე მ ი

სამეფო კარის პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის უჯარმა ერთადერთი არ ყოფილა. ასევე მნიშვნელოვანი პუნქტი იყო ჰერემიც. მას თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით საკმაოდ მოწინავე როლის შესრულება ეკისრებოდა; იგი შიდაკახეთისაკენ გასასვლელი ერთ-ერთი ხეობის გულში მდებარეობდა. თუ უჯარმა ივრის ხეობის გასაღებს წარმოადგენდა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იყო კონტროლის გაწევა ივრისპირების, სამგორისა და საერთოდ მთისძირის რაიონებზე, ჰერემი შიდა მხარის — ალაზნის ველის გასაღებს წარმოადგენდა. გეოგრაფიულად შესანიშნავად არის გადმოცემული გავლენის სფეროები, სადამდეც თვითეულ მათგანს ხელი მიუწვდებოდა.

როდესაც მთისძირის ზოლს ვწერთ, ვგულისხმობთ რაიონს, რომელიც ივრის ხეობაში, უჯარმის ქვედა ნაწილიდან იწყება და მიჰყვება ცივგომბორის სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ დავაკებას აღმოსავლეთისაკენ. ეს ბუნებრივი ზოლი თითქმის მანავ-კაკაბეთამდე უნდა აღწევდეს. ამ უკანასკნელიდან ყველაზე უმოკლესი მანძილი ალაზნის ველისაკენ სწორედ ჰერემის ხეობაზე დევს, რომელიც განივად სჭრის ცივ-გომბორის მთებს და ველისციხესთან ალაზნის ველზე გამოდის. ვახუშტის აღწერით, ალაზანს „დასავლეთიდამ მოერთვის ჰერემის-წყალი, გამომდინარე ცივის მთისა და მომდინარე ჰერემამდე ჩრდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამხრეთს შუა, მერმე დასავლეთს-სამხრეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩრდილოთ შორის. ამ წყალსა ზედა არს, ალაზნის დასავლით, ველსა ზედა. ველის-ციხე, და აწ უქმი. ამავ წყალზედ არს, ცივისა ანუ ჰერეთის მთის საშორისსა, ჰერემი".[115]

ჰერმის ხევის გეოგრაფიული მდებარეობით გამოწვეული უპირატესობანი თავის დროზე ჯეროვნად იყო მიგნებული და შეფასებული. მისი უპირატესობა, პირველ რიგში, გამოიხატებოდა შიდა-კახეთისაკენ მიმავალი უმოკლესი გზის გამო. თბილისიდან და მცხეთიდან ერთიორად უმოკლესია გზა შიდა-კახეთისაკენ ჰერმის გავლით, ვიდრე ცივი-ჰერეთის მთის შემოვლით. გზა, უჯარმის შემდეგ, მთისძირით გადიოდა მანავ-კაკაბეთ-ყანდაურამდე, შემდეგ ჰერმის ხევით (ცხადია, ჰერემზე გავლით) ველისციხეში. ეს უკვე ალაზნის ველია.

ხეობიდან გამოსვლისთანავე თვალწინ იშლება მთელი ალაზნის ველი; პირდაპირ, ალაზანგაღმა, კავკასიის მთის კალთების ძირში ქალაქი ნეკრესი იყო გაშენებული, ასევე მნიშვნელოვანი ძველი ქალაქი, სამხრეთ-აღმოსავლეთით კი ცივ-გომბორის მთის ერთ-ერთი მთაკარი შტოს დასასრულს, კონცხზე ხორნაბუჯი იდგა, ძველი ჰერეთის სტრატეგიული პუნქტი.

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, ჰერმის-ხევის განსაკუთრებული უპირატესობა სხვებთან შედარებით და აქ ძლიერი ერთეულის შექმნა დამყარებული

---

[115] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 99.

ოყო მის გეოგრაფიულ უპირატესობაზე. გარკვეული პერიოდისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაყოფიერი რაიონი, ალაზნის ველი, ბუნებრივად მოქცეული კავკასიონსა და ცივ-გომბორის მთებს შორის, წყალუხვი ალაზნის აუზში, როგორც სასიცოცხლო ეკონომიური ზონა, ციხე-ქალაქების გარემოცვაში აღმოჩნდა; სამკუთხედი შექმნილი ჰერემ-ველისციხით, ნეკრესით და ხორნაბუჯით, ალაზნის ველის დაცვის კარგ გარანტიას იძლეოდა. ამის შემდეგ აღარ შეიძლება გაგვიკვირდეს გორგასალის ენერგიული ღონისძიებანი, ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტების განსაკუთრებით გაძლიერებასთან დაკავშირებით რომ იქნა მიღებული.

ჰერმის ხევი, როგორც მოკლე გზა კახეთის შიდა რაიონებიდან თბილისისკენ, დიდხანს გამოიყენებოდა. მისი მნიშვნელობა შესუსტდა განსაკუთრებით რკინიგზის გაყვანის შემდეგ. მიუხედავად ამისა, საქონლის ჯოგების და ცხვრის ფარების გადასაყვანად ამ მიმართულებით ბოლო დრომდე ძველი ტრასა გამოიყენებოდა.[116] თუ რამდენად ძველია ეს გზა, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით, რადგან არქეოლოგიურად ეს რაიონი სუსტად არის შესწავლილი, ისიც მხოლოდ შემთხვევითი მონაპოვრებით. გაზვიადებული არ უნდა იყოს, თუ ვიტყვით, რომ ადრეფეოდალურ ხანაში ამ ტრასაზე ყურადღების გამახვილებაში ქართლის მეფეებს პრიორიტეტი არც შეიძლება ჰქონდეთ, და მათ უბრალოდ მანამდეც არსებული კარგად ცნობილი გზა გამოიყენეს. ასეთი დასკვნისათვის ხელშესახები მასალა, რა თქმა უნდა, არ გაგვაჩნია; მხოლოდ ერთ შემთხვევით აღმოჩენაზე შეიძლება გავამახვილოთ ყურადღება: 1963 წელს ჰერმის ხეობის დასაწყისში, ადგილი არ არის ზუსტად დადგენილი, შემთხვევითი მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა ბრინჯაოს სარტყელი, შესანიშნავი ამოკაწრული სიუჟეტებით. ასეთი სარტყლები კარგადაა ცნობილი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში.[117] სარტყლის მფლობელი არ უნდა ყოფილიყო მაინცდამაინც დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელი. რაც მთავარია, ეს აღმოჩენა სწორედ ჰერმის კარზე მომხდარა, რაც გვაფიქრებინებს ძველი პუნქტების არსებობას ჰერმის ხეობაზე ან მის მახლობელ მიდამოებში.

ზემოთ აღნიშნული გზის ერთი მონაკვეთი ექცეოდა საკმაოდ საინტერესო სოფლების ზონაში; ესენია — ზიარი, ფხოველი, ქოდალა. ფხოველი (იგივე „ფხოველნი") მთიულეთიდან გადმოსახლებული ფხოველების მიერ უნდა იყოს დასახლებული, რომელთაც ჯერ კიდევ IV საუკუნეში უარი განაცხადეს ქრისტიანობის მიღებაზე და ფხოვიდან თუშეთს გადაიხვეწნენ. ერთი ტალღა, შესაძლებელია, აქ შეჩერდა. ეს რაიონი განსაკუთრებით ფეოდალურ ხანაშია დაწინაურებული. საკმარისია გავიხსენოთ XIII ს. რამდენიმე განძი, აღმოჩენილი ქოდალაში[118], დარჩეთში, XI საუკუნის ოქროს ბიზანტიური მონეტა-გადრეკილში ნაპოვნი და სხვა.[119]

ჰერმის შესახებ წერილობითი ცნობები ძალიან ცოტაა. ლეონტი მროველის მიხედვით, იგი გორგასალს აუშენებია და შემდეგ უბოძებია დაჩისათვის. საგულისხმო ფაქტია, რომ გორგასალი დაჩის აღმოსავლეთის პროვინციების მმართველად აწესებს: „მისცა ქალაქი ჰერემისა და ნეკრესისა, და ქალაქი კამ-

---

[116] დღეს მოქმედი საჰაერო მარშრუტიც თბილისი-თელავი სწორედ ამ ტრასაზე დევს.

[117] სარტყელი ამჟამად ინახება საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

[118] თ. ლ ო მ ო უ რ ი, ქოდალას განძი, მუზეუმის მოამბე, XIV-B, თბ., 1947.

[119] დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.

ბეჩოვანისა, რომელ არს ხორნაბუჯი, და ყოველი ქუეყანა მტკუარსა აღმოსავლით".[120] ჰერეთში იგივე გორგასალი აწესებს საეპისკოპოსო კათედრას და სვამს იქ ეპისკოპოსს. შემდგომად ჰერეთელი ეპისკოპოსი საეკლესიო ცხოვრების აქტიური მონაწილე ყოფილა. 506 წლის დვინის საეკლესო კრებაზე სხვა ქართველ ეპისკოპოსებთან ერთად ძეგლისდებას ხელს აწერს ჰერეთელიც. სომხური ტექსტი დამახინჯებულად გადმოსცემს სახელს. როგორც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, „ტსერმილ" მიღებულია ქართული „ჰ"-ს ბერძნული შესატყვისით აღნიშვნის გამო. როგორც ცნობილია, ძეგლის ტექსტი ბერძნულიდან არის გადათარგმნილი სომხურად, იგი აღდგენილი უნდა იყოს როგორც „ჰერეთელი"[121]. არც არის აქ რაიმე მოულოდნელობა, ჰერეთში იყო საეპისკოპოსო კათედრა და ადვილი მოსალოდნელია, რომ ჰერეთელიც დასწრებოდა დვინის საეკლესიო კრებას. სხვა რაიმე მნიშვნელოვანი ცნობა ჰერეთის შესახებ არ არის შემორჩენილი.

ირკვევა, ჰერეთიც მსგავსად უჯარმისა. განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევს ადრეული ფეოდალური ხანისათვის, შემდეგში კი თანდათანობით ჰკარგავს თავის მნიშვნელობას. 1757 წელს თეიმურაზისა და ერეკლეს, ასევე კათალიკოს იოსების გუჯრის მიხედვით, საჰერეთლო მამულები ნაწილდება ალავერდელსა, ბოდბელსა და ნინოწმიდელს შორის: „ხოლო სამთა ამათ ეპისკოპოსთა ამბა ალავერდელსა, ბოდბელ მიტროპოლიტსა და ნინო წმიდელსა მიეცა სამწყსო საჰერეთლოც ესენი: უფალს ამბა ალავერდელს ენდრონიკაშვილს ნიკოლოზს ერგო სამწყსო საჰერეთლოსი სოფელი კონდოლი სრულიად: სოფელი კირის ხევი (ალბათ უნდა იყოს „კისისხევი" ლ. ჰ.) სრულიად: სოფელი წინანდალი სრულიად: და სამწყსო და თავადიშვილი ჰამუჩის შვილები და ამას გარდა კიდევ სოფელი ველის ციხე. უფალს ბოდბელ მიტროპოლიტს ებისელთ მოურავის ძეს იოანეს ერგო ჰერეთლის სამწყსო სოფელი ვეჯინი სრულიად თავადის შვილის ერასტის შვილებითა და სოფელი ფხოველი სრულიად თავადის შვილის მოურავის შვილებითა და სოფელი ზიარი სრულიად თავადის შვილის ზურაბის შვილებითა და ამას გარდა ქოდალა და მელაანი. უფალს ნინოწმიდელს ტუსიშვილს საბას ერგო ჰერეთლის სამწყსო კალაურთი თავადის შვილები ვაჩნაძეები თავეთის ყმითა და სახასო ძველთაგანვე ნინო წმიდლისა არის და ამის გარდა სოფელი ურიათ უბანი სრულიად, სოფელი ჩუმლაყი სრულიად და სოფელი ზეგანი თავადის შვილის ჯანდიერითა და გურჯანში მარტო თავადის შვილების ყმა და სახასო ძველთაგანვე ნინო წმიდლისა არის ამას გარდა სოფელი კოშკი და სოფელი დარჩიეთი და სოფელი ჯალაბაური და სოფელი შაბლიანი."[122]

აი, ასეთი დასასრული ჰქონდა ჰერეთს, ოდესღაც ძლიერსა და მშვენიერს. მისი სამწყსო გაუყვეს სხვა საეპისკოპოსოებს. ეს არც თუ იშვიათი მოვლენა იყო გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში თათარ-მონღოლ-სპარსთა ბატონობის შედეგად. გუჯრიდან კარგად ჩანს, თუ რა დიდი სამწყსო ეპყრა ჰერეთელს. მისი მრევლი განლაგებული ყოფილა ჰერეთის ხევის ორივე ნაპირზე, ცივგომბორის კალთების გასწვრივ მდებარე სოფლებში წინანდლიდან მოყოლებუ-

[120] «ქ ც-ბა», I, გვ. 199.

[121] И. А. Джавахов, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, ИИАН, 1908, стр. 445; მისივე, ქართველი ერის ისტორია, I, 1960, გვ. 300.

[122] ა. ხახანაშვილი, გუჯრები, ქუთაისი, 1891, გვ. 101—102.

ლი ვეჯინამდე (წინანდალი, კონდოლი, კისისხევი, კალაური, ურიათუბანი, ზეგანი, ველისციხე, ჩუმლაყი, გურჯაანი, ვეჯინი,) და უშუალოდ ჰერმის-ხევის ზედა წელი ძველი გზის მიმართულებით: ფხოველი, ზიარი, ქოდალა, დარჩეთი, მელაანი, შიბლიანი.

ჰერემი, მიუხედავად მისი მიმზიდველობისა, როგორც საინტერესო სიძველის ძეგლი, არქეოლოგიური კვლევის საგნად ჯერ კიდევ არ ქცეულა, რაც ძლიერ აბრკოლებს მის საფუძვლიან შესწავლას. წერილობითი წყაროებიც მის შესახებ, როგორც აღნიშნული იყო, ძალზე მცირეა.

1880 წელს აქ მცირეოდენი დაზვერვები ჩაუტარებიათ დ. ფურცელაძეს და ფრ. ბაიერნს. როგორც ჩანს, მათ გულდასმით დაუთვალიერებიათ ნაქალაქარი და მცირეოდენი სასინჯი თხრაც კი უწარმოებიათ.[123] დ. ფურცელაძის საგაზეთო წერილის მიხედვით, რომელიც ერთგვარ საანგარიშო მიმოხილვას წარმოადგენს, ჰერმის ნაქალაქარზე ოთხი სამაროვანი ყოფილა დადასტურებული, ორი ქრისტიანული და ორიც წარმართული. მათ ე. წ. „წარმართულ" სამაროვანზე გაუთხრიათ ოთხი სამარხი. როგორც ჩანს, სამარხები კოლექტიური ყოფილა ოთხ-ოთხი მიცვალებულით. დაკრძალულნი „მჯდომარე" პოზაში უნახავთ სახით აღმოსავლეთისაკენ. რას გულისხმობდა წერილის ავტორი „მჯდომარე" პოზაში, ძნელი მისახვედრია. შესაძლებელია მოკრუნჩხული პოზა ჰქონდა მხედველობაში. სამარხებში ნივთებიც უპოვიათ, კერძოდ: საკინძები ლურჯი მინის თავით, ძვლის საკინძი, ბრინჯაოს საკინძები სერდოლიკის თავით. აღწერილი სამარხეული მასალის მიხედვით თითქოს ადრეფეოდალური ხანის ნივთებთან უნდა გვქონდეს საქმე. ამასვე ემოწმება კოლექტიური თუ საოჯახო სამარხების არსებობაც, რომელიც მასიურად იკიდებს ფეხს ქრისტიანობის გავრცელების დროიდან. აქვე ეწევა ასევე სამარხების აგებულების სურათიც. დ. ფურცელაძის აღწერით ყველა სამარხი ქვაყუთებს წარმოადგენდა, შეკრული იყო ქვის ოთხი ფილისაგან, სიგრძე 7, სიგანე 3—4, სიმაღლე 4 ფუტი. სახურავად გამოყენებული ყოფილა სამ-სამი თხელი ფილა. ეჭვი არ არის გათხრილი სამარხების მიხედვით შეიძლება საქმე გვქონდეს ადრეფეოდალური ხანის სამაროვანთან, რომელიც გორგასალის მიერ აშენებულ და გამაგრებულ ქალაქს ეკუთვნოდა.

ქალაქი ჰერემი კომპოზიციურად შეკრულსა და არქიტექტურულად სრულ კომპლექსს წარმოადგენდა, სადაც თავმოყრილი იყო სხვადასხვა სახის და დანიშნულების ნაგებობანი — საეკლესიო, საერო, თავდაცვითი და საცხოვრებელი. თუ ქალაქის შესახებ არსებულ ორიოდე ცნობას ჩავუკვირდებით, ბევრ საგულისხმო სურათს დავინახავთ. ჯუანშერის გადმოცემით, გორგასალმა ერთი ეპისკოპოსი დასვაო „ჰერემს მისსავე აღშენებულსა" და შემდეგ დასძენს: „და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა".[124] იმავე ავტორის გადმოცემით, სპარსელთა მეფეს შეუმუსრავს ჰერმის-ციხე.[125] ამ ცნობებიდან ჩანს, რომ ქალაქი, რომლის აღმშენებლადაც ითვლება გორგასალი, გადაჭიმულია მის მიერვე აშენებულ ორ ეკლესიას შორის. ამავე დროს ჰერემს აქვს თავისი საფორტიფიკაციო ნაგებობაც—ციხე, რო-

---

[123] Д. Пурцеладзе. Старый город Черемн, გაზ. «Кавказ», 1880, № 324.
[124] «ქ ც-ბა», I, გვ. 199.
[125] «ქ ც-ბა», I, გვ. 201.

მელიც, საფიქრებელია, ზემოხსენებულ ნაგებობებთან ერთად ჰქმნის ერთიან არქიტექტურულ ანსამბლს.

ჰერემი — ნაქალაქარი, რომლის ნაგებობათა დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, ნანგრევების სახით, დღესაც არის შემორჩენილი, მეტ-ნაკლებად განისაზღვრება საეპისკოპოსო ტაძრით, ეპისკოპოსის სასახლით და ასევე სხვა რამდენიმე ნაგებობის ნაშთებით. ნაგებობათა არქიტექტურის შესწავლას მისთვის ჩვეული გულისხმიერებით და სიყვარულით არაერთი სადაზვერვო ექსპედიცია უძღვნა გ. ჩუბინაშვილმა 20-იანი წლებიდან მოყოლებული. ამის წყალობით ბევრი ნაგებობის დეტალი, რომელიც დღეს თითქმის აღარ განირჩევა, ფიქსირებულია უნაკლოდ და შემოენახა მეცნიერებას. გ. ჩუბინაშვილი „კახეთის არქიტექტურაში“ დაწვრილებით განიხილავს და შემოჰყავს მეცნიერულ ნომენკლატურაში ნაქალაქარ ჰერმის ისეთი მნიშვნელოვანი ნაგებობანი, როგორიცაა სამეკლესიანი ტაძარი, კვადრატი, ეპისკოპოსის სასახლე, „წვეროდაბალი“ და სხვა ნაგებობანი.[126] გ. ჩუბინაშვილს მიაჩნია, რომ ეკლესია „წვერო-დაბალი“ (რომელიც ჰერმიდან აღმოსავლეთით 3 კმ-ზე მდებარეობს, პატარა ბორცვზე) და საკათედრო ტაძარი, ის ორი ეკლესიაა, რომელსაც ჯუანშერი ახსენებს ვახტანგ გორგასალთან დაკავშირებით, და რომელთა შორისაც აუშენებია გორგასალს ქალაქი.[127] თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ ქალაქი ჰერემი საკმაოდ დიდ ფართობზე ყოფილა გაშენებული.

ჰერმის საეკლესიო ნაგებობებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ე. წ. გუმბათიანი კვადრატი, რომელიც გ. ჩუბინაშვილის მიხედვით ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ძეგლია. მისი დამახასიათებელი ნიშანია მცირე სივრცობრივი არე, ოთხივე მხარეს ღია კამარებით, დახურული გუმბათოვანი თაღით. იგი კვადრატული ფორმის ნაგებობაა და ნეკრესის ეკლესიასთან ერთად ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ძეგლია საქართველოში.[128]

ჰერმის საერო ნაგებობებიდან გ. ჩუბინაშვილის მიერ შესწავლილია სასახლის ნაშთები, რომელიც საეპისკოპოსო ტაძრის ეზოშია მოქცეული. შემორჩენილი იყო ორსართულიანი შენობის ერთი კედელი, უფრო სწორედ კედლის შუა ნაწილი. გარედან კედელში როგორც ქვედა, ისე ზედა სართულზე ჩარიგებულია თაღები. ზედა სართული შედარებით მაღალია, ვიდრე ქვედა, რაც ავარაუდებინებს მკვლევარს, რომ ზედა სართული საპარადო, საზეიმო იყო, ქვედა კი სამსახურისთვის. ზედა სართულის თაღებიც ასევე შედარებით დიდებია[129]. ორივე სართულის თაღები ნალისებური ფორმისაა, მსგავსად ნეკრესისა და ვანთისა. ჭერი და იატაკი სასახლის სართულებშუა ხისა ყოფილა, დაყრდნობილი ძელებზე.[130]

წარწერები ჰერმიდან ჯერჯერობით არ არის ცნობილი, გარდა ერთისა. იგი საეპისკოპოსო ტაძრის საფუძველთან დატანებულ ქვაზეა ამოჭრილი: „ესე საფლავი მელქისედეკისი“ გვამცნობს საფლავის ქვის წარწერა, რომელიც

---

[126] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 188—190; 190—193; 207—208; 557—559.

[127] Н. Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

[128] შ. ამირანაშვილის აზრით ჰერმის «კვადრატი» უფრო სამსხვერპლოს უნდა წარმოადგენდეს. თავისი ტიპით იგი მას უპირისპირებს ცეცხლის თაყვანისმცემლების ნაგებობებს ირანში. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1961, გვ. 101.

[129] გ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 558.

[130] იქვე, გვ. 559.

მეორადი გამოყენებით არის მოხვედრილი კედელში. თ. ბარნაველის აზრით, პალეოგრაფიულად წარწერის მელქისედეკი არ უნდა იყოს კალათიკოსი მელქისედეკ I (1010—1033 წწ.)[131].

პირველ წიგნში, როდესაც ქართული ქალაქებისა და მათი დამცველი ციხეების შესახებ იყო ლაპარაკი, განსაკუთრებით მოვიხსენიეთ ჰერემი და ველისციხე. მათი ურთიერთობა კარგი მაგალითია, რომელიც ცხადად მიუთითებს ციხეების განსაკუთრებულ როლზე ქალაქების დაცვის საქმეში. ჰერემი თავისებურ გეოგრაფიულ გარემოში და პოლიტიკურ ვითარებაში წარმოშობილი ქალაქია და მისი წარმატებები დიდად იყო დამოკიდებული ველისციხეზე, რომელიც ხეობის გასაღები იყო ალაზნის ველისაკენ. ჰერმის ველისციხე და საერთოდ ველისციხეების ინსტიტუტის განვითარება ერთ-ერთი საინტერესო პრობლემაა ძველი ქალაქების მოწყობის საქმეში. ადრე მოკლედ ვეცადეთ ველისციხის სიძველეების განხილვა, მისი არქიტექტურული ნიმუშების მიხედვით (გ. ჩუბინაშვილი), როგორიცაა სამეკლესიანი ბაზილიკა, ციხე, სასახლე და გამოჩნდა, რომ ველისციხის ეს ნაგებობანი შესაძლებელია კავშირში იყოს ჰერმის საქალაქო არქიტექტურის ძეგლებთან. ეჭვს გარეშეა ორივე ეს ძეგლი — ჰერემიცა და ველისციხეც ორი მთავარი კომპონენტია ძლიერი ერთეულისა, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაში ვახტანგ გორგასალის დროს დაწინაურდა.

ველისციხე ხეობის კარებია ველზე გამოსასვლელად და ის, ვისაც სურს ხეობაში დამკვიდრდეს ან ველს მოახვიოს თავისი პოლიტიკური გავლენა, მას ვერ ასცდება. V საუკუნეში ეს ორეული წარმატებით მოქმედებდა. პირველი სერიოზული მარცხი მათ გორგასალის მოღვაწეობის ბოლოს იგემეს, როდესაც შემოსეულ სპარსელებთან არათანაბარ ბრძოლაში დაეცნენ; ხუასრო მეფემო შემუსრა ჰერმის ციხე და ველისციხეო, გვამცნობს ჯუანშერი.

როგორი იყო ჰერმის შემდგომი ისტორია, ვერ არის კარგად ცნობილი. სათანადო პასუხი მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გაიცემა. დღესდღეობით კი შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი, ისევე როგორც უჯარმა (ციხე-ქალაქი), გარკვეულმა ისტორიულმა პროცესმა წარმოშვა და შემდეგ კი მათ დიდი როლი უკვე აღარ შეუძლიათ შეასრულონ. ნიშანდობლივია, რომ აღმავლობის ხანაში, ახალქალაქების ჟამს და შემდეგ ქართული ქალაქების აყვავების პერიოდში, ვერცერთმა და ვერც მეორემ დიდ განვითარებას ვეღარ მიაღწია.

## თ ბ ი ლ ი ს ი

წერილობითი წყაროების მიხედვით IV საუკუნიდან განსაკუთრებით ვითარდება და ძლიერდება თბილისი. გარდამავალ ხანაში თამამად შეიძლება ითქვას, იგი ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს, რომელიც სულ მალევე პირველობას ჩემულობს და საგრძნობლად ასწრებს ქართლის ძველ ადმინისტრაციულ, ეკონომიურსა და პოლიტიკურ ცენტრს მცხეთას. V—VI საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარი ეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენა განსაკუთრებულ მიდგომასა და ანალიზს მოითხოვს. აქ საქმე როდი ეხება მხოლოდ ადმინისტრაციული ცენტრების მონაცვლეობას. ეს დიდი მნიშ-

---

[131] თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962, გვ. 146.

ენელობის სოციალურ-პოლიტიკური შემობრუნება იყო, რომლის ასახსნელადაც ორივე ქალაქთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხი უნდა განვიხილოთ.

პირველ ყოვლისა, გვერდს ვერ ავუვლით ფაქტს, რომ თბილისი, როგორც ძველი სამოსახლო და შემდეგ კი მნიშვნელოვანი პუნქტი, უძველესი დროიდან არსებობდა. არქეოლოგიური მონაცემები ამის საუცხოო ნივთიერ დასაბუთებას იძლევა. მართალია, დღევანდელი ქალაქის ვრცელ ტერიტორიაზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა, ალბათ, უშუალოდ ძველ თბილისს ვერ დაუკავშირდება, მაგრამ საკმაოდ ბევრი ხელშესახები ნივთიერი მონაცემი სწორედ ძველი ქალაქის ტერიტორიაზედაც გვხვდება. დიდუბისა და ღრმაღელის, ასევე ნავთლუღის, საბურთალოს და სხ. არქეოლოგიური ძეგლები აშკარად მიუთითებენ, რომ სპილენძ-ბრინჯაოს ხანიდან მოკიდებული, თბილისის მიდამოები დასახლებისათვის ვარგისი ყოფილა, სადაც საკმაოდ მძლავრი სამოსახლოები გვხვდება. ცხოვრება არ შეწყვეტილა აქ არც შემდეგშიაც. გვიანბრინჯაოს ხანაში.[132]

ანტიკურ ხანაში, მტკვრის ხეობის სავაჭრო-სატრანზიტო გზას, რომელიც თბილისის მიდამოებში გადიოდა, მისი სტრატეგიული მხარის წინ წამოწევა უნდა გამოეწვია. კლდოვან ნაპირებს შორის მოქცეული მდინარე მტკვრის ვიწრო კალაპოტი ხიდის ასაგებად შესანიშნავ ადგილს წარმოადგენდა[133], ორივე მხრივ წამოზიდული დამრეცი მაღლობები კი თავდასაცავი სისტემის შესაქმნელად საუცხოო ბუნებრივი ადგილები იყო.

თვით გეოგრაფიული გარემო კარნახობდა აქ ძლიერი გამაგრებული კარის შექმნას. სწორედ ანტიკურ ხანაში ვხვდებით ძველი თბილისის ტერიტორიაზე ქალაქის ტიპის ნამოსახლარებისათვის დამახასიათებელ არქეოლოგიურ ნივთებს. სამწუხაროდ, თბილისი არქეოლოგიურად სუსტადაა შესწავლილი; ის ადგილები მაინც, სადაც ძველი ქალაქის ძირითადი უბნებია მოსალოდნელი, არქეოლოგიურად ან ხელუხლებელია, ანდა ხშირი დასახლების გამო მიუღწეველია გათხრებისათვის. ამის გამო შემთხვევით აღმოჩენებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ასეთი მნიშვნელოვანი აღმოჩენების რიგში შეიძლება დავასახელოთ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში დღევანდელი სახ. მუზეუმის შენობის საძირკვლის თხრისას ექვსი ცალი ბაქტრიული მონეტის აღმოჩენა (III—II სს.), ასევე ლიზიმახის სტრატერის მინაბაძი (III—I სს.), ნაპოვნი ი. ჭავჭავაძის პროსპექტის (ყოფილი უნივერსიტეტის ქუჩა) ბოლოში 1949 წ. ეს აღმოჩენები, ეჭვს გარეშეა, თბილისის, როგორც არც თუ უმნიშვნელო დასახლების მაუწყებელია ჯერ კიდევ ძვ. წ. ბოლო საუკუნეებში. ამაზევე მიუთითებს ღრმა-ღელეში აღმოჩენილი ფრაატ IV მონეტაც (ძვ. წ. I ს.).

ახ. წ. პირველი საუკუნეების ნუმიზმატიკური მონაცემებიდან განსაკუთრებით მისაქცევია ყურადღება იმ მონეტებისადმი, რომლებიც აშუქებენ ქალაქის-ეკონომიურ ისტორიას IV საუკუნემდე, ე. ი. იმ დრომდე, საიდანაც თბილისის ხსენებას ვხვდებით უკვე ისტორიულ წყაროებში. ასეთი მონეტებიდან შეიძლება მოვიხსენიოთ ავგუსტეს დინარი (ძვ. წ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნა) ვარაზისხევიდან, ბოსფორის მეფე მითრიდატ VIII და მისი მეუ-

---

[132] სათანადო ძველი არქეოლოგიური მასალები მიმოხილულია დ. ქორიძის ორ წიგნში — თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, I, 1955; II, 1958.

[133] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ტფილისის ისტორია, შრომები, I, გვ. 11.

ლის ორი სპილენძის მონეტა თათრების სასაფლაოზე, ბოსფორის მეფე სავრომატ III (ახ. წ. III ს.) მონეტა, აღმოჩენილი ბოტანიკურ ბაღთან და სხვ.[134]

ზემოთ აღნიშნული მონეტების მნიშვნელობას მათი აღმოჩენების შემთხვევითობა სრულიად ვერ შეამცირებს და ის ნათლად მიუთითებს, რომ უკვე ანტიკური ხანიდან აქ მძლავრი კერაა მოსახლეობისა, სადაც მაღალ დონეზე ყოფილა ეკონომიური საქმიანობა. ჩამოთვლილი მონეტების მიხედვით თბილისის გეოგრაფიული თვალსაწიერი საკმაოდ ვრცელია; რომის იმპერია, ბოსფორის სამეფო, სპარსეთი, ბაქტრია. ძველი თბილისი მჭიდრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყო ჩაბმული ქართულ ქალაქებთან, განსაკუთრებით კი მტკვრის ხეობის ქალაქებთან. ასეთებია: მცხეთა, სარკინე, ურბნისი, რუსთავი, ხუნანი. თავისი კარგი გეოგრაფიული განლაგების გამო მას ხელი მიუწვდებოდა ასევე აღმოსავლეთის კახეთ-კუხეთ-ჰერეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრებთანაც. მისი მომიჯნავეობა ზემოხსენებულ პროვინციებთან პოლიტიკურ გავლენას მატებდა თბილისს.

მიუხედავად მცირესაბუთიანობისა, თბილისის ტერიტორიაზე რომ ანტიკურ ხანაშიაც ძლიერი დასახლება ყოფილა, უცილობელ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.[135] საამისოდ მას ბევრი ხელისშემწყობი პირობები გააჩნდა (სათანადო ეკონომიური დონე, შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა, გზა). მაგრამ საკმარისი კი იყო ეს მისი უპირატესობისათვის მცხეთასთან შედარებით, რომელსაც იგი საკმაოდ ჯიუტად ექიშპება და საბოლოო ანგარიშით ამარცხებს კიდევაც? აქ უნებურად ისმება კითხვა: რით იყო გამოწვეული ქართლის მრავალსაუკუნოვანი ცენტრის შეცვლა, რით იყო ნაკარნახევი ახალი ადმინისტრაციული პუნქტის დაფუძნება და დაწინაურება. თავისთავად ეს დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტია და მისი ახსნა არც თუ ადვილი საქმე უნდა იყოს. ბოლოსდაბოლოს, რა ჰქონდა თბილისს, რაზედაც იგი თავის უპირატესობას ამყარებდა? ორივე პუნქტთან დაკავშირებით მოკლედ განვიხილოთ ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორები.

თბილისი ძლიერი ეკონომიური პუნქტი იყო, რომელსაც მაღალი შესაძლებლობების სამეურნეო რაიონი გააჩნდა. მტკვრის ხეობა თავისი ნაყოფიერი ველებით. ვერა-წავკის ორთაჭალის სანახები, მიწათმოქმედების ღონიერი კერის შექმნის საშუალებას იძლეოდნენ. ეკონომიური დონე თბილისს საკმაოდ მაღალი შეიძლებოდა ჰქონოდა. თუ ეკონომიური ფაქტორის შედარებას შევეცდებით, ძნელი არ იქნება დავინახოთ, რომ მცხეთაში ეს მომენტი გაცილებით ძლიერი და სრულყოფილი იყო; მუხრანის ველი და არაგვისპირეთი, მცხეთის დიდად დაწინაურებულ სამეურნეო რაიონს შეადგენდა. რა თქმა უნდა, ეს მხარე, თბილისში, მცხეთასთან შედარებით, ფერმკრთალად გამოიყუ-

---

[134] იხ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილების სათანადო ფონდები. ასევე, დ. გვრიტიშვილი, შ. მესხია, თბილისის ისტორია, თბ., 1952; გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წლის ზამთარში, მსკა, I, 1955; ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961.

[135] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, 1958, გვ. 7. ამავე მოსაზრებას იზიარებენ გ. ლომთათიძე, ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი და სხ.

რებოდა. მცხეთის ზემოხსენებულ რაიონში მიწათმოქმედების მძლავრი კერა იყო შექმნილი. საკმარისია გავიხსენოთ ქსნის სარწყავი სისტემა. ტრადიციით ალექსანდრე მაკედონელთან დაკავშირებული, მუხრანის საირიგაციო რთული ტექნიკური ტრასები, რომლებითაც უხვმოსავლიანი ხდებოდა ტერიტორიის საკმაოდ დიდი ფართობი, რომ მცხეთის ეკონომიური უპირატესობა სამიწათმოქმედო მეურნეობაში ნათელი გახდეს.

თბილისს კარგი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა; გაშენებული იყო მტკვრის ხეობის ძნელად მისავალ ვიწროებში. მდინარის კლდოვან და ვიწრო ნაპირებზე, ძველი დროიდან მოკიდებული, შეიძლებოდა ხიდის გადება. ქალაქი ირგვლივ შემორტყმული იყო ბუნებრივად დაცული ადგილებით, რომლებიც შემდგომად ზღუდე-გალავნებით შემოსაზღვრეს.

მაგრამ მცხეთას განა ნაკლები გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა? ორი მდინარის — მტკვრისა და არაგვის შეერთებაზე გაშენებულ ქალაქს, მაღალ, კლდოვან ქედზე განლაგებული ძლიერი ციტადელი იცავდა. თრიალეთისა და იალნო-საგურამოს ქედებს შორის მოქცეულ ქალაქს ორი მხრიდან მტკვარ-არაგვის წყალი იცავდა, სხვა მხრიდან კი არც თუ მაღალი, მაგრამ თავდაცვისუნარიანობის თვალსაზრისით ადვილად გასამაგრებელი მთები შემოუყვებოდა. მცხეთის კარგ გეოგრაფიულ გარემოში განლაგება, ორი მნიშვნელოვანი ხევის შესაყარზე, ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო აქ ქალაქის წარმოშობისათვის. არც ამ საკითხში ჩანს თბილისის უპირატესობა მცხეთის მიმართ.

თბილისის დაწინაურებაში ერთ-ერთი დიდი როლი შეასრულა გზამ. მტკვრის ხეობაზე გამავალი სავაჭრო გზა თბილისზე გადიოდა. აქვე იყო შესაძლებელი გადებულიყო ხიდი მდინარე მტკვარზე.

მაგრამ ეს გზა ხომ მცხეთაზეც გადიოდა. ანტიკური მცხეთის საქალაქო მეურნეობის განვითარება სწორედ გზასთან იყო დიდად დაკავშირებული. თინაც განა მარტო ერთი გზა გადიოდა მცხეთაზე? აქვე უერთდებოდა ცნობილ ანტიკურ მაგისტრალს არაგვის ხეობაზე ჩამომავალი გზა. მცხეთას მოემართებოდა ქსნის ხეობის გზა, თრიალეთიდან მიმავალი გზა, არაგვზე, ოხერ-ხიდაზე (ხიდარი) გადასასვლელით მეტად მნიშვნელოვანი გზა იდო კახეთისკენაც. ერთი სიტყვით, არც ამ ფაქტორით ჰქონდა თბილისს უპირატესობა მცხეთასთან შედარებით. ალარაფერს ვამბობთ დაახლოებით IV საუკუნისათვის არსებულ მდგომარეობაზე ორივე პუნქტისათვის; მცხეთა ანტიკური ხანის მოწინავე ქალაქია, სადაც ცხოვრების დონე ეთანაბრებოდა იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს წარჩინებულ ცენტრებს. აქ მაღალი დონეა საქალაქო ცხოვრებისა. იგი ჩაბმულია საერთაშორისო ვაჭრობაში. მემატიანენი არ ზოგავენ ეპითეტებს მის შესამკობად: „დიდი ქალაქი მცხეთა“, „სამეფო ქალაქი მცხეთა“, „წმინდა მცხეთა განდიდებული“ და სხვ. იგი ქრისტიანული ეკლესიის ცენტრია — პატივით სწორი სხვა საეკლესიო ცენტრებისა. მცხეთასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ტრადიციები ქართველთა შორის ქრისტიანობის გავრცელებისა, წმინდა ნინოს მოღვაწეობისა და ზოგადად ქრისტეს მოძღვრებისა, რაც მცხეთის განდიდების ერთ-ერთი უტყუარი წყარო იყო. ეჭვი არ არის, თბილისი მცხეთის მეტოქეობისას ასეთ ღირსებებს ვერ იმსახურებდა. მიუხედავად ამისა, იგი ყურადღების ცენტრში ექცევა: „ტფილისს კაცნი დასხდებოდეს“ — აღნიშნავდა „მოქცევის“ ავტორი. ე. ი. იწყება მისი ინტენსიური დასახლება, თანაც მცხეთის ხარჯზე. იმავე წყაროს შენიშვნით, „მცხე-

თა ახელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალა განდიდნებოდა"[136]. მაშ. რამ შეუწყო ხელი თბილისის ზრდა-განვითარებას და მცხეთის დამცრობას? ძირითადი ფაქტორების მიხედვით, რომლებზედაც ზემოთ მოკლედ შევნიშნეთ (ეკონომიკა, გეოგრაფიული მდებარეობა, გზა), მცხეთის უპირატესობა დამაეჭვებელი არ უნდა იყოს.

მცხეთის დაცემა და თბილისის წამოწევა ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო შექმნილი პოლიტიკური ცხოვრებით. აქ მეტად ძუნწი წერილობითი ცნობების გამოყენება იქნება საჭირო.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს" მიხედვით IV საუკუნის მეორე ნახევარში მირდატის მეფობის შემდეგ ...„დადგა ვარაზ-ბაკურ მეფედ და მისა ზევე სპარსთა მეფისა მარზპანნი შემოვიდეს სივნიეთა და იგი ხიდად უკუჳდა. და მთავარ ებისკოპოსი იყო იგივე იობ. და მაშინ მოვიდა ქრამ ხუარ ბორზარდ სპარსთა მეფისა პიტიახში ტფილისად ქალაქად, ციხედ, და ქართლი მისსა ხარკსა შედგა და სომხითი და სივნიეთი და გუასპურაგანი".[137]

წყაროდან აშკარად ჩანს, რომ სპარსთა მეფის პიტიახში ცარიელ ადგილზე კი არ მოსულა, არამედ ის თბილისის ციხე-ქალაქში შემოსულა „ტფილისად ქალაქად, ციხედ". აქ ამ შემთხვევაში მაინცდამაინც არ ვაპირებთ ვამტკიცოთ, რომ „ქალაქად, ციხედ" სწორედ „ციხე-ქალაქის" სინონიმია, თუმცა არც ეს არის გამორიცხული; ამჯერად ყურადღებას იმსახურებს ფაქტი, რომ სპარსელები თბილისში შემოსულან, მის ციხეში დამკვიდრებულან და არა ცარიელ ადგილზე გაჩერებულან.

ლეონტი მროველი ცოტა სხვანაირად გადმოგვცემს ამ ამბავს. სპარსელები სომხითის მოოხრების შემდეგ შემოდიან ქართლში „და აღაშენა ერისთავმან სპარსთამან ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად"[138]. აქ არაფერია ნათქვამი თბილისის ქალაქობაზე თუ ციხე-ქალაქობაზე და სპარსელ ერისთავს მიეწერება თბილისის ციხის აშენება. ორივე ცნობის შეჯერების შედეგად სავარაუდოა დასკვნა: სპარსთა მეფის პიტიახში მოდის თბილისს, რომელიც უკვე ციხე-ქალაქია, იმორჩილებს მას და აშენებს თუ ამაგრებს „ციხედ მცხეთისად". ქართველთა მეფემ ვარაზ-ბაქარმა სთხოვა დაზავება სპარსელებს. იგი იძულებულია „შიშისაგან დიდისა" მიიღოს მოწინააღმდეგის პირობები, დაუთმოს სპარსელებს რანი და მოვაკანი; „ხოლო ერისთავმან სპარსთამან მისცა ციხე ტფილისისა და წარვიდა".[139]

ლეონტი მროველის მიხედვით სპარსთა ერისთავი თბილისის კართა შორის აშენებს ციხეს, წყაროს სიტყვებით „ციხედ მცხეთისად". ეს განა ნიშნავს ციხის აგებას მცხეთის დასაცავად, მის გასამაგრებლად, როგორც ზოგი მკვლევარი ფიქრობს? რა თქმა უნდა, არა, პირიქით, ის უნდა მიუთითებდეს ციხის აგებას მცხეთის საწინააღმდეგოდ, მის მეტოქედ, საკონტროლოდ.[140] ესეც რომ არ იყოს, სპარსელები რატომ ააგებდნენ თბილისში ციხეს მცხეთის დასაცავად, რომელიც მათდამი მტრულად იყო განწყობილი? ერთი სიტყვით, სპარსელები ცდილობენ თბილისში შექმნან ცენტრი ქართლის სამეფო კარის

---

[136] მოქცევაჲ ქართლისაჲ, აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 95.

[137] იქვე, გვ. 91 — 92.

[138] «ქ ც-ბაჲ», I, გვ. 136.

[139] «ქ ც-ბაჲ», იქვე.

[140] შდრ. შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი, მ. დუმბაძე, ა. სურგულაძე, თბილისის ისტორია, გვ. 7.

დასაპირისპირებლად, სადაც მათი წარმომადგენელი იჯდებოდა. სპარსელები თბილისში იდებენ ბუდეს, მას ამაგრებენ მცხეთის საწინააღმდეგოდ. ამასვე უნდა მიუთითებდეს წყაროს „ციხედ მცხეთისად“. საგულისხმო ფაქტია, რომ ვარაზ ბაკურის შემდეგ ბაკურმა იმავე „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვის“.[141] აქ დაახლოებით საპირისპირო ხასიათის ღონისძიება იყო მიღებული. თბილისში ციხის აგებას, მცხეთის საწინააღმდეგოდ, ქართველებმა უპასუხეს მცხეთის ციხის — არმაზის გამაგრებით „სპარსთა შიშისათვის“.

რომ თბილისისადმი ინტერესი და მისი გამაგრება მცხეთის საპირისპიროდ იყო გამიზნული, კარგად ჩანს ვახუშტის ცნობიდანაც; მას ასევე ესმის სპარსთა ერისთავის მიერ თბილისის ციხის აგება: „კზ მეფის ვარაზბაკურის ჟამსა შინა აღაშენა შურის ციხე მცხეთისათვის ერისთავმან სპრასთამან“[142]. ადგილის სახელი „შურის ციხე“, წამოყენებული ვარაუდის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ლ. მელიქსეთ-ბეგი ლეონტი მროველის ტექსტის ადგილს „ტფილისის კართა შორის ციხედ მცხეთისად“ სხვანაირად განმარტავდა. მისი აზრით, „კართა შორის“ გულისხმობდა „დარიალის და კასპიის კართა შორის“, საიდანაც სიტყვა „შორის“ დამახინჯებულია მოგვიანო ავტორების და მათ შორის ვახუშტის მიერაც, რის შედეგად თითქოს იყო მიღებული „შურის ციხე“ (შორის — შურის)[143]. ლ. მელიქსეთ-ბეგის ასეთ შენიშვნას წყაროების აღნიშნული ადგილების მიმართ ჩვენ ვერ გავიზიარებთ. ჯერ ერთი, შეუძლებელია თბილისი ვიგულისხმოთ „კართა შორის (ე. ი. კავკასიანთა, ანუ დარიალის და კასპიის კართა შორის)“[144] და მეორეც, როგორც უკვე ითქვა, ვახუშტის „შურისციხე“ შესანიშნავად ხსნის ლეონტის ცნობას მცხეთის საპირისპიროდ თბილისის ციხის აგების თაობაზე. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ „შურის ციხე“ ცნობილი იყოს საქართველოში სხვაც; „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით „აუგეს შურის-ციხე და დააყენეს შიგან ლაშქარი“[145].

ქართლში სპარსული ელემენტის გაძლიერებამ თბილისის თანდათანობითი წინ წამოწევა გამოიწვია. სპარსელები ცდილობენ ქართლში მეფობის მოსპობას. ეს მათ, მართალია, ვერ მოახერხეს ვერც შაბურ II-ის ენერგიული ზომების შედეგად, მაგრამ ის კი შესძლეს, რომ მეფის ხელისუფლება საკმაოდ შეზღუდეს, რაზედაც აშკარად მიუთითებს სპარსელი მოხელის — პიტიახშის თბილისში დამკვიდრება. ამიერიდან ქართლში თბილისის სახით იქმნება მეორე პოლიტიკური ცენტრი, რომელიც უცხო ელემენტის სამკვიდრებელია. იგი ყოველნაირად ცდილობს კონტროლის ქვეშ იყოლიოს ქართლის სამეფო კარი. სპარსელები ამაგრებენ თბილისს მცხეთის წინააღმდეგ, ქართველი მეფეები კი აძლიერებენ მცხეთაში არმაზს „სპარსთა შიშისათვის“.

შეეძლო ქართლის სამეფო კარს, რომ მშვიდად ემზირა მის გვერდითვე, საკუთარ სამფლობელოში ჩასახლებული მეტოქისათვის? რა თქმა უნდა, არა,

---

[141] «მოქცევაჲ ქართლისაჲ», გვ. 92.

[142] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 52.

[143] ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ-ბ ე გ ი, ძალისა-თბილისი-ფაიტაკარანი, «თბილისი — 1500», თსუ საიუბილეო კრებული, გვ. 32—33, 36.

[144] ი ქ ვ ე, გვ. 33.

[145] «ქ ც-ბა», I, გვ. 268.

ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობიდან კარგად ირკვევა. თუ რანაირად მიისწრაფვოდა იგი თბილისის დასაუფლებლად. V საუკუნიდან პიტიახშების რეზიდენცია თბილისიდან ცურტავში გადადის და ამიერიდან აღნიშნული მოხელის ადგილსაც ახლა უკვე ადგილობრივ დიდებულთა წრიდან გამოსული პირი იჭერს ხოლმე. ვახტანგ გორგასალის მოღვაწეობის პირველ პერიოდში მის წასვლამდე საბერძნეთში სალაშქროდ, სპარსელებთან ომის დროს, თბილისი რამდენიმეჯერ იყო აოხრებული „ტფილისი სოფელი და კალაიცა მოოხრებულ იყო მაშინ",[146] აღნიშნავდა ჯუანშერი.

ვახტანგ გორგასალს კარგად ესმოდა, რომ თბილისის დაუფლებით იგი დასაყრდენს აცლიდა სპარსელებს, რომელნიც საქართველოში დამკვიდრებას ცდილობდნენ. თბილისი საცილობელ ობიექტად იქცა. ამასთანავე იგი შესანიშნავი ფორპოსტი იყო აღმოსავლეთის პროვინციების დაუფლებისათვის. ამ ბრძოლაში მისი გამაგრებული N — S სტრატეგიული ხაზი მცხეთა-თბილისი-რუსთავი-ხუნანი საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა. მეორე ხაზი W—O იყო თბილისი-უჯარმა-ჭერემი.

IV—V საუკუნეებში ქართლში შექმნილმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ თბილისი წინა რიგში გამოიყვანა. ვახტანგ გორგასალის პოლიტიკურმა ზრახვებმა საბოლოოდ განსაზღვრა თბილისის მომავალი ბედი. ამ გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწის როლი თბილისის ისტორიაში განსაკუთრებულია. ამიტომაცაა, რომ მას თბილისის პირველ მშენებლადაც მიიჩნევენ: „ვახტანგ აშენებდა ქალაქსა ტფილისისასა და საფუძველი ოდენ დაუდვაო",[147] — წერდა ჯუანშერი. რა თქმა უნდა, მხოლოდ საფუძვლის დადებაზე ლაპარაკი გორგასალის დროს ზედმეტია, რადგან გაცილებით ადრე აქ საკმაოდ მნიშვნელოვანი ალმშენებლობითი ღონისძიებანი იყო ჩატარებული. ვახტანგს, როგორც ვარაუდობენ, სხვა რაღაც დამატებითი სამუშაოები უწარმოებია.[148]

მაგრამ აქ შესაძლებელია არც იყოს შეცდომა. წყაროებს თავისებურად ესმით ქალაქის აშენება. ადრე, სპარსელთა პიტიახშის დროს, ნახსენებია ციხე-ქალაქი, ციხე, თავდასაცავი ერთეული. ვახტანგი კი აშენებს ქალაქს, ციხისაგან გამოცალკევებულ ნაწილს, ეჭვი არ არის, ეს ქალაქი ციხესთან ერთად ჰქმნის ერთ ერთეულს — ქალაქს, მთლიანად თბილისს. გავიხსენოთ რას ამბობს წყარო ჭერმის მშენებლობის შესახებ: „და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი მანვე აღაშენა".[149] აქ, რა თქმა უნდა, ქალაქის მშენებლობა, ისევე როგორც თბილისის მიხედვით, გულისხმობს გარკვეული საქალაქო ნაგებობების შექმნას (სასახლე, ბაზარი, ადმინისტრაციული ნაგებობანი და სხვ.) და ამდენად არის გორგასალი ქალაქის ამშენებელი. რაც შეეხება ციხეს, ის გაცილებით ადრეა შექმნილი, თუმცა, როგორც შემდეგ ვნახავთ, მასაც ატყვია გორგასალის ხელი.

თბილისის მშენებლობა ანდერძისამებრ დაჩისაც გაუგრძელებია, უფრო მეტიც, მის დროს თბილისი იქცა სატახტო ქალაქად — „განასრულნა ზღუდენი ტფილისისანი და ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შექმნა სახლად სამეუფოდ".[150] ამ ადგილიდან კარგად ჩანს, რომ გორგასალის მიერ წარმატებით

---

[146] „ქ. ც-ბა", I, გვ. 181.
[147] „ქ. ც-ბა", I, გვ. 200.
[148] შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი..., დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
[149] „ქ. ც-ბა", I, გვ. 199.
[150] „ქ. ც-ბა", I, გვ. 205.

დაწყებულ საქმეს ქალაქის მშენებლობისას, ამთავრებს დაჩი. მას დაუსრულებია ქალაქისათვის ზღუდის შემოვლება. ზღუდეში აქ ნაგულისხმევია უშუალოდ ქალაქის კედელი და არა ციხის ნაწილი.

თბილისი ამიერიდან ცენტრია ახალი ფეოდალური კლასისა, აზნაურობისა, რომელმაც VI საუკუნის დასაწყისიდან პოლიტიკური ბატონობაც მოიპოვა — „ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო ახალი ფეოდალური ქალაქის, თბილისის არა მარტო პოლიტიკური გაძლიერებისათვის, არამედ მისი შემდგომი ეკონომიური დაწინაურებისათვისაც".[151] თბილისი ახალი სოციალური ძალის დასაყრდენად და სამყოფელად იქცა. აქ დაახლოებით ისეთივე მდგომარეობა ჩანს, როგორც სომხეთში, სადაც ახალი სოციალური ძალის შემოჭრით ანტიკური არტაშატი ეცემა და სამეფო რეზიდენცია გადადის დვინში, როგორც ახალი ცხოვრებით შექმნილ დედაქალაქში.

აი, ამ მიზეზების გამო მცხეთის მნიშვნელობა ეცემა და ასპარეზზე გამოდის თბილისი, რომელიც VI საუკუნეში უკვე სამეფოს დედაქალაქად იქცა. ყველაფრიდან ჩანს, რომ მცხეთა წინაფეოდალური სამეფოს ცენტრია. მაღალი ეკონომიური დონით, რომელიც ანტიკური სამყაროს ბევრი დამახასიათებელი ელემენტით ხასიათდება. მისგან განსხვავებით თბილისი აღმოსავლური ქალაქია, აღმოსავლეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, ფეოდალური სოციალურ-ეკონომიური ბაზისით. როგორც ზევით ითქვა, მცხეთის უპირატესობა განმსაზღვრელ ფაქტორებში, თბილისთან შედარებით თითქოს უდავო უნდა იყოს. თბილისის დაწინაურება ძირითადად პოლიტიკური მოვლენებით იყო გაპირობებული, თუმცა იგი არც სხვა ფაქტორებს იყო მოკლებული (ეკონომიური, გეოგრაფიული, სტრატეგიული). აქედან მოყოლებული თბილისი ქართლის სამეფოს და მთლიანად საქართველოს უცვლელი ცენტრია.

### ნ. გარდამავალ ხანაში დაწინაურებულ ქალაქთა ტოპოგრაფია

ქალაქის გარეგანი სახის გამორკვევა ერთ-ერთი მთავარი საკითხია თვით დასახლების რაგვარობის გასაცნობად. ქალაქის ტოპოგანლაგება ანარეკლია იმ სოციალური გარემოსი და პოლიტიკური სურათისა, რომელიც მოცემულ პუნქტს ახლავს თან. ანტიკურმა ხანამ ქალაქის თავისებური ტიპები წარმოშვა, რომლებიც ამა თუ იმ ნიშნებით არიან გამორჩეულნი. ქალაქის განმსაზღვრელი პირობა წინ არის წამოწეული.

გარდამავალ ხანაში, არაერთხელ იყო აღნიშნული, არ არსებობდა პირობები ქალაქების წარმოშობისათვის: რამდენიმე პუნქტის დაწინაურება შექმნილი პოლიტიკური ვითარების და აღნიშნული ადგილების სტრატეგიული უპირატესობის წყალობით არის მომხდარი. ამდენად უნდა ველოდოთ, რომ ამ პუნქტებში ეს მხარე განსაკუთრებით ძლიერი იქნება. განხილვის სფეროში შეიძლება მოვაქციოთ ზემოთ უკვე განხილული პუნქტები — თბილისი, უჯარმა და ჭერემი, რადგანაც მიგვაჩნია, რომ სწორედ ესენი არიან, რომლებიც მკაფიოდ ასახავენ აღებული ხანის ნიშნებს. რაც შეეხება არტანუჯს, ასევე გორგასალის მიერ დაფუძნებულ ციხეს და შემდეგ კი მოწინავე ქალაქს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვიხილოთ შემდეგ თავში, რადგან ის თბილისთან

---

151 შ. მესხია, დ. გვრიტიშვილი..., დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

ერთად ახალქალაქობის ჟამს დიდ განვითარებას აღწევს, როგორც ახალი ფეოდალური ქალაქი. ამ მხრივ ის გამონაკლისია უჯარმასთან და ჰერემთან შედარებით. ესეც რომ არ იყოს, არტანუჯის შესახებ, მხედველობაში გვაქვს მისი გარეგანი იერი, განლაგება, ძეგლები, ბევრი არა ვიცით რა, გარდა იმ ცნობებისა, რასაც ვხვდებით რევოლუციამდელ გამოცემებში.

გარდამავალ ხანაში ციხე-ქალაქების წარმოშობის განსაკუთრებული პირობების გამო საქმე გვაქვს ძლიერ საფორტიფიკაციო ნაგებობებთან, რომლებიც პირველ ხანებში განსაზღვრავენ უმრავლეს ნაგებობათა ხასიათს. უჯარმა პირველყოვლისა ციხეა, გამაგრებული სტრატეგიული ადგილია. მიუხედავად იმისა, რომ იქ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ნაგებობები გაჩნდა (ეკლესიები, სასახლე), ეჭვი არ შეიძლება შეგვეპაროს, რომ ის პირველ რიგში გამაგრებული ადგილია. თავის დროზე მივუთითებდით განმასხვავებელ ნიშნებზე და დროის მიხედვით პუნქტების მონაცვლეობაზე უჯარმის მიდამოებში, რომ ქალაქი უჯარმა, ჯერ კიდევ III საუკუნეში მოხსენებული, ეს შეიძლება სულ სხვა ადგილზე გაშენებული ქალაქია (დღევანდელი სოფ. უჯარმა) და ციხე-ქალაქი უჯარმა კი ვახტანგ გორგასალის მიერ შექმნილი სიმაგრე არის ის, რომელიც ითხრებოდა არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. თუ ეს ასეა, მაშინ ციხე-ქალაქი უჯარმა, ჩანს, ორი ნაწილისაგან არის შედგენილი, რომელთაგანაც ორივე დაცულია ძლიერი ზღუდით. აქ საქმე უნდა გვქონდეს პუნქტთან, რომლის ცხოვრებაც ქალაქის კედლებში მიმდინარეობს. ეს ასეა მოსალოდნელი, მისი არსებობის პირველ ხანებში მაინც.

თბილისის ციხეც ასევე პირველი ადგილია, ლაპარაკია „კალაზე". სადაც იწყებენ მდინარის ვიწროების გამაგრებას. აქ მოვიდა სპარსთა პიტიახში, რომელიც მანვე ააშენა თუ გაამაგრა „ციხედ მცხეთისად". თბილისის ციხე საკმაოდ დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი და შემოსაზღვრული გალავნით. თბილისის ციხე ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგებოდა. პირველია უშუალოდ ციტადელი დედა-ციხე, რომელიც ზედა ნაწილში ქედზე იყო გაშენებული, და მეორე, ციხის დანარჩენი ნაწილი, რომელიც მოიცავდა ქედის ფერდობებს მტკვრისაკენ მიმდებარე კალთებზე. „კალას" ერთი კედელი ჩამოუყვებოდა წავკისის (დაბახანის) წყლის გასწვრივ მტკვრისაკენ და მეორე, მისსავე პარალელურად, ჩრდილოეთის მხარეს. შიდა-ციხეს გაცილებით მცირე ფართობი ეკავა შემოზღუდულ არეში და ალბათ ამიტომაც მას მეორე სახელიც შეერქვა — „ნარიყალა", ე. ი. ნარინ-ყალა, მცირე ციხე (ნარინ მონღოლური სიტყვაა, ნიშნავს მცირეს, პატარას).[152]

გეგმარების მხრივ თბილისის „კალა", ასევე უჯარმა დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ერთმანეთთან (სურ. 1, 2). ორივე შეფენილია მდინარის დამრეც ფერდზე, რომლის ქედზედაც შიდა ციხეა აგებული, ქვედა ნაწილი კი, რომელიც მდინარემდე ჩამოდის, დასახლებულია. განსხვავება მხო-

[152] თბილისის უძველესი უბნის აღმნიშვნელი სახელი «კალა», რომელიც წყაროებში გვხვდება, მოსალოდნელია მომდინარეობდეს არაბული قلعة-დან რაც ნიშნავს ციხეს, ისევე როგორც მის მოპირდაპირე მხარეს მდებარე ისანი-ჰისანი არაბული حصن-დან, ასევე ციხის აღმნიშვნელი ტერმინიდან მოდის. ს. ჯანაშია ვარაუდობდა, რომ «კალა» შესაძლებელია ადგილობრივი გეოგრაფიული სახელი იყო გარეგნულად მსგავსი არაბული სიტყვისა (შრომები, I, გვ. 11). ასეთი მოსაზრება ძნელი გასაზიარებელია, რადგანაც «კალა» არაბულის გზით შემოსული სახელი სწორედ «ციხეს» მიემართება და არა სხვა ნაგებობას. მთელს აღმოსავლეთში ის გავრცელდა ასეთი მნიშვნელობით.

ლოდ უმნიშვნელო დეტალებშია; ესეც შეიძლება აიხსნას იმით, რომ უჯარმამ თითქმის პირვანდელი სახით მოაღწია, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ზოგიერთ გადაკეთებას, თბილისის ციხე კი, მხედველობაში გვაქვს არა იმდენად გეგმარება, რამდენადაც მშენებლობის ტექნიკა, სრულიად შეცვლილია. უამრავჯერ არის დანგრეული თბილისის ციხე, მუიხედავად ამისა, ძირითადად




სურ. 1. თბილისის ციხის სქემატური გეგმა (არქ. ვ. ცინცაძის მიხედვით).

გეგმარება ერთი და იგივეა, კედლების შენების ტექნიკა კი სრულიად განსხვავებული. მოსალოდნელია, რომ ციხის უძველესი კედლები ქვით იქნებოდა ნაგები. ეს ბევრგან აშკარადაც ჩანს, აგურით ნაგები ზღუდე-გალავნები — მოგვიანო მშენებლობის ფენებია.[153]

თბილისის და უჯარმის ციხეებს აშკარად ეტყობათ ერთი ხელი. გორგასალის დამსახურება აქ დიდია. სრულიადაც არ არის გამორიცხული თბილისის ციხე ყოფილიყო ისევე მწყობრად ნაგები თლილი ქვებით, „გორგასლურად“, როგორც უჯარმის ზღუდე-გალავნები, ანდა ჰერმის შენობები. ციხეების გეგმარების მსგავსება და წერილობითი ცნობების მონაცემები ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებენ.

ე. ი. პირვანდელი უჯარმა, ციხე-ქალაქი, ასევე თბილისი — ციხე წარმოდგენილია შიდა-ციხეებით და გალავნით შემოზღუდული ტერიტორიით. მათი მთავარი დანიშნულების მიხედვით ძირითადია ციტადელი და კოშკები, სადაც გარნიზონი იყო განლაგებული; მაგრამ სად იყო განლაგებული მოსახლეობა, საცხოვრებელი რაიონი? პირველ ხანებში, მოსალოდნელია, მოსახლეობა

---

[153] В. Цинцадзе, Тбилиси, Тб., 1958, стр. 27; IX—X საუკუნეებში არაბული წყაროების მიხედვით თბილისს ალიზის კედელი ჰქონია, ისტახრის მიხედვით ალიზის ორი კედელი და სამი კარი, ტაბარის ცნობით კი ქალაქს ხუთი კარი ჰქონია.

ცხოვრობდა შიდა-ციხის გვერდითვე, რომელიც ასევე დაცული იყო, შემდეგ კი მოსახლეობა მრავლდება და ის თანდათანობით გადის ზღუდის გარეთაც, ეს განსაკუთრებით თბილისს შეეხება.

ყველა ავტორი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, ერთხმად აღიარებს, რომ ძველი მოსახლეობა თბილისში აბანოების უბანში უნდა იყოს გაჩენილი: „თავდაპირველად მოსახლეობა და ქალაქის შენობები დღევანდელ აბანოს უბანში უნდა გაჩენილიყო, რადგანაც სწორედ ამ პუნქტის საკუთარი სახელი უნდა იყოს „ტფილისი", მიღებული აქ არსებული თბილი (ძველქართული გამოთქმით — „ტფილ") მინერალური წყაროებისაგან, და რადგანაც აქვე იყო ტფილისის ციხე-სიმაგრე"[154]. ჩვენ ასეთ ვარაუდს ვერ გავიზიარებთ. პირველი დასახლება აბანოების უბანში არ უნდა გაჩენილიყო. ცხელი წყაროები, ნაკადულებად დახრამული და დაჭაობებული ზედაპირით, მეურნეობისათვის გამოუსადეგარი ნიადაგით, მაინცდამაინც სახარბიელო არ უნდა ყოფილიყო დასახლებისათვის. ის ამბავი, რომ თბილისის სახელწოდება შეიძლება ამ ადგილის მიხედვით წარმოსდგებოდეს, სრულიად არ ნიშნავს მაინცდამაინც პირველად აქ დასახლებას. რაც მთავარია, ასეთ ვარაუდს არ ეთანხმება არქეოლოგიური მონაცემები. 1948—1949 წლებში წარმოებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ დღევანდელი ბალნეოლოგიური კურორტისა და 300 არაგველის ბაღის ტერიტორიაზე საკმაოდ მძლავრი მოსახლეობა ყოფილა. უამრავ არქეოლოგიურ მასალაში ვერ ვხვდებით ადრეფეოდალური ხანის ნივთებს. უდიდესი უმეტესობა XI—XIII საუკუნეების ძეგლებია. განათხარი რაიონი მჭიდროდ ეკვრის და ნაწილობრივ ემთხვევა კიდევაც აბანოების უბანს. ისე, რომ არქეოლოგიური მონაცემებითაც ძნელია ასეთი მოსაზრების დამტკიცება. აბანოების უბნის დასახლება მოსალოდნელია განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ მოაწყვეს აბანოები, წისქვილები და, რაც მთავარია, ქალაქის ზღუდე გადმოსწიეს სამხრეთით. ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო არა IV—V საუკუნეებში, არამედ, მეტნაკლები სიზუსტით, IX საუკუნეში.



სურ. 2. უჯარმა. ციხე-ქალაქის გეგმა (არქ. ე. ცინცაძის მიხედვით).

---

[154] ს. ჯანაშია, თბილისის ისტორია, შრომები, I, გვ. 12; შ. მესხია და ავტორთა ჯგუფი, თბილისის ისტორია, გვ. 28.

ზემოხსენებული მოსაზრების ავტორები, სხვათაშორის, შეუძლებელია ვახუშტის გავლენის ქვეშ არ იყვნენ მოქცეულნი, რომლის მონაცემებიც უდავოდ ეჭვმიუტანელია, ოღონდ არა ძველი თბილისისათვის, არამედ გვიანი შუასაუკუნეების ქალაქისათვის. ვახუშტის მიხედვით: „ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს; კალას უდის ჩრდილოთ აღმოსავლით, ტფილისს — ჩრდილოთ და ისნს — დასავლით და სამხრით. ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის-წყალი, რომელიც გამოსდის წავკისისა და კოჯრის მთებსა...“[155]

რა თქმა უნდა, ასეთი მცირე მონაცემების პირობებში ძნელია გადაჭრით განსაზღვრა, მაგრამ ვარაუდით მაინც შეიძლება ითქვას, რომ სულ ძველი ფენის მოსახლეობა ალბათ ცხოვრობდა უშუალოდ ციხეში[156], V საუკუნეში კი გადის გარეთ და პირველ რიგში ითვისებს თბილისის ციხის აღმოსავლეთით, ისნის პირდაპირ მდებარე ადგილებს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს. ვახტანგ გორგასალის მიერ ქალაქის აშენება აქ არის მოსალოდნელი. დაჩიმ კი ციხიდან გამოსულ მოსახლეობას „განუსრულნა ზღუდენი ქალაქისანი“.

გორგასალის მიერ ქალაქის აშენება და დაჩის მიერ ზღუდის გასრულება თბილისის გარეგან სახეში ახალ კომპონენტს აჩენს, რომელიც სხვებს არ გააჩნიათ (უჯარმა, ჰერემი). აქ ის უკვე ასწრებს სხვებს. ამჯერად თბილისის ტოპოგანლაგებაში თბილისის ციხის გვერდით ჩნდება ახალი უბანი, უშუალოდ ქალაქი, რომელიც პირველივე ხანებიდან მჭიდროდ ესახლება. ამის შემდეგ თბილისის ტერიტორიული ზრდა არ შეჩერებულა. შეფერხებანი მტრების შემოსევების გამო დროებითი იყო. მან განსაკუთრებული ზრდა და მატება IX—X სს. შემდეგ განიცადა.

როგორც ჩანს, VI ს. დასაწყისისათვის თბილისს ორი ძირითადი ნაწილი აქვს — ციხე და ქალაქი.[157] ციხე თავისთავად ორი ნაწილისაგან შედგენილი, განიცდის მისი დასახლებული ადგილის ზრდას და გადადის ქალაქის ტერიტორიაში, რომელიც თვითვე იჩენს ზღუდეს.

VI საუკუნიდან, წერილობითი მონაცემების მიხედვით, თბილისს უჩნდება მესამე ნაწილიც. თბილისის ციხის პირდაპირ მდებარე ადგილი, თანამედროვე მეტეხი და ავლაბარი, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით შეუძლებელია ყურადღების გარეშე დარჩენილიყო, თუნდაც თბილისის ციხის აგების დროს. სამწუხაროდ, ამ დროის შესახებ არავითარი ცნობები არა გვაქვს შემონახული. არაბი გეოგრაფების მიხედვით ეს ადგილი ხოსრო ანუშირვანმა (531—579 წწ.) დაასახლა სოღდელებით. სპარსული მოდგმის ხალხით და ამიტომ იწოდებოდაო ის სოღდებილად[158]. როგორც ვარაუდობენ, სახელი ნაწარმოები უნდა იყოს ქართული საგოდებლისაგან. საგოდებელი ერქვა აქ არსებულ ქალაქის სასაფლაოს. ყოველ შემთხვევაში ასე აქვს მითითებული იოანე საბანის ძეს („ადგილსა, რომელსა საგოდებელ ეწოდების, რამეთუ მუნ არს საფლავები კაცთა მის ქალაქისათა“[159]).

---

155 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 52.

156 შ. მ ე ს ხ ი ა..., დასახ. ნაშრომი, იქვე.

157 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, გვ. 12.

158 ი ა კ უ თ ი, გეოგრაფიული ლექსიკონი, III, გვ. 395.

159 აგიოგრაფიული ძეგლები, I, გვ. 73; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 33.

ამდენად, VI საუკუნის ბოლოსათვის უკვე თბილისში სამი ძირითადი ნაწილი შეიძლება გაირჩეს: თბილისის ციხე, ქალაქი გორგასალის აშენებული და სოღდებილი, რომელიც მოგვიანებით ისნის სახელით გახდა ცნობილი.

გარდამავალ ხანაში დაწინაურებულ პუნქტთაგან ასეთი მრავალნაწილიანობა მხოლოდ თბილისს ახასიათებს. ამდენად მისი გარეგანი სახე არ შეიძლება იყოს გასავრცელებელი სხვებზე. უჯარმის ტოპოგანლაგება სრულიად მსგავსია თბილისის უძველესი ნაწილისა. თბილისი თავისი უბნებით რამდენადმე შეიძლება შევუდაროთ ანტიკურ ქალაქებს, მხოლოდ ერთი განსხვავებით: თბილისში უბნები მიღებულია ქალაქის თანდათანობითი ზრდით და მოსახლეობის გამრავლებით, ძველ ქალაქებში კი მრავალუბნიანობა უმთავრესად მიიღებოდა ცალკეული პატარა-პატარა სამოსახლოების ერთ ეკონომიურ ცენტრში გაერთიანებით. ეს ანტიკური ხანის ქალაქებისათვის დამახასიათებელი ნიშანი იყო, რამდენადაც ქალაქი იშენებოდა მტკიცე ეკონომიურ საფუძველზე, სხვადასხვა მეზობელი დასახლებული ადგილების (შემდგომად ქალაქში ცალკე უბნებად იყვნენ წარმოდგენილები) კონსოლიდაციის გზით. თბილისში ასეთ პროცესს ადგილი არ ჰქონია. ქალაქის ზრდა ხდებოდა ძირითადად ერთი წერტილიდან. ეს არის ძირითადი ნიშანი პოლიტიკური მოტივებით და სტრატეგიული მიზნებით წარმოშობილი განვითარებული ქალაქებისა.

## 7. VI — VIII საუკუნეები — ქალაქების დაცემის ხანა

თუ ე. წ. „გარდამავალ ხანაში" კვლავ ძლიერია საქალაქო ცხოვრების ამსახველი მატერიალური კულტურის ძეგლები, უმთავრესად ანტიკური ქალაქების განვითარების ინერციით მიღებული, ამის შემდეგ მკვეთრი შემობრუნებაა. ახალი ფორმაცია უკვე დამკვიდრებულია და ამას კი არ შეიძლებოდა თავისი დაღი არ დაესვა საქალაქო ცხოვრებაზედაც.

VI საუკუნიდან მოყოლებული, ქართული ქალაქების დაცემის ხანა იწყება. საქმე ეხება ძველს, ანტიკურ ქალაქებს, რომელთა განვითარებასაც ბზარი ჯერ კიდევ IV საუკუნიდან გაუჩნდა. VI საუკუნიდან, უფრო სწორედ ამ საუკუნის ბოლოდან, ფეოდალიზმის დამკვიდრების ხანიდან მოკიდებული, ეს ქალაქები თმობენ თავის პოზიციებს. დაცემა და დაქვეითება განსაკუთრებით იმ ქალაქებს დაეტყო, რომლებიც ადრე აღნიშნული კლასიფიკაციით სავაჭროსახელოსნო ცენტრების კატეგორიაში ექცეოდა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ და სტრატეგიულ პოლიტიკურ ცენტრებს, ისინი გარკვეულ უპირატესობას კვლავ ინარჩუნებდნენ. ზოგი მათგანი (თბილისი, არტანუჯი, უჯარმა, ჰერეთი) სწორედ გარდამავალ ხანაში დაწინაურდა პოლიტიკური ამბების გამო. ამავე მიზეზებით ისინი დაცემის ხანაშიც ინარჩუნებენ მოწინავე მდგომარეობას ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში.

XI საუკუნის ისტორიკოსი ჯუანშერი მურვან-ყრუს საქართველოში ლაშქრობის აღწერისას გადმოგვცემს: „მოვიდა (მურვან ყრუ, ლ. ჭ.) სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრხისათა. რამეთუ იყო მაშინ ქალაქი იგი სახელოვანი, ძ ვ ე ლ ნ ა ქ მ ა რ თ ა მ ი ს თ ა თ ვ ი ს"[160] (ხაზი ჩვენია, ლ. ჭ.). ე. ი. VIII საუკუნის 30-იანი წლებისათვის ოძრხე, ანტიკური ქართული ქალაქი კვლავ

[160] «ქ ც-ბაჲ», I, გვ. 234.

სახელოვანია. მაგრამ სახელოვანია არა აწინდელი საქმეების გამო, არამედ ტრადიციით, ძველი ზურგი მოსდევს. „ძველ ნაქმართა მისთათვის“. ეს სიტყვები ოძრხის შესახებ არის ნათქვამი. მაგრამ განა მარტო ოძრხე იყო ამ დროს ასეთ მდგომარეობაში? ჯუანშერის ეს შესანიშნავი გამოთქმა ზუსტი დახასიათებაა ადრეული შუასაუკუნეების. უფრო კი დაცემის ხანის ქართული ქალაქებისათვის, რომელნიც ტრადიციითღა არსებობენ. არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ მათ ისევ ქალაქობით მოიხსენიებენ სწორედ „ძველ ნაქმართა“ გამო.

ეს გარემოება კარგად აქვთ შენიშნული მოგვიანო ავტორებს. აი, რას წერდა X საუკუნის სომეხი ავტორი უხტანესი V საუკუნის ცნობილი პოლიტიკური ცენტრის ცურტავის შესახებ: „ცურტავი — სახელი იგი, რომელი ძარადის მოვიხსენიეთ უწყებასა შინა, აქაცა ვახსენოთ. მაშინ იგი ერქუა სახელი, ხოლო აწ სახელად ჰრქვიან გაჯენქი. მაშინ ს ა ვ ს ე დ ა ვ რ ც ე ლ ი დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი დ ი დ ი დ ა ს ა ხ ე ლ ო ვ ა ნ ი იყო, ხოლო აწ დ ა მ ც ი რ ე ბ უ ლ ი დ ა ზ ო მ ი ე რ ი დ ა ბ ა ქ ა ლ ა ქ ი არს კიდესა მის მდინარისასა, რომელსა ეწოდების მისი სახელი — გაჯენაგეტი...“ (ხაზი ჩვენია, ლ. ჭ.).[161] ეს ცნობა რამდენიმენაირად იქცევს ყურადღებას. V საუკუნის „სავსე და ვრცელი დედაქალაქი, დიდი და სახელოვანი“, სადაც პიტიახში იჯდა, თავისი ტაძრით, სასახლით, დაბით, ერთ-ერთი მოწინავეა ქართლის სამეფოში, რამდენიმე საუკუნის შემდეგ იგი დამცრობილია, დაუკარგავს თავისი უპირატესობა და უბრალო დაბა-ქალაქს წარმოადგენს. ეს სურათი ქალაქების დაცემისა, რომელიც ასევე მკვეთრად განიცადეს სომხეთის ქალაქებმა, თავისებურად აისახა სომხურ საისტორიო მწერლობაში.[162] ამიერიდან „დაცემის ხანის“ ქალაქებს მოიხსენიებენ არა ქალაქის სახელით, არამედ უპირატესად დაბა-ქალაქის სახელით, უფრო სწორედ სოფელ-ქალაქის სახელით (სომხ. *գիւղաքաղաք* გიუღა-ქალაქ: გიუღა სოფელია, ქალაქ კი ქალაქი). ეს შესანიშნავი ანარეკლია შექმნილი მდგომარეობისა, როდესაც ქალაქები სოფლის მეურნეობის უპირატესი განვითარების გამო, უფრო სოფლური იერის მატარებელნი არიან, ვიდრე ქალაქურისა.

როდესაც ლაპარაკია ქალაქების დაცემაზე, ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა გვქონდეს ქალაქების მცხოვრებთა ძირითადი საქმიანობა, სახელდობრ, საქალაქო მეურნეობა, წარმოება სავაჭრო პროდუქციისა, ვაჭრობა, ე. ი. ის, რაც ძირითადად განსაზღვრავდა ქალაქის ძირითადი მოსახლეობის პროფილს.

როდესაც წერილობით წყაროებში მცხეთის დაცემაზეა ლაპარაკი, აქ, რა თქმა უნდა, პირველყოვლისა, მისი პოლიტიკური პოზიციების დაქვეითებაზეა გამახვილებული ყურადღება, მაგრამ განა მას ამ დროს საქალაქო ცხოვრების აღმავლობით შექმნილი ეკონომიური საყრდენი გამოცლილი არა აქვს? ეს ბზარი მცხეთაში არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ხომ უკვე IV საუკუნიდან ჩნდება. რაც არ უნდა ჩავუკვირდეთ ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ტექსტში გაბნეულ ცნობებს საქალაქო მეურნეობის დარგების

---

[161] ი. აბულაძე, «მარტვილობა შუშანიკისა», თბ., 1938, გვ. 051.

[162] უხტანესის გარდა შეიძლება დავასახელოთ IX—XI სს. ცნობილი ავტორები იოანე დრასხანაკერტელი და არისტაკეს ლასტივერტელი. იხ. ი. დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით და გამოკვლევით გამოცემული ე. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, თბ., 1965; Повествование Вардапета Аристакеса Ластивертци, перевод с древнеармянского К. Н. Юзбашяна, М., 1968.

მრავალსახიანობაზე, რაც თავისთავად ძვირფასია ამ საკითხის კვლევისათვის, შედეგი ერთია და მას გვერდს ვერ ავუვლით. V — VI საუკუნეების მცხეთის საქალაქო მეურნეობა მხოლოდ აჩრდილია იმისა, რაც აქ იყო გვიანანტიკურ ხანაში. ამის შემდეგ კი უფრო და უფრო გაუარესებაა. სამთავროს სამაროვნის არქეოლოგიური მონაცემები საუკეთესო დადასტურებაა ახალი სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის გამარჯვებით გამოწვეული შედეგებისა, რის შესახებაც ადრე იყო უკვე საუბარი. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს მცხეთის დაცემა გამოეწვიოს მხოლოდ და მხოლოდ დედაქალაქის თბილისში გადმოტანას.

მცხეთის სამაროვნების მიხედვით კარგად ჩანს, რომ ადრეფეოდალური ხანის მეორე პერიოდი (VI — VIII სს.) ნივთიერი მასალის აშკარა გაუარესებით ან სრულიადაც გაქრობით გამოირჩევა (გარდა მინისა). სიღარიბე კარგად იგრძნობა თვით სამარხთა მოწყობის მიხედვითაც.[163]

თითქმის ყველგან ერთი სურათი ჩანს: ძველი, ანტიკური ქალაქების ტერიტორიაზე ადრეფეოდალური ხანის ფენები უმეტესად მარან-ბეღლებით ან სხვა სამეურნეო დანიშნულების სათავსოებით არის წარმოდგენილი. მცხეთაც კი ვერ ასცდა ასეთ ცვლილებებს, აღარაფერს ვამბობთ ურბნისის, რუსთავის და სხვების შესახებ. მცხეთა-ქალაქის ცენტრშივე, საკათედრო ეკლესიის გვერდითვე, უკვე IV—V საუკუნეებიდან ხშირდება მარან-ბეღლების აგების შემთხვევები. ნაგებობებიდან არქეოლოგიური მონაპოვარია სხვადასხვა ზომის ქვევრები, დიდი ორყურა ჩაფები, ხელადები და სხ.[164] ეს მომენტი სრულიადაც არ არის მოულოდნელი: ამიერიდან ქალაქების მეურნეობის ზრდა სდევს სოფლის მეურნეობის დარგების უპირატესი დაწინაურების გზით. ძველი ქალაქები სოფლურობის ჭარბი ელემენტებით ხასიათდებიან.

შესანიშნავი სურათი გამოჩნდა ურბნისის გათხრების შედეგად. ურბნისის, როგორც ქალაქის წარმოშობაში ეკონომიური ფაქტორი მთავარი იყო. მის დაწინაურებას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს მისი მდებარეობა გზების ზონაში. სხვა მხრივ მისი გეოგრაფიული განლაგება სრულიადაც არა ყოფილა ისეთი, რომ ამ უკანასკნელს გადამწყვეტი როლი შეესრულებინოს მისი, როგორც სტრატეგიული პუნქტის, წინ წამოწევისათვის. ადგილი არაფრით გამოირჩევა გარე მიდამოებისაგან, ის არც მდინარეების შეერთებაზე და არც მიუვალ ადგილზეა გაშენებული. მისი, როგორც ქალაქის, წინსვლა გაპირობებული იყო საქალაქო ცხოვრების მაღალი დონით. ის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს წარმოადგენდა. ვიმეორებთ: ანტიკური ურბნისის განმსაზღვრელი პირობა იყო მისი საქალაქო მეურნეობა. ეს ძალიან კარგად ჩანს არქეოლოგიური მონაცემებით. და აი, ასეთ ქალაქში, რომელიც ხელოსნური წარმოების საქმეში და ვაჭრობაში ექიშპებოდა თვით მცხეთასაც კი, ადრეფეოდალურ ხანაში ძირფესვიანი ცვლილებაა; ქალაქი თითქოსდა მთლიანად ქცეულა მარნებისა და ბეღლების ადგილად, ძლიერ დამაფიქრებელია ერთიმეორეზე მიჯრით სამეურნეო დანიშნულების სათავსოების განლაგება. ირკვევა: ეკონომი-

[163] ო. ტყეშელაშვილი, ადრეფეოდალური ხანის მატერიალური კულტურის ძეგლები სამთავროს სამაროვნიდან (ახ. წ. IV—VIII სს.), საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIX—B, გვ. 265.

[164] ა. ბოხოჩაძე, ა. კალანდაძე, კ. ფიცხელაური, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1961 წლის მუშაობის ანგარიში, 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, 1962, გვ. 34.

ური საყრდენი ამ დროის ქალაქებში შეცვლილა, საქალაქო მეურნეობის ადგილს იჭერს სოფლის მეურნეობა, ისე რომ პირველი მცირე მასშტაბებითღა არსებობს.

ურბნისის ნაქალაქარის ძირითად ობიექტებზე, XVI და XX უბნებზე გათხრილი რამდენიმე ასეული კვ. მეტრის ფართობზე დიდი ნაწილი ერთიმეორეზე მიჯრით განლაგებული საცხოვრებელი სათავსოები და მარნებია გამოჩენილი; მარნებში ათეულობით სხვადასხვა ზომის ქვევრებია დადასტურებული. ქალაქის ზღუდის ერთ-ერთ კოშკთან არსებულ მარცვლეულის საწყობში კი დიდი რაოდენობის ხორბლეულს ინახავდნენ. საკმარისია აღინიშნოს, რომ გათხრების შედეგად მიკვლეულია ბეღლის მთელს ფართობზე 0,5 მ-ის სისქის ფენა დამწვარი მარცვლეულისა. ასეთი სურათი ჩანს ურბნისის არა მარტო განათხარ ობიექტებზე, არამედ მთლიანად ქალაქში, რაც კარგად დასტურდება შემთხვევითი მიწის სამუშაოების შედეგად.

მარნებში და საწყობებში, სავარაუდოა, ინახებოდა სასაქონლო პროდუქცია; შეიძლება ამაზე მიუთითებდეს თიხის ბულების აღმოჩენებიც, რომლებზედაც სხვადასხვა გამოსახულებანია მოცემული. გამოსახულებანი მიღებულია რომელიღაც სავაჭრო გარიგების თუ კონტაქტის დადების შემდეგ. სათანადო ბეჭდის დარტყმით. ერთ მათგანზე, მაგალითად, მოცემულია სამი ანაბეჭდი და შეიძლება ის რომელიმე გარიგების დასტური იყოს (სავაჭრო ოპერაციის ორი მხარე და მოწმე — სამი ბეჭდით დამტკიცებული). ბულა ნაპოვნია ერთ-ერთი მარნის გათხრების დროს.

შეიძლება გადამეტებული არ იყოს თუ ვიტყვით, რომ დაცემის ხანაში ქალაქების სასაქონლო პროდუქტს ძირითადად ღვინო და ხორბლეული შეადგენდა. დიდი მოცულობის ქვევრების სიჭარბე განსაკუთრებით ამ დროიდან შეიმჩნევა. მარცვლეული კულტურების მოყვანის ინტენსიფიკაციაზე მიუთითებს უთუოდ საირიგაციო სისტემების შექმნა და ძველების განახლება. „ტყვილიანიდამ ისო წილკანელმა, იგ მამათაგანმან, წამოიღო ყავარჯნის თრევითა რუ, რომელსა მისდევდა უმუშაკოთ წყალი, და მოიღო წილკანს და დის დღედმდე".[165] ასე შემოგვინახა ტრადიციული გადმოცემა ვახუშტი ბაგრატიონმა.

ამ პერიოდში შექმნილი არხებიდან შესაძლებელია დავასახელოთ რუისის ე. წ. „ქვედა რუ", ქვემო ქართლის არხები, ტანას სარწყავი სისტემა. ამავე დროს ჩანს დასრულებული ივრის ქვემო წელის სარწყავი სისტემაც.[166] რუისის „ქვედა რუ", რომელიც რუისისა და ურბნისის გარკვეული ეკონომიური ურთიერთობის ნაყოფია, შეიქმნა ამ ორი პუნქტის სასიცოცხლო ეკონომიური არტერიისათვის ბრძოლის პროცესში. საბოლოოდ ქიშპი დროებით შეწყდა დაახლოებით VI—VII საუკუნეებში, როდესაც ურბნისი დაეუფლა ძველთაგანვე არსებულ ლიახვის ზედა რუს (ეს მისი საკუთარება იყო ანტიკური ხანიდან მოყოლებული) და რუისისათვის კი შეიქმნა სპეციალურად ე. წ. „ქვედა რუ." ახალი რუ, რომლის სიგრძეც დაახლოებით 25 კმ-ია, რწყავდა 2300 ჰექტარ მიწას[167]. თვით ურბნისში არხის რამდენიმე ტოტიც შეიმჩნევა, რომ-

---

[165] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 63.

[166] ი. კ ი კ ვ ი ძ ე, მორწყვა ძველ საქართველოში, ნაკვეთი — მორწყვა ადრე შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 110—124.

[167] ი. კ ი კ ვ ი ძ ე, იქვე, გვ. 117.

რითაც დაქვეითებული იყო უშუალოდ ქალაქის ტერიტორიაც (რუს მილები ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, ნაქალაქარის ცენტრალურ უბანში და ასევე აგურით ნაგები არხი ზღუდის ქვეშ).

დაახლოებით V—VI საუკუნეებში უნდა დასრულებულიყო ივრის ხეობის ქვედა წელის სარწყავი სისტემა, რომელიც ხელს უწყობდა ინტენსიურად ათვისებულიყო მიწათმოქმედების რაიონი ივრის ქვედა წელზე (ნინოწმიდის რუ, გიორგიწმიდის რუ, სიღარიბის რუ და სხვა). ამ სისტემის მოქმედების ზონა ვრცელდებოდა ნინოწმიდიდან ვიდრე მანავამდე.[168] შეიძლება ამ სურათის ამსახველი იყოს ჭროველის ცნობა, რომლის მიხედვითაც გორგასალი ერთ საეპისკოპოსო ეპარქიას აწესებს არა უჯარმაში, არამედ უჯარმის კარს ნინოწმიდაში. სხვა შემთხვევებში, სასულიერო ცენტრების დაარსებისას ქალაქების უპირატესობა აშკარად საგრძნობია. ნინოწმიდა, როგორც ეკონომიური რაიონი, ამ შემთხვევაში უპირატესობით სარგებლობს.

ადრეულ შუასაუკუნეებში სარწყავი სისტემების გავრცელების ერთ-ერთი კარგი მაგალითია მდ. ტანას და მისი შენაკადების სარწყავი ქსელი, რომელმაც, ჩანს, განაპირობა ჯერ ატენის სიონის შექმნა VII საუკუნეში და შემდეგ კი თვით ატენის გაქალაქება XI საუკუნეში[169]. ამ პატარა რაიონში ხიდისთავიდან და ტანას მტკვართან შეერთების ადგილიდან, აღმა, სულ მცირე ტერიტორიაზე, რომელიც გეოგრაფიული მდებარეობით მკაცრად არის შემოსაზღვრული, ტანასა და მისი შენაკადი ხევების, წედისის, ათრევასა და ვერის ათრევადან 17 სხვადასხვა გამტარიანობის რუა გამოყვანილი.[170] ტანას ხეობა მნიშვნელოვნად განაყოფიერებული საირიგაციო ქსელით, მევენახეობის ერთ-ერთი მოწინავე რაიონია.

ადებულ ხანაში გაყვანილი თუ განახლებული რუების სხვა ნიმუშებიც შეიძლებოდა მოტანილიყო, მაგრამ ეს ზედმეტია. აშკარად ჩანს, არნახული გაქანება სოფლის მეურნეობისა, განსაკუთრებით მიწათმოქმედება-მემინდვრეობისა და მევენახეობისა. ადრეული შუასაუკუნეების ქართლს საშუალება ჰქონდა ხორბლეულის სასაქონლო პროდუქცია ეწარმოებინა და მეზობლებისათვის მიეწოდებინა, მაგალითად, ეგრისში დიდი ომიანობის ჟამს (542—562 წწ.) სპარსელები სწორედ ქართლიდან ეზიდებოდნენ სანოვაგეს, უპირატესად პურს.[171] იბერიიდან პეტრაში სანოვაგის შეტანას პროკოპი კესარიელიც აღნიშნავდა.[172]

ყოველივე ზემოთ აღნიშნული: ქალაქებში სასულიერო ეპარქიების დაწესება, რომლებიც მზარდ ფეოდალურ ძალას წარმოადგენდნენ, სოფლის მეურნეობის დარგების განუხრელი ზრდა, ქალაქებს აქცევდა მსხვილი მიწათმფლობელობის ცენტრად. ქალაქებს ეს როლი ადრეც ჰქონდათ დაკისრებული, მაგრამ აღნიშნული დროისათვის ეს უკვე წამყვანია საქალაქო ცხოვრებაში.

არაერთხელ იყო აღნიშნული, როგორც მთავარი საკითხი, რომ ქალაქებში, მიუხედავად საქალაქო მეურნეობის დაცემისა და სოფლურის წამოწევი-

---

[168] ი. ცინცაძე, იქვე.

[169] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 394.

[170] ი. ცინცაძე, იქვე.

[171] ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 91.

[172] ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, თბ., 1934, გვ. 83.

სა, ნატურალური მეურნეობის გაძლიერებისა, ეკონომიური დონე კვლავ მაღალია და მხოლოდ ეკონომიური ძლიერების წყაროა შეცვლილი. ეს კარგად დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებით. არქეოლოგიური გათხრების წყალობით ცხადი გახდა, რომ ურბნისს ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ზღუდე ჰქონდა შემოვლებული. ქალაქის ტერიტორია, რომელიც გალავნით იყო დაცული, სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო. ქალაქის სივრცობრივი ზრდა, ცხადია, გამოიწვევდა ზღუდის საზღვრების გადაწევასაც. ურბნისის ნაქალაქარის ერთ-ერთი მონაკვეთის მიხედვით, სადაც სხვადასხვა დროის გამაგრების სისტემის ნაშთებია შემორჩენილი, ირკვევა, რომ ძვ. წ. ბოლო საუკუნეებიდან მოყოლებული, ქალაქის კედლების ხშირი გადაკეთება უხდებოდათ ხოლმე. ქალაქს არაერთხელ განუცდია მტრების შემოსევა. ამავე დროს, გარკვეულ შუალედებში, ალიზის კედლები განახლებას მოითხოვდა.

ურბნისის ალიზის ზღუდის მშენებლობის ბოლო ეტაპი VI—VII საუკუნეების მიჯნაზე მოდის. გალავანი, რომელიც ქალაქს ირგვლივ ერტყა, ნაგები იყო ბზენარევი, მზეზე გამომშრალი ალიზის დიდრონი აგურებით. ზღუდეში 60—65 მეტრის დაცილებით დატანებული იყო კოშკები. კოშკები ორ-ორი სათავსოსაგან შედგებოდა, გარდა ჩრდილო-დასავლეთის კუთხის კოშკისა, რომელსაც შვიდი სათავსო და სათანადო გასასვლელები ჰქონდა. ასევე მრავალოთახიანი იყო ქალაქის გამაგრების ბირთვიც ხიზანაანთ-გორაზე. ალიზის კოშკოვანი გალავნის აგება უზარმაზარი სამუშაოების შესრულებასა და დიდძალ სახსრებს მოითხოვდა.

პ. ზაქარაიამ სცადა გამოეანგარიშებინა სამუშაოთა მოცულობა, რაც ალიზის გალავნის ასაგებად იყო საჭირო. ზღუდის სიგრძე მორკალულ ნაწილში 1200 მეტრია, მდინარის მხრიდან კი 800 მ., ე. ი. 2000 მ. ზღუდის სიგანე 4 მ. აღემატება, ხოლო სიმაღლე 5—6 მეტრია. მშენებლობისათვის საჭირო იქნებოდა 1600000 ცალი ალიზის აგურის დამზადება. თუ ერთი კაცი დღეში 100 აგურს დაამზადებდა, მაშინ მთლიანი სამუშაოებისათვის საჭირო იქნებოდა 16000 კაც-დღე. საბოლოოდ, ალიზის დამზადებას 5 წლის მანძილზე მოუნდებოდა 250 დღიური მუშა. ამას უნდა დაემატოს ალიზის გადატანა, მშენებელი ოსტატები — არანაკლები დღეში 100 კაცისა და მივიღებთ, რომ ხუთი წლის განმავლობაში ზღუდის აგებაზე დასაქმებული იქნებოდა არანაკლებ 600—700 კაცისა.[173]

აი, ასეთი დიდი სამუშაოების ჩატარება შეეძლო ქალაქს, თუ ეს აუცილებლობით იყო ნაკარნახევი. ურბნისთან დაკავშირებით კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა შეიძლება განვიხილოთ. როგორც ცნობილია, მურვან ყრუმ ქალაქი დაანგრია და გადასწვა 736—738 წლებში. ეს სურათი შესანიშნავად გამოჩნდა ზღუდე-კოშკების გათხრების შედეგად. შემდეგში თავდაცვითი ნაგებობების განახლება ურბნელებს ვეღარ მოუხერხებიათ და გადაუწყვეტიათ ზღუდისათვის მიწის მიყრა, რის შედეგადაც ქალაქის ირგვლივ შემოიზვინა საკმაოდ მაღალი მიწაყრილი, რომელიც არც თუ იოლი გადასალახავი იქნებოდა. ქალაქში შესასვლელად მტერს უნდა გაევლო ღრმა თხრილი, შემდეგ მაღალი ფერდობი, რომლის თავზედაც, მიწის ზვინულზე, რაიმე დაბრკოლება იქნებოდა მოწყობილი. თხრილის ამოღებამდე და მიწის დაზვინვამდე წინასწარ დიდი სამუშაოებია ჩატარებული; მოუხდენიათ დანგრეული ზღუდე-

[173] პ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, გვ. 44.

კოშკების კონსერვაცია, ამოუქოლიათ კარები, მიწით ამოუვსიათ კოშკების სათავსოები. სპეციალურად მოზელილი ხსნარით გადაულესიათ დაკონსერვებული კედლები და შემდეგ კი რამდენიმე ფენა ალიზის აგურებით მოუგიათ. მიწაყრილის მოწყობამდე ეს შრომატევადი სამუშაოები, არ უნდა დაგვავიწყდეს, არაბების შემოსევის შემდეგ არის შესრულებული. მართალია, მიწის ზვინულების მოწყობა მაინცდამაინც რთულ საინჟინრო ტექნიკას არ მოითხოვდა, მაგრამ ის სამუშაოები, რაც მას უსწრებდა წინ, ნამდვილად საჭიროებდა სათანადო გაანგარიშებას და თადარიგიანობას. რაც მთავარია, ასეთი დიდი საქმიანობა ურბნელებს ჩაუტარებიათ არაბების სასტიკი აოხრების შემდეგ.

VI—VII საუკუნეთა მიჯნაზე ურბნისს წელი მოსდევდა პირველხარისხოვანი თავდაცვითი ნაგებობები შეექმნა და თავი გაერთვა დიდი მასშტაბების ღონისძიებებისათვის. ეს ის დროა, როცა ქალაქის ცხოვრებაში ძირეული გარდატეხა ხდება. VIII საუკუნის 30-იან წლებში ურბნისი არაბებმა დაანგრიეს. დამპყრობელმა დააქცია ქალაქი, განსაკუთრებით კი მისი საფორტიფიკაციო ნაგებობანი. ამის შემდეგ ურბნისმა უკვე ვეღარ შეძლო ისეთივე ზღუდე გალავნის აღდგენა; მოახდინეს მისი კონსერვაცია, და თითქმის ახალი თავდაცვითი სისტემაც შექმნეს, მაგრამ ის გაცილებით ნაკლებეფექტურია, ვიდრე ძველი, თუმცა არანაკლები შრომატევადი სამუშაოებია გაწეული.

ვახუშტი ამბობს, ურბნისი „იყო ქალაქი ყრუსადმდეო", მაგრამ არაბების „დამსახურება" მის დაქცევაში, უფრო სწორედ მისი ქალაქობის მოსპობაში განა განმსაზღვრელი იყო? ვფიქრობთ, არაბების შემოსევა საქართველოში ძველი ქალაქების დრომოჭმული ყოფის გამოცდა იყო. თუ თვალს გავადევნებთ მურვანის ლაშქრობის მარშრუტს, ვნახავთ, რომ მათ სასტიკად დაანგრიეს „ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა".[174] ქალაქების დაქცევა იმ დროს მოხდა, როდესაც ეს უკანასკნელნი ღრმა შინაგან კრიზისს განიცდიდნენ. გარეგანმა ფაქტორმა ბევრ მათგანს, ისედაც დაქვეითებისა და დაცემის გზაზე მდგარს, მოუსწრაფა არსებობა. ბევრგან ცხოვრება აღარ განახლებულა. ამ ფაქტის მხოლოდ გარეგანი ძალის ფაქტორით ახსნა არ შეიძლება. საგულისხმოა, რომ ასეთი განმარტების ავტორები ძველი მემატიანეები არიან. ლეონტი მროველი ამბობდა: „რამეთუ რაჲთგან განერყუნა ქუეყანა ესე ყრუსა, დაღაცათუ გარდავლენა ჟამნი მრავალნი მშვიდობით, არღარა მოგებულ იყო კუალსა თვისსა".[175] ვახუშტის „გეოგრაფიაში" ნიშნეულად არის ქცეული მისი გამოთქმა: „ხოლო აწ არღარა არს ქალაქი, არამედ დაბა, რამეთუ შემდგომად ყრუსა მოოხრდა".

კარგად თუ ჩავუკვირდებით ამ მონაცემებს, ვნახავთ, რომ გარეგანმა ძალამ, ამ შემთხვევაში მურვან ყრუმ, ბოლო მოუღო ქართულ ქალაქებს, რომელნიც ისედაც დაცემის გზაზე იდგნენ: ასეთები იყო, მაგალითად, მცხეთა („ხოლო აწ არღარა არს ქალაქი, არამედ დაბა, რამეთუ შემდგომად ყრუსა მოოხრდა")[176], ურბნისი („და იყო ქალაქი ყრუსადმდე")[177], კასპი („იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი"[178]), ხორანთა („იყო ქალაქ და ციხე

---

[174] «ქ ც-ბა», I, გვ. 234.
[175] «ქ ც-ბა», I, გვ. 245.
[176] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 61.
[177] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 78.
[178] ვ ა ხ უ შ ტ ი, იქვე, გვ. 72.

ყრუდმდე.. და აწცა ოხერ არს")[179]. ამდენად მათ თავიანთი დაუძლურებული საქალაქო ცხოვრებით ვეღარ შესძლეს წამოწევა და ქალაქის ტიპის დასახლებებიდან იქცნენ სოფლებად. მცხეთაც, ურბნისიც და, სავარაუდოა, კასპიც, სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებს წარმოადგენდნენ ანტიკურ ხანაში. აქ ქალაქის მცხოვრებთა მოსაქმეობა ძირითადად ვაჭრობა და ხელოსნობა იყო. მას შემდეგ, რაც ადრეფეოდალურ ხანაში იწყო დაცემა საქალაქო მეურნეობის დარგებმა, მათი მნიშვნელობა საგრძნობლად დაქვეითდა, ისე, რომ მურვან ყრუს დარტყმა საკმარისი აღმოჩნდა ქალაქის ამ მცირერიცხოვანი ელემენტის მოსასპობად. რა თქმა უნდა, ცხოვრება აქ გრძელდებოდა, მაგრამ სოფლის ძირითადი საქმიანობით.

ასეთნაირ დღეში უნდა ჩავარდნილიყო ალბათ ქალაქი ხორანთაც. ჰერეთის ეს პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის ცხოვრებაში. ადრეულ შუასაუკუნეებში ქალაქი აქტიური პოლიტიკური ცხოვრების ორომტრიალშია ჩაბმული. არაბების გამოჩენის შედეგად კი ის ბევრი ძნელად გადასალახი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. თუ ამას დავუმატებთ, რომ ქალაქი განლაგებული იყო კლიმატური პირობების მხრივ მკაცრ ზონაში, სადაც სოფლის მეურნეობის ნორმალიზაციისათვის განსაკუთრებული საზრუნავი ჰქონდა ადამიანს, უმთავრესად ირიგაციასთან დაკავშირებით, ადვილი მისახვედრია, რომ საქალაქო მეურნეობის დაცემისა და აქ პოლიტიკური ცენტრის მოშლის შემდეგ სოფლის მეურნეობისათვის მაინცდამაინც სახარბიელო მდგომარეობა არ იქნებოდა. მურვან ყრუს შემოსევას შედეგად ალბათ ეს პირობაც მოისპო, რაც საბოლოო ანგარიშში ქალაქის აღდგენის და ნორმალური ცხოვრების გაჩაღების საწინააღმდეგოდ მეტყველებდა.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრება ქალაქების დაცემის შესახებ შეიძლება გავრცელდეს ციხე-გოჯზედაც. ციხე-გოჯი, ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ძვ. წ. III საუკუნიდან მოიხსენება და იგი უკავშირდება საქართველოს პირველი მეფის, ფარნავაზის სიძისა და ეგრისის ერისთავის ქუჯის სახელს. ქუჯი, რომელიც ფარნავაზის შეთქმულების თანამოაზრე და დამხმარეა, აზონის მოკვლის შემდეგ ეგრისის განმგებელი ხდება და აშენებს ციხე-გოჯს (ქუჯის ციხე)[180]. აქედან მოყოლებული ციხე-გოჯი აქტიურად ებმება საქართველოს და, კერძოდ, ეგრისის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ვახტანგ გორგასალის მეფობის პირველ პერიოდში ბერძნებმა წაართვეს ქართველებს ვრცელი ტერიტორია ეგრის-წყალსა და ციხე-გოჯს შორის. „მაშინ იქმნა გლოვა და წუხილი ყოველთა ზედა ქართველთა",[181] ამბობს ჯუანშერი. სულ მალე გორგასალმა მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრწყინვალედ ჩატარებული საომარი ოპერაციების შემდეგ „წარტყუენნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე".[182] როგორც ჩანს, ის აქედან მოყოლებული კიდევ კარგა ხანს მოწინავე პუნქტია; პროკოფი კესარიელის სიტყვებით, ის არის „ლაზების პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი".[183]

---

[179] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა, გვ. 88.
[180] «ქ ც-ბა», I, გვ. 24.
[181] ი ქ ვ ე, გვ. 146.
[182] ი ქ ვ ე, გვ. 157.
[183] პ რ ო კ ო ფ ი კ ე ს ა რ ი ე ლ ი, გეორგიკა, II, გვ. 82.

სამწუხაროდ, ნაქალაქარი, რომელიც ლოკალიზებულია თანამედროვე ცხაკაიას რაიონში, მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე სოფ. ნოქალაქევის ტერიტორიაზე, თითქმის არ არის შესწავლილი არქეოლოგიურად,[184] ამიტომ ჩვენთვის საინტერესო საკითხის კვლევისათვის მხოლოდ წერილობითი წყაროების მონაცემებით უნდა დავკმაყოფილდეთ. საიდანაც შეიძლება დავინახოთ, რომ VII—VIII სს. ციხე-გოჯი უნდა სთმობდეს მოწინავე პოზიციებს, უფრო ადრე კი როგორც სტრატეგიული და პოლიტიკური ცენტრი, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. მას ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობები ჰქონდა, მურვან ყრუს შემოსევის დროს იგი სამზღუდიანი გალავნით ყოფილა დაცული. როგორც ჯუანშერი გადმოგვცემს, მურვანმა „ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა".[185] ციხე-გოჯს დაახლოებით VIII ს-ის შუა წლებიდან უჩნდება მოქიშპე ქუთაისის სახით. ჯერ კიდევ მურვანის ლაშქრობის დროს ანაკოფიის ციხეში შეკეტილი არჩილ მეფე თავის ძმას სამეფო განძეულობის შესახებ აფრთხილებს „შენ და მამამან ჩუენმან დასდევით იგი ქუთაისს და ციხე-გოჯს".[186] უფრო მოგვიანებით, როდესაც არჩილი აძლევს ლეონს საგამგეოდ „კლისურითგან აღმართ", ეუბნება: „წარვედ და დაუეშენებ ციხე-გოჯს და ქუთათისს".[187] ამის შემდგომ, როგორც ჩანს, ქუთაისი ჩემულობს პირველობას, აკი ვახუშტი ამბობდა ქუთაისი „აღაშენა აფხაზთა მეფემან ლევან და ჰყო ტახტიო".[188]

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ უცხო წყაროები ციხე-გოჯს „არქეოპოლისს", ე. ი. ძველ ქალაქს ეძახიან.[189] ამით ხომ არ იგულისხმება, რომ ის ძველი ძლიერი ქალაქის დამცრობილი მემკვიდრეა? ქართველებიც ხომ მას ნაქალაქევს (ნოქალაქევს) უწოდებენ, არ არის გამორიცხული შუა ფეოდალურ ხანაშივე.[190] შესაძლებელია, ყველაფერი ეს ჩვენი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებდეს, რომ ციხე-გოჯი ანტიკური ხანის ძლიერი პუნქტია (არქეოპოლისი), პოლიტიკური ცენტრია, რომელიც სტრატეგიული მოსაზრებებით მოწინავე როლს ასრულებს III—VI საუკუნეებშიც.[191] შემდეგში ის თანდათან ქვეითდება და VIIIს-ის მეორე ნახევრიდან აფხაზთა ქართული სამეფოს დედაქალაქი უკვე ქუთაისია.

საქართველოს ბევრნაირი მტრის შემოსევა უნახავს, რბევა და აოხრება, მაგრამ, საბედნიეროდ, სწრაფადვე ხდებოდა ხოლმე ცხოვრების აღდგენა და ნორმალიზაცია. არქეოლოგიური მონაცემებით ირკვევა, რომ არაბების მიერ

---

[184] საქმეს ვერ უშველის მცირეოდენი გათხრა, რომელიც აქ აწარმოვა ა. შნაიდერმა, 1930-წ., მიუთმეტეს, რომ განათხარი არქეოლოგიური მასალა არ არის გამოქვეყნებული. იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიიდან, თბ., 1928. В. А. Лекв ниадзе, О древнейших оборонительных сооружениях Археополиса-Нокалакеви, СА, 1959, 3, стр. 144.

[185] «ქ ც-ბა», I, გვ. 235.

[186] იქვე, გვ. 236.

[187] იქვე, გვ. 242.

[188] ვახუშტი, აღწერა..., გვ. 157.

[189] ციხე-გოჯის და არქეოპოლისის იდენტურობის შესახებ იხ. F. Dubois de Montperous, Voyage..., II, გვ. 104. В. Лекв ниадзе, Указ. труд, стр. 144.

[190] «ქ ც-ბა», I, გვ. 24.

[191] ნოქალაქევის ტერიტორიაზე შემორჩენილი ნაგებობები აღნიშნული დროის ერთ პერიოდს უნდა მოიცავდეს — III—V სს. იხ. ვ. ლეკვინაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

ურბნისის დანგრევიდან სულ მალევე აღდგა ცხოვრება, ადვილი შესაძლებელია სულ რამდენიმე დღის თუ კვირის შემდეგ. დამწვარი და ჩაქცეული კედლები, დანახშირებული ხის კონსტრუქციები არც კი იყო დაშლილი, რომ უკვე აღდგენაზე დაუწყიათ ზრუნვა. მოსალოდნელია, ასევე მოხდა სხვაგანაც. ისე, რომ იმ სისასტიკის მიუხედავად, რაზედაც წერენ წყაროები, ცხოვრების განახლებისათვის არსებობდა საკმაო პირობები. ასეც მოხდა უმთავრეს შემთხვევებში და განახლდა ცხოვრება, თუმცა ახალი სახით. ზოგი ამიერიდან სოფლად იქცა და მხოლოდ ძველიღა შემორჩა სახელი ქალაქისა (მცხეთა, კასპი, ურბნისი), ზოგის განახლებას აზრი აღარ ჰქონდა (ხორანთა), ზოგი კი კვლავ აღსდგა და სულ მალევე გაძლიერდა.

განა აქ წამოყენებული მოსაზრების სასარგებლოდ არ ლაპარაკობს ფაქტი, რომ მურვანის შემოსევის შემდეგ სწრაფადვე აღდგა თბილისი და შემდეგ არტანუჯი? აქ საქმე იმაშია, რომ, როგორც ადრე იყო აღნიშნული, ერთიცა და მეორეც გარკვეული მოსაზრებების (პოლიტიკური) გამო, განსაკუთრებით ადრეფეოდალურ ხანაში, დაწინაურდნენ და აოხრების მიუხედავად მათ აღდგენის რეალური პირობები გააჩნდათ. ამდენად გარეგანი ძალა მხოლოდ აუცილებელი ისტორიული პროცესის დამაჩქარებლის როლში გამოდიოდა. მას განმსაზღვრელი გავლენა არ შეიძლება მოეხდინა.

დაბოლოს, შეეფერება თუ არა სინამდვილეს წამოყენებული მოსაზრება, რომ გარკვეული პერიოდი VI საუკუნიდან მოკიდებული, ე. ი. იმ დროიდან როცა საბოლოოდ იმარჯვებს ფეოდალური ფორმაცია, ვიდრე IX საუკუნის შუახანებამდე, აღნიშნული იყოს როგორც ქართული ქალაქების დაცემის ხანა.

არქეოლოგიურ მონაცემებთან ერთად წერილობით წყაროებში გაბნეული ზოგი ცნობა ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს. პირველ ყოვლისა ის, რომ ქალაქების განვითარების ხანა არ არის იმითაც მტკიცდება, რომ ამ დროს არც ერთი ქალაქი არ წარმოშობილა, მეორეც, ძველი ქალაქების დიდი უმრავლესობა გადაშენდა და ბევრიც მოისპო. მცხეთა ანტიკური ხანის „სამეფო ქალაქი", „დიდი ქალაქი", „განდიდებული ქალაქი" ამიერიდან სოფელიღაა. დაახლოებით ასეთივე ყოფაში ჩავარდა ძველი სავაჭრო ცენტრები — ურბნისი და კასპი. ოძრხეს დიდების სახელი შერჩენია მხოლოდ „ძველ ნაქმართა მისთათვის".

როდესაც დაცემის ხანაზე ვლაპარაკობთ და ამ დროის ქალაქებზე ვმსჯელობთ, ყოველთვის ვგულისხმობთ, რომ ძირითადად აქ საქმე ეხება საქალაქო მეურნეობის სახეებს, რომ ის, რაც განმსაზღვრელი იყო ანტიკური ხანის ქალაქებისათვის, ეხლა ის ქალაქებში მცირედღაა წარმოდგენილი. თუ IV—VI საუკუნეებში, „გარდამავალ ხანაში" ასე თუ ისე საქალაქო წარმოება კვლავ მაღალ დონეს ინარჩუნებს, რაც ინერციით დინების ნაყოფი უნდა იყოს, ამის შემდეგ მკვეთრი შემობრუნებაა. მიუხედავად ყოველივე ამისა, მიუხედავად არაერთგზის შემოსევებისა და რბევა-აოხრებისა, ქალაქების ეკონომიური შესაძლებლობანი კვლავ მაღალია. საქალაქო მეურნეობის დაცემამ გამოიწვია მნიშვნელოვანი დაწინაურება სასოფლო-სამეურნეო დარგებისა. ეკონომიური ძლიერების წყარო შეიცვალა, დონე კვლავ მაღალი დარჩა. სწორედ ამის გამოა, რომ ბერძნების, სპარსელების, არაბების, ხაზარების, ოსების და ათასგვარი სხვა ჯურის დამპყრობლების მრავალგზის რბევა-თარეშის მიუხედავად იზრდებოდა და ვითარდებოდა ახალი ქრისტიანული კულტურა, მწერლობა და

ხელოვნება. იქმნებოდა დიდებული ტაძრები, რომელთა აგებაც უამრავ ხარჯებს მოითხოვდა. აქ რომ საქმე ეხებოდეს სამუშაოთა შესრულების მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკურ მხარეებს, ასე ცალკე აღნიშვნა არც კი იქნებოდა საჭირო. საქმე ის არის, რომ ძალიან ბევრი ძეგლი წინასწარ მოფიქრებული, გაანალიზებული შრომის და ფიქრის ნაყოფია, რაც თანდათანობით განვითარებისა და ძიების ლოგიკური დაბოლოება იყო. აი, სწორედ ამ ძნელბედობის ხანაში შეიქმნა დიდებული მცხეთის ჯვარი, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული არქიტექტურის განვითარებაში,[192] ამ დროს არის აგებული ატენის სიონი, წრომი,[193] სამშვილდე[194] და სხვ.

აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ: დაცემის ხანა ქალაქებს შეეხება და მისი გამომწვევი მიზეზი მაინცდამაინც გარეგან ძალაში არ უნდა ვეძიოთ. გარეგანი საფრთხე დროებითი მოვლენა იყო და ქვეყანა კვლავ ახერხებდა ხოლმე წამოდგომას. სასტიკი იყო ბუღა-თურქის (853 წ.) და ალფ-არსლანის (1068—70 წწ.) ლაშქრობანი საქართველოში. მაგრამ აოხრებით და ნგრევით მიყენებული ჭრილობები მალევე იქნა გადატანილი. დაცემის ხანაში მარტო გარეგანი ძალა არ მოქმედებდა. მთავარი იყო, რომ ქვეყნის შიგნით სოციალურ-ეკონომიური ხასიათის სიძნელეები წარმოიშვა. ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცება, ახალი სოციალური ძალის გაძლიერება. დამოუკიდებელი სამეფო-საფეოდალოების შექმნა დაცემის ხანის დასასრულს მოასწავებდა.

---

[192] Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1940.

[193] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., გვ. 145.

[194] ლ. მუსხელიშვილი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, ენიმკის მოამბე, XIII, 1943.

თ ა ვ ი  მ ე ო რ ე

# IX — XI საუკუნეები — „ახალქალაქობის ხანა“. ქართული ფეოდალური ქალაქის წარმოშობა

## 1. პოლიტიკური და ეკონომიური აღმავლობა IX — X საუკუნეებში

ქართლში მეფობის მოსპობის შემდეგ განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ მზარდი ფეოდალური ძალები. აღზევებული აზნაურობა სულ უფრო და უფრო პრივილეგიურ მდგომარეობას აღწევს. როგორც მოსალოდნელი იყო, გამთიშავი ძალების ენერგიული მოქმედების წყალობით, ჩამოყალიბებას იწყებენ პატარ-პატარა სამთავროები, რომლებიც თანდათანობით იზრდებიან თითქმის დამოუკიდებელ ფეოდალურ ორგანიზაციებად. ქართლის ერისმთავარნი იძულებულნი იყვნენ ანგარიში გაეწიათ ამ ძლიერი ფეოდალური წარმონაქმნებისადმი, ისე რომ. დაახლოებით VIII საუკუნის შუახანებში, არჩილის დროს, მათ ოფიციალური აღიარება ჰპოვეს ერისმთავრისაგან. არჩილის მიერ ნებით თუ უნებლიეთ გატარებული ღონისძიებების შედეგად ქართლში მსხვილი ფეოდალური ერთეულები არსდება; ჯუანშერის ცნობის მიხედვით. ერცელი ტერიტორია თრიალეთიდან ხაზართა მდინარემდე არჩილის მორჩილია. რომელსაც დიდგვარიანნი განაგებენ. წყაროს ცნობით სულ რვა ერთეული ჩანს:[1] ერთი კლარჯეთ-ჯავახეთისა, მეორე თრიალეთ-ტაშირ-აბოცისა, მესამე და მეოთხე ზენა სოფელი ორად გაყოფილი, მეხუთე კოტმან-ქურდისხევისა. მეექვსე ჯვარი, ხერკი. მთიულეთი, მანგლისის ხევი და ტფილისი. ცალკე საფეოდალოებად იქცა ასევე კლისურიდან კავკასიის წვერამდე და შულავერ-არტანი. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ერისთავები, რომლებიც არჩილის მიერ იყვნენ დამტკიცებულნი, ძლიერი ფეოდალური გვარების წარმომადგენელნი არიან: ისე. რომ მათი პრეტენზიები აღნიშნული მამულების დასაკავებლად საუკუნეთა განმავლობაში მოდიოდა. ასეთი წარჩინებული ოჯახის წარმომადგენლები არიან გუარამ კურაპალატის-ძე: ფეროზის ნათესავი პიტიახში, ვახტანგ მეფის წარჩინებული ნერსე ნერსიანი, ადარნასე ადარნასიანი, ვარაზმანი ბარდაველი, სპარსთა ერისთავის ნათესავი, რომელიც იყო დედის მამა ვახტანგისა, ჯუანშერ ჯუანშერიანი, მირიან მეფის შთამომავალი — რევიანი და სხ. აღსანიშნავია ერთი დამახასიათებელი დეტალი: არჩილს ეახლა „მთავარი ერთი“ ადარნასე, ნათესავი ვითომდაც დავით წინასწარმეტყველისა, ბერძენთა მიერ დადგინებული ერისთავად სომხეთში და მურვან ყრუს

---

[1] «ქ ც-ბა», I, გვ. 241—242.

დროს კლარჯეთს შეფარებული. ის ითხოვს ადგილს „უკეთუ ინებო და მყო მე ვითარცა მკვიდრი შენი, მომეც ქუეყანა და მისცა შულავერი და არტანი".[2] არჩილს. ასეთი გავლენიანი და შეძლებული გვარების წინაშე, ეჭვი არ არის, სხვა გამოსავალი არ ექნებოდა. მისი რეფორმები, ადვილი მოსალოდნელია, იძულებითი იყო და ლოგიკურიც, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების მოცემულ ეტაპზე.

მაგრამ საქმე, რა თქმა უნდა, ამით არ დამთავრებულა. თვითეული ფეოდალი ცდილობდა მეორის ხელში ჩაგდებას და თავისი პოლიტიკური ბატონობის გავრცელებას. ამის შედეგად უკვე VIII საუკუნის მიწურულში უფრო მსხვილი სამეფო-სამთავროები წარმოიშვნენ.

ამ დროს ერთ-ერთი დაწინაურებული ერთეული იყო კახეთი. კახელების ასეთი წამოწევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის, რომ არაბებს აქეთ მაინცდამაინც ვერ მიუწვდებოდათ ხელი და ეკონომიურად შეძლებულმა მხარემ თავისუფლება იგრძნო. VIII საუკუნის ბოლოს, დაახლოებით 787 წელს „მოკუდა ჯუანშერ ერისთავთ ერისთავი და შემდგომად მისსა განდგა გრიგორი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. ამანვე მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად".[3] კახეთის მთავრები აფართოებენ თავიანთ სამფლობელოებს, კუხეთისა და გარდაბნის შემოერთებით ისინი მტკიცედ მოადგნენ თბილისის საამიროს საზღვრებსაც. კარგა ხანს კახელი მთავრები შურის თვალით უყურებდნენ მეზობელ ჰერეთსაც, რომლის შემოერთება XI საუკუნის პირველ ნახევარში მოახერხა კვირიკემ. „ამან კვირიკემ დაიპყრა კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა: გარნა თუ ისხნენ ერისთავნი ჰერეთს. არამედ ამან კვირიკე მეფემან უფროს განამტკიცნა და დასხნა სამი კახეთს და ოთხი ჰერეთს..."[4] XI საუკუნისათვის კახეთის სამეფო ერთ-ერთი დიდი ფეოდალური გაერთიანებაა, რომელიც ცენტრალური ამიერკავკასიის ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა.

ერთ-ერთი მძლავრი ფეოდალური კერა შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზედაც. აქ არაბებმა ფეხი მტკიცედ ვერ მოიკიდეს, რაც საშუალებას იძლეოდა შედარებით მშვიდობიანი ცხოვრებისათვის. VIII საუკუნის ბოლოსათვის აქ ჰეგემონობა ხელთ იგდო აფხაზთა სამეფომ. მთავარმა ლეონ II, ისარგებლა რა ბიზანტიაში ატეხილი შინაური შფოთით, დახმარება მიიღო ხაზართა მეფისაგან, განდევნა ბიზანტიელები, თავი დასავლეთ საქართველოს, ე. ი. აფხაზეთის მეფედ გამოაცხადა და რეზიდენცია ქუთაისში გადმოიტანა: ძველი ცენტრი ციხე-გოჯი ველარ აკმაყოფილებდა ახლად შექმნილი ძლიერი სამეფოს მოთხოვნილებებს. ასე შეიქმნა აფხაზთა ძლიერი სამეფო, რომელიც მთლიანად აერთიანებდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ წვრილ-წვრილ სამფლობელოებს.[5]

შედარებით გვიან, IX საუკუნის დასაწყისში, შეიქმნა ასევე მძლავრი ფეოდალური ორგანიზმი საქართველოს უძველეს კულტურულ ცენტრში ტაო-კლარჯეთში. სამთავროს დამაარსებელი იყო ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომადგენელი აშოტი, რომელიც ბიზანტიის სამეფო კარის მიერ ბოქე-

---

[2] «ქ ც-ბა», I, გვ. 243.

[3] საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამოცემა, თბ., 1913, გვ. 147.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 151.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 92—93.

ბულ „კუროპალატის“ ტიტულს ატარებდა. სამხრეთ საქართველოს ამ მოწინავე გაერთიანების ცენტრი იყო არტანუჯი, რომელმაც განსაკუთრებულ წარმატებებს სწორედ ადრეულ ფეოდალურ ხანაში მიაღწია იმ პოლიტიკური როლის წყალობით, რომლის შესრულებაც მას დაეკისრა.[6]

მძლავრი ფეოდალური გაერთიანების შექმნით, რა თქმა უნდა, სტიქიურად, ფეოდალური ბუნებით გამოწვეული მიზნებით, დიდი ეროვნული საქმე კეთდებოდა; იქმნებოდა მტკიცე საფუძველი ერთი ეთნიკური მოდგმის ხალხით დასახლებული სამთავროების გაერთიანებისა და შესაბამისად ერთიანი ფეოდალური საქართველოს შექმნისა.

IX საუკუნის დასაწყისიდან განცალკევებას ცდილობდა თბილისის ამირაც. სახალიფოს ეს ყველაზე უკიდურესი ჩრდილოეთის სასაზღვრო ერთეული არაბებს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ჰყავდათ. თბილისის საამიროს ტერიტორია მარტო თბილისს არ მოიცავდა, არამედ ქართლის საკმაოდ ვრცელ ადგილებს ფლობდა და მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა. თანდათანობით სახალიფოს ცენტრმა თბილისის ამირას მიმართ შეანელა ყურადღება, რადგანაც მას სხვა მოსაგვარებელი საქმეები გაუჩნდა ქვეყნის შიგნით, რითაც ისარგებლეს საამიროს მმართველებმა და მოინდომეს დამოუკიდებლობა და სახალიფოსაგან ჩამოშორება. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა ამირა ისჰაკ იბნ ისმაილი. ხალიფამ გადაწყვიტა ურჩი ამირას დასჯა და დამორჩილება, რისთვისაც თბილისს გამოგზავნა დამსჯელი ექსპედიცია ბუღა თურქის სარდლობით. ბუღა თბილისს მოადგა 853 წელს ბარდავის გზით. ბუღამ დაამარცხა ამირა, დასაჯა იგი სიკვდილით და გადასწვა თბილისი. გადმოცემით ბუღას თბილისში 50000 კაცი უმსხვერპლია. ამ ამბის შესახებ ცნობები შემონახულია ტაბარის თხზულებაში[7] და ატენის წარწერებში.[8]

მართალია არაბებმა დაიმორჩილეს თბილისი, მაგრამ არა დიდი ხნით. IX საუკუნის ბოლოდან თბილისი დამოუკიდებელი ერთეულია.

ზემოთ ჩამოთვლილი სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბება წინ გადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს გაერთიანებისაკენ. ასეთი დიდი საფეოდალოების წარმოქმნისათვის მყარი პოლიტიკური და ეკონომიური ბაზისი შექმნილი იყო. არაბთა ბატონობის შედარებითი შენელება და გაუთავებელ ლაშქრობათა შესუსტება მოსახლეობის გამრავლებისა და მოღონიერების საწინდარი იყო. ეკონომიური დონე თანდათან ზევით იწევდა. ჯუანშერი, რომელიც არჩილის მეფობას აღწერდა, შენიშნავს: „და იწყო შენებად ქართლმან“[9].

რადგანაც ცალკეული ქართული სამეფო-სამთავროები სხვადასხვა პოლიტიკურ მდგომარეობაში იყვნენ მოქცეული, ამიტომ მათი ეკონომიური აღორძინების პერიოდიც განსხვავებული იყო. მეტნაკლები სიზუსტით აღმავლობა IX—X საუკუნეებს ემთხვევა. პირველი ნიშნები VIII საუკუნიდან ჩანს, როდესაც ქვეყანამ შესძლო მურვან ყრუს გამანადგურებელი დარტყმის გადატანა. ამის შემდეგ ასეთი აოხრება საქართველოს დიდხანს არ უნახავს. ნაოხართა

---

[6] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 91 — 93.

[7] ტაბარი, تاريخ الرسل والملوك III, 1414 — 1416; გ. წერეთელი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 64—65.

[8] თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, თბ., 1957, გვ. 18.

[9] «ქ ც-ბაჲ», I, გვ. 243.

გამოცოცხლებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. მართალია პოლიტიკურ სფეროში აღმავლობა რამდენადმე ადრე დაიწყო (საფეოდალოების შექმნა); მაგრამ ეკონომიური საფუძველი კიდევ არ იყო აღდგენილი. როდესაც ლაპარაკია IX—X საუკუნეებზე, როგორც აღმავლობის პერიოდზე, ნაგულისხმევია მაღალი ეკონომიური დონე და მომრავლებულ-მოშენებული ქვეყანა.

წინსვლისა და აღორძინების ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელი იყო გაძლიერებული მშენებლობა და უდაბნოთა დასახლება. წერილობითი მონაცემების მიხედვით ამ მხრივ განსაკუთრებული მდგომარეობაა ტაო-კლარჯეთში, რომლის ინტენსიური მშენებლობის ხანა IX საუკუნეში იწყება აშოტ კურაპალატისა და მისი შვილების დროს. „ახლად შენება კლარჯეთისა უდაბნოთა" ერთ-ერთი შესანიშნავი მაგალითია გაერთიანების გზაზე მდგარი საქართველოს სამეფო-სამთავროების აღორძინებისა. საკმარისია სერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებას" გავეცნოთ, რომ თვალწინ დაგვიდგეს ეკონომიურად მოღონიერების გზაზე შემდგარი ქვეყნის მისწრაფება შენება-განახლებისაკენ. ეკლესია-მონასტრების დაფუძნება-გავრცელება მარტო სასულიერო ინსტიტუტების შექმნას როდი გულისხმობდა. ივ. ჯავახიშვილის სწორი შენიშვნით ისინი. „იყვნენ ერისკაცთათვის გზის მაჩვენებელნი და ახალ მოშენეთა თავგანწირულნი წინამორბედნი".[10] „კეთილად განმგებელი მოღუაწე და უდაბნოთა ქ ა ლ ა ქ-მ ყ ო ფ ე ლ ი (ხაზი ჩვენია, ლ. ჭ.) ზეციისა კაცი და ქუეყანისა ანგელოზი..." ასე ახასიათებდა X საუკუნის ძეგლი გრიგოლ ხანძთელს. მის სახელთანაა დაკავშირებული ხანძთის, შატბერდის, გუნათლეს, მერის და უბეს მონასტრების აშენება. მის თანამოღვაწეთაგან სერაპიონ ზარზმელი ზარზმის მონასტრის დამფუძნებელია. მიქელ პარეხელი, დავით მიძნაძორელი, ილარიონი, აშენებენ წყაროსთავს, იშხანს და სხვ.

ტაო-კლარჯეთის ამ დროს აგებულ თუ განახლებულ ძეგლთა უბრალო ჩამოთვლაც კი საკმარისია, რომ ქვეყნის მზარდი ცხოვრების სურათი წარმოვიდგინოთ. ვერავითარი კერძო ინიციატივა და ენთუზიაზმი ვერ უშველის ასეთი დიდი საქმეების მოგვარებას, როგორიც ეკლესია-მონასტრების და ქალაქების მშენებლობაა. მართალია, მათ გულში უღვიოდათ „მდუღარება სულისა", როგორც წყარო გადმოგვცემს, მაგრამ ზურგი სხვა მხრივაც ჰქონდათ მაგარი: გიორგი მერჩულეს შესანიშნავი გამონათქვამით: „არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულისა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულებისო"[11] „ფრიადი ქუეყანა" ძლიერდებოდა, მაგრდებოდა და მას უკვე შესწევდა უნარი ასეთი დიდი საქმეებისათვის მოეკიდა ხელი. ოშკის საამშენებლო ხასიათის წარწერა, რომელიც ტაძრის აგების ხარჯებს გადმოგვცემს, თვალსაჩინო მაგალითია, თუ რაოდენი სახსრები იყო საჭირო მშენებლობისათვის. ტაძარი აგებულია X საუკუნის 60-იან წლებში ადარნესე III კურაპალატის-ძეთა, ბაგრატ ერისთავთ ერისთავისა და დავით დიდის, ტაოს კურაპალატის მიერ[12]. „... და მე, გრიგოლ, ღირს მყო ღმერთმან მსახურებასა ამას მათსა ღმრთისა მიმართ, და მე, ვიყავ საქმესა ზედამდგომი. და არწმუნა ღმერთმან გონებასა მათსა ერთგულობა ჩემი, მონისა

[10] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 117.

[11] გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბილისი, 1949; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა ს გამოცემა, გვ. 97.

[12] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 53.

შათისა. ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექუიშეთა, რომელ წელიწადსა წაეგების, დრამა 20 ათასი, ღუინო ფისოსი 5000; რკინა ლიტრა 50; ხუარბალი გრივი 250; გალატოზი და ხურო და მჭედელი, რომელ მარადის შურებოდა 70; ხარი, რომელ ქვასა კრებდა 30; ჯორი და სხვა აზავერი, რომელ გრიგოლ-წმიდით სპონდიკასა კრებდა 30; სხუა აზავერი, რომელ... კრებდა 60..."[13]

არქეოლოგიური გათხრების თუ შემთხვევითი აღმოჩენების მეშვეობით აღნიშნული ეპოქის არაერთი მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლი და სამშენებლო წარწერაა დადასტურებული აფხაზეთშიაც. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ქართულ წარწერას მოვიხსენიებთ. ესენია: გუმურიშის წარწერა (გალის რაიონი), სადაც მოხსენებულია... მშენებელი დედოფალთ დედოფალი საავდუხტ....,[14] ცარჩეს (გალის რაიონი) ნუსხურით შესრულებული წარწერის ნაწილი. სადაც მოხსენებულია ვინმე ფაშაძე, რომელსაც მოუხატავს ეკლესიის ეკვდერი;[15] ანუხვის (გუდაუთის რაიონი) წარწერა (სახელითა ღმერთისაითა ავაშენე ჯუარი ესე...);[16] რამდენიმე წარწერის ნაწყვეტი ბედიის ტაძრიდან, რომელიც ბაგრატ III მიერ არის აგებული. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ილორის ეკლესიის ქართული წარწერებიც[17].

უკანასკნელი წლების არქეოლოგიური აღმოჩენებიდან ყურადღებას იპყრობს ცხელკარის (აცკარი) ეკლესიის გათხრები (სოფ. რეჩხო-ცაირი, გალის რაიონი), სადაც რამდენიმე ქართული წარწერაა დადასტურებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ერთი წარწერა. სადაც მოხსენიებულია ვინმე ხსარა, რომელსაც საკურთხეველი გაუმართია.[18] ასევე საინტერესო არქეოლოგიური ძეგლია მსიგხუას ეკლესია (გუდაუთის რაიონი), რომელიც გაითხარა 1962 წელს, და რომელიც X ს. არის დათარიღებული. სხვადასხვა არქიტექტურულ დეტალებს შორის ვხვდებით კრამიტსაც, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი და ქართული წარწერა.[19] ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად გვიჩვენებს, რომ აღებულ ხანაში აფხაზეთის სამეფოც სხვა დანარჩენი ქართული ფეოდალური ერთეულების მსგავსად არნახულ განვითარებასა და შენებას განიცდის.

აქ ზედმეტად მიგვაჩნია სხვა მსგავსი ძეგლების და წარწერების მოხსენიება საქართველოს სხვა კუთხეებიდან, რადგანაც სპეციალურ ლიტერატურაში მათ შესახებ საკმაოდ ბევრია ნათქვამი. ზემოთ აღნიშნული კარგად მიგვანიშნებს, რომ IX—XI საუკუნეები საქართველოს ისტორიაში დიადი აღმშენებლობის ხანაა, ქართული არქიტექტურის ახალი სახეების ძიების ხანაა, რომელიც აყვავების ახალ, დასრულებულ სახეს ჰქმნის X—XI საუკუნისათვის.[20] სრულებითაც არ არის გასაკვირი, რომ ქართულ ძეგლებზე ძუნ-

---

[13] ე. თაყაიშვილი, იქვე, გვ. 42.

[14] Х. Бгажба, Из истории письменности в Абхазии, Тб., 1967, стр. 13.

[15] იქვე, გვ. 14.

[16] იქვე, გვ. 16.

[17] А. Кация, Илори, Тб., 1966.

[18] Л. А. Шервашидзе, Цхелкари (Ацкар), აფხაზეთის არქეოლოგიის მასალები, თბ., 1967, გვ. 51.

[19] А. Кация, Памятники архитектуры в долине Цкуара, იმავე კრებულში. ტაბ. IX.

[20] Г. Н. Чубинашвили, Н. П. Северов, Пути Грузинской архитектуры, Тб., 1936, стр. 83.

წად აღნიშნულ მშენებელთა სახელებიდან უდიდესი უმრავლესობა სწორედ IX—XI საუკუნეებზე მოდის.[21] ეს ეპოქის შესანიშნავი დახასიათებაა.

მშენებლობის წარწერების გარდა, რაც საქართველოს ტერიტორიაზე გაპნეულმა ძეგლებმა შემოგვინახეს, შემორჩენილია ასევე მშენებლობის ამსახველი რელიეფებიც, სადაც მკვეთრად არის მოცემული მშენებლობასთან დაკავშირებული სხვადასხვა სცენები. მხედველობაში გვაქვს სახელგანთქმული ქოროღოს ტაძრის რელიეფები[22], არაერთხელ გამოცემული მკვლევართა მიერ.[23] რელიეფები მოთავსებულია ტაძრის დასავლეთის ფასადზე, ორქანობიანი სახურავის კარნიზზე. თვითეული სცენა ცალკე ქვაზეა ამოკვეთილი, ისე რომ ცალკეული სცენები ერთიმეორის მიყოლებით მთლიანად კომპოზიციას ჰქმნიან. ფრონტონის წვერში გამოხატულია ღვთისმშობელი, რომლისკენაც ორივე მხრიდან მიიმართება ეკლესიის მშენებელთა დიდი რიგი. გამოქანდაკებულნი არიან ეკლესიის დამკვეთნი — ქტიტორები და მშენებლები. აქ ვხვდებით მშენებლობასთან დაკავშირებულ სცენებს, როგორიცაა: ქვის გადატანა ხარშებმული მარხილით, ქვის გადატანა ზურგით, ქვის გაპობა, ქვის გათლა, ხსნარის არევა და სხვ. ქოროღოს მშენებლობის ამსახველი რელიეფები X საუკუნის ძეგლია, სადაც შესანიშნავად არის ასახული ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი საქმიანობის სცენები.

ზემოთაც ითქვა და აქაც შევნიშნავთ, რომ ამ დროს განსაკუთრებული სიმრავლეა მაღალკვალიფიციური სპეციალისტი მშენებლებისა. ქვეყანა დიდი ეკონომიური აღმავლობის გზაზე იდგა და მშენებლობის აქტიური საქმიანობა იყო გაჩაღებული. გავიხსენოთ შედარებით მოგვიანო XIII საუკუნის ძეგლი აბუსერის-ძე ტბელისა, სადაც აღწერილია ერთ-ერთი ხელოსნის, ქვითხუროს, ბოლოკ-ბასილის ცხოვრება, რომელიც საქართველოს ერთი კუთხიდან მეორეში მიდის „მოსარეწლად", საშოვარზე.[24] ეჭვსგარეშეა, განვითარებული ფეოდალური ხანისათვის ასეთ საქმიანობას დიდი გაქანება ჰქონდა, რისთვისაც საფუძველი კარგა ხნით ადრე იყო მომზადებული.

IX—XI საუკუნეებში არნახულ ეკონომიურ აღმავლობას განიცდის კახეთ-ჰერეთის სამთავროც. ქვეყანა მოღონიერდა და ეშენებოდა. მჭიდრო დასახლება იქმნება ალაზან-ივრის ხეობების როგორც მთიან ზოლში, ისე მის ნაყოფიერ ველებზე. კახეთში ამ დროს არაერთი შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლია შექმნილი. ეს არის პერიოდი, როდესაც აქ ვითარდება კვადრატული სათავსოს გუმბათოვანი გადახურვა, რასაც გ. ჩუბინაშვილი ადგილობრივი ტრადიციების, დარბაზული გადახურვის ელემენტებიდან განვითარებულად სცნობს.[25] ეს პერიოდი, პატივცემული მკვლევარის სიტყვებით, შემოქმედების ბრწყინვალე ეპოქაა: „Следуюшая блестящая творческая эпоха, где творчество архитектурных форм попрежнему бъет ключем и идет своими независимыми путями, наступает при культурно-политическом

---

[21] ვ. ბერიძე, ძველი ქართველი ხუროთმოძღვარნი, თბ., 1956; მისივე, ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.

[22] ძეგლი მდებარეობს მდ. ხადას ხეობაში, ხადას და არაგვის შესართავთან.

[23] ს. მაკალათია, მთიულეთი, თბ., 1930; ს. ბედუკაძე, ქვის დასამუშავებელი იარაღები და საშუალებანი, მუზეუმის მოამბე, ტ. XXII—B, 1961; რ. მეფისაშვილი, მშენებლობის ამსახველი რელიეფები ქოროღოს ძეგლზე, «ძეგლის მეგობარი», № 5, 1965.

[24] აბუსერისძე ტბელი, ლ. მუსხელიშვილის გამოცემა, 1941.

[25] Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, стр. 203.

подъеме Кахетии с конца VIII и в IX веках".[26] მისი რეალური ალქმაა გურჯაანის და ვაჩნაძიანის ყველაწმიდა, ნეკრესის გუმბათოვანი ეკლესია და სხვა მრავალი.

მაგრამ იმდროინდელი კახეთ-ჰერეთიდან მარტო ეკლესია-მონასტრებს არ მოუღწევიათ ჩვენამდე. დღეს კარგადაა ცნობილი ისეთი დიდებული საფორტიფიკაციო და საერო ნაგებობები, როგორიცაა მანავის ციხე, ცხრაკარა და სხ. განსაკუთრებული ყურადღების და შესწავლის ღირსია ძველ ქალაქთა ნანგრევები, როგორიცაა ხორნაბუჯი, ნეკრესი და სხ.

ახალი პოლიტიკური ერთეულების ჩამოყალიბებას ყოველთვის თან სდევდა ხოლმე რომელიმე პუნქტის დაწინაურება, რომელიც ამ მხარის ცენტრად ხდებოდა. ასე მოხდა კახეთშიც; გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფოს მესვეურებმა ტახტი თელავში დაიდგეს და ამიერიდან ის, კვირიკედან მოყოლებული, სამეფოს ცენტრია, რომელიც პოლიტიკური უპირატესობის გამო დიდ წარმატებებსაც აღწევს. ვახუშტის გადმოცემით კვირიკეს თელავში აუგია სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი[27].

საგულისხმო ფაქტია, რომ თელავი, არაბული ტრანსკრიპციით თებლა (تبلى) როგორც ქალაქი მოხსენიებული აქვს X საუკუნის მიწურულში შექმნილი არაბული თხზულების ავტორს ალ-მუკადდასის. მისი გადმოცემით ბარდავთან ქალაქებია: თბილისი, კალა (გარდაბანი), ხუნანი, შამქორი, განჯა, ბერდიჯი, შამახია, შარვანი, ბაქო, შაბირანი, კართაკარი (დარუბანდი), აბხაზია, კაბალა, შაქქი, მალაზკერდი და თებლა (თელავი).[28] ავტორს თელავი არანის ქალაქად აქვს მიჩნეული, ისევე როგორც თბილისი, გარდაბანი, ხუნანი და სხვა. არანს არაბი გეოგრაფები ხმარობენ არა როგორც ეთნიკურ სახელს, არამედ პოლიტიკური მნიშვნელობით. ბარდავი, რომელთანაც არიან ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქები დაკავშირებული, არაბთა პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა. ასეა თუ ისე, ალ-მუკადდასის მიერ აღწერილი პუნქტები იმდროინდელი აღმოსავლეთის საკმაოდ ცნობილი ქალაქებია და, ჩანს, თელავიც უკვე სახელოვან ქალაქთა რიგში მოიხსენიება.

იმავე ავტორის ჩვენებით, თელავი გზაზე იდო, რომლითაც ჰუვეიდან შეიძლებოდა მისვლა თბილისს, აქედან კი თელავამდე, შემდეგ შაქამდე და ლაქზანამდე ორი გადასასვლელი იყო. შემდგომი მონაკვეთი გზისა კართაკარამდე (დარუბანდამდე) სამი გადასასვლელით იყო განსაზღვრული.[29]

თუ აქამდე თებლა-თელავის გაიგივების შესახებ შეიძლებოდა ეჭვი დაგვბადებოდა, წყაროში მოცემული გზის თუნდაც ნაკლული აღწერილობით უფრო დამაჯერებელი ჩანს, რომ აქ სწორედ თელავზე უნდა იყოს საუბარი. საქმე იმაშია, რომ თელავი, აქ, თბილისიდან აღმოსავლეთით იგულისხმება, საი-

[26] Г. Н. Чубинашвили, იქვე, გვ. 214.

[27] ვახუშტი, აღწერა... გვ. 100.

[28] ალ-მუკადდასი, საუკეთესო დაყოფა კლიმატთა შესწავლისათვის, BGA, III, იხ. Н. Караулов-ის თარგმანები, СМОПМК, 38, გვ. 3, 6.

[29] BGA, III, გვ. 382, СМОПМК, 38, გვ. 18. აქ აღწერილია გზა ჰუვეიდან (ჰოი), რომელიც სამხრეთ აზერბაიჯანშია, თბილისისაკენ, აქედან კი თელავის გავლით დარუბანდისაკენ. გზების შესახებ შემდეგ იქნება ლაპარაკი. აქ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ თელავზე ერთ-ერთი გზის მონაკვეთი დევს, რომელიც თბილისიდან მოდიოდა. თელავის შემდეგ გზა მიდიოდა შაქს (თანამედროვე ნუხა) აქედან ლაქზანის გზით დარუბანდისაკენ.

დანაც გზა მიდის შაქისაკენ და დარუბანდისაკენ. ეს უკვე ნიშანდობლივი საბუთია, რომელიც თებლა-თელავის იგივეობის მაჩვენებელი შეიძლება იყოს.

იმავე ავტორს თელავის შესახებ კიდევ ერთი საინტერესო ცნობა აქვს შემონახული: თელავშიო, გადმოგვცემს იგი, მუსლიმნებს 500 კომლი უჭირავთ. მცხოვრებთა უმეტესობა კი ქრისტიანები არიანო, ეს ადგილები ძლიერ ნაყოფიერიაო.[30] თუ ეს ცნობა სანდოა, ჩანს, ქალაქი მეტად ხალხმრავალი ყოფილა, რაც სინამდვილესთან ახლოსაა. მაგრამ საკითხავია, თელავი, როგორც ქალაქი, ამ დროს უნდა იყოს წარმოშობილი, თუ ძველი ფენებიცაა აქ მოსალოდნელი? სრულიად შესაძლებელად მივაჩნია სხვა ქალაქების მსგავსად იგიც განახლებული იყოს IX—X საუკუნეებში, მისი პოლიტიკური დაწინაურების დროს: ადრე კი არ არის გამორიცხული. ასევე მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილიყოს, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაში დაეცა. ზოგი ავტორი თელავს აიგივებს ანტიკური წყაროების თელედასთან,[31] რაც არა გვგონია მართებული იყოს; პტოლემაიოსის ტელაიბა, კასპიის ზღვის სანაპიროზეა ნაჩვენები, ტაბულა პეიტინგერიანას Teleda კი ადგილის მიხედვით უფრო თელეთია (რუსთავ-თბილისის ხაზზე), ვიდრე თელავი. ამით სრულიადაც არ უარვყოფთ, რომ თელავი ძველი ქალაქია, პირიქით, ადვილი შესაძლებელია ეს ასე იყოს.[32] მხოლოდ მისი დასაბუთების წყაროები არ შეიძლება მივიჩნიოთ სარწმუნოდ.

კახეთ-ჰერეთის მოლონიერების ერთ-ერთი სარწმუნო დადასტურებაა უამრავი მონეტის აღმოჩენები. აწ განსვენებულმა ნუმიზმატმა თ. ლომოურმა შეისწავლა-რა მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენილი სასანურ-არაბული მონეტების VII—IX საუკუნეების სამი განძი (ლელიანის, აფენის, კავშირის განძები), ყურადღება გაამახვილა მეტად მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე, რომელიც ლაგოდეხ-ბელაქან-ზაქათალა-ნუხის გავლით მტკვრისაკენ, ბარდავის მიმართულებით მიდიოდა[33]. ამას თან დაერთო ასეთივე განძის აღმოჩენაც სოფ. ფშაველში (მდ. ალაზნის მარცხენა მხარეს, ნაფარეულთან) და თ. ლომოურმა გზის გაგრძელება ფშაველზე გავლით, დაახლოებით ყინვანისაკენ და აქედან კი თბილისისაკენ ივარაუდა[34].

ეს გზა, რომელიც კავკასიის სამხრეთ კალთებზე გადადიოდა, უძველესი დროიდან იყო ცნობილი, რაც რამდენადმე განსაზღვრავდა ძველი მნიშვნელოვანი პუნქტების არსებობასაც, ისეთებისასაც, როგორიც იყო ნეკრესი, გავაზი, ლაგოდეხი და სხ. ამ გზის დანიშნულება, ჩვენის აზრით, არ იყო ბარდავის და თბილისის დაკავშირება (ეს გზა მტკვრის ხეობით მოდიოდა და უმოკლესიც იყო. მისი მარშრუტი დადგენილია: თბილისი, გარდაბანი, ხუნანი, შამქორი, განჯა, ბარდავი),[35] თუმცა ეს შესაძლებელი იყო ამ ტრასითაც, შორი გზით. უფრო სავარაუდოა თ. ლომოურის მიერ აღნიშნული გზით ჰერეთის სავაჭრო ცენტრების დაკავშირება ბარდავთან და სამხრეთის ქვეყნებთან. გზის ზედა მონაკვეთი იყო აფენი-ლელიანი-გავაზი-ნეკრესი-ფშა-

---

[30] იქვე, გვ. 9.

[31] ლ. რჩეულიშვილი, თელავი, 1963, გვ. 5.

[32] თელავის ადრეული ფენების შესახებ იხ. ლ. რჩეულიშვილის ნაშრომი «თელავი».

[33] თ. ლომოური, სასანურ-არაბული ფულების სამი კახური განძი, ნაშრომი ინახება საქ. სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.

[34] თ. ლომოური, იქვე.

[35] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 185—204.

ველი-ახმეტა-კვეტერა. აქედან შეიძლებოდა წასვლა თიანეთის გზით მცხეთისაკენ (ოხერხიდით) და თბილისისაკენ (გლდან-ავჭალით), ასევე ჩრდილოეთით (თიანეთის ზემოთ ხომ პტოლემაიოსის ქალაქი არტანი მდებარეობდა). აქედანვე შეუძლებელი არ იყო ჩრდილოეთით გადასვლაც. ვისაც ჰერეთის ამ პუნქტებიდან თბილისში უნდოდა წასვლა, ამ გზას არ აირჩევდა, რადგან იგი საკმაოდ შორი იყო. უმოკლესი გზა, თანაც კეთილმოწყობილი, სხვაა: გავაზი-ველისციხე-ჰერემი-მანავი-კაკაბეთი-თბილისი (სურ. 4).

IX—X საუკუნეებში ქვეყნის აღმავლობისას, როდესაც იქმნებოდა პირობები ერთიანი მონარქიის შესაქმნელად, თითქმის განცალკევებით დგას თბილისი, რომელიც კვლავ არაბთა მორჩილი იყო. როგორც ჩანს, ქალაქი მხოლოდ ნომინალურად რჩებოდა უცხოელთა ხელში. ამიტომ იყო, რომ იგი კარგა ხანს იმყოფებოდა ასეთ ყოფაში, სანამ საბოლოოდ არ გაათავისუფლა დავით აღმაშენებელმა 1122 წელს. საქმე იმაშია, რომ ამირამ დაჰკარგა თავისი ვრცელი სამფლობელოები და იგი თბილისის და მისი მიდამოების პატრონიღაა. ფაქტიურად იგი დიდ პოლიტიკურ ძალას აღარ წარმოადგენდა და ამირა ისეთივე ფეოდალი გახდა, როგორც სხვები. ამიტომ იყო, რომ ქართველი მეფეები თითქმის არც კი ცდილობდნენ მის დამორჩილებას. თბილისი ყოველთვის იყო ქვეყნის ეკონომიური ცენტრი. ის, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ადგილი, ყველასათვის იყო მისაწვდომი. მისი დამორჩილება კი გამოიწვევდა დიდ პოლიტიკურ გართულებებს, რასაც სავსებით შეგნებულად თავს არიდებდნენ ქართველი მეფეები. აი, რას ამბობდა X საუკუნის სახელგანთქმული გეოგრაფი მასუდი: „ამის შემდეგ (ლაპარაკია ბუღა თურქის მიერ თბილისის აღებაზე და ამირას დასჯაზე, ლ. ჭ.) დღევანდლამდე თბილისელმა მუსლიმანებმა დაჰკარგეს ყოველგვარი პატივისცემა. მეზობელი ქვეყნები (მხარეები) მათ აღარ ემორჩილებიან; მათ გამოეყო თბილისის ბევრი სოფელი და ურთიერთობა თბილისსა და ისლამის ქვეყნებს შორის გადავიდა ურწმუნოთა (ქართველთა, ლ. ჭ.) ხელში, რომლებიც თბილისს არტყიან ყველა მხრიდან“.[36]

თბილისი ბუღა თურქის ლაშქრობის შემდეგ მალე ისევ წამოდგა ფეხზე და შენება იწყო, ისე, რომ X საუკუნეში აქ ცხოვრება ძალზე გაიაფებულა. ამავე საუკუნის არაბი გეოგრაფის იბნ-ჰაუკალის გადმოცემით თბილისი „უხვნაყოფიანია, გამაგრებული და მდიდარი პროდუქტებით, იაფი ფასებით და თავისი კეთილდღეობით ის სჯობნის სხვა მდიდარ სამეფოებს და ნაყოფიერ ქვეყნებს. მე მითხრა ერთმა ვინც აქ ერთხელ თაფლი იყიდა, რომ 20 რიტლზე მეტი თაფლი იყიდა ერთ დირჰემად. ეს ქალაქი სასაზღვრო რაიონია, რომელიც ირგვლივ გარემოცულია მტრებით. აქ არის აბანოები მსგავსი ტიბერიადის აბანოებისა. წყალი ცხელია ცეცხლის გარეშე. ქალაქი გაშენებულია მტკვარზე“.[37] ცნობები თბილისის აბანოების შესახებ მოეპოვება ასევე მუკადდასის, ისტახრის და იაკუთის.

იბნ-ჰაუკალის გადმოცემით თბილისში უცხო სტუმრებისათვის ყოველგვარი პირობები ყოფილა შექმნილი, და მათ მიმართ მეგობრულ დამოკიდებულებას ამჟღავნებენო.

თბილისის ძლიერების წყარო, რამაც იგი ასე უხვნაყოფიანი და მდიდარი გახადა მისი მეურნეობა, ვაჭრობა ხელოსნობა, აღებმიცემობა. თბილისი X

[36] СМОПМК, 38, გვ. 56.

[37] СМОПМК, 38, გვ. 88—89.

სავაჭროსათვის. როგორც ამ დროის უცხო ავტორები გადმოგვცემენ, დარუბანდთან და ბარდავთან ერთად ამიერკავკასიის ყველაზე დიდი ქალაქია. იგი ვაჭრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. ქარავნები თბილისში უამრავი ქვეყნებიდან მოემართებოდა. მისი შესანიშნავი გეოგრაფიული მდებარეობა, სავაჭრო გზების კვანძსა ჰქმნიდა, სადაც თავს იყრიდნენ ვაჭრები შორეული ქვეყნებიდანაც კი. თავისი ასეთი მდებარეობის გამო იგი ბევრჯერ შუამავლის როლში გამოდიოდა სხვადასხვა ქვეყნის ვაჭართა შორის. სავაჭრო გზებით თბილისი უკავშირდებოდა ბევრ ცნობილ პუნქტს.

IX—XI საუკუნეების უმთავრესი მარშრუტები, რომლებითაც თბილისი უკავშირდებოდა სხვა ქალაქებს, შემდეგია:

თბილისი-ბარდავი; სავაჭრო გზა მიჰყვებოდა მტკვრის ხეობას და გაივლიდა ისეთ ცნობილ ქალაქებს, როგორიც იყო — რუსთავი, გარდაბანი, ხუნანი, შამქორი, განჯა.

ბარდავიდან გზა რამდენიმე მიმართულებით მიდიოდა.

თბილისი-კართაკარი (დარუბანდი): გზა გაივლიდა ბარდავს, შემდეგ კი ბერდუჯი-შემახია-შარვანი-აბხაზი-ჯასარ-სამური-დარუბანდი. ეს იყო ცენტრალური გზა. უფრო მოკლე კი, რომელიც მხოლოდ ზაფხულის თვეებში მოქმედებდა. გადიოდა თელავზე და შემდეგ კი გრემი-ნეკრესის მონაკვეთიდან კავკასიის მთების გადაკვეთით დარუბანდისაკენ.

თბილისი-დვინი. თბილისიდან მგზავრს დვინს მისვლა შეეძლო როგორც დმანისის გზით ლორე-ბამბაკით, ისე ბარდავის გზით (ბარდავი-კალკატუსი-მეტრის-დავმასი-კილ-კუი-სისაჯანი-დვინი).

თბილისი-არდებილი: თბილისი-ბარდავი-იუნანი-ბაილაქანი-ვარსანი-ბალხაბი-ბერზენდი-არდებილი.

ესაა ძირითადი გზები, რომლებითაც თბილისი სამხრეთის ქალაქებს უკავშირდებოდა. შეიძლება დაემატოს ანისის გზაც, ასევე სხვა რამდენიმეც, მაგრამ მათ უკვე გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნებათ, რადგან ბევრი მარშრუტი ერთმანეთს ემთხვეოდა. ყველა მათგანი თბილისიდან სამხრეთით ორი მიმართულებით გადიოდა მტკვრის ხეობით რუსთავ-გარდაბნის გავლით და მეორე ლომთა-გორა-დმანისით.

ბიზანტიის ქალაქებთან თბილისი არტანუჯის გზით იყო დაკავშირებული, რომლის ტრასაც გაივლიდა სამშვილდეს-ფარავნას-ახალქალაქს-არტაანს-არტანუჯს.

თბილისიდან გზა მიდოდა ასევე ჩრდილოეთისაკენაც და მტკვრის ხეობის აყოლებით დასავლეთ საქართველოში.

თბილისში სხვადასხვა მხრიდან შემომავალმა გზებმა ქალაქის საფორტიფიკაციო ნაგებობებში მრავალი კარი გააჩინა. ისტახრის ცნობით თბილისს ალიზის ორი კედელი ჰქონდა, შიგ დატანებული სამი კარით.[38] ამასვე იმეორებს იბნ-ჰაუკალიც.[39] ტაბარის ცნობით კი „თბილისს ხუთი კარი აქვს: მეიდნის კარი, კარის კარი, მცირე კარი, რაბადის კარი, სოღდებილის კარი".[40] უფრო სწორი ჩანს ტაბარი, რომელიც კარებთა სახელებსაც კი გვაწვდის. თბილისში აღმოჩენილი სამანძილე ქვის მიხედვით, რომელსაც არაბულად აწე-

[38] СМОПМК, 29, გვ. 11.
[39] СМОПМК, 38, გვ. 89.
[40] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არაბული ქრესტომათია, თბ., 1949, გვ. 65.

რია „თბილისიდან სამი მილიაო“,[41] ძნელი არ არის ვარაუდი კეთილმოწყობილი გზებისა, სადაც ქარავნებს უხიფათოდ შეეძლოთ სიარული. აღარაფერს ვამბობთ უამრავი ქარვასლა-ფუნდუკის შესახებ, რომლებიც გზების გასწვრივ იყო ჩარიგებული.

თბილისელ ვაჭრებს ურთიერთობა ჰქონდათ არა მარტო კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, არამედ უფრო შორეულ მხარეებთანაც. დარუბანდი, როგორც ზღვისპირის ქალაქი, მრავალი მხრიდან ჩამოსული ვაჭრების თავშესაფარი იყო. იგი ჩრდილოეთისა და სამხრეთის ვაჭრების შესაყარი ადგილია. აქედან აგრძელებდნენ მოგზაურობას ჩრდილოეთის ქვეყნებისაკენ და შუა აზიისაკენ. ისტახრი გადმოგვცემს, აქ ნავსადგურში თავს იყრიანო ხაზარები, სერირები, გურგანელები, ტაბარისტანიდან, დეილამიდან და ასევე ქართველებიო.[42]

თბილისელ ვაჭართა ურთიერთობა მეზობელ ქალაქებთან ტოპონიმიკაშიც აისახა. მუკადდასი გადმოგვცემს შუასაუკუნეების ერთ-ერთი ცნობილი ქალაქის დვინის შესახებ, რომ ძლიერი ციხე აქვსო ალიზით და ქვით ნაგები. ქალაქში შესასვლელებიდან ერთ-ერთი თბილისის კარის სახელს ატარებსო.[43]

თბილისელ ვაჭართა მოქმედების დიდ დიაპაზონზე მიუთითებს თბილისში მოჭრილი მონეტების გავრცელებაც. VIII—IX საუკუნეებში თბილისში მოჭრილი მონეტები აღმოჩენილია საქართველოდან საკმაოდ დაშორებულ მხარეებში, მაგალითად ფინეთში,[44] კიევში,[45] მურომში,[46] მინსკის მახლობლად,[47] გროზნოს ოლქში,[48] ფსკოვის რაიონში.[49] X საუკუნის მიწურულის ვერცხლის მონეტა, რომელიც დავით კურაპალატს ეკუთვნის, აღმოჩნდა 1858 წელს გერმანიაში მეკლენბურგ-შვერინში.[50] ერთი მსგავსივე მონეტა ინახებოდა ბერლინის მუზეუმშიც.[51]

ეს, რა თქმა უნდა, არასრული სიაა ამდროინდელი მონეტების აღმოჩენისა საქართველოს ფარგლებს გარეთ. მიუხედავად ამისა, შესანიშნავად ჩანს, თუ რა შორეულ ქვეყნებთან ჰქონიათ ურთიერთობა თბილისელ ვაჭრებს. ეს მომენტი სავაჭრო ურთიერთობისა არქეოლოგიური მასალებიდანაც ჩანს, მაგრამ აქ ერთი საპირისპირო მომენტიც აშკარად შეინიშნება. იმპორტული ნაწარმის მიხედვით ქართულ მასალებს ანალოგიები უჩანს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან. ასევე ბიზანტიასთან, ნუმიზმატიკური მონაცემების მიხედვით კი თითქმის არაფერი ვიცით ქართული მონეტების აღმოჩენების შესახებ ბიზანტია-სპარსულ სამყაროში. ეს სრულიად მოულოდ-

---

[41] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, 1946.

[42] СМОПМК, 29. გვ. 15.

[43] СМОПМК, 38, გვ. 10.

[44] Е. А. П а х о м о в, Монетные клады Азербайджана и Закавказья, Баку, 1926, I, № 279.

[45] Е. А. П а х о м о в, დასახ. ნაშრომი, II, 1938, № 612.

[46] Е. А. П а х о м о в, დასახ. ნაშრომი, I, № 248.

[47] ი ქ ვ ე, I, № 260.

[48] ი ქ ვ ე, IV; 1949, № 1083.

[49] ი ქ ვ ე, I, № 271.

[50] ი ქ ვ ე, I, № 298.

[51] ი ქ ვ ე, I, № 257. ზემოთ ჩამოთვლილი აღმოჩენების შესახებ იხ. ასევე, Д. Г. К а п а н а д з е, Грузинская нумизматика, М., 1955, стр. 52.

ნელი ამბავია და ალბათ ნუმიზმატიკური მასალის ნაკლებად შესწავლილობისა და, განსაკუთრებით, არასათანადო ინფორმირების ბრალი უნდა იყოს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული ნათლად მიუთითებს, რომ მერვე საუკუნის შემდეგ, განსაკუთრებით კი IX — X საუკუნეებში ქვეყანა განიცდის აღმავლობას. ცალკეული სამეფო-სამთავროების, მსხვილი ფეოდალური გაერთიანებების ჩამოყალიბებას, გარეშე საფრთხის შესუსტებას თან სდევდა ქვეყნის ეკონომიური მოღონიერება და შენება. იქმნებოდა პირობები საქართველოს გაერთიანებისათვის და ახალი, ფეოდალური ქალაქების წარმოშობისათვის.

## 2. IX — XI საუკუნეები — ახალქალაქების წარმოშობის ხანა

საქართველოში მძლავრი ფეოდალური ერთეულების ჩამოყალიბების შედეგად მყარი საფუძველი იქმნებოდა მთლიანად საქართველოს გაერთიანებისათვისაც. თვითეული მთავარი, რომელიც თავის სამფლობელოში თავს მეფედ მიიჩნევდა, პრეტენზიებს აცხადებდა მეზობელ ტერიტორიებზედაც და მიისწრაფოდა რაც შეიძლება გაეფართოვებინა თავისი პოლიტიკური გავლენის სფერო. ტაო-კლარჯეთის მმართველებმა იმდენი ქნეს, რომ სამხრეთ საქართველოს სამფლობელოები X საუკუნეში მდინარე არეზამდე ჩაიტანეს. ასევე განავრცეს თავისი მამულები აფხაზთა და კახეთ-ჰერეთის მთავრებმაც. რა მიზნებიც არ უნდა ჰქონოდათ მეფე-მთავრებს, საქართველოს გაერთიანებისათვის დიდი საქმე კეთდებოდა. XI საუკუნისათვის, მართალია, საქართველო ჯერ კიდევ არ იყო გაერთიანებული, მაგრამ ქვეყანა აღმავალი გზით მიდიოდა. არნახული განვითარება და წარმატებანი სოფლის მეურნეობაში ძლიერ ეკონომიურ საყრდენს უქმნიდა ქვეყანას, უცხო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერება საქალაქო მეურნეობის ზრდა-განვითარებას იწვევდა.

IX—XI საუკუნეები საქალაქო მეურნეობის სწრაფი ზრდით ხასიათდება ფეოდალიზაციით შექმნილმა ახალმა ეკონომიურმა ყოფამ წარმოშვა პირობები ქალაქების განვითარებისათვის. ეს არის პერიოდი ფეოდალური ქალაქების წარმოშობისა, ახალ სოციალურ გარემოში ახალი ქალაქების გაჩენისა. ეს არის ხანა „ახალქალაქებისა". ახლად წარმოშობილი ქალაქების ერთი ნაწილი „ძველი ქალაქების" (ანტიკური ქალაქების) ნანგრევებზეა აღმოცენებული, ნაწილი კი ფეოდალიზმის პირმშოა.

„ახალქალაქები". იქმნება „ძველი ქალაქებისაგან" განსხვავებით, ახალ სოციალურ გარემოში. ამიერიდან ქალაქი კვლავ ვაჭრობა-ხელოსნობის ცენტრია, იგი საქალაქო მეურნეობის ბუდეა, განსხვავებით დაკნინებული ანტიკური ქალაქებისაგან, რომელნიც ადრეფეოდალურ ხანაში მხოლოდ სოფლის მეურნეობითღა ცხოვრობდნენ და სადაც საქალაქო მეურნეობა მცირე პროცენტს შეადგენდა.

არქეოლოგიური მასალების მიხედვით X—XI საუკუნეებიდან ნივთიერი ნაწარმის დიდი მოზღვავება იგრძნობა. ქალაქებში სისხლსავსე ცხოვრება ჩქეფს. ვაჭართა ქარავნები შორეულ ქვეყნებს სერავენ. კონტაქტი მეზობელ ქვეყნებთან ძლიერდება. ხალხი მომრავლდა და დაეშენა. ცხოვრების მაღალმა დონემ, გარეგანი საფრთხის შემცირებამ და შედარებით მშვიდობიანობის

დამყარებამ, ახალმა სოციალურ-ეკონომიურმა ყოფამ, გამოიწვია ფეოდალური ქალაქების წარმოშობა.

ამ დროს წარმოიშვა რიგი ახალი ქალაქებისა, რომლებიც ადრე არ არსებობდნენ ან უმნიშვნელო პუნქტებს წარმოადგენდნენ (ახალქალაქი, ატენი. თელავი, დმანისი, ახალციხე და სხვ.). ასევე განახლდნენ და ახალქალაქობის პერიოდში საქალაქო მეურნეობის მაღალ დონეს მიაღწიეს ძველმა ქალაქებმა, როგორიცაა: რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი და სხ. XI საუკუნის ქრონოგრაფოსის გიორგი კედრენეს სიტყვებით იბერია მდიდარი ქვეყანაა და იქ „აუარებელი ძალიან გამაგრებული ციხე-კოშკებია“.[52]

„ქალაქების“ I წიგნში აღნიშნული იყო, რომ „მოქცევაში“ და ლეონტი მროველის თხზულებაში აღნიშნული ქალაქები ძირითადად მტკვრის ხეობაში არიან მოქცეული. გარკვეული გეოგრაფიული და შესაბამისი ეკონომიური ბაზისის გამო ძველი ქალაქების ცალკეული ჯგუფები შეიძლება წარმოვიდგინოთ: ზემო წელში ოძრხე, წუნდა, ხერთვისი; მტკვრის შუა წელზე ურბნისი. კასპი, სარკინე, მცხეთა; ხეობის ქვემო წელზე რუსთავი, ხუნანი. ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქები ცნობილი სავაჭრო გზის გასწვრივ მდებარეობდნენ. ტრასა მტკვრის ხეობას გასდევდა, შუაზე ჰკვეთდა-რა ისტორიული ქართლის პროვინციას. ამ გზით ძველი ქართული ქალაქები უკავშირდებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნებს, რიონის აუზით და შავი ზღვით კი ანტიკურ სამყაროს.

ადრეფეოდალური ხანიდან ახალი სოციალური და ეკონომიური ძალა იმარჯვებს. ირან-ბიზანტიის ომებმა მოსპეს მტკვრის ხეობის გზა. ერთიმეორეზე მიყოლებით ეცემიან ძველი ქართული ქალაქები. არაბებმა საბოლოოდ მოუღეს მათ ბოლო. დასავლეთის სამყარო დროებით მოიშალა იბერიის ქალაქებისათვის.

არაბების მძლავრობით. ქართული პროვინციების დაპყრობით და დახარკვით, თბილისის საამიროს დაარსებით, ყურადღება მახვილდება სამხრეთისაკენ. ახალ სოციალურ-ეკონომიურ ძალას, ახალ ორიენტირს, ახალი ქალაქები მოჰყვა. თბილისიდან, სახალიფოს ჩრდილოეთის სასაზღვრო პუნქტიდან სამხრეთის მიმართულებით სავაჭრო გზები კვლავ ამოქმედდა. ამან გადაარჩინა მტკვრის ხეობის ქვედა წელის ქალაქები (რუსთავი, ხუნანი) საბოლოო დაღუპვას და მათაც „ახალქალაქობის“ პერიოდში თავი წამოიწიეს, როგორც კი საამისო პირობები დაუდგათ. შუა და ზემო წელის ქალაქები კი, გზის უმოქმედობის გამო, დასუსტდნენ და დაეცნენ. **ზემოაღნიშნული მიზეზის გამო, თბილისიდან მტკვრის აყოლებით, არცერთი ანტიკური ქალაქი აღარ განახლებულა.**

მაგრამ დასავლეთის სამყაროსთან ურთიერთობა კვლავ აუცილებელი შეიქმნა. აქ ბიზანტიის ძლიერი და ცივილიზებული პროვინციები იდო. მასთან კონტაქტი თანდათანობით ძლიერდება. ურთიერთობა ბიზანტიასთან მით უფრო ღრმავდება, რაც უფრო მეტ თავისუფლებას გრძნობს საქართველო სახალიფოსაგან. IX — X საუკუნეებში ბიზანტიასთან ურთიერთობის შედეგად გაძლიერდა ახალი მნიშვნელოვანი ტრასა, რომელიც შავიზღვისპირეთს აკავშირებდა თბილისთან. გზა გადიოდა ამ დროის მეტად დაწინაურებულ ტაოკლარჯეთზე. მისი მიმართულება მეტ-ნაკლები სიზუსტით ემთხვეოდა ახალქა-

---

[52] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, V, თბ., 1963, გვ. 80—82.

ლაქობის დროს დაწინაურებულ ქალაქებს: თბილისი-სამშვილდე-ახალქალაქი-არტაანი-არტანუჯი... (სურ. 7).

**მტკვრის ხეობაზე გამავალმა ანტიკური დროის ტრასამ სამხრეთით გადაინაცვლა. გზის მიმართულების ასეთმა შეცვლამ ქალაქების ერთი რიგის დაცემა და მეორე რიგის წამოწევა გამოიწვია. ერთიმეორეზე მიყოლებით დაეცნენ წუნდა, ურბნისი, კასპი, სარკინე, მცხეთა და წარმოიშვნენ ახალი გზის ქალაქები — ახალქალაქები: არტაანი, ახალქალაქი, განახლდა სამშვილდე და სხვ.**

აი, ამიტომ ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო ახალქალაქობის ჟამს. ძველი, ანტიკური ქალაქებიდან გამოცოცხლდნენ ისინი, ვინც მონაწილეობის მიღება შესძლო ახალი ცხოვრებით წამოყენებულ პირობებში. ესენი არიან ძირითადში ზემოთ აღნიშნული გზის გასწვრივ მდებარე პუნქტები და ასევე რუსთავი და ხუნანი. ძველი, ანტიკური გზის ერთი მონაკვეთი, თბილისიდან სამხრეთით, კვლავ წარმატებით მოქმედებდა. ეს გზა ბარდავის მიმართულებით მიდიოდა. რუსთავიცა და ხუნანიც სწორედ ამ გზაზე მდებარეობდნენ.

ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო არსებითი განსხვავებაა შესამჩნევი ძველ ქართულ ქალაქებსა და ფეოდალურ ქალაქებს შორის.

ერთხელ კიდევ უნდა დუვუბრუნდეთ ზემოთ ნათქვამს; სავაჭრო გზის შეცვლას და მასზე დაკავშირებით ახალი ქალაქების წარმოშობის თუ ძველების განახლების საკითხს. ძალაუნებურად იბადება კითხვა, რატომ უნდა შეცვლილიყო ძველი ტრასა და რამ წარმოშვა ახალი გზის განვითარების საჭიროება? ბოლოს და ბოლოს. ანტიკური გზა მტკვრის ხეობიდან მდ. ყვირილითა და რიონით ხომ კოლხეთზე გაივლიდა. ეს ტერიტორია არაბთათვის თითქმის მიუწვდომელი იყო და მას ასერიგად არ განუცდია აოხრება, თანაც აქვე წარმოიშვა აფხაზეთის სამეფოც, რომელიც კანონიერი მემკვიდრე იყო ძველი კოლხეთისა; თითქმის არაფერი არ შეცვლილა. ფაქტი კი ფაქტად რჩება — ძველი გზა ველარ აღსდგა, მან სხვაგან გადაინაცვლა. ჩვენის აზრით. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა, უმთავრესი კი ორია. ჯერ ერთი. მოისპო ზღვისპირეთის კულტურული ცენტრები.[53] ისინი ველარ ჰკვებავენ გზას, რომელსაც ახლა მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა აქვს. რაც მთავარია, გზა თავისაკენ მიიზიდა ტაო-კლარჯეთის ღონიერმა და მზარდმა პროვინციამ. რომელმაც IX—X საუკუნეებში საგრძნობლად გაასწრო კოლხეთს. ტაო-კლარჯეთი თავისი კულტურული და ეკონომიურად დაწინაურებული ცენტრებით თავისაკენ ეწეოდა გზას. ამ ბრძოლაში მან დასჯაბნა პირველი. მტკვრის ხეობაში ახალქალაქობის ჟამს წარმოშობილი და დაწინაურებული ზოგიერთი პუნქტიც კი (ატენი, გორი) კვლავ სამხრეთით იყურება და მათი წინსვლა განსაკუთრებით იმითია გაპირობებული, რომ სამხრეთისაკენ მიმავალ გზაზე არიან განლაგებული (თრიალეთის ხეობებით ჯავახეთისაკენ, სადაც არტანუჯის გზა გაივლიდა).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, IX საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოში შექმნილია პირობები ფეოდალური ქალაქის წარმოშობისათვის.

---

[53] საბოლოო ლახვარი მურვან ყრუმ ჩასცა, რომელმაც მიწასთან გაასწორა ზღვისპირეთის ქალაქები (კლისურა, ცხუმი, ანაკოფია და სხვ.), ჯუანშერის სიტყვებით «და ჩაიარა უღმრთომან მურვან ყრუ ზღვის პირი და გამოიხუნა ციხენი და ქალაქნი ზღვისპირისანი, და ოხერ და უვალ ყო ყოველ ქუეყანა ზღვის პირისა, ვიდრემდის მიიწია ქალაქსა მას, რომელ არს კონსტანტინეპოლე, და დაიბანაკეს, რომელსა ხალკიდონ ჰქვიან». («ქ ც-ბა», გვ. 239).

სოფლის მეურნეობისაგან ხელოსნობის დარგების გამოყოფა უკვე რეალობაა, რის შედეგადაც არაერთი ქართული ფეოდალური ქალაქი ჩნდება ასპარეზზე. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გაგვეჩნდეს კითხვა: ეს ვიწრო ქართული მოვლენაა თუ ეს სურათი შეინიშნება ზოგადად ფეოდალური ფორმაციის განვითარების გარკვეულ ეტაპზე? რა თქმა უნდა, დღესდღეობით შეუძლებელია ასეთი ვრცელი საკითხის შესწავლა, ის ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებს სცილდება. შეიძლება კი აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალქალაქობის ხანა მეტნაკლები ქრონოლოგიური მერყეობით ემთხვევა სხვა მეზობელ ქვეყნებში ფეოდალური ქალაქების წარმოშობასა და ქალაქების გამრავლებას.

საქართველოს უძველესი დროიდანვე ემეზობლებოდა შესანიშნავი კულტურის მქონე ქვეყანა სომხეთი, რომელთანაც ქართველებს საუკუნეების განმავლობაში მჭიდრო კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა ჰქონდათ. სოციალურსა თუ ეკონომიურ ცხოვრებაში ამ ორ ერს ერთიდაიგივე საფეხურების გავლა უხდებოდა. ისევე როგორც საქართველოში, ძველ სომხეთშიაც მაღალ დონეზე იდგა საქალაქო ცხოვრება, ვაჭრობა და ხელოსნობა. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სომხეთის ქალაქები განვითარების ისეთსავე სტადიებს გადიან, როგორსაც ქართული ქალაქები. IV—V საუკუნეებიდან სომხეთშიც, მსგავსადვე, ფეოდალური ურთიერთობის ჩასახვასთან დაკავშირებით, ეცემა საქალაქო მეურნეობა, IV—IX საუკუნეებში სომხეთში მხოლოდ სამი ქალაქიღა არსებობდა, რომელთაგანაც ერთადერთი დვინი წარმოადგენდა მეტად თუ ნაკლებად მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრს. დანარჩენები სამხედრო-ადმინისტრაციული პუნქტებია.[54] დვინის მომძლავრება და ძველი სომხეთის ცენტრის არტაშატის დაცემა, ახალი მზარდი სოციალური ძალების გაძლიერებით შეიძლება აიხსნას. საგულისხმო ფაქტია, რომ ფეოდალიზმის გარიჟრაჟზე სომხეთშიც ადგილი აქვს ძველი ქალაქების დაცემას და დაქვეითებას (გარნისი, არტაშატი...). ადრეფეოდალურ ხანაში საქალაქო მეურნეობა აქაც დაცემულია, დვინის მოწინავეობა ამ დროს წმინდა პოლიტიკური მოტივებით უნდა აიხსნას. სომხურ მწერლობაში ამ ხანებში ჩნდება ტერმინი სოფელ-ქალაქი, რაც შესანიშნავი ანარეკლია შექმნილი ვითარებისა. IV საუკუნეში დვინის ქცევა დედაქალაქად და ტახტის გადმოტანა არტაშატიდან ახალი სოციალური ძალების გამარჯვების მომასწავებელია. დვინი დედაქალაქია IV საუკუნის 30-იანი წლებიდან.[55]

IX—XI საუკუნეებში, ისევე როგორც საქართველოში, სომხეთში ახალ-ახალი ქალაქები გაჩნდა.[56] IX საუკუნიდან ახალი აღმავლობა შეიმჩნევა დვინის ცხოვრებაშიც[57]. როგორც ვარაუდობენ, IX — XI საუკუნეების სომხეთში (სომხეთის ზეგანზე) ქალაქების რიცხვმა 45 მიაღწია. 23 ქალაქის ტიპის დასახლებაა.[58]

---

[54] Б. Н. Аракелян. Развитие ремесел и товарного производства в Армении в IX—XIII веках, СА, XXVI, 1956, стр. 118.

[55] К. Г. Кафадарян. Город Двин и его раскопки, Ереван, 1952, (სომხურ ენაზე, რუსული რეზიუმით). გვ. 266.

[56] Б.. Н. Аракелян. დასახ. ნაშრომი, იქვე.

[57] А. А. Калантарян. Материальная культура Двина V—VIII вв., Ереван, 1966, გვ. 22, საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი.

[58] Б. Аракелян. Города и ремесла Армении в IX—XIII вв.. Ереван, II, стр. 293.

მსგავსივე სურათი შეინიშნება ძველი ალბანიის და აზერბაიჯანის საქალაქო ცხოვრებაშიც. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით აქ ყურადღება არ არის გამახვილებული, არქეოლოგიური მონაცემები კი სწორედ ზემოთ აღნიშნულის სასარგებლოდ მეტყველებენ. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ორი ქალაქია კარგად შესწავლილი, მინგეჩაური (სუდაგილანი) და ორენ-კალა (ძველი ბაილაქანი). მინგეჩაური, ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში დასახლებული პუნქტი, ანტიკური ხანიდან ქალაქური ტიპის სამოსახლოა, ძლიერ განვითარებული საქალაქო მეურნეობით. საქართველოს მომიჯნავე ალბანეთის ამ მნიშვნელოვან ეკონომიურ ცენტრში ყალიბდება და ვითარდება თავისებური ადგილობრივი „კულტურა", რომელიც თავისთავადობის დიდი ელემენტით ხასიათდება. მისი ეკონომიური კავშირი იბერიის ძველ ქალაქებთან ეჭვებს არ იწვევს და ეს ნივთიერ მასალაში კარგად იგრძნობა. მისი ურთიერთობა განსაკუთრებით ძლიერი უნდა ყოფილიყო იორ-ალაზნის აუზის ქალაქებთან და უპირატესად ხორანთასთან, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ახლო მეზობლები იყვნენ. V—VIII საუკუნეებში მინგეჩაური ისეთი წარმატებით ვეღარ ცხოვრობს, როგორც ძველად. მართალია, აქ მონღოლთა შემოსევებამდე და შემდეგშიაც კვლავ არსებობდა დასახლება, მაგრამ უმნიშვნელო.[59]

აზერბაიჯანშიც, დაახლოებით IX საუკუნიდან, საქალაქო ცხოვრების ძლიერი გამოცოცხლება იგრძნობა. ამავე პერიოდიდან ჩნდებიან და ძლიერდებიან ახალი ქალაქები. ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ აღებული ხანა უდიდესი ცვლილებების პერიოდია ალბანეთის ისტორიაში; ქვეყანაში მძლავრად იგრძნობა ისლამიზაცია და ამიერიდან ის წყდება-რა ქრისტიანულ სამყაროს, სულ უფრო და უფრო მიილტვის სამხრეთისაკენ. ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო საქართველოსთვისაც, რომელსაც ხელიდან ეცლებოდა ერთმორწმუნე მეზობელი. IX—X საუკუნეები აზერბაიჯანის ქალაქების აღმავლობის ხანაა. ამ დროს მთელს აღმოსავლეთში იცნობდნენ აზერბაიჯანის მოწინავე ქალაქებს, როგორიც იყო ბარდავი, არდებილი, ბაილაქანი, განჯა და სხვა მრავალი.

აზერბაიჯანში ახალქალაქების განვითარების ერთ-ერთი ტიპიური წარმომადგენელია ორენ-კალა (ბაილაქანი). მართალია, აქ დასახლება საკმაოდ ძველი და ძლიერი არსებობდა, მაგრამ ის, როგორც ქალაქური დასახლება, ძლიერი საქალაქო მეურნეობით, სწორედ IX საუკუნიდან ჩნდება. იგი ამ დროს ძლიერი ქალაქია, გამაგრებული რთული თავდაცვითი ნაგებობებით. ქალაქში მძლავრია მწარმოებელი ფენა — ხელოსნები და ასევე ვაჭრები[60].

წერილობითი წყაროების მიხედვით, ასევე არქეოლოგიური მონაცემებით, ძველი რუსული ქალაქები VIII—IX საუკუნეებიდან ჩნდებიან.[61] მართალია, ზოგი მათგანი, მაგალითად, კიევი, უფრო ძველი, რომაული ხანის ფე-

[59] მინგეჩაურის შესახებ იხ. Г. М. Асланов, Р. М. Вандов, Г. И. Ионе, Древний Мингечаур, Баку, 1959; Р. М. Вандов, Археологические работы в Мингечауре в 1950. КСИИМК, 45, 1952; მისივე, Городище Судагылан (Мингечаур), КСИИМК, 54, 1954, მისივე, Мингечаур в III—VIII веках, Баку, 1960. (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი).

[60] Труды Азербайджанской (Орен-калинской) экспедиции, МИА, № 67.

[61] М. Ю. Брайчевский, К происхождению древнерусских городов, КСИИМК, 1951, стр. 32.

ნების ძომცეელია, მაგრამ ამ დროის ქალაქობის შესახებ ჯერჯერობით ლაპარაკი არ შეიძლება.[62] მრავალრიცხოვანი ქალაქები აღმოსავლეთ სლავების ტერიტორიაზე, რუსული მატიანეების მიხედვით, უკვე IX—X საუკუნეებში იგულისხმება.[63] ამ დროის ორ ათეულზე მეტი ქალაქის ჩამოთვლაა შესაძლებელი.[64] უფრო სავარაუდოა, რომ IX—X საუკუნეებში ახალი სოციალური ურთიერთობის — ფეოდალიზმის განვითარებასთან დაკავშირებით გაჩენილი ქალაქები, ყოველ შემთხვევაში მათი ნაწილი მაინც, განახლებული ძველი ქალაქია.[65] არ არის გამორიცხული „ნოვგოროდი", რომელიც სახელის მიხედვით ქართული ახალქალაქის პირდაპირი შესატყვისია, მსგავსივე განვითარების შედეგი იყოს. არის მონაცემები, რომ რუსული ქალაქების წარმოშობა ახალი სოციალური ფორმაციის ჩასახვა-განვითარების პირობებში მსგავსადვე „ახალქალაქობის" პერიოდის ნაყოფი იყოს. რუსული ქალაქების მკვლევართ მიაჩნიათ, რომ ამ დროისათვის ქალაქები თანდათანობით იქცევიან სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებად[66]. საკმარისია კიევისა[67] და ნოვგოროდის[68] არქეოლოგიური გათხრების მონაცემებს გავეცნოთ, რომ დავრწმუნდებით ზემოთქმულის სინამდვილეში. შუასაუკუნეების რუსულ ქალაქებში ხელოსნობის ყველა წამყვანი დარგი მოქმედებდა. რუსულ ქალაქებს გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ გაჩაღებული მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის ბიზანტიასთან, საქართველოსთან, ირანთან და სხვ. ეს კარგად ჩანს არქეოლოგიური მონაცემებითაც.

### ახალქალაქის შენება

ახალქალაქი, როგორც სახელიდანაც ჩანს. აღორძინების ხანაში წარმოშობილი ქალაქია. იგი განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა XI საუკუნიდან. ამ დროიდან იგი საქართველოს ერთ-ერთი მოწინავე პროვინციის, ჯავახეთის ცენტრია. ძველი ცენტრი წუნდა დაცემულია, მის ნაცვლად ხდება ახალი პუნქტის წამოწევა. წერილობით წყაროებში, ჯერ კიდევ ფარნავაზის რეფორმებიდან მოყოლებული, ჯავახეთი წუნდასთან არის დაკავშირებული. წუნდაში ზის პროვინციის გამგებელი ერისთავი, რომელსაც ჯავახეთთან ერთად ემორჩილება კოლა და არტანი („ფანავრითგან ვიდრე თავადმდე მტკურისა, რომელ არს ჯავახეთი და კოლა და არტანი").[69] ვახტანგ გორგასალის დროს ჯავახეთია „ფარავნითგან მტკურამდე".[70] ჯავახეთის ეპისკოპოსს წუნდაში აქვს რეზიდენცია.

როგორც თავის დროზე იყო შენიშნული, წუნდა, მსგავსად მთელი რიგი სხვა ანტიკური ქალაქებისა, ეცემა. ახალქალაქობის ხანაში იგი, როგორც პუნქტი, მართალია არსებობს, რაზედაც XII—XIII საუკუნეების აქ არსე-

---

62 М. К. Каргер, Древний Киев, М-Л, 1958, I, стр. 73—79.
63 М. Н. Тихомиров, Древнерусские города, М., 1956, გვ. 12.
64 М. Н. Тихомиров, დასახ. ნაშრომი, იქვე.
65 М. Ю. Брайчевский, დასახ. ნაშრომი, გვ. 33.
66 М. Н. Тихомиров, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.
67 М. К. Каргер, Древний Киев, I—II.
68 А. В. Арциховский, Раскопки на Славне в Новгороде, МИА, II, 1949; მისივე, Раскопки в Новгороде, СА, XVIII, 1953.
69 «ქ ც-ბა», I, გვ. 24.
70 «ქ ც-ბა», I, გვ. 205.

ბული ქართული წარწერიანი ეკლესიაც მიუთითებს, მაგრამ მისი მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, დაცემულია. წუნდა ჯავახეთის დასავლეთის საზღვარზე მდებარეობდა. არტაანის მტკვრის ნაპირზე. იგი მტკვრის ხეობაზე გამავალი გზით უკავშირდებოდა სხვა ქალაქებს. მისგან აღმოსავლეთით მდებარე რაიონი, სადაც მოგვიანებით ახალქალაქი გაჩნდა, ნაკლებად დასახლებული ჩანს. ეს წმინდა ნინოს ცხოვრებიდანაც კარგად ჩანს. წყაროს მიხედვით, ნინო ფარავნიდან მიდის დასავლეთით, ცხადია, გაივლიდა ახალქალაქის სანახებსაც და მტკვრის ხეობასთან გამოდის. მის მიერ გავლილი ადგილები, სანამ ქართლის გზაზე არ გამოვიდოდა, უკაცრიელია და ძნელად სავალი[71] „და მივემთხუვე გზათა ძნელთა და ფიცხელთა და ვნახენ ჰირნი დიდნი გზათა მუნ და შიშნი მხეცთაგან, ვიდრე არა მივიწიე, სადა იგი იწყო წყალმან დინებად აღმავლით. მაშინღა იქმნა მოლხინება ჩემი და ვპოვენ მოგზაურნი და შევემოუსიე მათ და მოვიწიე სანახებსა ქართლისსა და ორბნისსა".[72] ჯავახეთის ცენტრალური რაიონები ჯერ კიდევ IV საუკუნეში თითქმის უკაცრიელი ჩანს, მაგრამ საყურადღებოა, რომ აქ სომხეთიდან მომავალი გზა დევს, რომელიც ჯავახეთის გავლით შავიზღვისპირეთისაკენ მიიმართებოდა. ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა. მხარის ინტენსიური დასახლება, განსაკუთრებით X — XI საუკუნეებიდან არის მოსალოდნელი. ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს სამსარის ერთ-ერთი წარწერაც „...ესე წმიდა ეკლესია ოდეს აშენდა. მაშინ ესე ადგილი ტყისაგან არა ჩნდა".[73] წარწერა X — XII საუკუნეებით არის დათარიღებული. ჯავახეთის დასახლება განვითარებულ ფეოდალურ ხანას ემთხვევა; „ჰერეთი, სომხითი, ტაშირი, ჯავახეთი, ქუენა არტანი და ზენა არტანი ამათსა მეფობასა შინა აშენდა"-ო, წერდა დემეტრე მეფის ცხოვრების აღმწერელი.[74] ამასვე მიუთითებს დღესაც შემორჩენილი სამშენებლო ხასიათის წარწერები, რომლებიც X—XIII საუკუნეებით არის დათარიღებული.

ახალქალაქიც ჯავახეთის დასახლებისა და აღორძინების პერიოდშია წარმოშობილი. ერთ-ერთი ფაქტორი. რამაც ხელი შეუწყო მხარის ინტენსიურ მოშენებას და ათვისებას მესაქონლეობაა, მომთაბარული მეურნეობა. უძველესი დროიდანვე ჯავახეთი და თრიალეთის ადგილები საზაფხულო საძოვრებად იყო გამოყენებული და შესაბამისად მისი ათვისება ერთ-ერთი მოწინავე ეკონომიური დარგის განმსაზღვრელ პირობას შეადგენდა. ახალქალაქიც. როგორც პროვინციის ცენტრი, რამდენადმე ამ ეკონომიური დარგის საყრდენად იქცეოდა. მაგრამ ახალქლაქის წარმოშობაში და ქალაქად ქცევაში ძირითადად მაინც მისი გეოგრაფიული ფაქტორი უნდა იყოს განმსაზღვრელი. ქალაქი გაშენებულია ჯავახეთის მტკვრისა და ახალქალაქის წყლის შეერთებაზე, მაღალ, კლდოვან მასივზე. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით იგი ხერთვისია, ძლიერ წააგავს დმანისს და სამშვილდეს.

ახალქალაქის უპირატესი გეოგრაფიული განლაგება მხოლოდ ციხე-ქალაქის მდებარეობას არ გულისხმობს. იგი მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების

---

[71] ეს გზა განხილული გვაქვს ნაშრომში, ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 145.

[72] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, Описание рукописей «Общества распространения грамотности среди грузинского населения», II, стр. 750.

[73] ვ. ც ი ს კ ა რ ი შ ვ ი ლ ი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1959, გვ. 42.

[74] «ქ. ც-ბა», I, გვ. 265.

ორბიტაში იყო მოქცეული. აქ გადიოდა სომხეთიდან მომავალი გზა, რომელიც, ანტიკური წყაროების მიხედვით, შავიზღვისპირეთისაკენ მიემართებოდა. ახალქალაქიდან გზა გაივლიდა ხერთვისს, ასპინძას (სახელი სწორედ გზასთან, სანტუმრო-ასპინძასთან არის დაკავშირებული), ახალციხეს, აქედან კი ოძრხეზე და ზეკარის გადასასვლელით კოლხეთისაკენ, ანდა გოდერძის გადასასვლელით აჭარისაკენ. გზის ერთი მონაკვეთი ხერთვის-ასპინძის შემდეგ მტკვრის ხეობით ქართლისაკენ უხვევდა. მტკვრის ხეობის ცნობილ გზასთან შესაერთებლად ახალქალაქიდან მოკლე გზაც არსებობდა: ცხრაწყაროს გადასასვლელით მტკვრის ხეობისაკენ (მას დღეს ბაკურიანის გზას ეძახიან).

ეს გზა ანტიკური წყაროების მიხედვითაა ცნობილი, მაგრამ ახალქალაქის დაწინაურებაში უფრო მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეორე გზამ, რომელმაც, სავარაუდოა, განახლებულ ქალაქებთან ერთად დაიწყო აქტიური მოქმედება. შემორჩენილი ძეგლების მიხედვით, იგი X — XIII საუკუნეებში ჩანს განსაკუთრებულად აქტიური. ეს გზა ტაო-კლარჯეთს აკავშირებდა თბილისთან. მისივე მეშვეობით საქართველოს ცენტრალურ რაიონებს ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიასთანაც. დღეს, სამწუხაროდ, გზის დიდი ნაწილი თურქეთის ტერიტორიაზეა მოქცეული და მასზე ძნელია ლაპარაკი. სხვა დანარჩენი მონაკვეთი კი რამდენიმეგზის მოხილული და დაზვერილია. ეს არის სწორედ ის გზა, რომელმაც ფეოდალურ ხანაში ახალქალაქობის ჟამს, შესცვალა მტკვრის ხეობის ძველი ანტიკური სავაჭრო გზა, რის გამოც, ადრეც იყო შენიშნული, მტკვრის გზის ქალაქები ახალქალაქობის პერიოდში ვერ აღორძინდნენ, იმ დროს, როდესაც ახალი გზის ერთ-ერთი პუნქტი, ანტიკური სამშვილდე, კვლავ გამოცოცხლდა. ასევე აღორძინდა რუსთავიც. სხვათაშორის, ამ გზას უცხო მკვლევარნი დიდ როლს ანიჭებენ ბიზანტია-საქართველოს და ბიზანტია-ირანის კულტურული ურთიერთობის საქმეში და ვარაუდობენ, რომ ყველაზე მოსახერხებელი გზა ბიზანტია-ირანის კულტურათა შერწყმისა და გაცნობისათვის სწორედ ეს იყო.[75]




სურ. 3. ახალქალაქის მხარე. ძეგლთა განლაგების სქემა.

[75] T. Rice, Byzantine Glazed Pottery, 1930, გვ. 88.

აქ ალბათ ზედმეტი იქნება მთლიანად გზის დაწერილებით განხილვა; მხოლოდ იმ მონაკვეთს შევეხებით, რომელიც ჯავახეთის ზეგანზე გადიოდა და უშუალოდ ახალქალაქთან იყო დაკავშირებული.

ახალქალაქის გზის ერთი მონაკვეთია ფარავნის ტბამდე, სადამდე მისვლაც შეიძლებოდა ორი გზით: ერთი — ფარავნის წყლის გაყოლებით სამსარის ქედის სამხრეთიდან შემოვლით და მეორე — სამსარის ქედის გადაჭრით ფარავნისაკენ. ეს გზა გაცილებით უმოკლესია. წყაროს მიხედვით, პირველი გზით უსარგებლია წმინდა ნინოს, რომელიც სომხეთიდან მომავალი მიადგა ფარავნის ტბას. აქედან საღამოს ტბით და მდინარის გაყოლებით გზა მიემართება მტკვრის ხეობისაკენ.

გზის ეს მონაკვეთი, რომელიც ჯავახეთის ზეგანზე გადიოდა, სწორედ X—XIII საუკუნეებში ჩანს დასახლებული. ახალქალაქთან ერთად აღორძინების ეპოქაში ეს ტრასა ინტენსიური მშენებლობის უბნად ქცეულა. აქ მოკლედ შეიძლება შევჩერდეთ იმ პუნქტებზე, რომლებზედაც გზა გაივლიდა და მნიშვნელოვან ძეგლებზე. რომლებიც ამ პერიოდშია წარმოშობილი (ვრცელი მიმოხილვა იხ. ბროსეს. ი. როსტომაშვილის, ე. თაყაიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ვ. ცისკარიშვილის ნაშრომებში).

ახალქალაქიდან გზა გაივლიდა მნიშვნელოვან დასახლებულ ადგილებზე, როგორიცაა ხოსპია, ხორენია-კარნეთი, ყაურმა, სათხე, სალამო, განძანი, ფოკა, ფარავნა (სურ. 3). მანძილი დაახლოებით 30 კმ-ია.

ხორენიასა და კარნეთში, რომლებიც ერთიმეორის მახლობლად გზაზე მდებარე ორი სოფელია, ეკლესიის რამდენიმე ნაშთია დღესაც შემორჩენილი. ეკლესიის წარწერები ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს დაზიანებული იყო, ისე რომ ფრაგმენტებიღა მოჩანდა. ყურადღებას იმსახურებს აღმშენებლობითი ხასიათის წარწერები, სადაც ეკლესიის შენებისათვის საჭირო თანხაც კია მოცემული. „ოცდაწვიდმეტი ათასი თეთრი ქათალიკოზისა და მეფისა...“ აღნიშნულია ხორენიის წარწერაში, კარნეთის წარწერებში კი „... ოცდაათი მეტი ათასი თეთრი ქართული კათალიკოზი...“[76] წარწერებს ე. თაყაიშვილი ბაგრატ IV დროისად მიიჩნევდა. წარწერაში მოხსენიებულია „თათრები“, რომლებიც მკვლევარს თურქ-სელჩუკებთან ჰყავს გაიგივებული. ვ. ცისკარიშვილი იმ მოტივით. რომ „თათარი“ მონღოლებამდე არ იცოდა ჩვენმა წყაროებმა, წარწერას XIII საუკუნით ათარიღებს. ამავდროული უნდა იყოს კარნეთის წარწერაც.[77]

ხორენიისა და კარნეთის მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთ-დასავლეთით პატარა სოფელი ღულალისია, საკმაოდ მაღალი კოშკით და არც თუ ძველი ეკლესიით, მეორედ გამოყენებული წარწერიანი ქვით, რომელიც 1060 წლით თარიღდება. წარწერა მნიშვნელოვანია არა მარტო პალეოგრაფიულად, არამედ ისტორიულ პირთა მოხსენიებით. წარწერაში აღნიშნულია ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფე, მისი ძე გიორგი და ვიპატოსი თოდს ძე.[78]

საინტერესო ძეგლებია თავმოყრილი ს. ყაურმაშიც. უპირველესად გზასთან დაკავშირებით უპრიანი იქნება მოვიხსენიოთ დღემდე კარგად დაცული ხიდი ჯავახეთის მტკვარზე. ხიდი ხუთი თალისაგან შედგება, სიგანე სამ მეტ-

---

[76] ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა..., გვ. 60—62.
[77] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრომი, იქვე.
[78] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, გვ. 61.

რამდეა. იგი XIX საუკუნის მიწურულს გაუფართოებიათ და შეუკეთებიათ. ნ. ბერძენიშვილს სრულიად დასაშვებად მიაჩნდა ამ ხიდის სიძველე.[79] ბოლოს და ბოლოს, აქ ხომ გზა გადიოდა და მოულოდნელიც არ არის, რომ სწორედ ამ ადგილზე ხიდი აეგოთ. სხვა საკითხავია ძველი ხიდისა შემორჩა რამე თუ არა. ტრადიცია გვიჩვენებს, რომ სწორედ ძველ ნახიდურთა გვერდით აგებდნენ ახალს. გავიხსენოთ თუნდაც ხრამის ხიდი გვიან შუასაუკუნეებში აგებული („წითელი ხიდი“), რომლის გვერდით დღესაც კარგად შეიმჩნევა ძველი ხიდის ბურჯები, თლილი ქვით ნაგები და არაბული წარწერებით შემკული.

ყაურმაში სიძველის სხვა ღირსშესანიშნაობაც არის. მხედველობაში გვაქვს ეკლესია, სამი ქართული წარწერით, რომელთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ორი. ერთზე ქართლის კათალიკოსია მოხსენიებული: „ქრისტე, ადიდე ოქროპირი, ქართლისა კათალიკოზი“, მეორე აღმშენებლობითი ხასიათისაა: „ქრისტე, ადიდე გიორგი მეფე და შვილნი მათნი ქრისტე, ადიდე მელქიზედეკ ქართლისა კათალიკოზი და შეეწიე დღესა მას. ამინ“.[80] როგორც ე. თაყაიშვილი ფიქრობდა, წარწერის გიორგი მეფე უნდა იყოს გიორგი I (გარდაიცვალა 1027 წ.), რომლის დროსაც ცხოვრობდა კათალიკოსი მელქისედეკი. მეორე წარწერის „ოქროპირი“ ე. თაყაიშვილს მიაჩნდა ბაგრატ IV თანამედროვე კათალიკოსად და ვარაუდობდა, რომ ყაურმის ეკლესიის მშენებლობა დაიწყო მელქისედეკ კათალიკოსის დროს და დამთავრდა ოქროპირის დროს.

სავაჭრო გზის ზონაში მდებარეობდა სოფელი სათხეც, რომელიც ახალქალაქობის ხანაში გამაგრებული ყოფილა მკვიდრად ნაგები ბურჯებდატანებული ციხით. ციხე XIX საუკუნის ბოლოსათვის საძირკვლამდე დანგრეული ყოფილა ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ისე, რომ ი. როსტომაშვილს, დაზვერვების დროს მხოლოდ მცირეოდენი ნიშნებიღა დახვედრია. სოფლის სიძველის ნაშთებიდან ი. როსტომაშვილს უნახავს თითქმის მთლიანად დანგრეული ეკლესია, სადაც რამდენიმე ქართული წარწერაც იყო აღმოჩენილი.[81] განსაკუთრებით შეიძლება გამოიყოს ორი, სადაც მოხსენიებულნი არიან ისტორიული პირები: ფარსმან ერისთავთ ერისთავი და ბეშქენ ჯაყელი. ორივე ეს პირი კარგადაა ცნობილი „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით. ბაგრატ IV და ლიპარიტის ბრძოლების დროს ლიპარიტმა ატენის ციხე ვერ აიღო, რადგან „ციხეთაუფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულებასა ზედა ბაგრატისსა, ტვინიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ერისთავისა“.[82] ბაგრატ IV მეფობის პერიოდში ორთავე ზემოხსენებული პირი დიდ როლს ასრულებდა ქართლის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩანს, სათხეში, სადაც ფარსმანის დაკვეთით შენდება ეკლესია, მისი პოლიტიკური გავლენა ძლიერია და არა მარტო სათხეში, იგი მონაწილეობას უნდა იღებდეს თვით ახალქალაქის ზღუდის აშენებაშიც (ამის შესახებ შემდეგ).

---

[79] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

[80] И. П. Ростомов, Ахалкалакский уезд в археологическом отношении, СМОПМК, XXV, 1898. стр. 71; ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 30.

[81] МАК, XII, 1909, стр. 33.

[82] «ქ ც-ბა», I, გვ. 298.

ახალქალაქიდან მომავალი გზა სალამოს ტბაზე იდო. ტბა, ვახუშტის ცნობით, დიდია „და ავსილი თევზითა გემოიანითა ამისთვის რამეთუ არს ანკარა და ქვიანი“.[83] ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე სოფელი სალამო მდებარეობს, საიდანაც საყურადღებო წარწერაა ცნობილი. წარწერა ხელის გამოსახულებიან ქვაზეა შესრულებული „ქ. ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელი მეფეთა მეფე დავით“. როგორც ვარაუდობენ, წარწერაში მოხსენებული დავითი უნდა იყოს ულუ დავითი[84] (1247—1270 წწ.).

ასევე საინტერესო ძეგლებია ცნობილი განძანიდანაც, რომელიც სალამოსა და ფარავნის ტბებს შორის მდებარეობს. სოფელში მის ზემო და ქვემო უბნებში ორი ეკლესიაა, რომელთაც ორ-ორი წარწერა შემოგვინახეს, წარწერებში მოხსენებულია XIV საუკუნის პირველი ნახევრის რამდენიმე ისტორიული პირი. განძანი ცნობილია თავისი ადრექრისტიანული ხანის ქვის სტელებითაც.

ადრე აღნიშნული იყო, რომ ახალქალაქიდან ფარავნისაკენ არსებობს სხვა გზაც, უფრო მოკლე. რომელიც სამსარის ქედს გადაჰკვეთს. ეს გზა განძანთან გამოდიოდა. აქ საჭირო იქნებოდა მდინარეზე გადასასვლელი. ნ. ბერძენიშვილმა ამიტომ აქ ხიდი ივარაუდა, რის მეშვეობითაც მგზავრი განძანში შემოვიდოდა.[85] სოფელს ჰქონდა საკმაოდ მოზრდილი ციხეც, გამაგრებული სქელი კედლებითა და ხელოვნური არხით.

ფარავნის ტბის სამხრეთ ნაპირზე, სადაც გზა გადიოდა, მდებარეობდა საკმაოდ ცნობილი პუნქტი ფოკა. „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, ნინო სწორედ აქ მოსულა („მივემთხუვე მთათა ზედა ტბასა დიდსა გარდამდინარესა, რომელსა ერქუა ფარავნა“). ტბიდან მდინარე სწორედ ფოკასთან გამოსდის. ვახუშტის მიხედვით „ფანავარს გამოსდის ჯავახეთის — მტკვარი, დაბას გასადინარსა“.[86] ეს დაბა საკმაოდ ძველი პუნქტი ჩანს. ანტიკურ ხანაში იგი ცნობილია როგორც Pagas, ყოველ შემთხვევაში ასეა იგი აღნიშნული Tabula Peutingeriana-ზე. აქ დღესაც კარგად ჩანს ძველი ციხის ნანგრევები. შესაძლებელია ამ ციხეზეა ლაპარაკი „მატიანე ქართლისაჲ“-ში: „ლიპარიტ შექრიბნა კახნი და მოადგა ფოკათა“.[87]

ფოკაში დღემდე შემორჩენილია ქვით ნაგები ეკლესიის ნანგრევები, სადაც რამდენიმე ქართული წარწერაა ამოკვეთილი. წარწერების მიხედვით ეკლესია აგებულია კათალიკოს ოქროპირის მიერ, ბაგრატ IV დროს, ნ. ბერძენიშვილის დათარიღებით 1031—1053 წწ.[88] წარწერებში მოხსენებული არიან ოქროპირი ქართლის კათალიკოზი, ბაგრატ კურაპალატი, მიქელ ქართლის სპასალარი. ვხვდებით აღმშენებლობითი ხასიათის წარწერასაც, სადაც მშენებლის ვინაობას ვგებულობთ „... მე ბევრელი... ხელოსანი ვიყავ ოქროპირისა ქართლისა კათალიკოზისა“.[89]

---

[83] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 131.

[84] ვ. ც ი ს ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

[85] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

[86] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 131.

[87] «ქ ც-ბა», I, გვ. 300.

[88] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, ტ. VI, 1931, გვ. 258.

[89] ვ. ც ი ს ქ ა რ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31—33.

ფოკას შემდეგ გზა ფარავნას მიადგებოდა და სწორედ აქ მთავრდებოდა გზის ერთი მონაკვეთი, რომელიც ახალქალაქს აკავშირებდა ფარავნასთან (დღეს აქ დუხობორები ცხოვრობენ და სოფელს როდიონოვკას ეძახიან).

ფარავნაში გზაზე ფუნდუკი იყო გაშენებული, სადაც ქარავნებს შეეძლოთ გაჩერება. მაინცდამაინც რატომ ვგულისხმობთ, რომ ახალქალაქი-ფარავნა გზის ერთი მონაკვეთი იყო, ამაზე შემდეგი გარემოება მიუთითებს: როგორც ცნობილია, გზებზე გარკვეული მანძილის შემდეგ ქარავნის გასაჩერებელი სადგურები იყო ხოლმე მოწყობილი. ასეთ ფუნდუკებს შორის ნავარაუდევი იყო მანძილი, რომელიც ქარავანს უნდა დაეფარა საშუალოდ ერთ დღეში. ასე იყო ყველგან, სადაც კი გზის მოვლა-პატრონობაზე ზრუნავდნენ. ერთი ასეთი სასტუმრო, მგზავრს შეეძლო ენახა ახალქალაქში, შემდეგ კი, თუ ის აღმოსავლეთით წავიდოდა, ფარავნას. რომ ახალქალაქში ქარავნის გასაჩერებელი ფუნ-



სურ. 4. „ქარავნის გზა".

დუკი უნდა ყოფილიყო, თითქოს არ უნდა იყოს საეჭვო. ახალქალაქის ნაქალაქარის ტერიტორიაზე დღემდე შემორჩენილია თაღოვანი კედლები, რომლებიც ანალოგიების მიხედვით ქულბაქებს უნდა ეკუთვნოდეს (ტაბ. I). თითოეულ თაღში ცალკეული სათავსო იქნებოდა გამართული — სავაჭრო წერტი, მის გვერდით კი ნაგებობების ერთი წყება სწორედ ფუნდუკისა უნდა იყოს, ისევე როგორც გრემში. ახალქალაქის ზემოხსენებული ნაგებობები შესაძლოა გვიანი ფეოდალური ხანისა იყოს, ეს სრულიადაც არ გამორიცხავს ასეთი ნაგებობების არსებობას უფრო ძველადაც. ასეთი ტრადიციის გაგრძელების შესანიშნავი ანალოგია იქნება ფარავნის ფუნდუკი, რომელიც დღეს შემორჩენილი სახით გვიანი შუასაუკუნეების ძეგლი უფროა. მაგრამ ის აშკარად გადაკეთებული და განახლებულია გვიან ხანებში. ახალქალაქობის ჟამს, აქ,

ეჭვსგარეშეა, იდგა ქარვასლა, რომელიც უფრო გვიან განაახლეს, გადააკეთეს და, რაც მთავარია, აღადგინეს.[90]

ეს მონაკვეთი გზისა, ახალქალაქიდან ფარავნამდე, ქარვასლიდან ქარვასლამდე ერთი დღის სავალია ქარავნისათვის. რომ ახალქალაქიდან გამავალ ყველა გზაზე იქნებოდა სასტუმროები, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ყოველი შემთხვევისათვის ორი მიმართულებით მაინც ეს ცხადი ჩანს. ფარავნაზე, ე. ი. აღმოსავლეთით მიმავალ გზაზე უკვე ითქვა, ჩრდილოეთის გზაზე პირველივე სადგური ასპინძა არის საგულისხმებელი; თვით სახელი ასპინძა ხომ სწორედ ასეთი დანიშნულების სადგომზე მიუთითებს (ასპინძა, აქედან არის ნაწარმოები სახელი მასპინძელი). დასავლეთის გზაზე არტანუჯისკენ, ახალქალაქიდან პირველი გაჩერება ხოზაფინის ტბასთან არის მოსალოდნელი, შუა გზაზე ახალქალაქსა და არტაანს შორის.

როგორც უკვე ითქვა, ახალქალაქი — ფარავნა ერთი მონაკვეთი იყო გზისა. ფარავნაში ქარავნის დასასვენებელი ადგილიც იყო მოწყობილი. უნდა შევნიშნოთ, რომ ჯავახეთის სუსხიანი კლიმატის გამო სასტუმრო შენობების არსებობა აუცილებელი პირობა იქნებოდა კეთილმოწყობილი გზისათვის. ბევრი მონაცემი იმის სასარგებლოდ, რომ ხსენებული გზა მოვლილი იყო და მასზე ზრუნავდნენ მთელი ტრასის გასწვრივ. შემდგომი ნაწილი გზისა ფარავნიდან ჯავახეთის ქედის ჩრდილოეთ მონაკვეთზე გადადიოდა და ჯავახეთის ზეგნიდან დაშვებას იწყებდა. ეს მონაკვეთი მაინცდამაინც გრძელი არ არის, მაგრამ ძნელად სავალია, განსაკუთრებით ცუდი ამინდის პირობებში. ამ ადგილზედაც ქარვასლა იყო აგებული, რითაც კარგად არის განსაზღვრუ-

[90] ფარავნის ქარვასლა ჯერჯერობით ერთადერთი ძეგლია, რომელიც არქეოლოგიურადაა შესწავლილი. 1959 წ. აქ გათხრებს აწარმოებდა ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიცია (ხელმძღვანელი პ. ზაქარაია, წევრები: გ. კიკნაძე, ი. ჯალაღანია, ა. კახნიაშვილი, ლ. ჭილაშვილი, არქიტექტორი ფ. ქუფარაშვილი). ექსპედიციამ გაწმინდა ქარვასლის შიდა არე, რომელიც სამნავიან სათავსოს წარმოადგენდა. შუა ნავი დერეფანია, დანარჩენი ორი კი ხუთ-ხუთ სათავსოს მოიცავს, რომლებიც კორიდორში ნახევარწრიული თაღებით გამოდის. სათავსოებში ბუხრებია დატანებული. ქარვასლა დამხრობილია ჩრდილო-სამხრეთის მიმართულებით. სიგრძე 26 მეტრი.

ქარვასლა ადრე დაზვერილი აქვთ ი. როსტომაშვილს, ე. თაყაიშვილს, ნ. ბერძენიშვილს, არქიტექტორებს მ. შავიშვილს, ი. ციციშვილს და სხ. ი. როსტომაშვილის დროს ის სრულიად უვნებელი იდგა. მისი გადმოცემით ნაგები იყო კარგად გათლილი ქვით და აგურით (იხ. მისი ნაშრომი, გვ. 58). დღეს თლილი ქვები შემოცლილი აქვს და თვით ნაგებობაც დაზიანებულია საგრძნობლად. არქიტექტორ მ. შავიშვილს ქართულ წარწერიანი ქვაც უნახავს ქარვასლაში, რომელიც ადგილზე ველარ აღმოვაჩინეთ. ქარვასლა ი. ციციშვილს დათარიღებული აქვს XII საუკუნით (იხ. მისი «ქართული არქიტექტურის ისტორია», გვ. 74). ნ. ბერძენიშვილმა სწორად შენიშნა, რომ ქარვასლა გადაკეთებული ჩანს (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 100). შემორჩენილი სახით იგი უფრო მოგვიანო იერისაა. ჩანს საფუძვლიანად გადაკეთებიათ ძველი ქარვასლა, რომელიც შეიძლება მთლიანად იყო მწყობრიდან გამოსული. ძველი შენობის ქვები შეიმჩნევა კედლებში, არადანიშნულებისამებრ გამოყენებული. დღეს შემორჩენილი ქარვასლის აგების თარიღის განსაზღვრა ეს მეორე საკითხია, მისი პირველადი გამოყენება უდავოდ განვითარებულ ფეოდალურ ხანაზე მიუთითებს. უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ იმ გარემოებას, რომ ქარვასლის გვერდითვე, საკმაოდ ძლიერ ნამოსახლარებში რამდენიმე ეკლესიის ნანგრევებია, რომლებსაც XI—XIII საუკუნეების ქართული წარწერები ამკობს (ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 101). ნანგრევებიც კი, თლილი ქვები, შემორჩენილი ზუსტი კონსტრუქციები, ქვაზე ჭრის მანერა, საქართველოს ისტორიის ძლიერებისა და დიდების საუკუნეებზე მიუთითებს.

ლი გზის ერთი ნაწილის დასასრული. მანძილი აქედან ფარავნამდე 25-მდე კმ-ია[91] (ტაბ. IV—2).

აქედან გზა ხრამის ხეობას მიჰყვებოდა. შემდგომი სავარაუდო მონაკვეთი იყო სამშვილდემდე, აქედან კი ლომთა-გორამდე (მარნეული). სამხრეთისაკენ წამსვლელი (ბარდავისაკენ და ირანისაკენ) სამშვილდიდან ხრამის ხეობით და გატეხილი ხიდით მტკვრის ხეობაში გამოვიდოდა და სხვა გზას შეუერთდებოდა (ბარდავის გზას). ვისაც თბილისისკენ უნდოდა წასვლა, ის ლომთა-გორიდან გადაუხვევდა ჩრდილოეთით· კახეთ-ჰერეთისკენ მიმავალი ლომთა-გორიდან რუსთავით გადაჰკვეთდა მტკვარს და შემდეგ აღმოსავლეთისკენ გაუყვებოდა გზას.

ვახუშტის გეოგრაფიაში ხრამის ხეობის აღწერისას ხშირად ვხვდებით გზასთან დაკავშირებულ ცნობებს. ზურტაკეტის დახასიათებისას, იმ ადგილს, სადაც გზა ხრამთან გამოდის „არს ფუნდაკი, თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათვის“.[92] აქვე მახლობლად არის „ქარვასლის ხევი“, მსგავსივე დანიშნულების სადგომიდან მიღებული სახელით. ხრამის ქვედა წელშიც ყოფილა სასტუმრო შენობები „აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუკნი დიდნი და კეთილნი, თლილის ქვისანი“.[93]

ზემოთ აღწერილი გზის ნაწილი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ქართლის ბიზანტიასთან დამაკავშირებელი ძირითადი მარშრუტი იყო, რომელიც სამხრეთ საქართველოს პოლიტიკურად და ეკონომიურად დაწინაურებულ პროვინციებზე გადიოდა. ეს იყო გზა, რომელმაც ფეოდალურ ხანაში შესცვალა სახელგანთქმული ძველი მტკვრის გზა. ახალქალაქობის ჟამს გზამ გამოაცოცხლა და აღადგინა ცხოვრება მთელს ტრასაზე: წარმოშვა ბევრი მნიშვნელოვანი პუნქტი, მათ შორის ახალქალაქიც, და აღადგინა ეკონომიურად დამცრობილი ქალაქები (სამშვილდე, რუსთავი).

კიდევ უნდა გავიმეოროთ: ახალი გზის წარმოშობამ ახალი ეკონომიური წყარო გაუჩინა ქვეყანას, ახალმა გზამ შესცვალა ძველი და ამიტომ ძველი გზის ქალაქები ახალქალაქობის ჟამს ვეღარ აღსდგნენ (ურბნისი, კასპი, სარკინე, მცხეთა).

ახალქალაქს ძლიერი სტრატეგიული პუნქტისათვის დამახასიათებელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვს; გაშენებულია მაღალ კლდოვან მასივზე, ორი მდინარის ჯავახეთის მტკვრისა და ახალქალაქის წყლის შეერთებაზე. ქალაქის ტერიტორია იფარგლებოდა კონცხიდან დედაციხეს შორის მოგრძო, საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული ადგილით, რომელსაც ორივე დანარჩენ მხარეს წყალი ჩამოუდიოდა. ნაქალაქარი დაახლოებით სამკუთხედი ფორმისაა, რომლის ფუძესაც ციტადელი შეადგენს. დღეს საკმაოდ კარგად არის შემორჩენილი ციხის და ქალაქის ზღუდის კონტურები და აშკარად ჩანს, რომ მთლიანად ქალაქი ყოფილა ზღუდით დაცული. ციხე, ქალაქის განსაკუთრებულად გამაგ-

---

[91] ეს ქარვასლაც აზომა და შეისწავლა ფარავნის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ. ქარვასლა მთების კალთებზეა გაშენებული ხრამის ხეობის გამოსასვლელში. დღეს ადგილის სახელები აღარ არის შემორჩენილი, ამდენად მისი აღნიშვნა, როგორც ზურტაკეტისა, პირობითია. ფარავნის ქარვასლისაგან განსხვავებით, ის უფრო ცუდად არის შემორჩენილი, მხოლოდ ძირითადი კედლებიღა ჩანს, შიდა გეგმარება ვერ იკითხება.

[92] ვახუშტი, აღწერა, გვ. 40.

[93] იქვე, გვ. 45.

რებული ადგილი, გამოყოფილია ქალაქისაგან. იგი ხომ დიდებულის რეზიდენცია იყო, სოციალური ბატონობის დასაყრდენი, თურქობის დროს კი, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, „გამოყენებული იყო, როგორც გარეშე მტრისაგან დასაცავად, ისე ადგილობრივ დაპყრობილ მოსახლეობაზე საბატონოდ. მეციხოვნე თურქული ჯარი, ბუნებრივია, დაპყრობილ მოქალაქეთაგან მტკიცე კედლით იყო გამოყოფილი. ისევე, როგორც თბილისის „ციხე" სპარსული ჯარით XVII—XVIII საუკუნეებში".[94]

წერილობით წყაროებში ახალქალაქის შესახებ მხოლოდ ორიოდე ცნობაა დაცული. „მატიანე ქართლისაჲს" მიხედვით ახალქალაქის ზღუდის შენებას იწყებენ XI საუკუნის შუახანებიდან, ბაგრატ IV მეფობისას (1027—1072 წწ.) ლიპარიტმაო ვერ აღლო ატენი, რადგან ციხისუფალნი გარდა ფარსმან თმოგველისა და ბეშქენ ჯაყელისა, ერთგულნი იყვნენ ბაგრატ IV-ისა: „გავიდეს ჯავახეთს და იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ჟამსა უზღუდო იყო".[95] როგორც ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, ეს ამბავი უნდა მომხდარიყო 1044—1045 წლებში.[96] ე. ი. გვაქვს პირდაპირი მითითება, ალბათ სარწმუნოც, ახალქალაქის ზღუდის აშენების დაწყებისა.

მატიანის ამ ცნობის მიხედვით გავრცელდა მოსაზრება ჩვენში უზღუდო ქალაქების არსებობის შესახებ, რაც, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს ფაქტობრივი მასალის სწორი ანალიზის შედეგი. ქალაქების არსებობა ზღუდის გარეშე, ამ დროს შეუძლებელია. მატიანეს ცნობა ეხება ახალქალაქის ისტორიის იმ პერიოდს, როდესაც იწყება დასახლება და ზღუდით კი არ არის ის ჯერ გამაგრებული. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მას თავისი ციხე არა ჰქონდა. უფრო სავარაუდოა, რომ ციხე უკვე არსებობდა, რომლის გვერდითაც იწყება მოსახლეობის დამკვიდრება, და აი, ამ დროს, სულ მალე იწყებენ ზღუდის შემოვლებასაც. ახალქალაქის შემოზღუდვა, მისი გაქალაქების დასასრულს მოასწავებდა. უზღუდო ქალაქების არსებობა საქართველოში არ მტკიცდება, პირიქით, გარეშე საფრთხე იმდენად ძლიერია, რომ ქალაქს აღარ ჰყოფნის დამცველი ციხე და მთლიანად ქალაქის დაცვა სცნეს მიზანშეწონილად. ქალაქების დაცვის ასეთი აუცილებლობა ჯერ კიდევ ადრეფეოდალურ ხანაში იგრძნობოდა (თბილისი, ურბნისი). თუ ქალაქს ზღუდე არა აქვს, ის ქალაქიც არ არის. ეს განსაკუთრებით საგრძნობია X—XIII საუკუნეებში, როცა ქალაქების მოსახლეობა ძლიერ მომრავლებულია და გაჭირვების ჟამს ქალაქის დამცველი ციხე ვერ შეიფარებს მოსახლეობას. თუ წყაროებს დავუჯერებთ, ბუღა თურქს თბილისში 50000 მოსახლე უმსხვერპლია, რაც, რა თქმა უნდა, მთელი მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს შეადგენდა. რომელ ციხეს შეეძლო ასეთი რაოდენობის მცხოვრებთა შეფარება? ამის გამო იყო, რომ თვით ქალაქს ჰქონდა შემოვლებული დამცველი ზღუდე, და არა ერთი.

უზღუდო ქალაქების არსებობის დაშვება ჩვენში არარეალურად უნდა მივიჩნიოთ, პირიქით, ამ დროს აუცილებელი ხდება მთლიანად ქალაქის შემოზღუდვა (დიდი, ხალხმრავალი ქალაქებისა განსაკუთრებით), მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ღონისძიებანი დიდ ეკონომიურ სახსრებს და დროს მოით-

---

[94] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 49.

[95] «ქ ც-ბა», I, გვ. 298.

[96] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 143—144.

ხოვდა.[97] ახალქალაქის ზღუდე, რომლის აშენებასაც 1044—1045 წლებში იწყებენ, ოცი წლის შემდეგაც კი არ იყო დამთავრებული; იმავე მატიანის ცნობით ალფ-არსლანის ლაშქრობისას „არაზღუდითა მტკიცითა“ იყო დაცული ახალქალაქი, ამიტომ ქართველთა სიმამაცის მიუხედავად ქალაქი დაეცა, თურქებმა დიდი სისასტიკით ააოხრეს იგი: „წავიდეს ჯავახეთს და მოადგეს ახალქალაქს, რამეთუ მესხნი აზნაურნი და ზემოსა კერძისანი ძლიერად დგეს ახალქალაქს, და ბრძოდეს სამ დღე, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი. ვერღარა დაუდგმიდეს ბრძოლათა ძლიერთა, აღიჭურნეს მყოფნი ქალაქისანი, და განახუნეს კარნი, და შეებნეს ძლიერად, მოსრნეს პირითა მახვილისათა. და შევიდეს ქალაქად თურქნი და ტყუე ყვნეს ურიცხუნი სულნი ქრისტიანეთანი; აღიღეს განძი და ტყუე ძლიერი, და შეიღება წყალი ახალქალაქისა სისხლითა“.[98]

ნაკლებად გამაგრებული თუ უზღუდო ქალაქების არსებობა საერთოდ მოულოდნელი რამ არ არის. ასეთი შემთხვევები ისტორიამ იცის მშვიდობიანი განვითარების პირობებში. მაგალითად, XII — XIII საუკუნეებში ნაკლებად გამაგრებული ადგილები ცნობილი იყო ხორეზმში. აქ დასახლების ფეოდალური ტიპი ასეთნაირად გამოიყურება: მემამულის რეზიდენცია, მისი ვასალების ციხეები და მრავალრიცხოვანი გლეხური კარ-მიდამოები. არქეოლოგიური გათხრებით გამოირკვა, რომ თვით ფეოდალების ციხე-სიმაგრეებიც ძალიან სუსტადაა გამაგრებული. ისინი ციხეებს წარმოადგენენ უმთავრესად გეგმებით და მოწყობით, ვიდრე თავისი ფუნქციით; კედლები ვიწროა, კოშკები პატარა, საისრეების გარეშე. კარიბჭე გარედან, კედლები, კოშკები მდიდრულად არის შემკული და დეკორირებული პანელებით, პილასტრებით. ციხეების ირგვლივ შემორჩენილია კვალი დიდი ბაღებისა, რომლებსაც ამკობდა ასევე მდიდრული ნაგებობები. არქიტექტურის საერთო იერი ამ დროს მშვიდობიანობის ანარეკლია და მკვეთრად განსხვავდებოდა წინა პერიოდის მკაცრი სამხედრო დანიშნულების ნაგებობებისაგან. ხორეზმშაჰების ძლიერების ხანაში ქვეყანაში გარეგანი საფრთხე მოსპობილი იყო, ამან კი გავლენა მოახდინა დასახლების არქიტექტურაზე, განსაკუთრებით კი საფორტიფიკაციო ნაგებობების ხასიათზე.[99]

იყო თუ არა IX—XI საუკუნეების საქართველოში მსგავსი პირობები, რომ უზღუდო ქალაქები ვივარაუდოთ? რა თქმა უნდა არა. ყველა მნიშვნელოვან ქალაქს დამცველი კედელი სჭირდებოდა. რომ არაფერი ვთქვათ გარეგან ძალაზე, რომელიც ძალიან ხშირად ახსენებდა თავს, ფეოდალთა და მთავართა შორის კინკლაობა და ქიშპი გამუდმებულ სიფხიზლეს მოითხოვდა. გავიხსენოთ თუნდაც ბაგრატ IV და ლიპარიტის ურთიერთობა, როცა განსაკუთრებით ქვემო ქართლის და ჯავახეთის სტრატეგიული პუნქტები ხელიდან ხელში გადადიოდა. სწორედ ასეთ ვითარებაში, მეფე-ფეოდალთა შორის გამუდმებული ბრძოლის პირობებში გახდა აუცილებელი ახალქალაქის შემოზღუდ-

---

[97] X—XIII საუკუნეების ქალაქები, სადაც კი არქეოლოგიური გათხრები და დაზვერვები ჩატარებულა, ზღუდე შემოვლებულ, დაცულ ადგილს წარმოადგენენ (თბილისი, დმანისი, სამშვილდე, ახალქალაქი). მიუხედავად ვრცელი ტერიტორიის მქონე ციხისა, ზღუდე რუსთავსაც უნდა ჰქონოდა. თავისებური გეოგრაფიული პირობების გამო ასევე თავისებურად იყო დაცული ატენი (ამის შესახებ შემდეგ).

[98] «ქ ც-ბა», I, გვ. 306.

[99] С. П. Толстов, Древний Хорезм, М., 1948, стр. 156.

ვა და გამაგრება. სავარაუდოა, მატიანეს ცნობა შეეხება პერიოდს, როცა ახალქალაქის ციხე ვეღარ აკმაყოფილებს მზარდი ქალაქის მოთხოვნილებებს, რომელსაც უკვე გასჩენია ხალხმრავალი მოსახლეობა და საჭირო გამხდარა ახალი სახე ნაგებობებისა.

ვისაც ერთხელ მაინც უნახავს ახალქალაქის ნაქალაქარი, ის დაგვეთანხმება, რომ პირველ ეტაპზე ქალაქის მოსახლეობის დაცვა ციხეს ჰქონდა მინდობილი. ციხე გაშენებულია არა მდინარეთა შეერთების ადგილზე, კონცხზე, როგორც, მაგალითად, წუნდის ხერთვისში, არამედ, პირიქით, მის მოპირდაპირე მხარეს სამკუთხედის ფუძეზე. ამით ითვალისწინებდნენ, რომ მოსახლეობა, რომელიც იკავებდა კონცხს, დაცული იქნებოდა ბუნებრივი სიმაღლით, წყლით და ბუნებრივად დაუცველი მხარე კი (საშორისი) ციხით, რომელიც ორსავ მდინარეს შორის იდო. ეს ისეთივე სახე იყო ქალაქის გამაგრებისა, როგორსაც ვხედავთ დმანისში. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დმანისის ნაქალაქარი მდინარეების და კონცხის მხრიდან ძლიერ ციცაბოა, მაღალი და მტრებისთვის გადაულახავი, კედლის გარეშეც (მიუხედავად ამისა დამცველი ზღუდე მაინც ააგეს); ახალქალაქი კი უფრო დაბალია და შედარებით ადვილად დასაძლევი. ე. ი. პირველ ეტაპზე იგულისხმებოდა, რომ ახალქალაქს თავისი ციხე დაიცავდა. სულ მალე ცხადი გახდა (მოსახლეობის სწრაფი მატებით და ქალაქის მნიშვნელობის ზრდით), რომ ასეთი დაცვა ვერ იქნებოდა ნაყოფიერი და იწყეს ქალაქის ზღუდით შემოფარგვლა.

დღეს შემორჩენილი ნანგრევებით აშკარაა, რომ ციხეცა და ზღუდეც ერთი ტექნიკითაა ნაგები, და რომ ციხის აშენება მაინცდამაინც ქრონოლოგიურად დიდად არ უნდა უსწრებდეს ზღუდეს.[100] (ტაბ. II).

კიდევ ერთი საკითხი: შეიძლება თუ არა მატიანის ცნობა ზღუდის აგების თაობაზე მივიჩნიოთ ქალაქის დაარსების თარიღად? რა თქმა უნდა არა. ზღუდის შემოვლებით და სხვა ღონისძიებათა ჩატარებით (საბაზრო ადგილე-

---

[100] ახალქალაქის ნაქალაქარზე შემორჩენილი ნაგებობების დიდი ნაწილი გვიანი შუასაუკუნეებისაა. ერთ-ერთი მთავარი უბანი იქნებოდა საეპრო კვარტალი, რომელიც შიდა-ციხეს ებჯინებოდა ქალაქის მხრიდან. აქ იყო განლაგებული ქულბაქები, ასევე ფუნდუკი, სავარაუდოდ გვიან შუასაუკუნეებში აშენებული. მიუხედავად ამისა, გვაქვს საფუძველი აქ ტრადიციის გაგრძელება იყოს. დღეს (უფრო სწორედ 1959 წლისთვის, როდესაც ნაქალაქარის დაზვერვები მოვეიხდა) შვიდი თაღი იყო შემორჩენილი (1933 წელს კი ნ. ბერძენიშვილს ათი აქვს აღრიცხული). სხვა მნიშვნელოვანი კვარტალი ეკლესიის უბანი უნდა ყოფილიყო (ქალაქს, ეჭვი არ არის, ერთი ეკლესია არ ექნებოდა). აქ ეკლესიის უბნის ცალკე აღნიშვნა მისი უპირატესი გეოგრაფიული მდებარეობის გამოა საჭირო. იგი მდინარეთა შესაყარის კონცხზე მდებარეობდა. სწორედ ეს არის დამაფიქრებელი, რომ აქ შესაძლოა ძველი სამლოცველოც ყოფილიყო, რომლის ბაზაზედაც შემდეგ ეკლესია ააგეს. ეკლესიის ნაშთები აქ დიდხანს შეინიშნებოდა (ნ. გ. ჩუბინაშვილის ცნობა). დღეს თითქმის გამქრალია და მხოლოდ სამაროვნის ნიშნებიღა შემორჩენილა.

შესაძლოა აღნიშნულ ეკლესიასთან იყოს დაკავშირებული ახალქალაქის ფერისცვალების საყდრის ეზოში ნაპოვნი წარწერიანი ქვა, გამოქვეყნებული ი. როსტომაშვილის და ე. თაყაიშვილის მიერ, რომელიც კარგა ხანს დაკარგულად ითვლებოდა და აღმოჩნდა 1958 წელს, ხელმეორედ. წარწერის გაშიფვრის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ბოლოს ის გამოაქვეყნა ე. ცისკარიშვილმა: «სახელითა ღმრთისათა აღეაშენე ესე წმიდა ეკლესია მეფობასა დავითისასა და ამირსპასალარობასა ივაგისა, ვამრეკელისა ძეთა: კახას, ასიბას და ლიპარიტის პატრონობასა შინა... სალოცველად სულისა და ისდიაგს შეუნდვენ ღმერთმან, ამინ». (დასახ. ნაშრომი, გვ. 59). წარწერის დავითი ვარაუდობენ, დავით ლაშას-ძეა, ამირსპასალარი კი — ივაგი, ანდა ზაქარია შანშეს-ძე (იქვე, გვ. 58).

ზის, ასევე ფუნდუკ-ქარვასლის მოწყობა) დასრულდა ქალაქმშენებლობის პროცესი. ციხის აგებიდან ქალაქის შემოზღუდვამდე ერთი მთლიანი პროცესია და იგი რამდენიმე ათეულ წელს მოიცავდა (მატიანის ცნობით ჩანს, რომ ზღუდის განსრულებას ორი ათეული წელიც არა ჰყოფნიდა). ყოველივე ამის შემდეგ საფიქრებელია ახალქალაქის მშენებლობას, რა თქმა უნდა, საფორტიფიკაციო ნაგებობებით დაწყებული, საფუძველი ჩაეყარა XI საუკუნის დასაწყისში ან X საუკუნის მიწურულს.[101] სრულიად დასაშვებია, რომ მანამდეც აქ რაიმე მნიშვნელოვანი სამოსახლო ყოფილიყოს.

ახალქალაქის აშენების და დასახლების ასეთ ქრონოლოგიას, საფიქრებელია, ეთანხმება შექმნილი პოლიტიკური სიტუაციაც; ცნობილია, რომ ახალქალაქი ჯავახეთის ცენტრი ხდება მისი ადმინისტრაციული ცენტრის დაცემის შემდეგ. წუნდა, წერილობითი წყაროებით მხარის არა მარტო ადმინისტრაციული, არამედ საეკლესიო ცენტრიც იყო. წუნდის დაცემის შემდეგ საეპისკოპოსო ცენტრად ხდება კუმურდო. ეს უკანასკნელი მისსავე სამხრეთის კედელზე მოთავსებული წარწერის მიხედვით აშენებულია 964 წლის მახლობლად.[102] ადვილი მოსალოდნელია საეკლესიო ცენტრის კუმურდოში გადატანას ემთხვევა ადმინისტრაციული გამგებლობის ახალქალაქში გადასვლა, რაც ქალაქმშენებლობის და პირველ რიგში ციხის აგების დაწყებას მოასწავებდა.

## ატენის გაქალაქება

თუ ახალქალაქის შენებაში წერილობითი ცნობებით შესაძლებელია ქალაქმშენებლობის ეტაპები ჩანდეს, მისი მოზღუდვილობის და საერთოდ თავდაცვისუნარიანობის მიხედვით, სხვა შემთხვევაში ქალაქმშენებლობის თუ პუნქტის ქალაქად ქცევის სხვა მომენტი შეიძლება განისაზღვროს. მეფე ბაგრატის ბრძანებით ქალაქი ავაშენეო, ატენის წარწერით ვტყობილობთ და: სახლნი და ქულბაქები ავაშენეო. რა თქმა უნდა, წარწერის შემქმნელმა კარგად იცის, რომ ქალაქი არ არის, თუ მას სავაჭრო უბანი არ გააჩნია: ქულბაქები ქალაქის დამახასიათებელი ატრიბუტია და ქალაქის მშენებლობის ამ ძირითად ფაქტორს განსაკუთრებით გადმოსცემს.[103]

ატენის აგება ქალაქად, უფრო სწორად ატენის შექმნა, ქცევა ქალაქად, რასაც ატენის სიონის სამხრეთის ფასადზე მოთავსებული წარწერის მიხედვით ვიგებთ, ერთ-ერთი შესანიშნავი ფაქტია, რომელიც კარგად ახასიათებს „ახალქალაქების" ეპოქას.[104] ჩანს, შესაძლებელია ქალაქის აშენებაც კი, თუ საამისო პირობები არსებობს. წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ქ. სახელითა

---

[101] ი. როსტომაშვილი ახალქალაქის აშენებას უცხოდ მიაწერს ბაგრატ III (980—1014 წწ.). რაზეა დამყარებული ასეთი დასკვნა უცნობია, რადგან ის წერს «უცხოდო», სავარაუდოა, ის ეყრდნობა მატიანის ცნობას, სადაც აღნიშნულია «მას ჟამსა უზღუდო იყო».შ. მესხია ახალქალაქის დაფუძნებას IX—X საუკუნეებით ათარიღებს (Города..., გვ. 36). სავარაუდოა, აქ ნაგულისხმევი იყოს ზოგიერთი ფაქტი, რომელთა შესახებაც ზემოთ გვაქვს შენიშნული.

[102] Е. Такайшвили, Экскурсия. 1902, МАК, XII, Москва, 1909, стр. 37—38.

[103] ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატ. კულტ. ისტორიისათვის, I, თბ., 1946, გვ. 33—35.

[104] ივ. ჯავახიშვილი, იქვე.

ღმერთისაჲთა მე. გურგანელმან, მირიანის ყმამან თარხუნის ძისამან, ატენის ციხისთავმან, — ავაგენ ატენს სახლნი და ქულბაგი მას ჟამსა, ოდეს — ადიდენ ღმერთმან, — ძლიერმან მეფეთა მეფემან ბაგრატ უბრძანეს მიწასა მათსა მირიანს პატრონსა ჩუმსა. სეფისა ზოვარსა შიდა ქალაქის შენება: გაუმარჯოვა ღმერთმან და ბედმან მეფობისა მათისამან, ვითა სწადდა მეფობასა მათსა, ეგრეთ ავაშენეთ დარბაზი და ქალაქი. შეგვიწყალა მეფობამან მათმან, სასახლენი ადგილნი და საქულბაგენი მკვიდრად, ნებიერობით გვიბოძნა მირიანს და ყმათა მისთა, რომელთაცა შენება შეეძლო. მე ავაგე სახლი და ქულბაგი და შევწირე წმიდასა სიონსა ატენისასა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, სალოცველად ჰგიამცა უკუნისადმე ძრიელი მეფეთა მეფე ბაგრატ სევასტოსი და ძე მათი გიორგი კურაპალატი და, სალოცველად სულისა მირიან მიწრისა მათისა გამზრდელისა პატრონისა ჩემისათვინ დავდევ დღე თევდოროპა ალაპად: გარდაიხდიდეს მამასახლისი წინამძღუარი სიონისა, ვინცა იყოს.“[105]

· წარწერა მრავალმხრივ იქცევს მკვლევართა ყურადღებას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ერთი მომენტია ღირსშესანიშნავი, სახელდობრ, ქალაქის აშენების საკითხი.

.წარწერაში მოხსენიებული ბაგრატი, უმრავლეს ავტორთა მიხედვით უნდა იყოს ბაგრატ IV (1027—1072, დ. ბაქრაძე, თ. ჟორდანია, ე. თაყაიშვილი, ი. ჯავახიშვილი). ი. ჯავახიშვილის გამოანგარიშებით წარწერა შესრულებულია 1060—1068 წლებში, ბაგრატ IV მეფობის მეორე პერიოდში. წარწერის დეტალების განხილვა ჩვენი კვლევის საგანს არ შეადგენს, ის საკმაოდ დაწვრილებით არის შესწავლილი სპეციალისტების მიერ.[106] ჩვენ აქ უკეთესია ატენის ქალაქობის შესახებ არსებულ ცნობას მივაქციოთ ყურადღება, უფრო კი ორი საკითხი ითხოვს დაკვირვებას: პირველი, რას გულისხმობდა ქალაქის აშენება (შეიძლება ქალაქი შექმნილიყო ცარიელ ადგილზე?) და მეორე. რამ განაპირობა აქ ქალაქის აშენება.

სხვადასხვა მონაცემებით ირკვევა, რომ ატენის გაქალაქებას წინ გრძელი პროცესი უძღოდა. ბაგრატ IV-ის წინა პერიოდში ატენი რამდენიმეჯერ მოიხსენიება წყაროებში სხვადასხვა პოლიტიკურ ამბებთან დაკავშირებით.

ატენი ერთხანს რატი ბაღვაშს ეჭირა ბაგრატ III-თან ბრძოლის დროს. როგორც ცნობილია, ბაღვაშები სამეფო კარის წინააღმდეგ მებრძოლი დასის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მოუსვენარი მესვეურები იყვნენ. ამჯერადაც მათ ეპყრათ „ციხე ატენისა და ქართლისაგან მტკუარსა სამხრით კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლის-ხევი და სკვირეთი“.[107] 989 წელს ბაგრატმა დაიმორჩილა რატი, ამ უკანასკნელმა თავისი სამფლობელოები გადასცა ბაგრატ III-ს.

ბაგრატ IV-ის დროსაც, შინაური არეულობისას, როდესაც მეფეს მოწინააღმდეგენი აუმხედრდნენ, ატენი კვლავ ბრძოლის ასპარეზად იქცა. „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით „...გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქართა. და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს

---

105 წარწერა მრავალგზის არის გამოქვეყნებული. ვსარგებლობთ ბოლო გამოცემით. იხ. თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, ატენის სიონის წარწერები, თბილისი, 1957, გვ. 39.

106 თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, აქვეა მიმოხილული სათანადო ლიტერატურა.

107 „ქ ც-ბაჲ, I, გვ. 276.

ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი."[108] ლიპარიტმა ატენის აღება ვერ შეძლო, რადგან „უფალნი კაცნი მტკიცედ იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა."[109]

როგორც წყაროთა მონაცემებიდან ირკვევა, ატენს ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობა ჰქონია („ციხე ატენისა"), რომელიც შინაური აშლილობის ასპარეზად ხდება XI საუკუნეში. აქ არ შეიძლება ეჭვი არ მივიტანოთ, რომ ატენი ყურადღების მისაქცევი ობიექტია. იგი განა იმით იზიდავს მოპირდაპირე ბანაკის მესვეურთ, რომ აქ ძლიერი ციხეა? რა თქმა უნდა, არა. იგი ჩანს, მნიშვნელოვანი ობიექტია, რომლის დაკავებაც გარკვეულ უპირატესობას იძლევა მეტოქესთან შედარებით. აი, სწორედ ამ უპირატესობის ამოცნობა იქნება საჭირო, თუ ძეგლის ავკარგიანობის გაგება დავისახეთ მიზნად.

მოტანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ ატენის ციხე ერთგვარი გასაღებია ჯავახეთიდან, და თრიალეთიდან შიდა ქართლისაკენ. ტანას ხეობიდან, გომარეთით, თრიალეთზე გადმოსასვლელი იყო, რომელიც ფეოდალურ ხანაში საკმაოდ ინტენსიური დატვირთვით მუშაობდა. ამის გამო ატენის დაწინაურება მოულოდნელი არ შეიძლება იყოს, რადგან ეს გზა დაწინაურებული პოლიტიკური ერთეულებისაკენ მიდიოდა, რომელზედაც, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, მთავარი სავაჭრო მაგისტრალი იდო.[110]

ატენი რომ სამხრეთით არის ორიენტირებული, ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო ბევრი მონაცემით დასტურდება: ლიპარიტმა ატენი ვერ აიღო, და აი, ის მიდის ახალქალაქს და იწყებს ზღუდის შენებას, ქალაქის გამაგრებას. საკითხავია, რისთვის? იქნებ ატენისგან ხელმოცარულმა გადაწყვიტა მის მეტოქედ გზის მეორე ბოლო გაემაგრებინა? არ არის გამორიცხული, რომ ეს ასეც ყოფილიყოს. კლდეკარის ერისთავები ატენში სამხრეთის გასაღებს ხედავდნენ. ეს უპირატესობა ჯერ კიდევ ბაგრატ III წაართვა მათ. მატიანეში საგანგებოდ არის აღნიშნული — ატენის ციხე და მტკვრის სამხრეთით პროვინციები რატისა ჰქონდაო. ბაგრატ IV-ის დროს ლიპარიტი ცდილობს დაკარგული უპირატესობის დაბრუნებას, მაგრამ უშედეგოდ. სამაგიეროდ ამიერიდან ის ყურადღებას ამახვილებს ახალქალაქზე და ცდილობს ამით დაკარგული პოზიციების აღდგენას.

ბაგრატ IV-ის დროს, როდესაც აქ ქალაქს აშენებენ, საკმაოდ ძლიერი დასახლება ჩანს. ქალაქი ცარიელ ადგილას არ წარმოქმნილა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ VII საუკუნეში აგებულ ატენის სიონს ვერსად გავექცევით. ბაგრატ IV-ის დროს, „ახალქალაქობის" ჟამს, ძველი მნიშვნელოვანი პუნქტი ქალაქად გადააქციეს. საამისო პირობები მას, რა თქმა უნდა, ჰქონდა. ქალაქის აშენება მხოლოდ ქალაქთან დაკავშირებული ზოგი ნაგებობის შექმნას გულისხმობდა.

ატენი თავისებურ გეოგრაფიულ გარემოში წარმოქმნილი ქალაქია. იგი ჩაფლულია მაღალ კლდოვან მასივებში, განლაგებულია ხეობის ორსავე მხარეს, სადაც შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია მიწათმოქმედებისათვის. მთლიანად ატენის ხეობა არ არის გრძელი, ამასთანავე სამეურნეოდ ვარგისი მიწე-

---

108 «ქ ც-ბა», I, გვ. 293.

109 იქვე.

110 ეს გზა ერთგვარად აპირობებდა შუაფეოდალურ ხანაში ქალაქ გორის გამოცოცხლებასაც. მთავარი ფაქტორი კი გორის გაძლიერებისათვის იყო სამეფო კარის ღონისძიებანი შიდა ქართლის აღორძინებისათვის. დავით აღმაშენებლის ცდა აქ საქალაქო ცხოვრების გაღვივებისათვის, სწორედ ცენტრალური ქართლის პროვინციის გამოცოცხლებისაკენ იყო მიმართული.

ბი მის ქვედა წელშია განლაგებული. დღევანდელი გეომორფოლოგიური მონაცემებით ძნელია ზუსტად დადგინდეს ატენის, როგორც პუნქტის, საზღვრები, მოსალოდნელი კი არის იგი ხეობის გასწვრივ ყოფილიყო განლაგებული, რადგანაც ორსავ მხარეს მაღალი კლდოვანი ნაპირები ხეობისა გამორიცხავდა დასახლების გავრცელებას სიგანეზე. სავარაუდოა, ატენი გაშენებული იყო სიონის სამხრეთით, ხეობის ორივე ნაპირზე. სიონი ალბათ ქალაქის ზედა ნაწილია. იგი ვრცელდებოდა მდინარე ტანასა და მისი მარჯვენა პატარა შენაკადის შეერთებამდე, სადაც ორი უძველესი ნამოსახლარია შემორჩენილი. ზედა ზღვარი ქალაქისა, გადიოდა სიონის ცოტა ზევით, სადაც მდ. ტანას მარჯვნიდან პატარა წყალი ერთვის. ის მდიდარი მონაკვეთი ხეობისა, სადაც უძველესი დროიდან მოკიდებული ღონიერი პუნქტი იყო განლაგებული და სადაც შესაძლებელი გახდა ქალაქის აშენება, სწორედ აქაა საგულვებელი. აქ დასამუშავებლად გამოსაყენებელია მდინარე ტანას ორივე ნაპირი, ციცაბო კლდოვან კედლებს შორის მოქცეული. სარწყავი და მზეს მიფიცხებული ადგილები უნაკლო იყო ვენახის გასაშენებლად, რაც შესაძლებლობების მხრივ მაქსიმალურად არის შერჩეული და გამოყენებული. „და ხეობა ესე არს ვენახოვან-ხილიანი, — წერდა ვახუშტი, — ... სადაც დგება ღვინო წარჩინებული“.[111] მისივე მონაცემებით, დამჩხერლოდან თბილისამდე ვენახიანი ადგილები ყოფილა. „ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინითაო“.[112]

მევენახეობა ძირითადი სახე უნდა ყოფილიყო მეურნეობისა ტანას ხეობის წელზე და თვით ატენში. ატენის ზემოთ ვენახი თითქმის ვერ ხარობს; მხოლოდ ტანას ქვედა მონაკვეთია საამისოდ გამოყენებული.[113]

ხეობაში ბევრი არქეოლოგიური ძეგლია დადასტურებული.[114] განსაკუთრებით კი შევნიშნავთ იმ ფაქტს, რომ ხეობის ბოლოს ქ. გორამდე მთელი ჯაჭვია უძველესი ნამოსახლარებისა. ასეთებია სამოსახლო გორები მდ. ტანას მტკვართან შეერთებაზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თვით გორში, კვერნაქებზე, აქვე, მდ. ტანას და მტკვრის შეყრაზე ნახიდურიც შეიმჩნევა, რაც ალბათ ფეოდალური ატენ-გორის კეთილმოწყობილი გზის საუკეთესო დადასტურება არის.

ძველი ნამოსახლარები, რომელთა მონაკრები არქეოლოგიური მასალები მრავალფეროვან ძეგლებზე მიგვითითებენ (უმთავრესად ადრებრინჯაო-ენეოლითის დროიდან), ცხადად გვიჩვენებენ ხსენებული მხარის დასახლებაზე უძველესი დროიდან მოყოლებული. რომ თვითონ ატენი ახალქალაქობის დროს ერთი დაკვრით არ არის აშენებული, სიონის მაგალითითაც კარგად ჩანს. განა VII საუკუნეში ამისთანა ბრწყინვალე ძეგლს უკაცრიელ ადგილზე

---

[111] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა...., გვ. 57.

[112] ი ქ ვ ე, გვ. 59.

[113] თ. ტატიშვილის მიერ ტანას ხეობის დაზვერვებისას სოფ. ხიდისთავში ჩაწერილია ადგილის სახელი «ჩინეთის არხი». არხი ტანიდან ყოფილა გატანილი. ზემოხსენებული არხი, ასევე სხვებიც (სულ 13) ძირითადად ვენახებისათვის იყო განკუთვნილი. ტოპონიმ «ჩინეთის არხის» მიხედვით, აქ ახლოს საგულისხმებელია «ჩინ» ძირთან დაკავშირებული ადგილი, საიდანაც შეიძლება მომდინარეობს ქართლში ძლიერ გავრცელებული ვაზის სახელი — «ჩინური». ამასვე უნდა მოწმობდეს ფაქტიც, რომ რაიონი ინტენსიური მევენახეობის კერაა. იხ. თ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ტანას ხეობის ისტორიული გეოგრაფიისათვის, სიგკ, II, 1964.

[114] თ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი.

აშენებდნენ? რა თქმა უნდა არა[115]. ძეგლის დიდ მნიშვნელობაზე შემორჩენილი წარწერებიც ღაღადებენ. ზემოთ აღნიშნულ წარწერას რომ თავი დავანებოთ, მარტო ბულა-თურქის ლაშქრობის ამსახველი წარწერა რად ღირს? ატენის სიონის წარწერების კორპუსის გამომცემის თ. ბარნაველის სიტყვებით: „ატენის სიონის წარწერები, შექმნილი მრავალ საუკუნეთა მანძილზე, თავისი მრავალფეროვნებითა და მრავალმხრივობით, მათში მოხსენებული ისტორიული და სხვა პირებით, სხვადასხვა ისტორიული და კულტურული მოვლენებისა და თარიღების მოყვანით, ენით და დამწერლობით, უნიკალურ მოვლენას წარმოადგენენ, ერთგვარ მატიანედ გვევლინებიან და... მდიდარ მასალას გვაძლევენ საქართველოს ისტორიის, კულტურის, ენისა და პალეოგრაფიის კვლევისათვის.“[116]

ატენის სიონი სხვა მხრივაც იქცევს ყურადღებას. იგი მდებარეობს ტანას ხეობის მარცხენა გასწვრივი ქედიდან გამომავალი ქედის უკიდურეს, მდინარის ნაპირის კონცხზე, რომელიც ქედის ბოლოს, მის ცხვირზეა აგებული, ალბათ იმ მიზნით, რომ მდინარეს და ხეობას უპატრონოს, დაიცვას გზა. ამდენად აქ, მის ადგილზე, უფრო ადრე, შესაძლებელია ყოფილიყო გამაგრებული სამოსახლო, რომელიმე წარმართული კულტით. ქრისტიანობის ხანაში აგებენ ეკლესიას, რომელიც ძველის მემკვიდრედ აცხადებს თავს. კლდე-კარი, რომელიც აქ არის გაჭრილი, ალბათ გაიყვანეს მას შემდეგ, რაც სიონი აიგო, რომელმაც ჩაკეტა მდინარის გაყოლებაზე მიმავალი გზა (ტაბ. V-2).

ამრიგად, შეიძლება დავუშვათ, რომ ადგილი, სადაც ბაგრატ IV-ის მითითებით შენდება ქალაქი, ადრეც ძლიერი პუნქტი იყო. მისი სიძლიერე გაპირობებული იყო ნაყოფიერი სამეურნეო რაიონით, სადაც ძირითადი დარგი მევენახეობა ჩანს და ქართლიდან თრიალეთს მიმავალი გზით, რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა X—XII საუკუნეებში საქართველოს სამეფო კარსა და კლდეკარის ერისთავთა შორის ურთიერთობის დროს.

წარწერის მიხედვით ჩანს ატენში მშენებლობა ციხისთავს ჩაუტარებია. თვითონ ციხისთავი მირიანის ყმაა. ატენი ბაგრატის საკუთრებას წარმოადგენს, რომელსაც უბრძანებია მირიანისათვის „სეფისა ზოვარსა შიდა ქალაქის შენება“, რისთვისაც „მეფობამან მათმან, სასახლენი ადგილნი და საქულბაგენი მკვიდრად, ნებიერობით გვიბრძანა მირიანს და ყმათა მისთა“. თვითონ ციხისთავს აუგია სახლი და ქულბაქი და შეუწირავს ატენის სიონისათვის ე. ი. თანმიმდევრობით შემდეგი სურათი ჩანს: ატენი ბაგრატ IV-ის საკუთრებაა, რომელსაც უბრძანებია მირიანისათვის ქალაქის აშენება. წარწერის ავტორი — გურგანელი — ატენის ციხისთავია და მირიანის ყმა. ბაგრატ მეფემ უბრძანა მირიანს სასეფო ზვარში ქალაქის აგება, რისთვისაც მირიანს და ყმათა მისთა, ვისაც კი შენება შეეძლო, უბოძა მკვიდრად, ნებიერობით ‚ადგილნი სასახლისანი და საქულბაგენი.[117] ციხისთავი აშენებს სახლს და ქულბაქს და სწირავს ატენის სიონს..

ასეთია წარწერის აზრი, საიდანაც ჩანს, ჯერ-ერთი, იურიდიული დამოკიდებულება მეფესა, მის მოხელე მირიანსა და ციხისთავს შორის და მეორე, რაც მთავარია, იგრძნობა, რომ ქალაქი აქ გაგებულია როგორც სავაჭრო ად-

---

[115] Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1946.

[116] თ. ბარნაველი, ატენის სიონის წარწერები, გვ. 64.

[117] Ш. А. Месхиа, Города..., стр. 43.

გილი: ავაშენეთ დარბაზი და ქალაქიო. მეორე ადგილზეა ავაგე სახლი და ქულბაქიო. დარბაზი და სხვა საცხოვრებელი ნაგებობანი ქალაქი არ არის. ქალაქი გულისხმობს ქულბაქს, სავაჭრო ადგილს და ყველა იმ ნაგებობას, რომელიც კი ბაზართან, ვაჭრობასთან იქნება დაკავშირებული. ეს ახალქალაქობის ეპოქაში განახლებული ცნებაა ქალაქისა, როცა მას ეს მნიშვნელოვანი მომენტი უბრუნდება, როცა ქალაქი კვლავ სავაჭრო და სახელოსნო ცენტრად იქცევა.[118]

ქალაქები, როგორც სავაჭრო ცენტრები, დიდი მოგების წყაროა შუა ფეოდალური ხანის საქართველოში, რამდენადაც ვაჭარ-ხელოსანთა ხელში უამრავი სიმდიდრე იყო თავმოყრილი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა შემოსავალი ექნებოდათ ქალაქების მფლობელებს და შესაბამისად როგორი მძაფრი ბრძოლები იქნებოდა გაჩაღებული ქალაქების ხელში ჩასაგდებად. ქალაქიმარტო სოციალური უპირატესობის მაჩვენებელი არ იყო ფეოდალისათვის. ის ეკონომიური სახსრების დაუშრეტელი წყაროც იყო. ატენი ქართველ მეფეთა საკუთრებას წარმოადგენდა ბაგრატ IV-დან მოყოლებული და ჩანს, კარგი შემოსავალიც ჰქონდათ მისგან. ერთი კარგი ცნობა არის შემონახული დავით აღმაშენებლის ანდერძში, სადაც მეფე ჩამოთვლის განძეულობას და თუ ვის რა ერგოს ანდერძით: ლალნი და თვალმარგალიტნი ხახულის ღვთისმშობლისათვის შემიწირავსო, ხოლო „დუკატი და პოტინატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემისა სისხლითა მოგებული, თუ ელოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა, თუ არა ნახევრისათვის წინაშე ღუთისა ვესაჯები, რათა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმიმწარებიან, მოძღუარმან ჩემმან უკუნ ცემითა მათითა აღიცნეს ჩემთვის“.[119] უდავოდ ანგარიშგასაწევი გარემოებაა, რომ ატენში სამეფო საჭურჭლე იმყოფებოდა, რომლის ნაწილს ალბათ ქალაქის შემოსავალიც შეადგენდა, იმ სისხლით მოგებულს (ნადავლით აღებულს)[120] ბიზანტიურ ოქროსთან ერთად, რომელზედაც ანდერძშია ლაპარაკი.

## არტანუჯი

თუ რომელიმე პუნქტის დაწინაურებაზე შეიძლება ლაპარაკი მისი სტრატეგიული მდებარეობის გამო, ეს, პირველ ყოვლისა, არტანუჯზე ითქმის. არტანუჯი ადრეფეოდალურ ხანაში გამოდის ასპარეზზე გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებების გამო და წარმატებებსაც აღწევს; უმთავრესად შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის წყალობით. ამდენად, იგი ვითარდება და წარმატე-

---

[118] თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა XVI საუკუნის გრემში, სადაც ქალაქის ერთ-ერთი ძირითადი უბანია სწორედ ქულბაქები — სავაჭრო ადგილი. ქალაქის ეკონომიური ცხოვრება აქ მიმდინარეობდა. გრემის, როგორც ქალაქის აშენების ერთ-ერთი ძირითადი მომენტი იყო სწორედ ქულბაქების მოწყობა. გრემის ქულბაქები, როგორც არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოარკვია, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაგებობები იყო ქალაქში. გრემის სამენოვანი წარწერის მიხედვით ვგებულობთ ქულბაქების შეწირვას ეკლესიისადმი (ა. შ ა ნ ი ძ ე, ვ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, სამენოვანი წარწერა გრემში, ენიმკის მოამბე V—VI, თბ., 1948, გვ. 6; თ. ბ ა რ ნ ა ვ ე ლ ი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, გვ. 45).

[119] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, თბ., 1897, გვ. 51—52.

[120] თ. ლ ო მ ო უ რ ი, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრებული — შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, თბ., 1938, გვ. 316.

ბებს აღწევს იმავე მიზეზებით, რითაც დაწინაურდნენ თბილისი, უჯარმა და ჴერემი.

არტანუჯი უპირველესად თავისი მიუდგომელი გეოგრაფიული მდებარეობით იქცევს ყურადღებას. ყველა წყარო მის შესახებ მიუთითებს როგორც კლდოვან ადგილზე და მაგარ ციხეზე. დ. ბაქრაძე, რომელმაც არტანუჯი და ართვინი ინახულა 1879 წელს, გაკვირვებული აღნიშნავდა: „არტანუჯი და ართვინი განლაგებულნი არიან ისეთ ციცაბო ფერდობზე, რომ გიკვირს, ნუთუ შეიძლებოდა აქ ქალაქების განვითარებაო".[121] და არც ცდებოდა პატივცემული მკვლევარი. არტანუჯი მისმა ასეთმა სტრატეგიულმა მდებარეობამ დააწინაურა. რაც შეეხება ქალაქს, ეს უკვე მეორადი მოვლენა იყო.

არტანუჯის ციხის აშენებას ვახტანგ გორგასალს მიაწერენ. სიმპტომატურია, რომ არტანუჯიც ჩვენს მიერ ადრე განხილულ სხვა სტრატეგიულ ცენტრებთან ერთად (თბილისი, უჯარმა, ჴერემი) ვახტანგ გორგასალის სახელთან არის დაკავშირებული. ვახტანგი განიზრახავს მის გამაგრებას ბერძნებთან ომის დამთავრებისას, როდესაც ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ „უკუმოსცა კეისარმან საზღვარი ქართლისა, ციხე თუხარისი და კლარჯეთი ყოველი ზღვითგან, ვიდრე არსიანთამდე და ხევნი რომელნი მოსდგმანან ღადოთა".[122] ადვილი მისახვედრია: გორგასალს სურს გზა დაუხშოს დასავლეთიდან მომავალ მტერს, რომლის გზაც კლარჯეთზე გადმოდიოდა. აქ შორსმჭვრეტელი სარდალი, ბუნებრივია, ყურადღებას ამახვილებს თუხარისზე და შემდგომ კი კლარჯეთის ბუნებრივ ზღუდეზე — არტანუჯზე, რომელიც თითქოსდა მოულოდნელია თავისი ბუნებრივი პირობებით ადრე უკაცრიელი ყოფილიყოს.

გორგასალის საქმიანობა აქ სავსებით გასაგებია; მან სასტიკ ბრძოლაში სძლია ბერძნებს და აიძულა კეისარი ხელი აეღო სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რაიონებზე. ხერთვისთან (ზღვისპირეთში) გამარჯვებით იურიდიული აღიარება ვახტანგმა მიიღო, მის დასაცავად კი იგი ეძებს სტრატეგიულ პუნქტებს, რომელთაგანაც ერთი არტანუჯია.

გორგასალის ბრძანებით აქ ააგეს ციხე. ქართველთა მეფის კეთილგანწყობილება არტანუჯის მიმართ განსაკუთრებულია, რადგან მას სურს იგი გაიხადოს სადგომად განსაცდელის ჟამს: „და ვითარცა წარმოვიდა, იხილა კლდე შუა კლარჯეთსა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი. და მოუწოდა არტავაზს, ძუძუსმტესა მისსა, და დაადგინა იგი ერისთავად; და უბრძანა, რათა აგოს ციხე არტანუჯისა; და უბრძანა, რათა გამონახოს ხევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად, ... და რქუა არტავაზს „უკეთუ განძლიერდეს სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩვენი აქა ყოფად არს".[123]

არტანუჯის ციხე ამიერიდან ძლიერ ერთეულად გვევლინება, რომელიც მთლიანად ჯაჭვშია მოქცეული სხვა ასევე გამაგრებულ პუნქტებს შორის. ერთის მხრით, სამხ.-დასავლეთით თუხარისი ემიჯნება, ასევე ძლიერი ციხე

---

[121] Д. З. Бакрадзе, Об археологической поездке, совершенной в 1879 г. по поручению Академии наук в Чорохский бассейн, в Батум, Артвин и Артанудж, ЗИАН, т. 37, I, 1880, СПб., стр. 47.

[122] «ქ ც-ბა», I, გვ. 177.

[123] «ქ ც-ბა,» I, გვ. 177—178.

და წარსულში ანტიკური ხანის ქართული ქალაქი და მეორეს მხრივ არტაანი — აღმოსავლეთიდან. სამივე ეს პუნქტი გზაზე მდებარეობს და ძლიერ გამაგრებულ ადგილებს წარმოადგენდნენ. გორგასალი ბერძნებთან გამარჯვების შემდეგ, უკან მომავალი, ზღვისპირეთიდან (ხერთვისიდან) ამოვიდა თუხარისს, შემდეგ არტანუჯს, აქედან კი არტაანისკენ. არტაანსა და არტანუჯს შორის გზა არსიანს ანუ ქვაყრილს ჰკვეთავდა, ვახუშტის სიტყვებით „სადაცა გარდავალს გზა არტანუჯს"[124]. როგორც ვიცით, გზის ამ მონაკვეთმა და მთლიანად მაგისტრალმა (ტრაპიზონი-თბილისი) შემდგომად დიდი როლი შეასრულა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში.

არტანუჯი განსაკუთრებით დაწინაურდა ტაო-კლარჯეთის სამთავროს შექმნის დროს, რომლის პოლიტიკურ ცენტრსაც ის წარმოადგენდა. აშოტ კურაპალატი ანახლებს მას, მურვან ყრუსაგან შემუსვრილს და იდებს იქ რეზიდენციას. სუმბატ დავითის-ძის სიტყვებით: „და ამან აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოხრებულ იყო ბაღდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინაკერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი".[125]

მცირეოდენი ცნობები არტანუჯის შესახებ შემონახულია გიორგი მერჩულეს თხზულებაშიც „ცხორება გრიგოლ ხანძთელისა"-ში. „ცხორების" მიხედვით „ხოლო ჟამთა ამის წმინდისათა ხელმწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანა და აღაშენა ციხე არტანუჯისა".[126] აქვეა მოთხრობილი აშოტ კურაპალატის რომანტიული გატაცება, და მისი იძულებითი დაშორება საყვარელთან, გრიგოლ ხანძთელის მეცადინეობით. მთელი ეს სცენა არტანუჯის ციხეში გათამაშდა.

არტანუჯს განსაკუთრებულ ადგილს უთმობს თავის თხზულებაში კონსტანტინე პორფიროგენეტი (ბიზანტიის კეისრად იყო 912 — 959 წწ.). თავი რომ დავანებოთ პოლიტიკური ისტორიის თხრობას, სადაც არტანუჯი ხშირადაა ქცეული შეხების საგნად, პორფიროგენეტი საგანგებოდაც ჩერდება და აღწერს მას: „არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი „რაბატიც" და დაბა-ქალაქიც; და იქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტისა, იბერიისა, აფხაზეთისა, და არმენიის და სირიის ყველა ქვეყნიდან; და ამ საქონლებიდან მას უამრავი ბაჟი შემოდის. არტანუჯის ციხის მიწაწყალი, ესე იგი არზენი, დიდია და ნაყოფიერი და წარმოადგენს იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღებს".[127]

მოტანილი ცნობიდან აშკარაა, რომ პორფიროგენეტის დროს არტანუჯი უბრალო ციხე კი არ არის, არამედ საკმაოდ დაწინაურებული ქალაქია.[128] წყაროს მონაცემებიდან სამი საკითხის წამოწევა შეიძლება: ციხე-ქალაქის განლაგება, მისი ეკონომიური მდგომარეობა და გეოგრაფიული გარემო. მოკლედ შევეხოთ თვითეულს. არტანუჯის ციხე ძალიან მტკიცეა და აქვს დიდი

---

[124] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 132.

[125] «ქ ც-ბა», I, გვ. 377.

[126] გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 103.

[127] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 278—279.

[128] «არტანუჯის» ეტიმოლოგიური ახსნა სცადა პროფ. ა. შანიძემ. მისი ვარაუდით იგი სახეშეცვლილი ჭანური გამოთქმაა «არტაანიშყუჯი», ე. ი. არტაანის ყური, იხ. თსუ სამეცნიერო სესია, 1952.

„რაბატიც“ და დაბა-ქალაქიცო. „არტანუჯის ციხეში“ ავტორი ვარაუდობს თვითონ პუნქტს, რომელიც თავისი გარეგანი სახის მთავარი დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით გადმოცემულია როგორც „ციხე“ ( κάστρον ). „ციხით“ იგი აღნიშნავს მთლიანად ციხე-ქალაქს და არა მხოლოდ საფორტიფიკაციო ნაგებობას. აქედან ცხადი ხდება, რომ არტანუჯს სამი ძირითადი კომპონენტი აქვს — თვით ციხე, რაბატი და დაბა-ქალაქი. „რაბატი“ ბერძნულ ტექსტში ასევეა გადატანილი, რაც უნდა მიუთითებდეს, რომ ავტორმა პირდაპირ გადაიტანა ქართული სახელი—„არტანუჯის რაბატი“. ტექსტის მთარგმნელი და კომენტატორი ს. ყაუხჩიშვილი შენიშნავს, რომ „რაბატი“ უნდა აღნიშნავდეს გამაგრებულ ადგილს, სადაც თავმოყრილია სავაჭრო ბინები, ადმინისტრაციული დაწესებულებები. „მაშასადამე, — შენიშნავს ს. ყაუხჩიშვილი, — კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, არტანუჯი არის პირველ რიგში ციხესიმაგრე, ხოლო იგი მნიშვნელოვანი სავაჭრო ქალაქიც არის და მას ამიტომ აქვს ραπατιν “.[129]

სიტყვა „რაბატი“ ძლიერ გავრცელებულია მუსლიმურ აღმოსავლეთში. მის შესახებ ბევრი მოსაზრებაა გამოთქმული. მას განიხილავენ კავშირში ორ არაბულ ძირთან, რომელთაც სხვადასხვა მნიშვნელობები აქვთ, თუმცა გამოთქმით ემსგავსებიან ერთმანეთს: رباط—რიბატ აღნიშნავს მუსლიმთა სამფლობელოების საზღვრებზე არსებულ გამაგრებულ ადგილებს, ნაწარმოებია ზმნიდან ربط, მეორე ძირია ربض,—რბდ (მრ. (ارباض), რაც ნიშნავს სადგომს, გარეუბანს. ამ მეორე ტერმინთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული ვ. ბარტოლდს: „წინა მუსლიმურ ხანაში ქალაქი აღინიშნებოდა როგორც შაჰრისტანი, არაბულად მედინა; ისლამის პირველ საუკუნეებში შაჰრისტანის გვერდით წარმოიქმნენ რაბადები (გარეუბნები — предместья), სადაც თანდათანობით გადადიოდა ცხოვრება შაჰრისტანებიდან“.[130] ბუხარასთან დაკავშირებით იგივე ავტორი ასკვნიდა, რომ ბუხარის ქალაქის კედლებით შემოზღუდულ არეში შედიოდა პირველდაწყებითი ქალაქის, შაჰრისტანის გარდა, რაბადიც, ე. ი. დიდი ტერიტორია, რომელიც ქალაქს შეუერთდა მუსლიმურ ხანაში. „რაბადით“ აღნიშნული იყო თვით კედლებიც კი. ამასთანავე ეს არაბული ტერმინი იხმარებოდა სპარსი ავტორების მიერაცო.[131]

სურათი თითქმის ნათელი უნდა იყოს — „რაბადი“ გარეუბანია გარკვეულ დროს, შემდეგ კი იგი ექცევა ქალაქის ფარგლებში, ისე რომ სახელი გარეუბნისა კვლავ რჩება. ასეთი აზრით უნდა იყოს ნახმარი „რაბადი“ არაბი გეოგრაფის ტაბარის მიერ, როდესაც ამბობს, რომ თბილისის ერთ-ერთ კარს, ხუთიდან, რაბადის კარი باب الربض ერქვაო (გარეუბნის კარი). ვ. ბარტოლდი მართალი უნდა იყოს; ციხე-ქალაქებთან არსებული გარეუბნები შესაძლებელი იყო მოქცეულიყვნენ ქალაქის ფარგლებში, განსაკუთრებით ახალქალაქების პერიოდში, როცა გაზრდილ მოსახლეობას ციხის კედლები უკვე ვეღარ იტევდა და საჭირო იყო ციხის გარეთ გამოსული მოსახლეობის დაცვაც. ალბათ ასეთი აზრით არის მოხსენიებული უჯარმის რაბადი ჯუანშერის მიერ. წყაროში ლაპარაკია წმინდა რაჟდენის ეკლესიის შესახებ „რომელი რაბატსა

---

129 ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 2, იქვე.

130 В. В. Бартольд, История орошения Туркестана, П., 1914, стр. 30.

131 В. В. Бартольд, История культурной жизни Туркестáна, Л., 1927, стр. 28.

შანა უჯარმოსასა აღმიშენებიეს"-ო,[132] ამბობდა ვახტანგ გორგასალი. აქედან ირკვევა, რომ უჯარმის რაბადი ზღუდის შიგნით მოქცეულ ნაწილს აღნიშნავდა.[133] ს. ჯიქიამ ზემოთ აღნიშნული მნიშვნელობა „რაბადისა" სცადა მიეყენებინა პორფიროგენეტის ცნობისათვის არტანუჯის შესახებ და დაასკვნა, რომ აქ „რაბატი" გულისხმობს არა „გამაგრებულ ადგილს", არამედ გარეუბანს, რომელიც შეიძლებოდა საქალაქო კედლებს შიგნითაც ყოფილიყო".[134] გამაგრებული ადგილი ქალაქისა იყო ციხე — საფორტიფიკაციო ნაგებობათა მთელი სისტემა და მასვე ევალებოდა ქალაქის დაცვა.

რაბადის განმარტების სხვა ვარიანტიც არსებობს. ს. კაკაბაძე მას მიიჩნევდა მოედნის, ქალაქის ცენტრალური ადგილის აღმნიშვნელ ტერმინად.[135] წყაროების მიხედვით, სადაც კი მსგავსი სახელი გვხვდება (მცხეთა, თბილისი, უჯარმა, არტანუჯი, ასევე შემორჩენილი ტოპონიმი ახალციხეში) ასეთი განმარტება დამაკმაყოფილებელი ვერ იქნება.

რაც შეეხება პორფიროგენეტის ტექსტში მოხსენებულ „დაბა-ქალაქს" (χωρόπολις), ს. ყაუხჩიშვილის დაკვირვებით, მხოლოდ აქ ვხვდებით. სხვაგან, მთელს ბიზანტიურ მწერლობაში თურმე არ გვხვდება. ის ეფარდება Κωμόπολις, რაც ნიშნავს დაბა-ქალაქს. ახ. წ. IV საუკუნიდან χωρίον იხმარება სოფლის მნიშვნელობით. „ნომოპოლის" ძველი ქართული ტექსტების „დაბა-ქალაქს" აღნიშნავს.[136] ბოლოს ს. ყაუხჩიშვილი დაასკვნის — „კონსტანტინე პორფიროგენეტს არ შეეძლო არ სცოდნოდა სიტყვა Κωμόπολις. მაგრამ მას სპეციალურად შეუქმნია არტანუჯის დასახასიათებლად ახალი სიტყვა Χωρόπολις. ამით მას, უთუოდ, სურდა აღენიშნა, რომ არტანუჯი უბრალო სოფელი კი არაა, არამედ მნიშვნელოვანი ცენტრი, არტანუჯის პროვინციის მთავარი ქალაქი იყო".[137] მართებული შენიშვნაა, ახალქალაქობის ჟამს ადრეფეოდალური ტერმინი, სადაც სოფელია წინ წამოწეული (შდრ. სომხური სოფელ-ქალაქი) ეღარ უთავსდება შექმნილ სინამდვილეს, საჭიროა შესაფერისი ტერმინი, რომელიც სწორედ ქალაქობაზე მიუთითებდა.

ბერძნული ტექსტის „დაბა-ქალაქი" არტანუჯის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს აღნიშნავდა, იმ ნაწილს, სადაც ძირითადი მოსახლეობა იყო თავმოყრი-

---

[132] «ქ ც-ბა», I, გვ. 201.

[133] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924, გვ. 97; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, უჯარმა, გვ. 70.

[134] ვსარგებლობთ ს. ჯიქიას ჯერ გამოუქვეყნებელი ნაშრომით, რომელიც გამზადებულია გამოსაცემად. ავტორს სპეციალური გამოკვლევა უწარმოებია «რაბატის» ირგვლივ, აქვეა მიმოხილული საჭირო ლიტერატურაც. ს. ჯიქია ეყრდნობა რა გ. წერეთლის «არმაზის ბილინგვის" გამოკვლევის ერთ ნაწილს, სადაც «ეპიტროპოსის» განმარტებაა მოცემული, შესაძლებლად მიაჩნია «რაბატის» წარმომავლობა დაუკავშიროს სემიტურ ძირებს, სადაც კვლავ გარეუბნის მსგავსი მნიშვნელობები ჩანს: არამეული trbs «ეზო», ცნობილი სემიტური ძირიდან rbs, რომელიც ასურულ-ბაბილონურში ნიშნავს «საქონლის დაბანაკებას», არაბულში ربض «წოლას, მკერდზე დაყრდნობას» (ცხოველზე ითქმის), აქედან ربض «გარეუბანი», «უბანი» (იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, «არმაზის ბილინგვა», გვ. 3). რაც შეეხება رباط (რიბატ) და رباض (რაბად) ძირებს ს. ჯიქიას «გურჯისტანის დავთრის» მიხედვით სავარაუდოდ მიაჩნია მათი შერწყმა (С. С. Д ж и к и я, Пространный реестр вилаэта Гурджистан, Тб., 1956, стр. 16), სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი.

[135] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 96, 97.

[136] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა, IV, 2, ი ქ ვ ე.

[137] ი ქ ვ ე, გვ. 279.

ლი. ე ი. ცნობის მიხედვით სამი მთავარი უბანია არტანუჯში — ციხე, ქალაქის დამცველი უბანი, დაბა-ქალაქი, სადაც ძირითადი საცხოვრებელი კვარტალებია განლაგებული და „რაბადი“ ძველი ციხის გარეუბანი, ციხის კედლებთანვე განლაგებული, რომელიც არტანუჯის ძლიერების პერიოდში თვით ქალაქის ნაწილად იქცა. აქ იქნებოდა მოწყობილი სავაჭრო უბანი, ქულბაქები, ფუნდუკები, ქარავანთა გასაჩერებელი ადგილები. სუმბატ დავითის-ძე შენიშნავდა: „იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინაკერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი“-ო[138].

არტანუჯი უბრალო ციხე-ქალაქი როდია. მას მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა აქვს მეზობელ პროვინციებთან — იბერიასთან, აფხაზეთთან, არმენიისა და სირიის ქვეყნებთან, ასევე ტრაპიზონთან, ამ ურთიერთობის განსახორციელებლად არტანუჯს შესაფერი ნაგებობები სჭირდებოდა; ამდენად ქალაქში მოსალოდნელია ყოფილიყო სათანადო რაოდენობა სავაჭრო დაწესებულებებისა, სასტუმრო შენობებისა, ასევე საბაჟოსი. შემოტანილი საქონლებიდან მას დიდძალი ბაჟი შემოსდიოდა. ქალაქის შემოსავლის ერთ-ერთი მთავარი წყარო სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. არ არის გამორიცხული ქალაქში საკუთარი ნაწარმის რეალიზაციაც მომხდარიყო. უცხო ქვეყნებიდან მოვაჭრეთა მოძალება არტანუჯს, კარგი ბაზრის მომასწავებელია, რაც ქვეყნის მაღალ ეკონომიურ დონეზე მიუთითებს. პირველი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც ბიზანტიურ იმპორტულ საქონელს ეცნობოდა, სწორედ არტანუჯი უნდა ყოფილიყო. არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ სწორედ ამ დროს იჭრება აქ ბაგრატიონების მიერ ქართული მონეტები, რომლებიც შორეულ ქვეყნებშიც კი არის დადასტურებული. ეს, ეჭვი არ არის, დაწინაურებული ეკონომიკის მაჩვენებელი იყო.

პორფიროგენეტის ცნობაში ყურადღებას იქცევს კიდევ ის გარემოება, რომ არტანუჯი გამოცხადებულია იბერიის, აფხაზეთის და მესხთა ქვეყნის გასაღებად. ეს ბიზანტიელი ავტორის სწორი შენიშვნაა. არტანუჯის ასეთმა კარგმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ შესაძლებელი გახადა აქ ჯერ ფორპოსტის მოწყობა და შემდეგ კი მისი დაწინაურება ეკონომიურად, როგორც გზასაყარისა. ქართველთა ძლიერი სამეფოს შტოს აქ დამკვიდრებაც ერთგვარად ამ ამბის გამო იყო გაპირობებული. აღარაფერს ვამბობთ იმ სავაჭრო გზების შესახებ, რომლებიც აქ გადიოდა.

არტანუჯი არქეოლოგიურად შეუსწავლელია, ამიტომ ბევრი რამ მის შესახებ არ ვიცით. სამწუხაროდ, იგი დღეს თურქეთის ტერიტორიაზეა და მისი ზერელე დაზვერვაც კი შეუძლებელია. მისი აღწერის მხოლოდ ორიოდე შემთხვევა არის ფიქსირებული გასული საუკუნის ბოლოს. ციხის გარდა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაგებობა არტანუჯში იქნებოდა ეკლესია, რომლის ნანგრევებიც დ. ბაქრაძეს უნახავს იქ. ეკლესია თავისი დიდრონი ქვებით და ზომებით გრანდიოზული ძეგლის შთაბეჭდილებას სტოვებდა.[139] შემორჩენილი ნაგებობებიდან ერთ-ერთი საინტერესო ძეგლია არტანუჯის ხიდი, რომელიც უვაროვას აქვს გამოქვეყნებული „მასალებში“ (სურ. 5). საერთოდ, ხიდები ამ მხარეში ძალიან ბევრი შემორჩენილა, რაც მთავარია, უმეტესობა XIX საუკუნის მიწურულისათვის კვლავ მოქმედებდა. უვაროვას დაკვირვებით, ეს

---

[138] « ქ ც-ბა», I, გვ. 377.

[139] დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

ხიდები, დიდები თუ პატარები, ერთი ტიპისა ყოფილა, ცალმალიანი, კარგად გათლილი კირქვის თეთრი ქანებისაგან· არტანუჯის ხიდი, ასევე შავშეთის და კლარჯეთის სხვა ხიდები, იმდენად მკვიდრად ყოფილან ნაგები, რომ, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მაშინაც კი (XIX საუკუნის ბოლოს) ყველაზე საიმედო ნაგებობებს წარმოადგენდნენ[140].



სურ. 5. არტანუჯის ხიდი (უვაროვას მიხედვით, MAK, III, 1893).

არტანუჯის შესახებ შეიძლება დასასრულს გავიმეოროთ: იგი წარმოიქმნა და დაწინაურდა ადრეფეოდალურ ხანაში, ვახტანგ გორგასალის დროს, როგორც სტრატეგიული პუნქტი. მისი გაძლიერების ძირითადი მიზეზი იყო კარგი გეოგრაფიული მდებარეობა გზაზე და შექმნილი პოლიტიკური ვითარება. გორგასალს დასავლეთის კარზე ძლიერი პოსტი ესაჭიროებოდა. ამ მხრივ, არტანუჯი, წარმოშობის დროით და მიზეზებით ძლიერ ახლოს დგას თბილისთან, უჯარმასთან და ჭერემთან. მიუხედავად იმისა, რომ არტანუჯი შემდგომად, პორფიროგენეტის ცნობით, მნიშვნელოვან სავაჭრო და მდიდარ ქალაქს წარმოადგენდა, იგი პირველ რიგში მაინც სტრატეგიული პუნქტია, ციხე-სიმაგრეა.

[140] MAK, IV, 1894, M., გვ. 36, ტაბ. XIV.

მურვან-ყრუს შემდეგ არტანუჯის ხელმეორე შენება და დაწინაურება აშოტ კურაპალატის დროს კვლავ სტრატეგიული და პოლიტიკური მოტივებით იყო ნაკარნახევი. იგი იქცა სამხრეთ საქართველოს ძლიერ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრად.

## დმანისის განახლება

დმანისიც ახალქალაქობის ხანაში გაძლიერებული ქალაქია. IX—XI საუკუნეები, მისი აღმავლობის დასაწყისი ეტაპი, მკვეთრად გამოსაყოფია ადრეული პერიოდებისაგან, როდესაც იგი, როგორც მნიშვნელოვანი დასახლებული პუნქტი, არსებობდა. წერილობითი მონაცემების მიხედვით დმანისის ისტორიას თვალი გაედევნება IX საუკუნიდან. „მატიანეს" ცნობით IX საუკუნის შუახანებში ბუღა თურქს დარიალით გადმოუყვანია ოსები „სახლი ასი" და დმანისს დაუსახლებია. მასვე, მანამდე, დარუბანდის კარით გამოუყვანია ხაზარნი სახლი სამასი და შამქორში ჩაუსახლებია[141]. საეჭვოა ბუღას ხაზარებისა და ოსების პირაქეთ გადმოსახლებით რომელიმე დასახლებული ადგილის გაძლიერება სდომოდა. უფრო მოსალოდნელია მისი მიზანი ყოფილიყო ძველი ნამოსახლარების განახლება და გამოცოცხლება. არც დმანისის და არც შამქორის მიხედვით არ არის გამორიცხული, რომ არაბთა მძლავრობის წლებში იქ მოსახლეობა გაჩანაგებულიყოს, ანდა აყრილიყოს. ასეა თუ ისე, გვაქვს ყოველგვარი მონაცემები დმანისში IX საუკუნის შუახანებიდან ხელახალი დასახლება და მოსახლეობის გამრავლება ვივარაუდოთ. ეჭვს გარეშეა შექმნილი პირობების გამო იგი სულ მალე ხალხმრავალი გახდებოდა.

მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა. დმანისის აღორძინება ამ დროისათვის სრულიადაც არ გამორიცხავს, რომ აქ ადრე არ იყო მოსახლეობა. პირიქით, ყველაფრით ჩანს, რომ დმანისი უძველესი დროიდან მოკიდებული სამოსახლოდ იყო გამოყენებული. რომ IX საუკუნემდე აქ რაღაც სამოსახლო ყოფილა, ნაქალაქარზე აღმოჩენილი VI საუკუნის მონეტის მიხედვით ჯერ კიდევ დმანისის გამთხრელმა ლ. მუსხელიშვილმა ივარაუდა.[142] არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩნდა ბევრი ისეთი მასალა, რომელიც ზემოთ აღნიშნულის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ყველაფერს რომ დავანებოთ თავი, დმანისს ისეთი მდებარეობა აქვს, რომ ძნელად დასაშვებია ადრევე არ ყოფილიყო შენიშნული: ორ წყალს შუა, მაღალ კლდოვან კონცხზე, ციცაბო კლდეებით დაცული, სასმელ წყალთა სიუხვე, კარგი სახნავ-სათესი ადგილები, საძოვარი, ტყე; ეს ისეთი პირობები იყო, რომელსაც არ შეიძლება ადამიანთა ყურადღება არ დაემსახურებინა.

ჯერ კიდევ 1936—37 წწ. გათხრების დროს ფეოდალური ხანის უამრავ ნივთთა შორის დადასტურებული იყო სქელკედლიანი თიხის ჭურჭლის ნატეხები, რომლებიც დმანისის უძველეს ბინადარ მოსახლეობას უნდა მიეკუთვნოს. ამის მიხედვით შესაძლებელი გახდა, რომ დმანისის დასახლება ენეოლით ადრებრინჯაოს ხანიდან ყოფილიყო სავარაუდებელი.[143] ამ აღმოჩენას მხო-

[141] «ქ ც-ბა», I, გვ. 256—257.

[142] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი (ქალაქის ისტორია და ნაქალაქარის აღწერა), რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, გვ. 447.

[143] Б. А. К у ф т и н, Урартский «Колумбарий» у подошвы Арарата и Куро-аракский энеолит, მეუ ეუმის მოამბე XIII—B, 1944, გვ. 124.

ლოდ დმანისის დასახლების ისტორია არ გადაუწევია წინ. თანდათანობითი დაკვირვებით აშკარა გახდა, რომ ფეოდალური ხანის ნაქალაქარების დიდი უმრავლესობა სწორედ ასეთ ძველ ფენებზე იდო. საქმე ეხება არა მარტო ფეოდალურ ხანაში. IX—XI საუკუნეებში დაწინაურებულ და აღორძინებულ ქალაქებს, არამედ ძველ ანტიკურ ქალაქებსაც. ასეთი ძველი ფენები დადასტურდა არქეოლოგიური გათხრებისა თუ სადაზვერვო მასალების მიხედვით მცხეთაში, ურბნისში, უფლისციხეში, რუსთავში, ხუნანში და სხ. ეს არც უნდა იყოს გასაკვირი; ადამიანი უძველესი დროიდან მოყოლებული დასახლებისათვის არჩევდა შესაფერის ადგილს, რომელიც გაუადვილებდა მას ცხოვრების პირობებს.

დმანისზე დაკვირვებით ძნელი არ არის მიხვედრა, რომ მისი ერთი ნაწილი განსაკუთრებით ატარებს სიძველის იერს. იგი შემდგომად, როგორც უკეთესად დაცული ადგილი და პირველსაცხოვრისი, იქცა ქალაქის დედა-ციხედ. აქაც მოსალოდნელია ისეთი სურათი იყო, როგორც ურბნისში, სადაც ხიზანაანთ გორა ურბნელების პირველსაცხოვრისი, ადრეფეოდალურ ხანაში დედა-ციხის მოვალეობას ასრულებდა.

დმანისის ციხე. საკმაოდ ძლიერი საფორტიფიკაციო ნაგებობა, კარგ ადგილზეა გაშენებული. მიუხედავად ამისა, ხელოვნურადაც მის მოსაწყობად ბევრი უზრუნიათ. შიდა ციხეს სამხრეთის მხრიდან შემოუყვება მაღალი, თავწავაკებული ტერასა, რომელიც უშუალოდ ციხის კონცხისაგან თხრილით არის გამოყოფილი. უფრო ქვევით შედარებით დიდი, მეორე ტერასაა, ასევე თხრილით გამოყოფილი. ჩანს, დედაციხისათვის სამხრეთის მხრიდან თხრილით გამოყოფილი ორი ტერასა შეუქმნიათ, რათა ციხე უფრო ძნელად მისადგომი გაეხადათ. რომ ტერასები და თხრილები ხელოვნურია, ჩანს იქიდან, რომ ყელის გამოყოფისას — გადაუჭრიათ ქვის მასივიც, რომელსაც მიწის საფარველი ჰქონია (ტაბ. VI). ეს სამოსახლო ბორცვის გამაგრების ცნობილი ხერხი იყო, როდესაც შემაღლებულ ადგილს მთლიანად შემოუთხრიდნენ ირგვლივ და მას მომიჯნავე ადგილიდან თხრილით გამოჰყოფდნენ. დმანისის ციხის ქვედა ტერასის თხრილი, გარდა იმისა, რომ თავდაცვისათვის იყო საჭირო, რითაც გორა გამოცალკევებულია გარემოსაგან, იგი ამავე დროს გზის მოვალეობასაც ასრულებდა. მდინარე მაშავერზე ჩასასვლელად აქ კლდეკარია გაჭრილი. ამავე ადგილას მდინარეზე ძველი ნახიდურიცაა შემორჩენილი, რომელზედაც გადიოდა გზა სომხეთისაკენ მიმავალი მთავარი მაგისტრალისაკენ.[144] (ტაბ.VII—2).

მსგავსად ახალქალაქისა, დმანისიც ხერთვისისაა. აქ ქალაქის დამცველი ციხე უშუალოდ წყალთა შეერთების კონცხზე კი არ არის გაშენებული, არამედ სამკუთხედის ფუძეზე. მდინარეთა შეერთების ადგილი, ბუნებრივად გამაგრებულია, დაცვა უპირატესად ყელს სჭირდება. ამან წარმოშვა სწორედ აუცილებლობა ხერთვისების ასეთნაირად გამაგრებისა (ახალქალაქი, სამშვილდე). დმანისი, მიუხედავად მისი ბუნებრივი თავდაცვისუნარიანობისა, ხელოვნურადაც იყო გამაგრებული; მდინარისპირი მაღალი ქარაფოვანი, კლდოვანი ნაპირები დამცველი კედლებითაც იყო გამტკიცებული.

დმანისის ნაქალაქარზე ძველი ფენები მხოლოდ ადრებრინჯაოს ხანით არ არის წარმოდგენილი. აქ საკმაო კერამიკული ნაწარმია დადასტურებული,

---

144 ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, გვ. 328.

რომელიც ძვ. წ. I ათასწლეულს განეკუთვნება. დმანისის ნაქალაქარის სტრატიგრაფიისათვის განსაკუთრებით ბევრი მნიშვნელოვანი მასალა მოგვცა 1960 წლის გათხრებმა, I უბანზე. იგი ნაქალაქარის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. აქ კულტურულ ფენათა სიმძლავრე 2,5 მეტრია. სულ რამდენიმე ფენაა გამოსაყოფი. ზედა ფენა, რომლის სიმძლავრეც 0,8 მ-მდე აღწევს, ნაცარნახშირის თხელი ზოლით არის გამოყოფილი. ფენაში მდიდარი კერამიკული ნაწარმია წარმოდგენილი, უმეტესად მოჭიქული კერამიკა. ეხვდებით ასევე XII—XIII საუკუნეების სპილენძის მონეტებსაც. ზევიდან მეორე ფენაც, რომელიც ასევე ნაცარ-ნახშირის ზოლით არის გამოყოფილი, კვლავ მოჭიქული ნაწარმით გამოირჩევა. მესამე ფენა იატაკის თხელი ნაცროვანი ფენით არის გამოცალკევებული, სადაც რამდენიმე თავისებური აღნაგობის „თონეებია" აღმოჩენილი. „თონეებს" ორმაგი კედლები აქვთ, რაც ალბათ მეტი სიმხურვალის შესანახად იქნებოდა გამიზნული. ირგვლივ ბლომად ჩანდა დამწვარი მიწა ე. წ. თაგვმარილა და კერამიკული საწარმოსათვის დამახასიათებელი ნიშნები: თიხის სოლები, სამფეხები, ნაღვენთი ჭიქურები. ყველაფერი ეს მიუთითებს, რომ შესაძლოა ამ ადგილზე თიხის ჭურჭლის დამამზადებელი სახელოსნოები იყო განლაგებული. სულ ქვედა კულტურული ფენა უშუალოდ ყამირ მიწაზე იდო. მიწის ზედაპირიდან დაცილებული იყო 2,3—2,5 მეტრით. ფენაში დადასტურებული იყო შავპრიალა კერამიკული ნახეტები, რომელთა ზუსტი ქრონოლოგიური განსაზღვრა შეუძლებელია, მიახლოვებით კი, ზედაპირის გულმოდგინე გაპრიალებით შეიძლება მსგავსება მოეძებნოს ძვ. წ. I ათასწლეულის თიხის ნაწარმთან.

ამ ბოლო აღმოჩენის შემდეგ დმანისის ისტორიაში კიდევ ახალი ფურცელი გამოჩნდა, რაც მთავარია, ის ეხება ჩვენში ქალაქების წარმოშობის წინა საფეხურს, როცა საქართველოს ტერიტორიაზე უამრავი ძლიერი სამოსახლოები არსებობდა. ბუნებრივია, ამის გამო გაგვიჩნდეს კითხვა დმანისის ქალაქობის შესახებაც ანტიკურ ხანაში. მაგრამ პასუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელი იქნება, რადგან საამისო არც წერილობითი და არც არქეოლოგიური მონაცემები არა გვაქვს. ეჭვები კი, რა თქმა უნდა, შესაძლებელია გაგვიჩნდეს. დმანისი, როგორც სტრატეგიული პუნქტი, პირველხარისხოვანი ძეგლია, მისი ეკონომიური დონეც დაბალი არ უნდა ყოფილიყო. თუ ვახუშტის ცნობას ვირწმუნებთ, „დმანისამდე, მდინარის იმიერ და ამიერ, მთასა შინა დაბნებიანი და, ვითარცა ტაშირისა დავსწერეთ, ნაყოფიერი და პირუტყვითაცა ეგრეთი... დბანისს უდის ჩრდილოთ მაშავერი, სამხრით ფინეზაური, და ეწოდა სახელი ესე დაბნების გამო: „დაბანი ისი".[145]

ადრეფეოდალურ ხანაში, VII—VIII ს-მდე მაინც, დმანისი მოსალოდნელია ხალხმრავალი და მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. ამის ერთ-ერთი საუკეთესო დადასტურებაა „სამეკლესიანი ბაზილიკა", რომლის აგებასაც ფორმების მიხედვით გ. ჩუბინაშვილი VII საუკუნეში გულისხმობს.[146] სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ესეც კი კმაროდა, რომ იგი მნიშვნელოვან პუნქტად მიგვეჩნია ადრეფეოდალური ხანისათვის.

დმანისის აღორძინება, როგორც აღნიშნული გვქონდა, IX საუკუნიდან იწყება. იგი ახალქალაქია, რომელიც ახალმა სოციალურ-ეკონომიურმა ყოფამ წარმოშვა და დააწინაურა. არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით

---

[145] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 39.

[146] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, ტ., 1936, გვ. 192.

ლ. მუსხელიშვილის ვარაუდი, რომ საქალაქო ცხოვრება აქ X საუკუნიდან უნდა იყოს მოსალოდნელი, ალბათ ეჭვებს არ უნდა იწვევდეს.[147] X და XI საუკუნეები დმანისის აღმავლობის წლებია. XII—XIII სს. ქალაქი საქალაქო მეურნეობის განვითარების მწვერვალს აღწევს. განვითარებული ფეოდალური ხანის დმანისი ინტენსიური ვაჭრობის სფეროშია მოქცეული. როგორც იაკუთი გადმოგვცემს, დმანისიდან თურმე აბრეშუმიც გაჰქონდათ.[148]

დმანისის საქალაქო ცხოვრების განვითარების ეტაპები შეიძლება შესწავლილი იყოს არქეოლოგიური მასლების მიხედვით. IX საუკუნის შუახანებიდან, როცა მისი გამოცოცხლება იწყება, არც არის მოსალოდნელი ნივთიერი მონაცემების მრავალფეროვნება. მატერიალური კულტურის დიდი სიჭარბე X საუკუნიდან არის მოსალოდნელი, ვიდრე XIII—XIV საუკუნეებამდე.

ნუმიზმატიკური მონაცემები ზემოთ აღნიშნულის სამტკიცებლად საუკეთესო საბუთს იძლევა. 1936—1937 წლების კამპანიების დროს შესწავლილია 228 მონეტა. აქედან უძველესი მონეტებია ბიზანტიური: VI, VII და IX საუკუნეებისა თითო ცალი, X საუკუნისა სამი, X—XI საუკუნისა 1 ცალი, XI საუკუნის 7 მონეტა. XII საუკუნისაა: ერთი მონეტა ქართული, 2 უცხოური (ილდიგიზიდების) და 3 ცალი, აბუ-ბაქრისა XII—XIII საუკუნეებისა. მკვეთრი შემობრუნებაა XIII საუკუნეში: ქართულია 122 მონეტა, უცხოური კი 35 ცალი. ეს მეტად საგულისხმო ფაქტია. რაც მთავარია, დმანისის საქალაქო ცხოვრების და მისი პოლიტიკური მნიშვნელობის ზრდა საჭიროდ აყენებს ქალაქში ზარაფხანის დაარსებას, რაც კარგად დასტურდება დმანისის გათხრებისას აღმოჩენილი, აქვე მოჭრილი მონეტებით, რომლებზედაც ფულის მოჭრის ადგილია აღნიშნული — „დმანისი“ (دمانيس).[149]

## ძველი ქალაქების განახლება

### რუსთავის აღმავლობა

ახალქალაქობის ჟამს, როგორც აღნიშნული იყო, ბევრი ქართული ქალაქი წარმოიშვა. მიზეზები მათი გაჩენისა თავის ადგილზე მითითებული იყო. ქართული ფეოდალური ქალაქის ფორმირების ხანაში ადგილი ჰქონდა არა მარტო ახალი პუნქტების გაჩენას, არამედ რიგ შემთხვევებში ძველების განახლებასაც. ამ ძველი ცენტრებიდან ზოგი წერილობითი წყაროებით ანტიკურ ხანაში მნიშვნელოვან ქალაქს წარმოადგენდა (რუსთავი, ხუნანი, სამშვილდე), ზოგი კი უბრალო დასახლება იყო.

როგორც ადრე იყო ნათქვამი, ძველი ქალაქებიდან, რომელთა არსებობაც ჩვენ წერილობითი წყაროებიდან ვიცით, „ახალქალაქობის“ დროს განახლდა მხოლოდ რამდენიმე, დანარჩენები კი დაკნინებული და დამცრობილნი, უბრალო დასახლებებსღა წარმოადგენდნენ. განახლებული ქალაქების წამოწევა და გაძლიერება ხდებოდა მათი ახალი ეკონომიური ყოფისა და სოციალური გარემოს შეთვისებით და, რაც მთავარია, ისინი მოექცნენ ახალი ეკონომიური ურთიერთობის ორბიტაში, მოხვდნენ იმ ზონაში, სადაც დაწინაურებული ცენტრების და კულტურული სამყაროს გზები იყრიდა თავს. ახალმა სამიმო-

---

[147] ლ. მუსხელიშვილი, დმანისი..., გვ. 447.

[148] იაკუთი, معجم البلدان II, გვ. 585.

[149] გ. წერეთელი, სემიტური ენები და მათი მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის, თსუ სამეცნიერო სესია, 1946.

სვლო ტრასამ ბიზანტიიდან ირანისაკენ, საქართველოზე, მის სამხრეთ პროვინციებზე გავლით (ხოფჰა-არტანუჯი-არტაანი-ახალქალაქი-ფარავნა-სამშვილდე-ლომთაგორა-თბილისი) ახალი ქალაქების წრე შეჰკრა. ადრეც გვქონდა აღნიშნული და კვლავ უნდა შეინიშნოს, რომ დასავლეთის და აღმოსავლეთის კულტურულ წრეთა შემაერთებელი ხაზი, რომელიც მტკვრის ხეობაზე იდო, სამხრეთით იწევს და ამიტომ „ახალქალაქობის" ჟამს განახლდნენ ის ქალაქები, რომლებიც ახალ მაგისტრალს დაუკავშირდნენ. ძველი გზის ქალაქები კი ვეღარ გამოცოცხლდნენ და ჩამოშორდნენ ასპარეზს.

თუ რომელიმე ქართულ ქალაქზე შეიძლება ლაპარაკი „ახალქალაქობის" დროს განახლებაზე და გამოცოცხლებაზე, ეს, უპირველესად ყოვლისა, რუსთავზე ითქმის. რუსთავი ისეთი ქალაქი არა ყოფილა, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაში ამოწყვეტის კარამდე მისულიყოს, მიუხედავად იმისა, რომ ის სამხრეთიდან მომავალი მოთარეშეების გზაზე იდო და განადგურებაც ბევრი უნახავს. სიცოცხლე აქ არ შეწყვეტილა, თუმცა სხვა ქალაქების მსგავსად, ადრეფეოდალურ ხანაში (VI—VIIIსს.) მის საქალაქო მეურნეობასაც მაინცდამაინც დიდი წარმატებები არა ჰქონია.

რუსთავმა თავის თავზე გადაიტანა სამხრეთიდან მოწოლილი ტალღა. რომელმაც წალეკა და კარგა ხნით გააუდაბურა ძველი კულტურული კერები. რუსთავი ისეთ ადგილზე იყო გაშენებული, რომ ქართლის გულისაკენ მომავალი მას გვერდს ვერ აუქცევდა. იგი გზაზე იდო და როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, დამპყრობელი პირველყოვლისა მას არბევდა. თუ გზამ დიდი როლი შეასრულა რუსთავის, როგორც ქალაქის, წარმოშობა-განვითარებაში, მას არანაკლები წვლილი მიუძღვის ქალაქის რამდენიმეგზის დაქცევაშიც. რუსთავის მაგალითით ნათლად ჩანს გზის ორგვარი ხასიათი: მშვიდობიანობისას ყველა მას ეტანება, ვაჭრების და მოგზაურების სიახლოვეს ცდილობს; ომიანობისას კი გზას გაურბიან, დამპყრობელიც იმავ გზით დადის, რა გზითაც ვაჭარი სარგებლობდა.

გზასთან სიახლოვით გამოწვეული მოსახლეობის მოძრაობა რუსთავს კარგად ეტყობა. VII—VIII საუკუნეებამდე ქალაქი მტკვრის ორივე ნაპირზე იყო გაშენებული, რაც კარგად დასტურდება არქეოლოგიური მონაცემებით. გარეგანი საფრთხის მოძალებასთან დაკავშირებით. მოსახლეობა მდინარის მარჯვენა ნაპირიდან იყრება და გადადის მარცხენაზე, რომელიც უფრო უკეთ იყო გამაგრებული. სამხრეთიდან მომავალი გზა სწორედ მტკვრის მარჯვენა მხარეს იდო.[150]

სხვადასხვა, არაპირდაპირი მონაცემებით ირკვევა, რომ რუსთავს ერთ-ერთ პირველთაგანს უნდა განეცადა არაბების პირველივე შემოსევები. მანვე იწვნია, როგორც ჩანს, ბუღა თურქის სიმკაცრის სუსხიც.[151]

---

[150] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 161.

[151] თუ ტაბარის მონაცემებს დაეჯერება, ბუღა თურქი თბილისს მოადგა მდინარის მარცხენა მხრიდან, ისანში დაბანაკდა. აქედან გაგზავნა ზირაქი, რომელმაც გადაკვეთა მტკვარი «მეიდანთან». ბუღა თბილისში მოვიდა ბარდავის გზით, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირს მოჰყვებოდა და ასევე შემოდიოდა თბილისშიაც. თბილის-რუსთავის მონაკვეთზე ხიდი მხოლოდ რუსთავთან არის საგულისხმებელი, რომელიც, ალბათ გამოიყენა ბუღამაც. მტკვრის გადაცურვას ის მოერიდებოდა, «მტკვარი დიდი მდინარეაო» — ტაბარი წერდა ე. ი. ბუღას სურდა თბილისს მოსდგომოდა მტკვრის მარცხენა მხრით. ამიტომ გადადის რუსთავთან ხიდზე, დაიმორჩილებს რუსთავს, ზურგის უსაფრთხოებისათვის და აქედან კი ამოდის თბილისს, დღევანდელი ავლაბრის ტერიტორიაზე.

IX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ბუღა თურქის ლაშქრობის შემდეგ ქალაქს გამოცოცხლება ეტყობა: მოსახლეობა კვლავ მომრავლდა და მოეშენა.

რუსთავის არქეოლოგიური გათხრებისას ეს ფენა უკვე კარგად ჩანს ნაქალაქარზე. შუასაუკუნეებით დათარიღებულ ნაგებობათა შორის ჩანს ფენა, რომელიც დანგრეული უნდა იყოს XI საუკუნის 60-იან წლებში. საერთოდ, რუსთავის ნაქალაქარის 1949—51 წლების გათხრების შედეგად გამოვლენილ მრავალფეროვან ნაგებობებში, რომელთა ერთიმეორეზე მდებარე ხუთიოდე შრე იყო გამოშვლებული, სტრატიგრაფიულად, ასევე არქეოლოგიური მასალების მიხედვით შესაძლებელი გახდა გამოყოფილიყო ორი ქრონოლოგიური ფენა: ზედა, რომელიც საერთოდ ეთანხმება ქალაქის საბოლოო დანგრევას XIII საუკუნის 60-იან წლებში (1265 წ.)[152] და ქვედა, რომელსაც ვუკავშირებთ ალფ-არსლანის საქართველოში ლაშქრობას.[153] ქვედა ფენის ნაგებობები შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი. ხსენებული ფენის ქვეშ აღმოჩნდა ზოგი ნივთი (მშვილდსაკინძები, განივძელაკიანი შესაკრავი და სხვ.), რომლებიც აშკარად მიუთითებენ ცხოვრების უწყვეტობაზე ადრეფეოდალურ ხანაშიაც. რომ ხსენებული ნაგებობები მტრის ხელითაა დანგრეული, კარგად ჩანს ნაცარ-ნახშირის ფენებით, რომელიც მთელ ნაქალაქარზე იყო გავრცელებული. რუსთავს, საბოლოო დანგრევამდე (1265 წ.) ასეთი შემთხვევები არ ახსოვს; გადამწვარ-გადაბუგული სახლები, ჩალეწილი მარნები, ნაცრისა და ნახანძრალის ფენები დამპყრობთა სისასტიკეზე მიუთითებენ. სტრატიგრაფიულად, ასევე მასალის მიხედვით, როგორც ითქვა, შესაძლებელი გახდა ფენა XI საუკუნით დათარიღებულიყო. აღორძინების გზაზე მდგარ ქალაქს ამ დროს კიდევ ერთი გარეგანი ძალა მოევლინა, რომელმაც დროებით შეაჩერა მისი წინსვლა.

ალფ-არსლანის ლაშქრობა მურვან ყრუსა და ბუღა თურქის შემდეგ ყველაზე სასტიკი იყო და ულმობელი. ქვეყანა მოღონიერებისა და გამოცოცხლების გზაზე იდგა და ეს დარტყმა კარგა ხნით აჩერებდა აღმავლობას. ქართველებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მტერს, მაგრამ ხუთასიათასიან ლაშქარს ვერ გაუძლეს. ტრამალების ველური ტომები კალიასავით მრავლდებოდნენ და რიცხობრივი უპირატესობით ყოველთვის გამარჯვების სასწორი მათ მხარეზე იხრებოდა ხოლმე. „მატიანე ქართლისაჲ“ გადმოგვცემს — „ქართლს შინა პური და ღვინო ფრიადი“ იყოო, როცა სულთანი შემოესია. იმაზე უკეთესი დახასიათება ამ საშინელი ტრაგედიისა, რომელსაც მატიანეში ვხვდებით, შეუძლებელია: „და მოისრა ურიცხვი სული ქრისტიანეთა და ტყუე იქმნა; და იქმნა საძაგელ ქუეყანა ქართლისა, სახილველად კაცთა: მოოხრდეს ყოველნი ეკლესიანი და სიმრავლითა მძორისათა არღარა დაედგომოდეს ქუეყანასა თუალნი; ... ზეცით ცა წამებდა, და სისხლის მწვიმელი ღრუბელი აღმოსავლეთით მოეფინა ქართლსა ზედა; და იქმნა ღამე უკუნი, ვითარცა ნათელი დღისა. და იყო ხილვა მისი საშინელი და შესაძრწუნებელი, და არაარე სისხლის წვიმა ეხილვა კაცთა“.[154]

ასეთი რისხვის შემდეგ ძნელი იყო წელის წამოწევა და ფეხზე წამოდგომა. აღმავლობის გზაზე მდგარმა ქვეყანამ კი შესძლო თავსდამტყდარი უბედურების გადატანა და სულ მალევე იწყო მოშენება. ყველაზე მეტად თბილისმა

---

[152] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 86.

[153] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 75.

[154] «ქ ც-ბაჲ», I, გვ. 310.

და რუსთავმა განიცადეს სელჩუკების აოხრება, მაგრამ ეს იყო და ეს, ამის შემდეგ თითქმის ორი საუკუნე მათ მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდი ჰქონდათ და სწორედ მაშინ მიაღწიეს განვითარების ზენიტსაც.

რუსთავი, ისევე როგორც ხუნანი, წერილობითი ცნობებით ანტიკური ქალაქი იყო. როგორც „ქალაქების“ პირველ წიგნში გვქონდა განხილული, ორივენი მტკვრის ქვედა წელის ძლიერი პუნქტები, ქვეყნის ეკონომიურსა თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში მოწინავე როლს ასრულებენ. მათი დაწინაურებისათვის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი იყო მტკვრის დიდ გზასთან სიახლოვე. ახალქალაქობის ჟამს, ადრეც იყო აღნიშნული, მტკვრის ქვედა წელი, თბილისის ქვევით, ახალი გზის ორბიტაში ჰყვება, ამიტომ ამ მონაკვეთის ანტიკური ქალაქები კვლავ გამოცოცხლდნენ.

რუსთავი მარტო თბილის-ბარდავის გზას კი არ უკავშირდებოდა, არამედ მასზე იდო მეორე მაგისტრალიც, რომელიც „ტრაპიზონის გზის“ ერთგვარ გაგრძელებას წარმოადგენდა. სამშვილდე-ლომთაგორის შემდეგ რუსთავი გზაჯვარედინია, საიდანაც გზა გრძელდება აღმოსავლეთისაკენ — კახეთ-ჰერეთის პროვინციებისაკენ. ამ გზის კონტროლს ექვემდებარებოდა მნიშვნელოვანი ეკონომიური რაიონები, რაზედაც, რა თქმა უნდა, მიუთითებს ამ ადგილებში აღმოჩენილი ბიზანტიური მონეტების განძები თუ ცალკეული აღმოჩენები.[155]

რუსთავი, თამამად შეიძლება ითქვას, სრულიად თავისებური და გამორჩეული ქალაქია საქართველოს სხვა ქალაქთა შორის. ეს თავისებურება აშკარად იგრძნობა რუსთავში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალების მიხედვით. განსხვავებით თბილისისაგან ან დმანისისაგან, რომელიც „მუსლიმანურ-ქრისტიანული ქალაქია“, „ნარევი, მჭიდრო მოსახლეობით“ ახლო-აღმოსავლური იერისა,[156] რუსთავი სუფთა ქართული ქალაქია, ქართულივე მოსახლეობით. ამის დამადასტურებელი საბუთიანობა კარგად ჩნდება ნივთიერი ძეგლებით, ქართული წარწერების თუ ადგილობრივი ნაწარმის სახით. შეიძლება ეს ერთგვარად ხსნიდეს ფაქტს, რომ რუსთავის შესახებ აღმოსავლურ წყაროებში არაფერია ნათქვამი.

შუასაუკუნეების რუსთავის შესახებ გამოქვეყნებული გვაქვს წიგნი, სადაც შეძლებისდაგვარად ასახულია მისი ისტორიის ძირითადი საფეხურები, ამდენად მის შესახებ აქ აღარაფერს ვიტყვით. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მიზნად დავისახეთ გაკვრით შეგვენიშნა, რომ მდინარე მტკვრის ქვედა წელის ქალაქები და მათ შორის რუსთავიც, რომლებიც ანტიკურ ხანაში წარმოშობილ ქალაქთა ჯგუფში შედიან, „ახალქალაქობის“ ჟამს, IX—XI სს., განსხვავებით მტკვრის შუა და ზემო წელის ქალაქებისა, კვლავ განახლდნენ და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს საქალაქო ცხოვრებაში.

## ს ა მ შ ვ ი ლ დ ე

მტკვრის ქვედა წელის ქალაქებთან ერთად ახალქალაქობის პერიოდში განახლდა და აღმავლობას განიცდის სამშვილდეც. სამშვილდისათვის განახ-

---

[155] თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966, რუკა.

[156] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი..., გვ. 447.

ლების მომენტი შეიძლება არც კი იყოს ისეთი ხასიათისა, როგორც სხვა შემთხვევებში, რადგან გარკვეული გარემოების გამო აქ ცხოვრება არც ადრეფეოდალურ ხანაში შეწყვეტილა. მიუხედავად ამისა IX—X საუკუნეები როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურსა თუ კულტურულ ცხოვრებაში სამშვილდისათვის მეტად მნიშვნელოვანია. სამშვილდე, დიდან მისი წარმოშობისა, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არის მოქცეული, რამაც განსაზღვრა ქალაქის განვითარების გზები და მისი იურიდიული სტატუსიც. ჩვენის აზრით, სამშვილდე სამეფო ქალაქს წარმოადგენდა, სტრატეგიული ადგილი იყო, თუმცა იგი როგორც უძველესი სამოსახლო ადგილი და შემდეგ დაწინაურებული საქალაქო ერთეული, დაწინაურდა მდიდარ სამეურნეო ბაზაზე. სამშვილდის ადგილმდებარეობა შესანიშნავია; ორ წყალს შუა, მაღალ კლდოვან მასივზეა გაშენებული. ჩრდილოეთიდან ჩამოუდის ჰიჰვა, სამხრეთიდან ხრამი (ქცია). იგი ტიპიური ხერთვისია, ძლიერ მსგავსი დმანისისა და ახალქალაქისა. აქ მოსახლეობა ადრებრინჯაოს ხანიდან გაჩენილა, რაზედაც მიუთითებს ამ ხანის კერამიკული ნაწარმი, რომელიც დადასტურებულია თვით ნაქალაქარის ტერიტორიაზე, სულ ქვედა კულტურულ ფენაში.[157] საყურადღებოა, რომ ზოგი კერამიკული ნატეხი შემკულია ორნამენტებით და ზოგი კი მოხატულია შავი საღებავით.

როგორც ჩანს, უკვე ამ დროს, თუ არა უფრო ადრეც,[158] არსებობს პირობები სამშვილდის მიდამოების დასასახლებლად. მისი ძირითადი სამეურნეო ზონა განლაგებულია ორივე მდინარის ნაპირებზე და განსაკუთრებით კი ნაქალაქარის დასავლეთით, ირაგის ხეობაში, იქ, სადაც იქმნება ნაყოფიერი ველი ორი მდინარის შესაყარზე. ვახუშტის მიხედვით, ირაგის „ხეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირ-ფრინველიანი, მოსავლიანი...“[159] მდინარე ირაგის მნიშვნელობა, როგორც ჩანს, სამშვილდისათვის განსაკუთრებულია. ამ მდინარის წყლით ნაყოფიერდებოდა ქალაქის სამეურნეო რაიონი და თვით ქალაქიც. დღესაც არსებული არხი, რომელიც სამშვილდეს რწყავს, სწორედ ირაგიდან მოედინება. ძველი სამშვილდის დასახლებისათვის ძირითადი პირობა, როგორც ირკვევა, მისი კარგი მდებარეობაა, არა მარტო სტრატეგიული თვალსაზრისით (ხერთვისი), არამედ მეურნეობის მხრივაც.

ლეონტი მროველის მონაცემების მიხედვით სამშვილდე, იგივე „ციხე ორბისა“ ან „დედაციხე“ ქართლოსს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ქართლოსი, რომელიც პირველად ეშენება არაგვისა და მტკვრის შეერთებაზე, არმაზის მთაზე, რომელსაც ადრე ქართლი რქმევია, სამშვილდით იწყებს მშენებლობას, შემდეგ კი ხუნანი აუგია.[160] რომ ეს ორივე პუნქტი ძლიერ სიმაგრეებს წარმოადგენენ, ჩანს, იქიდან, რომ ხაზარებს, რომლებსაც შეუმუსრავთ „ქალაქნი არარატისანი და მასისისანი“, ვერ აუღიათ ვერც სამშვილდე და

---

[157] სამშვილდის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები დაიწყო საქართველოს სახ. მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1959 წ. [illegible] ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი მასალით.

[158] არ არის გამორიცხული აქ ადრებრინჯაოს ხანაზე უძველესი სამოსახლოების არსებობაც. ამაზე მიუთითებს ობსიდიანის უამრავი დამუშავებული იარაღების აღმოჩენა თვით ნაქალაქარის ტერიტორიაზე.

[159] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 44.

[160] «ქ ც-ბა», I, გვ. 8.

ვერც ხუნანი და ასევე თუხარისი.[161] წინაელინისტური ხანის სამშვილდის შესახებ ლეონტი მროველი ისე დაბეჯითებით გადმოგვცემს, გარკვეულ ისტორიულ ამბებთან დაკავშირებით, რომ მკითხველს უკვე აღარ უკვირს მისი ალექსანდრე მაკედონელის დროის ქართლის ქალაქებში დასახელება. მიუხედავად ამისა, ზოგი მკვლევარი ეჭვის ქვეშ აყენებს ხსენებულ ცნობას და წყაროში აღნიშნული ქალაქებიდან ზოგიერთებს არ სცნობს. ანტიკური ხანის ქალაქად (რუსთავი, სამშვილდე),[162] აქედან გამომდინარე თვით ლეონტი მროველის ცნობების სანდოობაც ძველი ქართული ქალაქების შესახებ ერთგვარად საეჭვოდ არის მიჩნეული[163]. 1968 წლის ზაფხულში სამშვილდის ნაქალაქარზე ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ ლეონტი მროველის მონაცემები სამშვილდის შესახებ სანდო უნდა იყოს. ნაქალაქარზე დადასტურებულია შავ და ლეგაპრიალა ჭურჭლების ნატეხები, რომლებიც ძვ. წ. IV—III სს. შეიძლება დათარიღდეს ე. ი. უკვე ეჭვმიუტანლად უნდა ვაღიაროთ სამშვილდეში, ქალაქის ტერიტორიაზე, ლეონტი მროველის ცნობის შესაბამისად, ანტიკური ფენის არსებობა, რაც ერთხელ კიდევ გვიდასტურებს ძველ ქართულ წყაროთა მონაცემების სანდოობას, და გვიკარნახებს სიფრთხილეს მათი შეფასების დროს.

სამშვილდე ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი აქტიური მონაწილეა და ამიტომ არის ალბათ, რომ მის შესახებ წერილობით წყაროებში არაერთი ძვირფასი ცნობაა შემონახული, როგორც ქართულში, ისე უცხოში (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, მატიანე ქართლისაჲ, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ვახუშტი, დრასხანაკერტელი, ასოღიკი და სხვ.). როგორც ზემოთ ითქვა, სამშვილდე, ლეონტი მროველის მიხედვით ერთ-ერთი უძველესი ქართული ქალაქია. თუ წყაროს მონაცემებს შევუჯერებთ არქეოლოგიურ მონაცემებს, იგი მართლაც ძვ. წ. IV—III საუკუნეებში შესაძლებელია ქალაქი ყოფილიყოს. III საუკუნეში, ფარნავაზის დროს, ქვეყნის ადმინისტრაციულად მოწყობისას, დაარსდა სამშვილდის საერისთავო, რომლის საზღვრებიც განსაზღვრული იყო „სკვირეთის მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი".[164] მეორე მეფის საურმაგის დროს ცნობილია სამშვილდის საერისთავოს პატრონიც; საურმაგს ჰყავდა ორი ასული, ძე კი არა ჰყავდა. მოიყვანა მან ცოლის ნათესავი სახელად მირვან და იშვილა. „მისცა ასული თვისი ცოლად, ქალაქი გაჩიანი და საერისთაო სამშვილდისა".[165] საურმაგის შემდეგ მეფედ ხდება მირვანი — მფლობელი სამშვილდისა. აქედან მოყოლებული შესაძლებელია სამშვილდე სამეფო ქალაქად ვიგულისხმოთ. ლეონტი მროველის მიხედვით ძვ. წ. I საუკუნეში იგი კვლავ სამეფო ოჯახის საკუთრებაა. მირვანის მიერ ბარტომ ქართველთა მეფის მოკვლის შემდეგ, როგორც წყაროში ვკითხულობთ, მირვანმა „მძლავრებით გამოიყვანა ცოლი ბარტომისი სამშვილდით და შეირთო ცოლად".[166] ამის შემდგომ, ვიდრე ახ. წ. III საუკუნემდე ცნობები ქალაქის შესახებ არ არის.

---

161 «ქ ც-ბა», I, გვ. 11—12.

162 დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 59, 101.

163 იქვე, გვ. 19.

164 «ქ ც-ბა», I, გვ. 24.

165 იქვე, გვ. 27.

166 იქვე, გვ. 33.

III საუკუნეში ამაზასპის დროს მოიხსენება „ერისთავი სამშვილდისა".[167] IV საუკუნის დასაწყისში სპარსელები შემოესივნენ ქართლს. მეფე ასფაგური გაიქცა ოსეთს და იქ გარდაიცვალა. დარჩა მხოლოდ ასული, რომელიც სამშვილდეში იზრდებოდა. ქართველებს გადაუწყვეტიათ მეფის ასული მიეთხოვებინათ სპარსთა მეფის შვილისათვის: „მაშინ მოიყვანეს ასული ასფაგურ მეფისა სამშვილდით, რომელსა ერქუა აბეშურა. და შერთო იგი სპარსთა მეფემან ძესა თვისსა, რომელი მუნ თანა ჰყვა შვიდისა წლისა".[168] IV საუკუნის მეორე ნახევარში ბაქარს აუჯანყდნენ სომხები, რომელთაც უნდოდათ ქართლში გაემეფებინათ რევიანი, რომელიც დედით სომეხ მეფეთა შთამომავალი იყო. ბაქარი დაემოყვრა სპარსთა მეფეს, რომელიც მისი ბიძაშვილი იყო და „გაუცვალა ქუეყანა დისიძესა მისსა ფეროზს. რომელსა აქუნდა რანი ბარდავამდის მიცემულად მირიანისგან, და მისცა მის წილ სამშვილდითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავაღმდე აბოცისა"[169]. ამ ცნობის მიხედვით მაინცდამაინც არა ჩანს, თვით სამშვილდეც დაუთმო თუ არა ბაქარმა. უფრო სავარაუდოა, რომ სამშვილდე ქართველებს დარჩენოდეთ, ამას გვავარაუდებინებს, ჯერ ერთი, ტექსტის „სამშვილდითგან მიღმართ" და მეორეც ის, რომ სულ მალევე თრდატის დროს მოიხსენიება ერისთავი სამშვილდისა, „რომელსა ერქუა სახელი ფარსმან".[170]

სამშვილდე სამეფო კართან დაკავშირებული ჩანს V საუკუნის დასაწყისშიც არჩილ მეფის (ვახტანგ გორგასალის პაპის) დროსაც. არჩილ მეფემ მისცა „სამშვილდე ძესა თვისსა საერისთოთა მისითა, და მუნ დასხდეს მირდატ და საგდუხტ".[171] საგდუხტ დედოფალს მიუღია ქრისტიანობა და მასვე მიეწერება სამშვილდის სიონის აშენებაც.[172] ვახტანგ გორგასალის დროს ცნობილია „ადარნასე, ერისთავი სამშვილდისა".[173] ამის შემდეგ VIII საუკუნის მეორე ნახევრამდე სამშვილდის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით. ჯუანშერის ცნობის მიხედვით VIII საუკუნის შუახანებში, არჩილ მეფის დროს მოხსენებულია პიტიახში, „რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს".[174] პიტიახშის საგამგეო ქვეყნის მიხედვით ძნელი არ არის მიხვედრა, რომ ის სამშვილდის საერისთავოს ტერიტორიას მოიცავდა[175]. ამავე დროს სამშვილდის სიონის წარწერის მიხედვით, რომელიც 777 წლით თარიღდება, ვიცით „ნათესავით პიტიახშნი".[176] ამ ორი ცნობის შეჯერებით შეიძლება დავუშვათ, რომ პიტიახშის რეზიდენცია VIII საუკუნის შუაწლებში სამშვილდეა. ამით სრულებითაც არ გვინდა იმის აღნიშვნა, რომ საპიტიახშოს ეს ინსტიტუტი სრულიად იდენტური იყოს ადრე ცნობილი საპიტიახშოსი, რომლის ცენტრიც

---

[167] „ქ ც-ბა", I, გვ. 55.

[168] იქვე. გვ. 64.

[169] „ქ ც-ბა", I, გვ. 130.

[170] იქვე, გვ. 137.

[171] იქვე, გვ. 142.

[172] იქვე.

[173] იქვე, გვ. 185.

[174] იქვე, გვ. 241.

[175] ლეონტი მროველის მიხედვით სამშვილდის საერისთავოს საზღვრებია «სკვირეთის მდინარითგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი». გვ. 24.

[176] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, სამშვილდის სიონის წარწერები და აშენების თარიღი, ენიმკის მოამბე, XIII, 1943, გვ. 97.

ცურტავშია საგულვებელი. ასევე ადვილი მოსალოდნელია პიტიახშის გაგება ამ დროს სხვაგვარი იყოს, ვიდრე ადრე.[177] ეს ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს არ შეადგენს. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ერთის მხრით ჯუანშერის ცნობის პიტიახშზე. რომელიც განაგებდა ძველი სამშვილდის საერისთავოს ტერიტორიას, მეორეს მხრით სამშვილდის სიონის წარწერის ერთ ადგილზე, სადაც „ნათესავით პიტიახშნია" აღნიშნული და აქედან გამომდინარე, ეგების მართლაც სამშვილდე წარმოვიდგინოთ საპიტიახშოს ცენტრად VIII საუკუნის შუახანებში. როგორც ლ. მუსხელიშვილი ვარაუდობდა, სამშვილდეს, აქედან მოყოლებული ვიდრე IX საუკ-ის მეორე ნახევრამდე, როდესაც დაიწყო ბრძოლა აბხაზთა და სომეხ მეფეებს შორის, თავისი მფლობელები არ გამოუცვლია.[178] სამშვილდის დიდებული სიონის მიხედვით იგივე მკვლევარი სამართლიანად შენიშნავდა, რომ „ასეთი დიდი მშენებლობის წარმოება მხოლოდ დიდ მფლობელს და ქვეყნის მმართველს თუ შეეძლოო".[179]

სამშვილდე X საუკუნეში და შემდგომ, 1110 წლამდე, სანამ ქართველებმა საბოლოოდ არ დაიბრუნოს იგი, არაერთი მძაფრი პოლიტიკური შეჯახების ასპარეზი ყოფილა. მართალია, არ არსებობს ამის დამადასტურებელი ცნობა, მაგრამ სავარაუდოა, რომ სამშვილდემ სხვებთან ერთად განიცადა ბუღა თურქის შემოსევის სუსხი 853 წელს. როგორც ცნობილია, ბუღა ბარდავიდან ამოვიდა თბილისს. მან აქ დასაჯა ამირა, დაწვა ქალაქი და მთიულეთს შეესია, ცხავატამდისაც ავიდა.[180] დარუბანდის გზით გადმოიყვანა ხაზარები და დაასახლა შამქორს, დარიალით კი გამოიყვანა „ოვსნი ვითარ სახლი ასი, და დასხნა იგინი დმანისს".[181] ის დარიალით დმანისს ვერ მოვიდოდა. თუ სამშვილდეს არ გაივლიდა, ამდენად მოსალოდნელია, რომ ბუღა თურქი სამშვილდესაც დალაშქრავდა.

X საუკუნის დამლევს სამშვილდე სომეხთა მეფეს დავით გურგენისძეს ჰკუთვნებია და იგი თავის რეზიდენციად უქცევია.[182] ასოღიკის ცნობით მას დმანისიც აუღია.[183]

ალფ-არსლანის შემოსევების დროს ბაგრატ მეფემ შესძლო სამშვილდის დაბრუნება. სულთანმა სთხოვა დამოყვრება ბაგრატს. ბაგრატის დისწული, რომელიც ითხოვა სულთანმა, იყო ამავე დროს ძმისწული სომეხთა მეფის კვირიკესი. კვირიკემ თხოვნაზე უარი შეუთვალა. ბაგრატმა „იბირნა კაცნი სომეხთა მეფისანიცა, და სამშვილდეს შემომავალი სომეხთა მეფე კვირიკე და ძმა მისი სუმბატ შეიპყრეს ქუეშის ჴალასა, და აცნობეს ბაგრატს".[184] ბაგრატი ქვახვრელიდან სწრაფად ჩამოვიდა კლდე-კარში, სთხოვა სამშვილდე. მაგრამ არ მისცეს „რამეთუ ერთი ძმა მათი ადარნასე შესრულ იყო სამშვილდეს. ხოლო მოიყვანეს სამშვილდეს და ამართეს ძელი, და გასუეს სომეხთა მეფე კვირიკე სამ დღე: ითხოვეს მშვიდობა და მისცეს სამშვილდე..."[185]

---

[177] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ილ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

[178] ი ქ ვ ე, გვ. 101.

[179] ი ქ ვ ე.

[180] «ქ ც-ბა», I, გვ. 256.

[181] ი ქ ვ ე, გვ. 256—257.

[182] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 116.

[183] ი ქ ვ ე, გვ. 131.

[184] ი ქ ვ ე, გვ. 307; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 152.

[185] ი ქ ვ ე.

ბაგრატმაო „სამშვილდე ოდენ იურვა სახლად თვისად, და ეგრეთვე მონებდეს სომეხნი".[186] სამშვილდე არაერთხელ იყო დიდგვარიანთა და ქართველ მეფეთა შორის ამტყდარი ქიშპის ასპარეზი. მან იწვნია ასევე თურქთა შემოსევებიც. 1110 წელს ქართველებმა წაართვეს იგი თურქებს; „მაშინ იქმნა სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოსათა. ცნეს რა თურქთა აღება სამშვილდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამით მეოტ იქმნნეს".[187]

განსაკუთრებული აღმავლობა და მშენებლობა სამშვილდეში IX—X საუკუნეებიდან არის სავარაუდებელი. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პოლიტიკური მდგომარეობის გამო ქალაქი ხშირად იცვლიდა მფლობელებს, ის საერთო ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული. სამხრეთის, ან როგორც ადრე აღვნიშნავდით ხოლმე, „არტანუჯის გზის" გამოცოცხლებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ამ გზის გასწვრივ მდებარე პუნქტების და მათ შორის კი სამშვილდის ცხოვრებაზე. ვერანაირად ეს გზა სამშვილდეს ვერ ასცდებოდა. სამშვილდის სტრატეგიული მდებარეობა ამ დროს განსაკუთრებულია და




სურ. 6. სამშვილდის ნაქალაქარი.

ეს კარგად ჩანს მისი თავდაცვითი ნაგებობების მიხედვითაც. „არს ფრიად მაგარი, — შენიშნავს ვახუშტი, — სამხრით უდის ქცია, ჩრდილოთ უდის ჭივჭივა; საშორისსა ზედა არს გარდავლებული ხრამით ხრამამდე ზღუდე განიერი და მაღალი. კვალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდავლებული, ეგრეთვე დიდროვანითა ლოდითა".[188] ამ მოკლე აღწერილობით შესანიშნავად ჩანს ქალაქის დაცვის სისტემა. სამშვილდეს ციხის შიგნით შესასვლელად ორმაგი კედელი აქვს გადავლებული საშორისზე, ე. ი. ქცია-ჭივჭივას შორის მოთავსებულ ტერიტორიაზე, ისე, რომ კედლებს შორის რამდენიმე ასეული მეტრია, თანაც პირველი კედელი შედარებით სუსტია, ვიდრე მეორე. ეს ძირითადი

[186] «ქ ც-ბა», I, გვ. 307.

[187] «ქ ც-ბა», I, გვ. 331 — 332.

[188] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 44.

ყოფილა, ბურჯებით გამაგრებული. ქალაქში შესასვლელი პირველი კედელი მეორადი მშენებლობის ნაყოფი უნდა იყოს, შექმნილი ქალაქის ზრდასთან დაკავშირებით. აქ დღესაც შეიმჩნევა შესასვლელი და მთლიანად კედლის მიმართულებაც. ქალაქის ციხე განივად ჰკვეთს ხერთვისს, და იგი პირვანდელი დაცვის სისტემის ძირითადი ნაწილი უნდა იყოს. სამშვილდის დაცვის სისტემა შექმნილია სხვა ხერთვისების მსგავსად. მხედველობაში გვაქვს ახალქალაქი და დმანისი. ციხე განლაგებულია სამკუთხედის ფუძეზე და არა ხერთვისის კონცხზე, სადაც უფრო ძველი მოსახლეობა უნდა მჯდარიყო. ქალაქმშენებლობის ეს მომენტი მიუთითებს, რომ ციხე შექმნილია ახალი სოციალური ძალის, ფეოდალთა კლასის აღმავლობის პერიოდში, ალბათ IX—XI საუკუნეებში, როდესაც ქალაქის სოციალური გაბატონებული ფენა თავს იცავს ციხეში გარეშე მომხდურებისაგან და ასევე გამოყოფილია თვით ქალაქის მცხოვრებთაგან. გარეშე საფრთხისას ასეთი დაცვის სისტემის შემთხვევაში, საპატრონო მხარე ციხის ზურგს უკან მდებარეობდა. ციხისა და საერთოდ თავდასაცავი სისტემის მოწყობის მხრივ სამივე ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქი: სამშვილდე, დმანისი და ახალქალაქი ერთნაირად უშენებიათ, არც ქრონოლოგიურად უნდა იყვნენ მაინცდამაინც დაშორებულნი ერთმანეთისაგან. სამშვილდეში, შიდაციხის ტერიტორიაზე ჩატარებული სადაზვერვო გათხრების მიხედვით ჩანს, რომ აქ ძველი კულტურული ფენების ზევით ძლიერი შრეა ფეოდალური ხანისა, სადაც გამოირჩევა IX—X საუკუნეების მოჭიქული ნაწარმი.

რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ სადაზვერვო გათხრების მიხედვით ძნელია გადაწყვეტით ლაპარაკი სამშვილდის ნაგებობების თარიღის შესახებ, თუმცა ვარაუდით შეიძლება აღინიშნოს, რომ ნაგებობათა დიდი ნაწილის გაჩენა ნაქალაქარის ტერიტორიაზე სწორედ VIII—X საუკუნეებზე უნდა მოდიოდეს. შემორჩენილი ნაგებობების ერთი წყება გვიანი შუასაუკუნეებისაა. განსაკუთრებით შეიძლება მოვიხსენიოთ ორი აუზი, რომლებიც ნაქალაქარის აღმოსავლეთ ნაწილშია ფიქსირებული. ეს უზარმაზარი წყალსაცავები ქალაქის სამეურნეო საჭიროებისათვის იყო განკუთვნილი და მათი შექმნა რთულ ინჟინრულ ხელოვნებას მოითხოვდა. აუზები ნაგებია ქვით. იატაკი კირის ხსნარით არის მოლესილი. იატაკის სისქე მერყეობს 10—20 სმ შორის. აუზების სიღრმე ორ მეტრს აღემატებოდა.

ადრე აღნიშნული გვქონდა, რომ სამშვილდე მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების ორბიტაში იყო მოხვედრილი. აქ გადიოდა გზა, რომელიც თბილისიდან მოემართებოდა ახალქალაქისაკენ და ამ უკანასკნელიდან კი არტანუჯით ბიზანტიისაკენ. გზა სამშვილდიდან ხრამზე გადადიოდა და მდინარის აყოლებით სამღერეთით ზურტაკეტის ფუნდუკისაკენ მიემართებოდა. სამშვილდესა და ზურტაკეტის ფუნდუკს შორის ერთი დღის სავალი იყო. აქედან კი ერთი დღის სავალზე იყო ფარავნის ფუნდუკი (დღევანდელი სოფ. როდიონოვკა). სამშვილდეში მდინარე ხრამზე (ქციაზე) გადასასვლელად ორი ხიდია დაფიქსირებული 1968 წელს სამშვილდის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (ტაბ. IX—X). ერთი უშუალოდ ნაქალაქარის (შიდა ციხის) ჩასწვრივ და მეორე კი ცოტა ზემოთ, იქ სადაც მდ. ირაგი შეერთვის ქციას. დღეს ორივე ხიდი დანგრეულია და მხოლოდ ბურჯებიღაა შემორჩენილი. ხიდები ნაგები ყოფილა ქვით, კირის ხსნარზე. შენების ტექნიკით და ქვების წყობით ხიდები ძლიერ უახლოვდებიან შიდა ციხეს. ორივე ხიდი ერთი კონსტრუქციისა

უნდა ყოფილიყო: მდინარის ორსავ ნაპირზე განლაგებულ ბურჯებზე გადადებული იქნებოდა თალი. ადვილი მოსალოდნელია, წყალში საყრდენის გარეშე. ბურჯებს შორის მანძილი 20—25 მ-ია. სიგანე კი 3 მეტრი. მეორე ხიდთან, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გზის ნაწილიც შეიმჩნევა, რომელიც მდინარეს შეუყვებოდა და რომლის სავალი ნაწილიც მდინარის მხრიდან კედლით იყო დაცული (ტაბ. X — 1). ჩვენის აზრით, ორიოდე კილომეტრზე, ერთი და იგივე მდინარეზე ორი ხიდის აგების საჭიროება ნაკარნახევი იყო ორი სხვადასხვა გზის არსებობით. ერთი ხიდით მდ. ირაგისა და ქციის შესაყარზე გზა მიემართებოდა ზურტაკეტის ფუნდუკისაკენ და შემდეგ ფარავნა-ახალქალაქისაკენ. მეორე ხიდი კი, რომელიც ქალაქის ჩასწვრივ იყო გადადებული ქციაზე, მეორე გზას ეკუთვნოდა. ამ გზით მგზავრი გადავიდოდა მაშავერას ხეობაში, მიადგებოდა ასეთივე ხიდით[189] დმანისს და აქედან კი შეიძლებოდა წასვლა სომხეთისკენ.

სამშვილდე „ახალქალაქობის“ ჟამს, ეჭვი არ არის, განიცდის ამაღლობას. ის ასევე მოწინავე ქალაქია XII—XIII საუკუნეებშიაც. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც გვგონია, რომ ის როგორც ქალაქი, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაშივე დიდ წარმატებებს აღწევს იმდენად, რამდენადაც ის ძლიერი სტრატეგიული პუნქტია, ხერთვისია. მოგვიანო ხანებშიაც მისი ეს უპირატესობა დიდ როლს ასრულებდა განსაკუთრებით პოლიტიკურ ცხოვრებაში. როგორც აღნიშნული გვქონდა, ის შესაძლებელია სამეფო ქალაქი იყო, დიდგვარიანთა, „ნათესავით პიტიახშთა“ რეზიდენციით. აღნიშნული გარემოების გამო, ასევე მისი გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით სამშვილდეში განსაკუთრებით სტრატეგიული განლაგება (გამაგრებული ადგილი, გზასაყარი) იქცევს ყურადღებას. ამიტომ მოსალოდნელია აქ საქმე გვქონდეს დმანისისგან ან რუსთავისაგან განსხვავებული ფეოდალური ქალაქის ტიპით.

---

[189] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, გვ. 328.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

# XII — XIII საუკუნეები — ქართული ქალაქების აყვავების ხანა

## 1. მთავარი საგზაო მარშრუტები. ვაჭრობა, ეკონომიური აღმავლობა

პერიოდი, რომელიც მოიცავს XII საუკუნეს, ვიდრე XIII საუკუნის შუა-ხანებამდე, საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებულია. ძველ საქართველოს არ ახსოვს სხვა ასეთი ეპოქა, როცა ქვეყანას პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების ასე მაღალი დონისათვის მიეღწიოს. მას ერთხანს საქართველოს ისტორიის ოქროს ხანასაც უწოდებდნენ. საფუძველი ასეთ აღმავლობას გაცილებით ადრე ჩაეყარა და იგი შედეგია ხანგრძლივი პოლიტიკური ბრძოლისა და სოციალურ-ეკონომიური სიახლისა. ფეოდალური ურთიერთობა თავისი განვითარების ახალ, უმაღლეს ფაზაში შედის და აღმავლობის ზენიტში ექცევა. თურქ-სელჩუკების განდევნით, შემდგომ კი თბილისის (1122 წ.) და დმანისის (1123 წ.) აღებით საქართველოს მთლიანად გაერთიანების გრძელი და სისხლიანი პერიოდი დასრულდა. ამიერიდან საქართველო, რომელიც კავკასიის უდიდეს ნაწილს ჰფლობდა „ნიკოფსიით დარუბანდამდის"[1] სამხრეთით არაგაწამდე, მსოფლიოს ერთ-ერთ ძლიერ პოლიტიკურ ძალად იქცა. ახალი, ძლიერი ქრისტიანული ერთეულის შექმნა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო. გაძლიერებული ახალი ელემენტის შემოჭრით მაჰმადიანური სამყარო შეშფოთებულია. ეს კარგად იგრძნობა მათი იდეოლოგების ნაწერებიდან. ამის მიზეზებს XIII საუკუნის სახელგანთქმული ავტორი იაკუთი ხედავდა იმაში, რომ სელჩუკი მეფეები დასუსტებული იყვნენ ერთიმეორის შუღლითა და ბრძოლით, როცა მათმა ამირებმა ქვეყანა სადავო საგნად გაიხადეს, რომელსაც მიაკუთვნებდნენ ხან ერთს და ხანაც მეორეს. ამ დროს კი ქართველებიო „განუწყვეტლივ თავს ესხმოდნენ მუსლიმებს ხან არანში, ხან აზერბაიჯანში, ხანაც ხლათში", და ეს იმ დროს, ბოლმით შენიშნავს ავტორი, როდესაც „მათი მმართველები გართული იყვნენ ღვინის სმით და აკრძალული საქმეების კეთებით".[2]

ზემოხსენებულ პერიოდს თამამად შეიძლება ეწოდოს ქართული ფეოდალური ქალაქის აყვავების ხანა. ქალაქებმა ამ დროს არნახულ განვითარებას მიაღწიეს. ქალაქის ეკონომიკის წამყვანი დარგია საქალაქო მეურნეობა, ვაჭრობა და ხელოსნობა, რომლის პროდუქციის გასაღებაც ბაზართან იყო დაკავშირებული.

---

[1] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, «ქ ც-ბა», II, გვ. 94.

[2] ი ა კ უ თ ი, გეოგრაფიული ლექსიკონი, ვუსტენფელდის გამოცემა, I, გვ. 859.

ვაჭრობა-ხელოსნობის სწრაფი ზრდა და განვითარება ბევრი ტექნიკური პირობის განხორციელებას მოითხოვდა. პირველ ყოვლისა, ქალაქებს კეთილმოწყობილი გზები ესაჭიროებოდა. ყველა ცენტრალიზებული ძლიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი პირველი საზრუნავი გზების მოვლა-პატრონობა იყო; ვაჭრობა, ხელოსნობა და ქალაქები ხომ ფეოდალთა სიმდიდრისა და ძლიერების წყაროს შეადგენდა. ფ. ენგელსი კ. მარქსისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში სასანიანთა სპარსეთის მშვიდობიანობის და წესრიგის არსებობის დასამტკიცებლად ხსენებულ მომენტს იშველიებდა... ამ დროს ქარავნები თავისუფლად დადიოდნენო.[3]

საქართველოს გზებზე მიმოსვლისას მგზავრის უსაფრთხოება ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო, რაც იზიდავდა ვაჭართა დიდ ჯგუფებს, უცხოს თუ თავისიანს. ქართველ მეფეებს ძლიერების ხანაში კარგად ესმოდათ გზების მოვლა-პატრონობის და უსაფრთხოების საჭიროება და დიდ ხარჯებსაც იღებდნენ გზების შესაკეთებლად, ახლის გასაყვანად, ხიდებისა და ფუნდუკ-ქარვასლების ასაშენებლად. დავით აღმაშენებლის ღვაწლი ამ მიმართულებითაც, ისევე როგორც სხვა საკითხებში, დაუფასებელია. მემატიანის გადმოცემით, მრავალნი გზანი „საწყინოდ სავალნი", ხიდნი „მდინარეთა სასტიკთა ზედა" უშენებია დავითს, გზები ქვაფენილ უყვნია.[4] სასტიკი ზამთრის პირობებში თურქებთან ბრძოლაში აღმაშენებელმა უგზოობისას „გარდაათხრევინა მთა ლიხისა; სადა გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მხარი სამი"[5] და გზა გააყვანინა. დიდმა სამხედრო ხელოვანმა ამ გზით მოულოდნელად დაარტყა მტერს და გაანადგურა ისე, რომ „არა დაუშთა მთხრობი ამბავისაო".[6]

საქართველოს ფეოდალური მონარქიის აყვავების ხანაში ქარავანს ვერავინ გაძარცვავდა. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე თამარის მოღვაწეობის დახასიათებისას აღნიშნავდა: „საყდართა და მონასტერთა დალეწასა ვერვინ იკადრებდა. ქ ა რ ა ვ ა ნ ს ა ვ ე რ ვ ი ნ ძ ა რ ც ვ ი დ ა ა მ ე რ ი დ ა ი მ ე რ ი (ხაზი ჩვენია, ლ. ჭ.). ძველი სამეფო მათი აფხაზეთისა დაწყნარებით ჰქონდა, რომელ ერთიცა ქათამი არსად მოიკვლოდა: მპარავი, ავისმოქმედი აღარ იყო"[7].

ასეთი ღონისძიებების უდავო დადასტურებაა დღემდე მოღწეული, თუმცაკი დაზიანებული და სახეშეცვლილი, გზასთან დაკავშირებული ნაგებობები: ქარვასლა-ფუნდუკები ხრამის ხევში, ფარავნაზე, ხიდები (ბესლეთის, არტანუჯის, ხრამის — წითელი ხიდის გვერდით, სამშვილდეში, დმანისის), ნაგზაურები და სხვა.

აქ ზედმეტი არ იქნება აღინიშნოს, რომ ფეოდალური ქალაქების აყვავება XII—XIII საუკუნეებში მარტო ქართული მოვლენა არ არის. ასეთივე სურათი ჩანს მეზობელ სომხეთში, სპარსეთში, ბიზანტიაში და სხ. ეს უდიდესი ტალღა განვითარებისა აღმოსავლეთში მოსპეს და გაანადგურეს ტრამალების ველურმა ბრბოებმა, რომლებმაც ზედიზედ დასცეს და შემუსრეს იმ დროის

---

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული წერილები, გვ. 75, 76.

[4] «ქ ც-ბა», I, გვ. 353.

[5] «ქ ც-ბა», I, გვ. 339. «გარდათხრილი» ნ. ბერძენიშვილის სწორი დაკვირვებით ტერმინია, გზის მშენებლობასთან დაკავშირებით. იხ. მ ი ს ი — გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966, გვ. 95.

[6] ი ქ ვ ე.

[7] « ქ ც-ბა», I, გვ. 369.

კულტურული კერები ხორეზმში, სპარსეთში საქართველოსა და სომხეთში. მეორე ასეთმავე მომთაბარეთა ტალღამ იმსხვერპლა თვით ბიზანტიაც. მონღოლებმა და შემდეგ თურქ-ოსმალებმა კარგა ხნით შეწყვიტეს აღმოსავლეთის კულტურული ერების წინსვლა. ზარალი განსაკუთრებით საგრძნობი იყო ქრისტიანული ქვეყნებისათვის (ბიზანტია, საქართველო, სომხეთი). ფიზიკური განადგურება სპარსეთმა, რა თქმა უნდა, არანაკლები განიცადა. მაგრამ მან, როგორც მუსლიმურმა ქვეყანამ, ამ უკანასკნელი გარემოების გამო არამცირე შეღავათები მიიღო.

მონღოლების შემოსევებამდე აღმოსავლეთის სავაჭრო ცენტრებს ურთიერთობის საუკეთესო საშუალებები ჰქონდათ: კეთილმოწყობილი ვაცული გზები, ფუნდაკები, ქარვასლები, ქალაქებში საუცხოოდ მოწყობილი საბაზრო ადგილები. ყველაფერი ეს ნორმალური სავაჭრო გარიგებების აუცილებელი პირობები იყო.

გზების შესწავლის პრობლემა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მიმზიდველი საკითხია და ის ალბათ თავის დროზე დამუშავდება. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ მისი გადაჭრით არა ვართ ამჯერად დაინტერესებული, მხოლოდ მოკლედ შევეხებით ძირითად მარშრუტებს.

აღნიშნული პერიოდის საქართველოს გზების განხილვა ძირითადად ორი მიმართულებით შეიძლება; ერთი — გზები ქვეყნის შიგნით და მეორე — უცხო ქვეყნებთან დამაკავშირებელი გზები. ამ უკანასკნელით საქართველო უკავშირდებოდა იმდროინდელი მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან ერთეულს — ბიზანტიას, სპარსეთს, ინდოეთს, ეგვიპტეს, რუსეთს და სხ.

გზა, როგორც საზოგადოების ურთიერთობის ერთ-ერთი საშუალება, უძველესი დროიდან არსებობს. საქართველოს თავისებური გეოგრაფიული მდებარეობის გამო პირველყოფილი გზა-ბილიკები, სავარაუდოა, მდინარეების გასწვრივ მიიმართებოდა. ბორბლიანი ტრანსპორტის გაჩენასთან ერთად ახალი საზრუნავი წარმოიშვა გზების მოვლა-პატრონობისათვის. კლასობრივი საზოგადოების პირობებში, როცა მრავალი სავაჭრო-სახელოსნო ცენტრები ჩნდება და ინტენსიურად ვითარდება ვაჭრობა, გზები განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში ექცევა. პირველყოფილი გზა-ბილიკებისა და გზების მიმართულება თითქმის უცვლელია ფეოდალურ ხანაშიც. მდინარეები, ხევები, ზღვისპირეთი შესანიშნავ მაგისტრალებს წარმოადგენდნენ. სრულიად არ არის მოულოდნელი, რომ მტკვრის ხეობა ანტიკურ ხანაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან მაგისტრალად იქცა. ცხადია, იგი უძველესი დროიდანვე იქცევდა ამ მხრივ ყურადღებას. მდინარეები და, საერთოდ, ხეობები, ძველი ადამიანის ძირითადი ორიენტირი იყო. ფეოდალურ საქართველოში ყველა სოფელი თუ ქალაქი უკავშირდებოდა ერთმანეთს. ეს ცხადზე უცხადესია. მაგრამ განა გზა უნდა გავიგოთ მხოლოდ ასეთი პირველადი მნიშვნელობით? გზა გულისხმობდა სათანადო ნაგებობებს, ხიდ-ბოგირებს, ჯებირებს, სიმოკლისათვის სპეციალურ გასასვლელებს, კლდე-კარებს და სხვა. აღარაფერს ვამბობთ მგზავრთა დასასვენებელ ადგილებზე. ყველა ეს პირობა განვითარებული სახელმწიფოებრივი აპარატის სპეციალურ ზრუნვას მოითხოვდა. სწორედ ასეთი გზების შესახებ შეიძლება ლაპარაკი ქართული ქალაქების აყვავების პერიოდში.

როდესაც აყვავების ხანის საქართველოს შიდა გზებზეა საუბარი, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ დროს საქართველოს პოლიტიკური საზღვრები საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას მოიცავდა, ისე რომ, მის კონტროლს ვერ სცილ-

დებოდა ა/კავკასიაზე და მის მოსაზღვრე პროვინციებზე გამავალი გზები. ამრიგად, საქარავანო გზები, რომლებიც, მაგალითად, თბილისს აკავშირებდა ანისთან, დვინთან, ბარდავთან ან დარუბანდთან, უფრო შიდა მაგისტრალებად ჩაითვლება, რომლებზედაც სამეფო ხელისუფლების კონტროლი ვრცელდებოდა თბილისიდან.

რაც შეეხება გარე სამყაროსთან დამაკავშირებელ მაგისტრალებს, აქ რამდენიმე ძირითადი ტრასა შეიძლება მოვიხსენიოთ.

კავშირი ბიზანტიასთან, და საერთოდ დასავლეთის პროვინციებთან, ხორციელდებოდა ტრაპიზონის გზით. ამ გზის შესახებ გაკვრით იყო ადრე აღნიშნული. იგი წინაურდება IX—X საუკუნეებიდან. ტრაპიზონი საშუამავლო პუნქტი იყო, რომელიც XII საუკუნეში უკვე დაქვემდებარებულია საქართველოს სამეფო კარისადმი. ტრაპიზონის შემდეგ, საზღვაო კარებს ხოფა, იგივე ხუფათი, წარმოადგენდა, როცა ბაგრატ ქართველთა მეფე საბერძნეთიდან ბრუნდებოდა „მიეგება ყოველი ლაშქარი აფხაზეთისა ზღვის პირსა, ხუფათს... და შემოვიდა სახლად თვისად ქუთათისს".[8] ხუფათიდან გზა ჭოროხით ამოდიოდა არტანუჯისაკენ; „შიდითა სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლოო"[9] დავით აღმაშენებელმა. საყურადღებოა, რომ ქუთაისში მისასვლელადაც კი ზღვის კარი იგივე ხუფათია, საიდანაც ხმელეთით გრძელდებოდა გზა. ქუთაისისათვის ზღვის კარის როლს ფოთიც ასრულებდა. ასეა ყოველ შემთხვევაში ცნობილი (გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების მიხედვით).

ჭოროხის ხევით გზა არტანუჯში მოდიოდა. არტანუჯიდან ერთი გზა ყველის ციხით და შემდეგ ოძრხე-კლდეკარის გასასვლელით ქუთაისს მოემართებოდა, მეორე კი არტაანისაკენ. არტაანსა და არტანუჯს შორის გზა გადადიოდა არსიანის ანუ ქვაყრილის მთებზე. როგორც ვახუშტი შენიშნავს, „არსიანი და აწ ქვაყრილად წოდებული, სადაცა გარდავალს გზა არტანუჯს".[10] არტანუჯის საშუალებით უკავშირდებოდა ქალაქი ანისი შავიზღვისპირეთს და საერთოდ საქართველოს დასავლეთ რაიონებს.[11]

არტაანიდან კარწახის გავლით გზა ახალქალაქს მოადგებოდა. აქედან კი ფარავნა-ზურტაკეტ-სამშვილდე-მარნეულით გზა თბილისში შემოდიოდა. გზაზე მთავარი პუნქტები, სადაც ქარავანთა გასაჩერებელი ადგილებია მოსალოდნელი, შემდეგია: ხუფათი, არტანუჯი, არტაანი, კარწახი, ახალქალაქი, ფარავნა, ზურტაკეტი, სამშვილდე, მარნეული და თბილისი. აღნიშნული პუნქტებიდან ქარვასლარები დადასტურებულია ახალქალაქში, ფარავნაში, ზურტაკეტში. მოსალოდნელია სხვა დანარჩენ პუნქტებშიაც. ტრასაზე დატანილი პუნქტები ერთიმეორისაგან დაცილებულია დაახლოებით ერთი დღის სავალი გზით, ისე რომ ხუფათიდან თბილისში ქარავანი ნორმალურ პირობებში უნდა მოსულიყო დაახლოებით 10 დღეში.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტრასა, რომლითაც საქართველო უკავშირდებოდა ბიზანტიას და ასევე ბიზანტიის აღმოსავლეთი პროვინციები სპარსეთს. მართალია, იყო სპარსეთ-ბიზანტიის დამაკავშირებელი მეორე გზაც, ასევე მნიშვნელოვანი, რომელიც განსაკუთრებით ცნობილი იყო

---

[8] «ქ ც-ბა», I, გვ. 304.

[9] «ქ ც-ბა», I, გვ. 333.

[10] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 132.

[11] Я. А. М а н а н д я н, О торговле и городах Армении..., стр. 233—234.




სურ. 7. ამიერკავკასიის ძირითადი საგზაო მარშრუტები IX — XI სს.

IX—X საუკუნეებში; არდებილი-ამიდი, მაგრამ ის XII—XIII საუკუნეებში ვერ შესძლებდა მეტოქეობის გაწევას არტანუჯის გზასთან, თუნდაც იმიტომ, რომ ეკონომიურად მოღონიერებული და კულტურულად დაწინაურებული საქართველო თავისკენ ეწეოდა მას და პრიორიტეტიც მის მხარეზე იყო. რა თქმა უნდა, ფაქტის უგულებელყოფა შეუძლებელია და თავისი უნდა მიეზღოს მეორე გზასაც, რომელიც IX—X საუკუნეებში არაბი გეოგრაფების გადმოცემით დაწინაურებულ მაგისტრალად ითვლებოდა. გზა არდებილიდან მოდიოდა დასავლეთით, გაივლიდა რა ურმიისა და ვანის ტბებს. ამიდისაკენ მიემართებოდა (სურ. 7). ცნობები გზის შესახებ შემონახული აქვს ისტახრის, იბნ-ჰაუკალის და ალ-მუკადდასის.[12] გზის პირველი მონაკვეთია არდებილი-მარაღა. ამ მონაკვეთს უფრო ზუსტად გადმოგვცემს ალ-მუკადდასი. მისი თხზულების მიხედვით ეს ნაწილია არდებილი-მეიანიჯი-ხუნაჯი-კურ-სერე-მარაღა. მეორე მონაკვეთია მარაღადან ხუვეიმდე (თანამედროვე ხოი) ასეთი თანმიმდევრობით: მარაღა-დახარაკანი-ურმია (ტბით)-სალამასი-ხოი, ან დახარაკანის გარეშე, ტბის სამხრეთიდან შემოვლით.

ხუვეიდან (ხოი) გზა კვლავ დასავლეთით აგრძელებს სვლას: ბერქერი-არჯეში-ხლათი-ბითლისი-არზანი-მაიაფარიკინი-ამიდი.

ბიზანტია-სპარსეთს შორის არსებობდა მეორე გზაც შუამდინარეთით, მაგრამ, როგორც ვარაუდობენ, ის ამ დროს უფრო კეთილმოუწყობელი და დაუცველი იყო.[13]

დასავლეთ საქართველოს ქალაქები ბიზანტიას უკავშირდებოდა საზღვაო გზით (ზღვისპირეთის ქალაქები) და ასევე ხუფათის, ცხუმის, ფოთის, ანაკოფიის კარებით.

მეორე კულტურული სამყარო, რომელთანაც ასევე მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ქართულ ქალაქებს, სპარსეთია. სპარსეთის ქალაქებთან კავშირი უმთავრესად ორი გზით ხორციელდებოდა. პირველია არდებილ-ზენჯანის გზა, მეორე კი დვინ-თავრიზისა.

ზენჯანის გზა რამდენიმე მონაკვეთისაგან შედგებოდა. ესენია — თბილისი-ბარდავი; ბარდავი-არდებილი; არდებილი-ზენჯანი.

მარშრუტი თბილისი-ბარდავი ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი გზაა ამიერკავკასიაში. ძირითადი ტრასა მტკვრის ხეობას მიჰყვებოდა და, რაც მთავარია, გზა გადიოდა პუნქტებზე, რომლებიც ჯერ კიდევ წინაკლასობრივ ხანაში ჩანს დასახლებული. ამდენად, გვაქვს მონაცემები, რომ აღნიშნული მარშრუტი ერთ-ერთ უძველესად მივიჩნიოთ. გზა აკავშირებდა ერთმანეთთან ორი ქვეყნის დედაქალაქს, რომელთაც დიდი როლი შეასრულეს ფეოდალური ქალაქების წარმოშობის ხანაში. ბარდავი არაბთა ერთ-ერთი ძლიერი დასაყრდენი იყო კავკასიაში და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა სახალიფოს ექსპანსია ჩრდილოეთისაკენ. ამდენად, ძნელი მისახვედრი არ არის ხსენებული გზის როლიც ფეოდალურ ხანაში. მარშრუტი, როგორც აღნიშნული იყო, უძველე-

[12] BGA I, გვ. 194; СМОПМК, 29, გვ. 29, СМОПМК, 38, გვ. 104; СМОПМК, 38, გვ. 19.

[13] T. Rice, Byzantine Glazed Pottery, გვ. 88. ეს კარგად ჩანს ილარიონ ქართველის ცხოვრების მიხედვითაც: «მიიწინეს იგინი ქუეყანასა მას შამისასა, ვინაჲ — იგი მკვიდრ იყვნეს ნათესავნი ბარბაროზნი», და «მიხუდეს ავაზაკნი ბოროტნი გზასა ზედა». აგიოგრაფიული ძეგლები, II, გვ. 13.

სი დროიდან არის ჩამოყალიბებული და მას ასევე საპატიო ადგილი ეჭირა ანტიკურ ხანაშიაც, როცა ის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად იქცა კარგად ცნობილი სატრანზიტო გზისა, რომელიც ინდოეთისაკენ მიიმართებოდა.

თბილის-ბარდავის გზის შესახებ ცნობებს ვპოულობთ არაბი ავტორების თხზულებებში, სადაც დაწვრილებით არის მოცემული პუნქტების განლაგება ტრასაზე და მანძილი ცალკეულ პუნქტებს შორის. გზა თბილისიდან გაივლიდა კალა იბნ-ქანდამანს (გარდაბანს), ხუნანს, შამქორს, განჯას და მიადგებოდა ბარდავს.[14] ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქალაქი შუასაუკუნეების ცნობილი პუნქტია, რომლებიც ასევე დიდ როლს ასრულებდნენ ანტიკურ ხანაშიაც. როგორც ძველად, ისე XII—XIII საუკუნეებში გზას მათთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

გზის მეორე მონაკვეთია ბარდავი-არდებილი. გზის ამ მონაკვეთით არანის დედაქალაქი უკავშირდებოდა აზერბაიჯანის ცენტრს არდებილს, რომელიც ერთ-ერთ მოწინავე ქალაქად ითვლებოდა აღმოსავლეთში. გზის ცალკეული პუნქტები და მანძილი მათ შორის განსაზღვრული აქვს ისტახრის, იბნ-ჰაუკალის, მუკადდასის, იბნ-ხორდადბეს და კუდამას. გარდა ამ ორი უკანასკნელისა, ყველა ერთნაირად აღწერს მიმართულებას. უმნიშვნელო სხვაობა აქვთ კუდამას და იბნ-ხორდადბეს. ამჯერად მანძილების განსხვავება და დაზუსტება არ გვაინტერესებს, ამიტომ მასზე არ ვჩერდებით. მხოლოდ ძირითადი მიმართულების განსაზღვრა იქნება საჭირო. ბარდავიდან გზა გაივლიდა იუნანს, ბაილაქანს, ვარსანს, ბალხაბს, ბერზენდს და მივიდოდა არდებილში.[15] ზემოხსენებული პუნქტების ლოკალიზაციის შესახებ ბევრი მოსაზრებაა გამოთქმული, მაგრამ მხოლოდ ისტორიული წყაროებით და რუკებით ამ საქმის მოგვარება შეუძლებელია. საჭიროა არქეოლოგიური დაზვერვები და მთლიანად ტრასის გულდასმით შესწავლა.

გზის მესამე მონაკვეთია არდებილი ზენჯანი. არდებილი საერთოდ დიდ სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა და აქედან გზები მიემართებოდა სხვადასხვა მიმართულებით. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტრასა იყო გზა, რომელიც ირანის სიღრმეში მიდიოდა. ეს კი ზენჯანის გაუვლელად მოუხერხებელი

---

[14] გზის დაწვრილებითი აღწერა იხ. ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 185—204.

[15] იუნანი ზ. იამპოლსკის აზრით უნდა იყოს ცნობილ ბარდავსა და ბაილაქანს შორის, შუა გზაზე (З. И. Я м п о л ь с к и й, К изучению древнеазербайджанского города Юнана, Труды Азербайджанской (Оренкалинской) экспедиции, 1959) და არა დერმანი (დეირანი), როგორც კარაულოვივარაუდობდა (СМСГМК, XXIX). ბაილაქანი მტკვრისა და არაქსის შესართავში მდებარეობდა (იხ. ივ. ჯავახიშვილის რედაქციით შედგენილი რუკა). დღეს იგი გაიგივებულია ცნობილ არქეოლოგიურ ძეგლთან ორან-კალასთან, რომელიც ითხრება 1953 წლიდან მოყოლებული (იხ. Е. А. П а х о м о в, Пайтакаран-Байлакан-Оренкала, იმავე კრებულში. ვ. მინორსკის აზრით ბაილაქანი ყარაბაღშია, დაახლოებით ქ. შუშის მახლობლად, იხ. მისი Hudūd al-Alam, London. 1937, გვ. 398, რაც საეჭვოა). ვარსანი კარაულოვის მიხედვით ლოკალიზებული იყო მდ: ყარასუს არაქსთან შეერთების ადგილზე (იქვე). ვ. მინორსკი კი ვარაუდობს, რომ ვარსანი თანამედროვე ალთანა უნდა იყოს (იქვე, გვ. 395), მდ. არაქსის ნაპირზე. ვარსანი ალბათ იგივე ვართანი, ივ. ჯავახიშვილის რედაქციით გამოშვებულ რუკაზე აღნიშნულია ბაილაქანს ცოტა ქვემოთ არაქსის მარჯვენა მხარეს. იხ. ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX—XII სს., არაბული წყაროების მიხედვით, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები. თბ., 1963.

იყო. ამდენად, არდებილი-ზენჯანი ძლიერ ხალხმრავალ მარშრუტს წარმოადგენდა. გზა აღწერილი აქვთ ისტახრის, იბნ-ჰაუკალის, მუკადდასის. მისი მარშრუტია; არდებილი-კანტარ-საბიდრუდი-სერათი-ნუვეი-ზენჯანი. ზენჯანზე იდო გზა სპარსეთის შიდა პროვინციებისაკენ. თვით ქერმანამდეც კი, რომელიც საკმაოდ იყო დაშორებული ცენტრალური რაიონებიდან. მანძილის დაფარვა თბილისიდან ქერმანამდე ჩვიდმეტ დღეში იყო შესაძლებელი, როგორც ამას ჰამდალლაჰ ყაზვინი გადმოგვცემდა.[16] სპარსეთის ქალაქების გავლით საქართველოდან იოლად შეიძლებოდა მოხვედრილიყავით ინდოეთში, ასევე ბაღდადის გზით შუაგულ არაბეთში. იმავე ჰამდალლაჰ ყაზვინის სიტყვებით, მექადან თბილისამდე 501 ფარსახი ყოფილა.[17] ასეთი ზუსტი მანძილის გაზომვა მხოლოდ კეთილმოწყობილი გზების პირობებში შეიძლებოდა.

ზენჯანიდან, როგორც ითქვა, სხვა მარშრუტებიც არსებობდა, მაგრამ მათზე შეჩერება არ ღირს, ეს დიდად დაგვაცილებდა საკვლევ თემას. ზენჯანი სპეციალურად ავირჩიეთ გზებთან დაკავშირებით განსახილველად, რადგან სწორედ ზენჯანი მიგვაჩნია ერთ-ერთ მთავარ პუნქტად, სადაც ქართველ ვაჭრებს უხდებოდათ მოღვაწეობა (ამის შესახებ შემდეგ, სასაქონლო პროდუქციაზე მსჯელობის დროს).

ზენჯანის გზა, ყოველ შემთხვევაში მისი მონაკვეთი არდებილამდე, ქართველ მეფეებს საომარი ექსპედიციების დროსაც გამოუყენებიათ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის გადმოცემით, თამარის დროს დაულაშქრავთ კარი, შემდეგ კი „წარვიდა და შევიდა დიდსა სპარსეთს, გატეხა არდაველი, დალეწნა ციხე-ქალაქნი და აღავსო სამეფო ალაფითა".[18]

ამავე გზაზე მიუთითებს შემდეგი სიტყვებიც: „ამისსა შემდგომად მოწუა და მოარბევა ხლათისა ქუეყანაო".[19] ცხადია, არდებილიდან ქართველთა ლაშქარი გამოიყენებდა გზის მარშრუტს, რომელზედაც ადრე იყო ლაპარაკი: არდებილი-ამიდი. ქართველებს მოუხდებოდათ გავლა მარაღასი, ურმიისა, სალმასის, ხუვეის, ბერქერის, არჯეშის, შემდეგ მიადგებოდნენ ხლათს.

საქართველოდან სპარსეთთან ურთიერთობა მეორე გზითაც იყო მოსახერხებელი. ეს გზა გაივლიდა სომხურ პროვინციებს, დვინს და აქედან კი ირანის აზერბაიჯანით უშუალოდ სპარსეთში შედიოდა თავრიზის გზით.

გზა დვინისაკენ ჯავახეთზე და აბოცზე იდო. ამის შესახებ ადრე გვქონდა შენიშნული წმ. ნინოს მარშრუტთან დაკავშირებით და აქ აღარაფერს ვიტყვით.[20] ამ გზასთან დაკავშირებით წყაროები სწორედ თრიალეთსა და ჯავახეთს მიგვანიშნებენ. ჯავახეთი, საგულისხმო ფაქტია, რომ ჯერ კიდევ არ არის დასახლებული (ახალქალაქი მაინც), როცა ის ანტიკურ ხანაში გზების ორბიტაში ექცეოდა. აქვე იდო გზა ანისისაკენაც. მაგრამ ანის-დვინისკენ განა ერთი გზა მიდიოდა. აქეთ შეიძლებოდა წასვლა ჯავახეთიდან, ასევე ხუნანით — დღევანდელი ყაზახის გზით, სამშვილდე-დმანისის გზით. სამხრეთ საქართველოს ქალაქები მათ არტანუჯის გზით უკავშირდებოდნენ.

---

[16] ვ. ფუთურიძე, ისთახრი, ჰოდუდ ალ-ალემი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, თბ., 1937, გვ. 35.

[17] იქვე, გვ. 19.

[18] «ქ ც-ბა», I, გვ. 370.

[19] იქვე.

[20] ლ. ჭილაშვილი, ნაქალაქარი ურბნისი, გვ. 146.

დვინიდან შემდეგი მონაკვეთი გზისა იყო დვინი-მარაღა. ეს გზაც საკმაოდ კარგად აქვთ აღწერილი არაბ გეოგრაფებს.[21] დვინ-მარაღას მარშრუტი ძირითადად ორი იყო, ურმიის ტბის ორსავ მხარეს. პირველი მათგანი დვინიდან გაივლიდა ნაშავას (ნახიჭევანი), ხუვეის, სალამას, ურმიას და მივიდოდა მარაღას. მეორე გზით უნდა გაგვევლოთ ნაშავა (ნახიჭევანი), მარანდი, თავრიზი, დახარაკანი და შემდეგ მარაღა (სურ. 7).

მარაღადან ადვილად შეიძლებოდა წასვლა სამხრეთით ირანის პროვინციებში, ასევე დასავლეთით სახალიფოს ქალაქებისაკენ.

ეს არის ორი მთავარი გზა, თბილისი-ბარდავი-ზენჯანი და თბილისი-დვინი-მარაღა, რომლებითაც საქართველოს ცენტრალური რაიონები უკავშირდებოდნენ სპარსეთის ქალაქებს და აქედან კი შეიძლებოდა წასვლა ინდოეთისაკენ, არაბეთისაკენ, ეგვიპტისაკენ.

ჩრდილოეთის ქვეყნებთან ურთიერთობა შესაძლებელი იყო რამდენიმე გზით (დარიალი, ზღვისპირეთი და სხ.). მაგრამ ყველაზე ხალხმრავალი და კეთილმოწყობილი იყო დარუბანდის გზა, რომელსაც იყენებდნენ არა მარტო ამიერკავკასიის მცხოვრებნი, არამედ ის იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაგისტრალი სპარსეთის ქალაქებისთვისაც. ცენტრალური გზა, რომლითაც თბილისი დარუბანდს უკავშირდებოდა, ორი მონაკვეთისაგან შედგებოდა. ესენია: თბილისი-ბარდავი და ბარდავი-დარუბანდი. ბარდავამდე გზა ჩვენთვის უკვე ცნობილია, ბარდავიდან დარუბანდამდე გზის მონაკვეთს აღწერენ არაბი გეოგრაფები, რის მიხედვითაც დგინდება გზის მიმართულება და პუნქტები, რომლებზედაც გზა გაივლიდა[22]: ბარდავი-ბარზანჯი-შამახია-შარვანი-აბხაზი-ჯისრ-სამური-დარუბანდი (კართა კარი)[23].

დარუბანდი, იგივე კართა-კარი (ბაბუ-ლ-აბვაბი) ერთ-ერთი დიდი ქალაქი იყო კასპიის ზღვის სანაპიროზე. აქ თავს იყრიდნენ სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები, მათ შორის ქართველებიც. აქედან შესაძლებელი იყო გასვლა ხაზარეთისაკენ, ასევე რუსეთის ქალაქებისაკენაც. დარუბანდი ერთგვარად საშუამავლო ქალაქი იყო. აქ ხდებოდა გაცვლითი ოპერაციებიც. დარუბანდის ზღვის კარით შეიძლებოდა მიმოსვლა შუა აზიის ქვეყნებისაკენ, აქედან კი ინდოეთისაკენ წასვლა.

რა თქმა უნდა, ზემოთ აღნიშნული მარშრუტების ჩამოთვლა არ არის საკმარისი, რომ სრული შთაბეჭდილება შეგვექმნას ამიერკავკასიის გზების შესახებ. მხოლოდ მთავარი მაგისტრალების აღნიშვნა გვსურდა, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა ურთიერთობა გარე სამყაროსთან. გზების შესწავლა ეს დიდი პრობლემაა, და მისი ასე განხილვა მოკლებულია პრეტენზიებს. გზებთან ერთად შესწავლილია მასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია, ასევე სათანადო მოწყობილობანი და ნაგებობანი, ურომლისოდაც კეთილმოწყობილი გზების წარმოდგენა შეუძლებელია.

---

[21] СМОПМК, 29, გვ. 35, 38, გვ. 104.

[22] СМОПМК, 29, გვ. 29; 38, გვ. 17, გვ. 101.

[23] კარაულოეის ლოკალიზაცია ზოგიერთი პუნქტისა (შარვან-შემახიასი, ასევე აბხაზ-ყუბისა) დღეს ეჭვის ქვეშაა დაყენებული. ვ. მინორსკი ფიქრობს, რომ ბერზენჯი უნდა იყოს დარბიჯი. მისი ადგილმდებარეობა მინორსკის მიერ განსაზღვრულია მტკვრის მარჯვენა ნაპირზე კეპრი-ქენდის მოპირდაპირე მხარეს. შარვანი მინორსკის აზრით შაბირანი შეიძლება იყოს. მინორსკი, დასახ. ნაშრომი, გვ. 403. ჯისრისამური აღნიშნავს სამურის ხიდს (جسر ჯისრ ხიდია) სამური—ტოპონიმი დღესაცაა შემორჩენილი.

სამწუხაროდ, გზებთან დაკავშირებული ნაგებობანი ჯერჯერობით სათანადოდ ვერ არის შესწავლილი არქეოლოგიურად, რაც მნიშვნელოვნად აბრკოლებს საგზაო ნაგებობების, ასევე მაგისტრალების დადგენას. ამ მიმართებით ჩვენში ბევრია გასაკეთებელი; უამრავი ნაქარვასლარი თუ ნახიდური, ასპინძა თუ საბაჟო მოელის გამომზეურებას.

გზებთან დაკავშირებით მარტო ნაგებობები როდი იქცევს ყურადღებას, რამდენიმე შემთხვევაში თვით ნაგზაურის გამოცნობაც გახდა შესაძლებელი.

შუასაუკუნეების ერთ-ერთი აქტიური გზის მონაკვეთი დაზვერა და შეისწავლა ლ. მუსხელიშვილმა ნაქალაქარ დმანისის გათხრების პარალელურად. გზას, როგორც ჩანს, ადგილობრივი მოსახლეობა ბოლო დრომდე იყენებდა, რადგან ის გზატკეცილზე უფრო მოკლე იყო. ლ. მუსხელიშვილს რამდენიმე ნახიდურიც აქვს დამოწმებული ამ ადგილებში მაშავერაზე, ფინეზაურზე, ასევე დამბლუტის წყალზე. „ამ გზას, რა თქმა უნდა, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დმანისის ამაღლებისთვისო“, წერდა იგი. — „მას თურმე „აქლემის გზას“ ეძახდნენ, რადგან ქარავნები სომხეთში ბოლო დრომდე ამ გზით დადიოდნენ და მას თავისი მნიშვნელობა არ დაუკარგავს მანამდე, სანამ სომხეთის რკინიგზას არ გაიყვანდნენ“.[24]

რა თქმა უნდა, იქ, სადაც ხიდია, გზაცაა, მაგრამ სულ სხვაა, როდესაც თანამედროვე გეომორფოლოგიური პირობები ძველი ნაგზაურის აღდგენის საშუალებას გვაძლევს. ამ მხრივ, ვფიქრობთ, უნიკალურია გზის მონაკვეთი, რომელიც იალღუჯის მთის კალთებზეა შემორჩენილი. აქ, როგორც ირკვევა, გაივლიდა ბარდავიდან თბილისისკენ მომავალი გზა და სწორედ ამ ნაწილში უახლოვდებოდა ის რუსთავს. იალღუჯაზე გზა ორად იყოფოდა, ერთი თბილისისაკენ, მეორე — რუსთავისაკენ და აქედან კი კახეთისაკენ. გზის მონაკვეთი, რომელიც თბილისისაკენ უხვევდა, ჰკვეთდა იალღუჯის ქედს და დიაგონალურად ეშვებოდა ვაკეზე. გზის ტრასა ქედზეა შემორჩენილი და ცოტაც უფრო ზევით, იალღუჯის თავზე, შემდეგ კი იკარგება. დაახლოებით ორიოდე კმ-ზე შეიძლება ნაგზაურის ტრასის გარკვევა, რომელიც დღევანდელი თბილის-რუსთავის გზიდანაც კარგად შეინიშნება.[25]

ინტენსიური საქალაქო მეურნეობის და ჭარბი წარმოების მუდმივი თანამგზავრია ვაჭრობა. ნაწარმის გასაღება ძირითადი სტიმულატორია საქალაქო მეურნეობის აღმავლობისათვის, ისევე როგორც საქარავნო-სავაჭრო გზები და შესაბამისად ახალი საბაზრო ადგილების აღმოჩენები ვაჭრობისათვის. განვითარებული ვაჭრობის უტყუარი საბუთია სამონეტო მიმოქცევის მაღალი დონე. საქართველოს არ ახსოვს ფულის ტრიალის ისეთი მასშტაბები, როგორც ეს იყო XII—XIII საუკუნეებში. ეს ბუნებრივიცაა. იგი შეესაბამებოდა ქვეყნის აღმავალ ეკონომიურ შესაძლებლობებს. დღევანდელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ათასობით აღმოჩენილი ფულების თუ განძების მიხედვით ადვილი მისახვედრია, თუ რანაირი გაქანება ჰქონდა ამ დროს ვაჭრობას. XII—XIII სს. მონეტები ჩნდება არა მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების დროს, არამედ შემთხვევითი მიწის სამუშაოების პირობებშიაც.

---

[24] ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დმანისი, გვ. 330, სურ. 3—4.

[25] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 204.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქართული მონეტების აღმოჩენება საქართველოს ფარგლებს გარეთ. ადრეული მონეტების აღმოჩენების შესახებ სხვა ქვეყნებში ზევით იყო აღნიშნული. აქ ზოგიერთ პუნქტს ჩამოვთვლით, სადაც კი ამ დროის მონეტები ყოფილა დადასტურებული, მაგალითად, ბაქოში,[26] ლენქორანში,[27] სტალინგრადის ოლქში,[28] მაიკოპის მახლობლად, ყუბანის ოლქში რუსუდანის 500-ზე მეტი მონეტის შემცველი განძია დადასტურებული.[29] არაფერს ვამბობთ საქართველოს დღევანდელი მეზობლების ტერიტორიაზე, სადაც, არაერთი მსგავსი აღმოჩენები ყოფილა. ადრეც იყო აღნიშნული, რომ ამიერკავკასიის დიდი ნაწილი და მისი მოსაზღვრე პროვინციები XII—XIII საუკუნეებში საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ იყო მოქცეული და თითქმის შიდა ბაზარს წარმოადგენდა. ასეთი პუნქტებიდან შეიძლება დავასახელოთ ეჩმიაძინი, ანისი, ყარსი, ერევანი და სხვა. აქ ქართული მონეტების განძებიც კია აღმოჩენილი.[30]

ინტენსიური ვაჭრობის მაჩვენებელია უცხო ქვეყნებიდან შემოსული მონეტების აღმოჩენები საქართველოში. განსაკუთრებით ძლიერ მიმოქცევაში იყო ბიზანტიური ოქროს მონეტები (XI, ნაწილობრივ XII საუკუნეშიც), რომელთა ხმარებამაც ფულის ბიზანტიური ტერმინების გავრცელებას შეუწყო ხელი („კონსტანტინატი“, „დუკატი“, „ბოტინატი“, „პერპერა“).[31]

ნუმიზმატ თ. ლომოურის მოსაზრებით, დიდი ხარჯების დასაფარავად შესაძლებელია ხმარობდნენ ოქროს ზოდებსაც. ამის დასამტკიცებლად მოაქვს ერთი ადგილი თამარის ისტორიკოსის თხზულებიდან: „ეგრეთ იქმნა ქორწილი, სახედაუდებელი და იგავ-მიუწვდომელი, სიმრავლენი სახეობათანი, ძღვნობანი და ნიჭებანი თვალთანი და მარგალიტთანი, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთანი“. „ოქრო ჭედილი“, განსვენებული მკვლევარის ვარაუდით, ოქროს ფულია, ჭურჭელი, იარაღი, სამკაული, „უჭედელი“ კი ოქროს ზოდები.[32]

XI—XIII საუკუნეების საქართველოს ინტენსიურ ვაჭრობაზე, ასევე მის ეკონომიურ დონეზე მიუთითებს ზარაფხანების სიმრავლე. სავარაუდო თუ ფაქტობრივი მონაცემების მიხედვით ამ დროს ზარაფხანები ყოფილა მოწყობილი საქართველოს მოწინავე სავაჭრო და ეკონომიურ ცენტრებში, როგორიცაა არტანუჯი, თბილისი, დმანისი, ახალციხე, ქუთაისი, ჟინვალი.[33]

საქალაქო მეურნეობის ნაწარმი სავაჭრო პროდუქტს შეადგენდა, რომლის გასაღებაც ხდებოდა საშინაო თუ გარე ბაზარზე. არქეოლოგიური მონაცემებით თუ წყაროთა ჩვენებით არაერთი სავაჭრო და სასაქონლო ნაწარმის ჩამოთვლა შეიძლება, რომელთაც ქალაქებში ამზადებდნენ. არქეოლოგიური

[26] Е. Пахомов, II, 441.

[27] ინახება საქართველოს სახ. მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში.

[28] Е. Пахомов, II, 619.

[29] თ. ლომოური, ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა, გვ. 316.

[30] იქვე, გვ. 316.

[31] თ. ლომოური, დასახ. ნაშრომი, გვ. 301. ბიზანტიური მონეტების გავრცელების შესახებ იხ. თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ., 1966.

[32] თ. ლომოური, იქვე, გვ. 295.

[33] დ. კაპანაძე, ზარაფხანათა და მონეტების გამომშვები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XXIII, № 4, 1954, გვ. 511.

მასალების შესახებ შემდეგ გვექნება საუბარი, აქ კი ზოგიერთი სხვა მონაცემის აღნიშვნა იქნება საჭირო.

საქართველოდან გატანილი ნაწარმიდან უპირველეს ყოვლისა ქსოვილები შეიძლება დავასახელოთ. XII—XIII სს. ცნობილი ავტორის იაკუთის ცნობით, დმანისიდან აბრეშუმი გააქვთო.[34] მისივე სიტყვებით, აბრეშუმი გაჰქონდათ ყარსიდანაც.[35] ციხე ვანი, რომელიც ხლათსა და თბილისს შორის მდებარეობდა, იმავე ავტორის გადმოცემით, ნოხებით ყოფილა განთქმული.[36]

თბილისი საქალაქო მეურნეობის ყველაზე განთქმული ცენტრი იყო საქართველოში. იგი ჯერ კიდევ X საუკუნეში ვაჭრობისა და ხელოსნობის ერთ-ერთი დაწინაურებული პუნქტია მთელს აღმოსავლეთში. საქართველოს გაერთიანების და ერთიანი მონარქიის ძლიერების პირობებში თბილისი არნახულ განვითარებას განიცდის. ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თბილისის შესახებ არსებულ ცნობებს, რომლებიც დაცულია XIII საუკუნის დამდეგის სპარსულ გეოგრაფიულ თხზულებაში „აჯაიბ ად-დუნიაში" (სამყაროს საკვირველებანი).[37] თბილისის შესახებ ცნობები ბევრ არაბ და სპარსელ ავტორს შემოუნახავს, მაგრამ ისინი თითქმის ერთიდაიმავეს იმეორებენ, რომ, მაგალითად, თბილისი მტკვრის ორივე ნაპირზე გაშენებული ქალაქია და სადაც ცხელი აბანოებია, რომ მდინარეზე წისქვილებია და სიიაფეა და სხვა და სხვა (მუკადდასი, იბნ-ჰაუკალი, ჰამადანელი, იაკუთი და სხვ.). „აჯაიბ ად-დუნია" განსხვავებულ ცნობებს შეიცავს და შეიძლება ითქვას სრულიად ახალსაც, რასაც სხვაგან ვერ ვხვდებით, განსაკუთრებით იმ საკითხების კვლევისათვის, რომელიც ამჟამად გვჭირდება.

თბილისის აღწერისას თხზულების ავტორს სურს გაგვაცნოს ქალაქი არა მარტო მისი გეოგრაფიული მდებარეობით, არამედ ცდილობს მოგვითხროს ყველაფერი, რაც იცის მის შესახებ. ზოგი რამ მის მიერ აღწერილი, ჩვენთვის უკვე ნაცნობი იყო სხვა ავტორებისაგან, და ჩანს ისიც კარგად იცნობდა მის წინამორბედებს. იგი წერს: „თბილისი დიდი, გამაგრებული ქალაქია, რომელიც მდებარეობს ძნელად მისასვლელ ხეობაში. მდინარეზე, რომელიც ქალაქს შუაში ჩამოუდის, აუგიათ დიდი, ერთმალიანი ხიდი. ხიდის გვერდით მოუწყიათ ბევრი საბაზრო ადგილი. ქალაქის მოპირდაპირე მხარეს კარგად გამაგრებული ციხეა. ციხეშია განლაგებული მეფეთა სასახლეები და ბევრი სათვალთვალო კოშკი. მდინარე ჩამოუდის ციხეს ახლოსვე, ისე რომ ყველაფერი, რასაც ჰყრიან მომცრო კარებებიდან, ცვივდება მდინარეში".

მას, ისევე როგორც მისი დროის თუ წინამორბედ არაბ და სპარს ავტორებს არანი გეოგრაფიულ ცნებად აქვს მიღებული, ამიტომ თბილისს იგი არანს უკავშირებს. მას თბილისის ღირსშესანიშნაობებიდან აღწერილი აქვს აბანოები, სადაც ფასს არ იხდიან, ასევე წისქვილები.

---

[34] იაკუთი, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 585.

[35] იაკუთი, დასახ. ნაშრომი, IV, გვ. 57.

[36] იაკუთი, დასახ. ნაშრომი, IV, გვ. 895.

[37] Н. Д. Миклухо-Маклай, Географическое сочинение XIII в. на персидском языке (Уч. записки ин-та Востоковедения АН СССР, IX, 1954). რ. კიკნაძე, არაბული და სპარსული ისტორიული წყაროები XI—XIII სს. თბილისის შესახებ, «ცისკარი», 1958, № 10; მ. ისიკვე, XI—XIII სს. თბილისის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვეთი I, 1960.

ნაშრომის ავტორი, როგორც ისლამის მოძღვრების მიმდევარი, არ ივიწყებს რელიგიურ ამბებსაც. „თბილისი მუსლიმებს ეკუთვნოდაო, — წერს იგი, — დღეს უკვე 110 წელია რაც იგი ქართველებმა დაიპყრეს. მისი მოსახლეობა მუსლიმურია, თავგამოდებული ერთმორწმუნე რელიგიაში და მეგობრული უცხოელებთან. ბევრია მეჩეთი და სალოცავად მოუწოდებენ კარგად". აქ ჩვენი ავტორი, ჩანს, ცოტა აზვიადებს, თითქოს ქალაქის მთელი მოსახლეობა ისლამის რელიგიის მაღიარებელი იყოს. იგი იქვე წერს, რომ „ქალები ატარებენ ქუდებს, სხედან დუქნების წინ და არ იფარავენ სახეს, მუსლიმების გარდა".

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ადგილი, სადაც თბილურ საქონელზეა ლაპარაკი. ასეთი ცნობები სხვა ავტორებთან არ მოიპოვება. ანონიმურ თხზულებაში ვკითხულობთ: „იქაური (თბილური) საქონელია: უნაგირები, ლაგმები, კაპარჭები, ხილიფები (მშვილდის ჩასადები) შემკული სპილოს ძვლით, თაფლი, მოხატული ტკბილეული, ცვილი, უამრავი ბრონეული, თახვი, წყლის ძაღლი, მონები, მონა-ქალები, მინა, ფიალები, კარგი ბროლის ნაწარმი".

ჩამოთვლილი საქონელი მთლიანად საბაზრო პროდუქციაა, რომელიც ასევე გაჰქონდათ უცხო ქვეყნებშიაც აქაურ თუ უცხო ვაჭრებს. აქ აღწერილი საგნები, როგორც პირველი მოხმარებისა, ისე ფუფუნებისა, უდაოდ მიუთითებს თბილური მრავალმხრივი წარმოების მასშტაბებზე.

კვების პროდუქტების საოცარი სიიაფე ბევრ სხვა ავტორსაც აქვს შენიშნული. ტკბილეულის სიუხვე და მისი განსაკუთრებული ხაზგასმა გასაკვირი არ უნდა იყოს. ის აღმოსავლეთის ქალაქების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

სამრეწველო საქონლიდან ჩვენი ავტორი საბრძოლო, ასევე საოჯახო ნივთებზე ამახვილებს ყურადღებას. უნაგირების, კაპარჭების და ხილიფების წარმოება უპირველესად ყოველისა ტყავის დამუშავებასთან იყო დაკავშირებული. ეს ხელობა საქართველოში ძველი დროიდანაა ცნობილი. წერილობით დადასტურებას ვხვდებით უკვე VI საუკუნისათვის მცხეთაში („ევსტათი მცხეთელის მარტვილობის" მიხედვით). საქართველოს ეკონომიკაში ერთ-ერთ წამყვან დარგს მესაქონლეობა შეადგენდა და ამდენად არც არის გასაკვირი შესაბამისი დარგის არსებობაც. თბილისიდან ტყავის გატანაზე სხვა წყაროც მიუთითებს; 1185 წელს სალამოსვანქში გადაწერილი სომხური ხელნაწერის ანდერძი გვამცნობს, რომ ხელნაწერის ყდის მასალა თბილისიდან არის მოტანილიო: „მოიხსენეთ ძმა ჩვენი ქრისტეს მიმართ ქარასუნქი... რომელმაც ამის (ხელნაწერის) დასაკაზმი მასალა მოიტანა თბილისიდან, ხოლო რგოლი და ღილი ანისიდან".[38]

ანონიმური თხზულების ავტორი შენიშნავს: ხილიფები სპილოს ძვლით ყოფილა შემკული. ეს კი სპილოს ძვლის შემოტანის აუცილებლობას აყენებს. აქ ძნელია პირველი მომწოდებლის განსაზღვრა. როგორც რ. კიკნაძე ვარაუდობს, უპირატესობა ალბათ ინდოეთს ეკუთვნის.[39] ის უმთავრესად სპარსეთის ქალაქების მეშვეობით შემოვიდოდა. ასეთივე გზით უნდა შემოსულიყო

---

[38] ე. ს. ნ ა ლ ბ ა ნ დ ი ა ნ ი, თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში, თბ., 1959, გვ. 17.

[39] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, არაბული და სპარსული ისტორიული წყაროები XI—XIII სს. თბილისის შესახებ, «ცისკარი», 1958, № 10, გვ. 167.

ჩინური სელადონიც. მაგრამ სპილოს ძვლის მომწოდებელი მეორე კერაც შეიძლება დავუშვათ ეგვიპტეში (ნუბიიდან), რომელთანაც სავაჭრო ურთიერთობაში იყვნენ ჩაბმული ქართული ქალაქები.

მონებით ვაჭრობა, რომელიც ანონიმის ცნობით ირკვევა, სრულიად არაა მოულოდნელი. ის აღმოსავლეთის ქალაქების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო.

რაც შეეხება თახვისა და წავი—წყლის ძაღლის (მთახვი და მწავი ვახუშტის მიხედვით) წარმოებას თბილისში, ეს სრულიად ახალი ცნობაა. მართალია, წერილობით ძეგლში შემონახულია თახვზე მონადირეთა ხსენება (სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება), მაგრამ საეჭვოა, რომ ჩვენში ბეწვეულის წარმოებას ადგილობრივ ნედლეულზე გაქანება ჰქონოდა. აქ უმთავრესად შემოტანილი ნედლეულის დამუშავება უნდა ივარაუდებოდეს.

ანონიმური ავტორი თბილისურ საქონელში ჩამოთვლის ასევე მინის და ბროლის ნაწარმს. აქ ამ დროისათვის, როგორც არქეოლოგიური აღმოჩენებით დგინდება, საკუთარი წარმოებაა საგულვებელი.[40]

რაც შეეხება წყაროში აღნიშნულ ფიალებს, აქ ალბათ კერამიკულ ნაწარმზეა ლაპარაკი და თბილისური ჯამები იგულისხმება. XII—XIII საუკუნეების თბილისი კერამიკული წარმოების ძლიერი კერა იყო, რომლის პროდუქციის ნაწილიც, სავარაუდოა, საექსპორტოდ იყო გამიზნული.

მაგრამ განა მხოლოდ ზემოთ აღნიშნულით შემოიფარგლებოდა თბილური საქონელი? აქ არაფერია ნათქვამი ისეთ მნიშვნელოვან სავაჭრო ნაწარმზე, როგორიცაა აბრეშუმი და საერთოდ ქსოვილები, საბრძოლო იარაღები, ხმალხანჯალი, ოქროული და სხვა. „აჯაიბ ად-დუნიას" ავტორს ამის გამო, რა თქმა უნდა, ვერ დავემდურებით.

კიდევ ერთი ადგილი იქცევს ყურადღებას; თბილისში, ხიდის გვერდით მოწყობილია ბევრი საბაზრო ადგილით. საბაზრო ადგილი, რ. კიკნაძის განმარტებით, სავაჭრო დაწესებულებათა მთელი კომპლექსია — ბაზარი, ქარვასლები, დუქნები.[41] სწორი აზრია. ადგილი ხიდის გვერდით უნდა გულისხმობდეს მტკვრის მარჯვენა ნაპირის მონაკვეთს, ძირითადად იქ, სადაც შემდეგ ქარვასლა იდგა, და ციხის მოედანს (თათრის მოედანი). აი, აქ იქნებოდა თავმოყრილი ქალაქის ყველა მნიშვნელოვანი სავაჭრო თუ სახელოსნო დაწესებულება. საერთოდ, როგორც ცნობილია, სახელოსნო წარმოების ადგილებზე ვაჭრობაც წარმოებდა, ისე რომ სახელოსნო ცენტრები, ქალაქის სხვადასხვა ადგილებში განლაგებული, თავისებურ სავაჭრო წერტებსაც წარმოადგენდნენ; ზოგი მათგანის ქალაქის შუაგულ, ბაზრის მოედანზე არსებობა შეუძლებელი იყო ხანძრის საშიშროების და მისგან მოსალოდნელი უსუფთაობის გამო და ისინი შედარებით განაპირას იქნებოდნენ მოწყობილი. მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებით თიხის ჭურჭლების გამოსაწვავი ქურები. 1948 წელს, თბილისში ბალნეოლოგიური კურორტისა და 300 არაგველის ბაღთან წარმოებული გათხრების დროს, საკმაოდ საინტერესო არქეოლოგიური კომპლექსი გამოჩნდა, რომელიც კერამიკულ სახელოსნოსთან არის დაკავშირებული; გამოსაწვავი ქურები, სახელოსნო იარაღები და მრავალფეროვანი

---

[40] გ. ლომთათიძე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში, მსკა, I, გვ. 160.

[41] რ. კიკნაძე, XI—XIII საუკუნეთა თბილისის ისტორიიდან, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკვ. I, 1960, გვ. 131.

თიხის ნაწარმი სწორედ ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს. ეჭვი არ არის, აქ ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საწარმო იყო განლაგებული.[42] ამავე დროს ირკვევა, რომ კერამიკული საწარმოს ნაშთები თავმოყრილი იყო ქალაქის დამცველი კედლის გვერდით, რომელიც თბილისს იცავდა სამხრეთიდან, რაც ზემოთ ნათქვამის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

ეკონომიური აღმავლობა — ეს ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია XII—XIII სს. ქალაქებისათვის. სამართლიანად არის შენიშნული შ. მესხიას მიერ, რომ ამ დროს საქართველოში არ მომხდარა მნიშვნელოვანი რიცხობრივი ზრდა ქალაქებისა. ამ დროს უპირატესად ხდება არსებული ქალაქების გაძლიერება და დაწინაურება.[43] ყველაფრიდან ჩანს, რომ არსებობს პირობები ქვეყნის ლაღი განვითარებისათვის. შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ და ფეოდალიზაციის პროცესის ახალმა ეტაპმა მანამდე არნახული განვითარება გამოიწვია. რომელი უმნიშვნელო ნასახლარიც არ უნდა დავზვეროთ, რომელიც განვითარებულ ფეოდალურ ხანაში ცოცხლობდა, ერთთავად თვალში გვეცემა მოჭიქული ჭურჭლების სიმრავლე. რაც არ უნდა დავაზუსტოთ ასეთი არქეოლოგიური მასალის გავრცელების ჩარჩოები, ვერსად გავექცევით ფაქტს, რომ ის სხვა უამრავ მატერიალური კულტურის ძეგლებთან ერთად საქართველოს ეკონომიკის აყვავების ბრწყინვალე სურათს გადმოსცემს. განა ამის ანარეკლი არ არის, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, რომ საქართველოში შემორჩენილი სიძველის უმეტეს ძეგლებს თამარ მეფის სახელს უკავშირებს ტრადიცია? ქართველთა, თამამად შეიძლება ითქვას, ყველაზე პოპულარული პირი ფეოდალური საქართველოს დიდებისა და ძლიერების სიმბოლო გახდა.[44]

უდავოდ აღმავლობის მანიშნებელია ფაქტი, რომ XII — XIII საუკუნეებში ხდება სოფლური დასახლებების მნიშვნელოვანი ზრდა და როგორც ამ დროის ნასოფლართა გათხრების შედეგად ჩანს, ძალიან ხშირად ძნელია გარჩევა ქალაქისა და სოფლის ნასახლარებისა. ეკონომიური დონე ორივეგან მაღალია.[45]

ასეთი დიდი აღორძინების ნაყოფია, რომ იშვებიან ახალქალაქები, ფეოდალური სოციალური გარემოს შესანიშნავი ამსახველნი. არ არსებობდა დარგი, რომ ამ დროს მაღალ დონეზე არ ასულიყო: სოფლის მეურნეობა განვითარებული ირიგაციით და სახვნელი იარაღებით, საქალაქო მეურნეობა მრავალრიცხოვანი ხელოსნობით, მეცნიერება, ფილოსოფია, ხელოვნება. მწერლობა და სხ. შემთხვევითი არ არის, რომ უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ ამ დროსაა შექმნილი. ამ ხანაში მოღვაწეობდნენ ბეშქენ და ბექა ოპიზარები, ჩახრუხაძე, არსენ იყალთოელი, შავთელი, იოანე პეტრიწი და სხ. იქმნებოდა დიდებული ტაძრები ბეთანიისა, გელათისა, იკორთისა, ბერთუბნისა, გეგუთის სამეფო სასახლე და სხვა მრავალი.

---

[42] ო. ჯაფარიძე, «განჯისკარის» 1948 წლის არქეოლოგიური გათხრის ანგარიში, მსკა, I; გ. ლომთათიძე, დასახ. ანგარიში.

[43] Ш. Месхиа, Города..., стр. 46.

[44] ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, I, 1964, გვ. 420.

[45] ი. გძელიშვილი, თეთრი წყაროს რაიონის ნასოფლარები, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 5, 1954; მისივე, არქეოლოგიური გათხრა ნაჭივჭავებში (თეთრი წყაროს რაიონი) 1954 წელს, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. XVII, № 1, 1956.

მაღალი ეკონომიური დონე ჩანდა ყველაფერში, ეკლესია-სასახლეების შენებაში, ქალაქთა მოწყობაში, ოქრომჭედლობის ნიმუშებში, ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ ნივთიერ კულტურაში და სხვ. ამავე მიზეზით შესაძლებელია აიხსნას ზოგი სხვა მოვლენაც, რომელიც რელიგიური დოგმატიკით იხსნებოდა. მხედველობაში გვაქვს XII—XIII საუკუნეების სამაროვანთა მოწყობის ერთი მნიშვნელოვანი მხარე. ფეოდალური ხანის სამარხებში ნივთების ნელ-ნელა და შემდეგ კი ერთბაშად გაქრობა ქრისტიანობის გავლენის ნაყოფად არის მიჩნეული. რელიგია კრძალავდა სამარხებში ნივთების ჩატანებას. „ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა, სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის, და სადა მპარავთა დათხრიან და განიპარიან“ (მათე 6/19). ასეთი ავტორიტეტული მოწოდება უყურადღებოდ არ დარჩებოდა, განსაკუთრებით ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში, შემდეგ კი, ეკონომიური შესაძლებლობების ზრდით სურათი მკვეთრად იცვლება. შუაფეოდალური ხანის სამაროვნები შესწავლილი არ არის. მხოლოდ რუსთავშია გათხრილი ნაწილი ამ დროის სამაროვნისა, რომლის მიხედვითაც შეიძლება ზოგადი სურათი წარმოვიდგინოთ.[46] განხილული პერიოდის რუსთავის სამაროვანზე გათხრილია ორმოსამარხები, ქვაყუთები, რომლებზედაც ქართული წარწერების ფრაგმენტები იყო შემორჩენილი.

რუსთავის სამაროვნის სამარხეული მასალა, შეიძლება ითქვას, მრავალფეროვანია; სამკაულები, საბრძოლო და სამეურნეო იარაღები, ასევე მინის და კერამიკული ნაწარმი, მიგვანიშნებს არა შემთხვევით, ერთეულ სამარხეულ ინვენტარზე, არამედ მასობრივი დაკრძალვის ადგილზე, სადაც სამარხთა გარკვეული ნაწილი მრავალრიცხოვანი ნივთების შემცველია. ჩნდებოდა, რა თქმა უნდა. სამარხები ნივთების გარეშეც. ეს კარგად მიუთითებს ქონებრივ უთანასწორობაზე. ამასთანავე ერთად ქართულ-წარწერიანი საფლავის ქვები და სამაროვნის განლაგება ქრისტიანული ტაძრის მახლობლად გვაფიქრებინებს აქ ქართველთა სასაფლაოს არსებობას.

განსხვავებით ადრეფეოდალური ხანის სამარხებისაგან (VI — VIII ს.ს.), სადაც სამარხეული მასალა მხოლოდ ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთებითაა წარმოდგენილი, რუსთავის სამაროვანზე მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა გვხვდება. ზოგი მათგანი, შეიძლება ითქვას, მდიდრულიცაა. ყველაფერი ეს ქვეყნის მაღალი ეკონომიური დონით არის ასახსნელი.

სამარხეული ნივთიერი მასალით შესაძლებელია ქალაქის მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენები წარმოვიდგინოთ; რადგან ეჭვს გარეშეა, რომ მიცვალებულებს სამარხში ატანდნენ იმ ნივთებს, რომლებთანაც თავისი სპეციალობის მიხედვით იყვნენ დაკავშირებული სიცოცხლეში, ამიტომ ხსენებული მასალებით ვცადეთ ზოგი მათგანის სპეციალობა განგვესაზღვრა. მდიდრული სამარხის პატრონი, სადაც მრავალფეროვანი ნივთები იყო დადასტურებული, შეიძლება ქალაქის შეძლებული ფენის წარმომადგენელი, დავუშ-

[46] განვითარებული ფეოდალური ხანის სამაროვანს სწავლობს ასევე დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციაც. ექსპედიციის წევრთა წინასწარული ანგარიშების მიხედვით ჩანს აქაც ნივთების შემცველ სამარხებთან უნდა გვქონდეს საქმე (ვ. ართილაყვა). ასეთივე სურათი გამოჩნდა იერის ხეობის სიონის გათხრების შედეგადაც. რ. რამიშვილის გადმოცემით სამარხების დიდი ნაწილი ნივთებიანია. ზოგი მათგანი მდიდრულიცაა. სამკაულებთან ერთად დადასტურებულია თიხის, მინის, ასევე ლითონის ნაწარმი.

ვათ ვაჭარი ყოფილიყო. ერთ-ერთ სამარხში აღმოჩენილი დიდი რაოდენობით მოზრდილი ლურსმნების მიხედვით აქ მჭედელი ან ნალბანდი უნდა ყოფილიყო დაკრძალული. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ გარემოებას, რომ სამარხებში სამეურნეო ნივთებთან ერთად გვხვდება საბრძოლო იარაღებიც. ეს შეიძლება მიუთითებდეს, რომ ქალაქის მცხოვრებთა ერთი ნაწილი, რომელიც მიწის მეურნეობას ეწეოდა, მეომრადაც გვევლინება.[47] ეს ფაქტი წერილობითი წყაროების მიხედვით კარგადაა დამოწმებული ირანის ქალაქების მცხოვრებთა მიმართ.[48]

რუსთავის სამაროვნის ერთ-ერთ სამარხში კონცენტრული წრეებით შემკული ძვლის თხელი ფირფიტები იყო დამოწმებული. სამარხი ქალისაა, რომელიც დაკრძალული იყო ჩვილ ბავშვთან ერთად. ასეთი ძვლის ნივთები კარგად არის ცნობილი ფეოდალური ხანის სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებში (დმანისი, ანისი, დვინი და სხ.) და გამოიყენებოდა ქსოვის დროს. სამარხი, შესაძლებელია, ფეიქარ ქალს ჰკუთვნებოდა. საერთოდ, საფეიქრო საქმე ქალის საქმედ იყო მიჩნეული ფეოდალურ ხანაში. შ. რუსთაველიც ხომ შენიშნავს „დიაცი ქსლისა მბეჭველიო".

განვითარებული ფეოდალური ხანის ქალაქების მოსახლეობის მწარმოებელი ფენის ასეთი „სპეციალიზება" მოულოდნელი არ უნდა იყოს. მოთხოვნილება ხელოსნურ ნაწარმზე ცხოვრების დონის ამაღლებით ძლიერ იზრდება, რაც იწვევს მეტი მუშახელის ჩაბმას წარმოებაში. თუ შევეცდებით წარმოვიდგინოთ რომელიმე საწარმოს მომსახურე სპეციალისტები და მუშახელი, ძნელი არ იქნება მიხვედრა, რომ საკმაოდ დიდი რაოდენობის ხელოსნები იქნებოდნენ დასაქმებული. თბილისის კერამიკულ საწარმოს, რომელიც ორთაჭალაში ძველი ქალაქის განაპირას გაითხარა, ასევე ფოლადაურის მადნის გამოსადნობ და ლითონის დასამუშავებელ სახელოსნოებს მრავალრიცხოვანი მომხმარე პერსონალი და სპეციალისტი სჭირდებოდა. აქედან გამომდინარე, ისმება კითხვა — არსებობდა ამქრული საზოგადოებანი, თუ წარმოებას შინამრეწველური ხასიათი ჰქონდა? დიდი რაოდენობით სასაქონლო პროდუქციის დამზადება (განსაკუთრებით ქსოვილების), საფიქრებელია, უნდა გულისხმობდეს რაღაც გაერთიანებებს, გარკვეული მოვალეობა-უფლებებით შეკავშირებული ჯგუფების არსებობას, განსაზღვრული ცალკეული სპეციალობის მიხედვით. ქსოვას რომ ყველა დიასახლისი მისდევდა, ამას მტკიცება არ უნდა, მაგრამ რომ ის სპეციალისტ მქსოველად ქცეულიყო, სასაქონლო პროდუქტის შემქმნელად, მისი საქმიანობის შინამრეწველური ხასიათი დამაკმაყოფილებელი ვერ იქნებოდა. როდესაც წყაროებში საქართველოდან აბრეშუმის გატანაზეა ლაპარაკი ვფიქრობთ, აქ ზედმეტია შინამრეწველობაზე ფიქრი. ეს უფრო შრომის ორგანიზებულ სახეზე და, შესაძლებელია, დაქირავებულ შრომაზედაც კი მიუთითებდეს. რა თქმა უნდა, საამისო საბუთები ნაკლებად ჩანს, მაგრამ მაინც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მაღალი ეკონომიური დონე, საქალაქო მეურნეობის დარგების არნახული განვითარება, სასაქონლო პროდუქციის შექმნა, წარმოების ახალი, ფეოდალურისაგან განსხვავებული სახის დაფუძნების წინამავალი ფორმებია. XII—XIII საუკუ-

---

[47] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 146—147.

[48] Н. Пигулевская, К вопросу о городах Ирана в раннем средневековье, Советское Востоковедение, 6, 1955.

**ნეებში საქალაქო მეურნეობა განვითარების უმაღლეს საფეხურზეა ასული. საქალაქო ცხოვრება, შესაბამისი იდეურ-პოლიტიკური თუ კულტურული ნიშნებით ფეოდალური ურთიერთობის ზრდის დასასრულს მოასწავებდა.** შემდგომი განვითარება, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავდა, შეიძლებოდა მომხდარიყო მხოლოდ ახალი, ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩასახვის ნიშნით.[49] და ეს ნიშნები აშკარად ჩანდა საქართველოში და მისი განხორციელების ყველა პირობაც არსებობდა. განვითარების კანონზომიერი და ისტორიული ეტაპი სულ მალე დადგებოდა, რომ მას ერთი მთავარი პირობა არ მოსპობოდა: XIII საუკუნის 30-იანი წლებიდან თავსდამტყდარმა მომთაბარეთა გაუთავებელმა თარეშმა ქვეყანა დააუძლურა და ახალი ნაბიჯების გადადგმაც რამდენიმე საუკუნით შეაფერხა. ისტორიული განვითარების ახალი სოციალურ-ეკონომიური ეტაპის განხორციელებისათვის აღმოსავლეთი ამიერიდან უკვე ვეღარ გამოდგებოდა. მან თავისი ამომავალი დასავლეთში ჰპოვა. საქართველო ჩამოშორდა ბრწყინვალე ასპარეზს. მხოლოდ და მხოლოდ აღებული ხანის სიძლიერემ შეაძლებინა საქართველოს თითქმის ხუთსაუკუნიანი შეფერხების, რბევა-აოხრების და დაცემის მიუხედავად შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული სახე.

## 2. XI — XIII საუკუნეების ქალაქების სავაჭრო და სასაქონლო წარმოება

არაერთგზის იყო აღნიშნული, რომ XI—XIII საუკუნეების ქართული ფეოდალური ქალაქები სავაჭრო და სახელოსნო ცენტრებად არიან ქცეული. ვაჭრობის საგანს მრავალფეროვანი და იაფი სასურსათო პროდუქტების გარდა, როგორც წერილობითი ცნობებიდან ვტყობილობთ, შეადგენდა სახელოსნო პროდუქცია. სამწუხაროდ, არქეოლოგისათვის სასაქონლო ვაჭრობის ძირითადი სახეების კვლევა თითქმის შეუძლებელია ნივთიერი დასაბუთების არარსებობის გამო და აქ იგი იძულებულია წყაროთა მონაცემებს დაეყრდნოს; აბრეშუმის ქსოვილის წარმოება და გატანა ქართველ ვაჭართა ძირითადი საქმიანობა ყოფილა. არქეოლოგიაში ასეთი ნაზი ქსოვილის დადასტურება კი თითქმის შეუძლებელია. აბრეშუმის წარმოების ცენტრები საქართველოში მრავლად იყო. სხვათაშორის, ასეთი ნიშნების მიკვლევა არც არქეოლოგიაშია გამორიცხული და შეიძლება ახალი ცენტრებიც გამოჩნდეს. მაგალითად, რუსთავის XII—XIII საუკუნეების სამარხების გათხრების შედეგად აღმოჩნდა ძლიერ ნაზი ქსოვილის მცირე ანაბეჭდები სამკაულზე, რაც ვარაუდით აბრეშუმის უნდა იყოს. წერილობითი ცნობა გვიან შუასაუკუნეების რუსთავში აბრეშუმის წარმოების შესახებ არ გამორიცხავს ასეთ შესაძლებლობებს უფრო ადრეც.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით წარმოების, ვაჭრობის თუ სასაქონლო პროდუქციის დამზადების გასარკვევად, ყველაზე კარგ მასალებს იძლევა კერამიკა. IX საუკუნის მეორე ნახევრიდან და განსაკუთრებით კი X—XIII საუკუნეებში თიხის ჭურჭლის წარმოება დიდ წარმატებებს აღწევს.

[49] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის (წერილი პირველი), „მნათობი“, 1954, № 6, გვ. 125.

თიხისაგან ამზადებენ საოჯახო დანიშნულების თუ ფუფუნების ნივთებს, ბავშვის პატარა სათამაშოებიდან დაწყებული და დიდი ზომის ქვევრებით გათავებული, აგურიდან და კრამიტიდან ვიდრე ოქროს ვარაყით გაწყობილ თხელკედლიან ლარნაკებამდე. ასეთმა გაზრდილმა მოთხოვნილებამ და დიდმა ტექნიკურმა შესაძლებლობებმა უდიდესი წინსვლა მოახდინა თიხის ჭურჭლის წარმოების ტექნოლოგიაში.

განსაკუთრებით დიდ შედეგებს მიაღწია მოჭიქული ჭურჭლის წარმოებამ. დღეს არქეოლოგიური გათხრების მიხედვით კარგადაა ცნობილი, რომ საქართველოს ამ დროს ძლიერი ადგილობრივი წარმოება ჰქონდა. თბილისში. ბალნეოლოგიური კურორტის მახლობლად ჩატარებული გათხრების შემდეგ ნათელი შეიქმნა, რომ აქ XII—XIII საუკუნეებში თიხის ჭურჭლის წარმოების მძლავრი კერა იყო განლაგებული. თუ მანამდე კერამიკული საწარმოების შესახებ მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა იყო შესაძლებელი, თბილისის გათხრებისას აღმოჩენილმა ჭურჭლის გამოსაწვავი ქურების დადასტურებამ მკვიდრი საფუძველი მოგვცა ადგილობრივი წარმოების შესახებ.[50] მაგრამ აღნიშნული გარემოება სრულიადაც არ ამტკიცებს, რომ თითქოს თბილისს მხოლოდ ერთი ცენტრი ჰქვებავდა თიხის ნაწარმით. ასეთ ხალხმრავალსა და მნიშვნელოვან ქალაქს, რა თქმა უნდა, ერთი კერა ვერ გასწვდებოდა. ქალაქის მეორე, ასევე მნიშვნელოვანი საწარმოო უბანი, როგორც არქეოლოგიური გათხრით გამოირკვა, უნდა არსებულიყო ანჩისხატის ეკლესიის მიდამოებში.[51]

თიხის ჭურჭლის წარმოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერას წარმოადგენდა დმანისი. მრავალწლიანი არქეოლოგიური კვლევა-ძიების შემდეგ, აქაც გამოჩნდა წარმოების უშუალო კვალი, რითაც დადასტურდა და გამართლდა ადრე გამოთქმული ვარაუდი დმანისის საკუთარი კერამიკული წარმოების შესახებ.[52] „დმანისის ამ ჯურის კერამიკა ადგილობრივვე იწარმოებოდაო“, წერდა კარგა ხნით ადრე ნაქალაქარის პირველი გამთხრელი.[53]

საკუთარი კერამიკული წარმოება ჰქონია რუსთავსაც. რუსთავის ციხეზე, ზედაპირულ ანაკრებ მასალაში გამოირჩევა ე. წ. ნახევარფაბრიკატები. ანგობირებული და ამოკაწრული ჯამის ნატეხები. ცხადია, აღნიშნული ნატეხები აქვე მახლობლად არსებულ რომელიღაც საწარმოზე მიუთითებს.[54] რა თქმა უნდა, ისეთ ძლიერსა და მნიშვნელოვან ქალაქს, როგორიც რუსთავია, საკუთარი კერამიკული წარმოება რომ ჰქონოდა არც უნდა იყოს გასაკვირი.

ასეთივე ნიშნებით (ნახევარფაბრიკატები) კერამიკული წარმოების არსებობა შესაძლებელია ვივარაუდოთ უჯარმაშიაც.[55] ვ. ჯაფარიძის დაკვირვებით თიხის ნაწარმი მზადდებოდა ასევე იყალთოში, ძველ ანაგასა და გუდარეხში.[56] სულ, დღეს, ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მონაცემების

---

[50] გ. ლომთათიძე, დასახ. ანგარიში.

[51] ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები. თბ., 1961. გვ. 28, 29.

[52] ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ დმანისის არქეოლოგიური გათხრა, საქართველოს სახ. მუზეუმის XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი, თბ., 1966.

[53] ლ. მუსხელიშვილი, დმანისი...., გვ. 444.

[54] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 136.

[55] ლ. ჭილაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134—135.

[56] ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა (XI—XIII სს.), თბ., 1956, გვ. 40.

მიხედვით ათამდე საწარმოო ცენტრი შეიძლება წარმოვიდგინოთ. რამდენიმე ასეთი პუნქტი სანიშნებელია დასავლეთ საქართველოშიც (სოხუმი, ოჩამჩირე, ზუგდიდი, ცაგერი).[57]

ისტორიაში, მის ცალკეულ ეტაპებზე, ხშირად ხდება ხოლმე, რომ ესა თუ ის პერიოდი გვევლინება რაღაც სიახლის შემქმნელად, რითაც ის გამორჩეული ხდება. აღმოსავლეთის კულტურულმა ერებმა ბევრი მსგავსი საფეხური გაიარეს. ასეთი აღმოჩენები, ძალიან ხშირად, იმდროინდელ თითქმის მთელ ცივილიზებულ სამყაროს ედება და ეპოქის განმსაზღვრელადაც იქცევა. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანის აღმოსავლეთმა კაცობრიობას მისცა მოხატული კერამიკა, ბრინჯაოს ხანა აღმოსავლეთში ცნობილი გახდა ლურისტანის ბრინჯაოთი და კოლხურ-იბერული ლითონის ხელოვნებით, ბერძნულ-რომაულმა სამყარომ ბევრი ბრწყინვალე ფურცელი გადაშალა ლაკიანი კერამიკის, სკულპტურის, არქიტექტურის და საერთოდ ხელოვნების თითქმის ყველა დარგში. სასანური ირანი მსოფლიომ გაიცნო მისი ლითონის ჭურჭლის ხელოვნებით. თამამად შეიძლება ითქვას, რომ IX—XIII საუკუნეების აღმოსავლეთის კულტურის ყველაზე დიდი ნაკადი მსოფლიოს მოედო თავისი ბრწყინვალე მოჭიქული კერამიკით. ამ უკანასკნელმა XII—XIII საუკუნეებში განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია.

კერამიკის მკვლევარმა არქეოლოგმა თუ ხელოვნებათმცოდნემ რიგაირი კლასიფიკაციის ნორმაც არ უნდა მიიღოს საფუძვლად ხსენებული პერიოდის თიხის ნაწარმისათვის (ტექნოლოგია, ფორმები, სტილი, მხატვრული შემკობა და სხვ.). ვერსად გაექცევა მთელი აღმოსავლეთისათვის (და არა მხოლოდ აღმოსავლეთისათვის) კარგად ნაცნობ ორ დიდ ჯგუფს: მოჭიქულს და სადა, მოუჭიქავს, მოჭიქული თიხის ნაწარმის დიდად გავრცელებულობის გამო.

ჭიქურის აღმოჩენა, რა თქმა უნდა, შუასაუკუნეების ნაყოფი არ არის. მას გაცილებით ადრე მიაგნეს. ეგვიპტესა და შუამდინარეთში ძვ. წ. V—IV და II ათასწლეულში, ასევე ჩვენშიც II და I ათასწლეულების მიჯნაზე და ე. წ. ვანის ეპოქაში იცოდნენ თხელი მინისებური მასის გამოყენება ჭურჭელთა ზედაპირის დასაფარავად, მაგრამ შემკობის ამ ხერხს ძველ დროში დიდი განვითარებისათვის არ მიუღწევია. შედარებით მრავალრიცხოვანია, მაგრამ არა მრავალფეროვანი მოჭიქული კერამიკა ახ. წ. პირველ საუკუნეებში, მაგალითისათვის დურა-ევროპოსის არქეოლოგიური მონაცემების გახსენებაც კმარა[58]. ამ დროის რამდენიმე ნიმუში ჩვენშიაცაა აღმოჩენილი (არმაზისხევი, ურბნისი).[59] პირველი საუკუნეების მოჭიქული კერამიკა შედარებით მრავლად არის წარმოდგენილი კახეთში (ყოლოთო)[60]. მიუხედავად იმისა, რომ თიხის ნაწარმის ფერადი ჭიქურით შემკობის ხერხები უძველესი დროიდან იცოდა ადამიანმა, მას, როგორც ვარაუდობენ, უფრო ორნამენტული ტენდენციები ჰქონდა, ვიდრე პრაქტიკული.[61]

აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევჩერდეთ ქართული მოჭიქული კერამიკის ქრონოლოგიის საკითხებზე, რაც კარგა ხნის განმავლობაში სადავოდ

---

[57] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

[58] N. P. T o l l, The Excavation at Dura-Eurcpos, I.

[59] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ა. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, მცხეთა, I, ტაბ. XI; ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, სურ. 31.

[60] მ. ს ი ნ ა უ რ ი ძ ე, ყოლოთოს სამაროვანი (ხელნაწერი).

[61] A. L a n e, Islamic Pottery, London, 1956, p. 10.

არის გამხდარი. ეს საკითხი ქართული ფეოდალური ქალაქების განვითარებასთან და საქალაქო მეურნეობის აღორძინების გაგებასთან არის დაკავშირებული და ამდენად ის პრინციპულად მიგვაჩნია. საქმე შემდეგშია; აზერბაიჯანში და სომხეთში არცთუ მრავალრიცხოვან არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით და, რაც მთავარია, უმეტესწილად არეული ფენებიდან მომდინარე ძეგლებით, გამოყვეს მოჭიქული კერამიკის წარმოების ცალკეული საფეხურები, სადაც მრავალფერი მოჭიქული კერამიკის მასიური წარმოება დათარიღებულია VIII საუკუნიდან. ჭიქურის გამოყენების სხვა ხერხები, როგორც ფიქრობდნენ, მანამდე ყოფილა ცნობილი.[62] ასეთი ვითარების შემდეგ თავისებურ მიდგომას და გადასინჯვას მოითხოვდა საქართველოში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკაც, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოები წინასწარულ ანგარიშში დმანისის კერამიკის მიხედვით X—XIII საუკუნეებით იყო განსაზღვრული ლ. მუსხელიშვილის მიერ.[63] რამდენადაც დმანური კერამიკა შეესაბამებოდა გუდარეხში, თბილისში და რუსთავში აღმოჩენილს, ამდენად ასეთი თარიღი მიღებულ იქნა საერთოდ საქართველოში აღმოჩენილი მსგავსი ნაწარმისათვის.[64] საყურადღებოა, რომ ყველა, ზემოთ ჩამოთვლილი ძეგლის თარიღი განსაზღვრულია თანმხლები მონეტების მიხედვით: თბილისის არქეოლოგიური მასალები, მათ შორის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურებიც კარგად თარიღდება მონეტებით XI—XIII საუკუნეებით.[65] გუდარეხის კომპლექსიც ასევე XII—XIII საუკუნეებით განისაზღვრება.[66] რაც შეეხება დმანისს, აქ შესაძლებელია IX საუკუნის მეორე ნახევარზე ძველი არც იყოს გამოსარჩევი, რადგან წერილობითი ცნობის მიხედვით, ადრეც იყო ამის შესახებ საუბარი, დმანისის აღმავლობაზე მსჯელობისას, იგი ხელახლა სახლდება IX საუკუნის შუაწლებში. ყოველი შემთხვევისათვის IX საუკუნის მეორე ნახევრის ნაწარმი თუკი იგი აქ შეგვხვდება, ალბათ მცირე პროცენტს შეადგენს. დმანისი აყვავებას XI — XIII სს. აღწევს. მისი ნაწარმის უდიდესი ნაწილიც ამ დროის მონეტებითაა დათარიღებული.

თუკი სადმე შეიძლებოდა ძველი ჭიქურების გამოყოფა, ეს პირველ ყოვლისა რუსთავის განათხარის მიხედვით უნდა გაკეთებულიყო, რადგან ისტორიული წყაროებით ის ანტიკური ხანიდან მოკიდებული XIII ს. 60-იან წლებამდე უწყვეტლივ არის დასახლებული.

---

[62] В. Н. Левиатов, Керамика старой Ганджи, Баку. 1940, стр. 40; მისივე, О типах глазурованной керамики Азербайджана в VII—XV вв., Известия АН Азер. ССР, № 7, 1946.

[63] ლ. მუსხელიშვილი, დმანისი..., გვ. 444. საქართველოში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის დათარიღება ჯერ კიდევ XIX საუკ. მიწურულში სცადეს; ე. სიზოვმა, რომელმაც სოხუმში გათხრების დროს აღმოაჩინა მოჭიქული ჭურჭლის საკმაოდ დიდი რაოდენობა, რომელთა უმეტესობა კარგად უბამს მხარს თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ აღმოჩენილ მასალას, ის შუასაუკუნეებით XIII—XV სს. დაათარიღა (MAK, II, გვ. 38). თარიღის სიზუსტე მას, რა თქმა უნდა, არ მოეთხოვებოდა და არც თვით ჰქონია პრეტენზიები, თუმცა ნაწარმის ხასიათის გარკვევაში მან ბევრი საყურადღებო მომენტი შეამჩნია, უმთავრესად ხსენებული კერამიკის ქართულ თიხის ნაწარმთან გაიგივების საკითხში. ეს თარიღი იმავე სოხუმის მასალების მიხედვით XII—XIII სს. დააზუსტა დებოკმა, (De Bock) 1897 წელს. იხ. Les Poteries vernissees du Caucase et de la Crimée.

[64] ე. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40, 41.

[65] გ. ლომთათიძე, დასახ. ანგარიში, გვ. 161.

[66] ლ. მუსხელიშვილი, შ. ხიდაშელი, ე. ჯაფარიძე, გუდარეხი, 1954, გვ. 123.

რუსთავის ნაქალაქარის 1949—1951 წწ. განათხარი მასალის თარიღი. ლაპარაკია მოჭიქულ კერამიკაზე. განსაზღვრული იყო XI—XIII საუკუნეებით.[67] განვითარებული ფეოდალური ხანის ნასახლარებიდან ჩვენ ვცადეთ გამოგვეყო ერთი ფენა, რომელიც ნახანძრალის და ნგრევის აშკარა ნიშნების მიხედვით XI საუკუნის 60-იან წლებში ალფ-არსლანის შემოსევას და მის მიერ რუსთავის დანგრევას დავუკავშირეთ.[68] აღნიშნულ ფენაში წარმოდგენილი იყო მოჭიქული კერამიკის ზოგი ნაწარმიც, რომელიც ტექნოლოგიური თავისებურებებით უფრო ძველია, ვიდრე XI—XIII საუკუნეებისა.[69]

აი, ასეთ ვითარებაში, დაახლოებით ამ ათიოდე წლის წინ იწყება ქართული მხატვრული კერამიკის ქრონოლოგიის გადასინჯვა. უჯარმის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილ უამრავ მოჭიქულ ნაწარმში, რომელიც იერით ძლიერ უახლოვდება დმანურსა და თბილურს, განსაკუთრებით კი რუსთავისას, გვხვდება რამდენიმე ნიმუში, შედარებით სხვა ნაწარმისა, რომელიც გ. ლომთათიძის მიერ ადრეფეოდალური ხანის პროდუქციად იქნა მიჩნეული, უფრო სწორად, ვახტანგ გორგასალის დროისად.[70] ეს თარიღი გამეორებულია თბილისში, ერეკლე II მოედანზე ჩატარებული გათხრების შედეგაც. „ამ აღმოჩენის წყალობით, — წერდა გ. ლომთათიძე, — შესაძლო გახდა დამაჯერებლად გამოყოფა და საკმაო ზედმიწევნილობით შესწავლა-დაჯგუფება ადრეფეოდალური ხანის ქართული კერამიკისა, რომელსაც მანამდე გაცილებით ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით და ვიცნობდით, ვიდრე შუაფეოდალური ხანისას".[71] ადრეფეოდალური ხანა აქაც ძირითადად გულისხმობს გორგასალის ეპოქას. ავტორი უთითებს აქაც კვლავ უჯარმის „გორგასლისეული" ნაშენობის ნანგრევთა თხრისას გამოვლენილ ძველ ფენას.[72]

1956—57 წწ. თბილისში, ერეკლე II სახელობის ბაღში და ანჩისხატის ეკლესიის მიდამოებში თბილისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ მნიშვნელოვანი არქეოლოგიური სამუშაოები ჩაატარა. ბაღის ამ პატარა ტერიტორიაზე მრავალფენოვანი ძეგლი გამოვლინდა. განათხარი მასალა გამთხრელთა მიერ მოქცეულია საკმაოდ ვრცელ ქრონოლოგიურ ჩარჩოში V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე. ასევე თხრით მოპოვებული მოჭიქული კერამიკაც განაწილებულია ცალკეულ ჯგუფებში, რომლებიც დათარიღებულია დროის მცირე მონაკვეთებით V საუკუნიდან მოყიდებული. ზემოხსენებული გათხრების შედეგებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიიდან ჩანს, რომ არავითარი წყვეტილი მოჭიქული ჭურჭლის წარმოებაში არ ყოფილა და საქმე უნდა გვქონდეს თანდათანობითი განვითარების კანონზომიერ მოვლენასთან.[73] რაც ჩვენის აზრით საეჭვოა.

---

[67] გ. ლომთათიძე, რუსთავში წარმოებული არქეოლოგიური თხრის უმნიშვნელოვანესი შედეგები, მსკა, I. გვ. 186.

[68] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, გვ. 75.

[69] იქვე. გვ. 133.

[70] საქართველოს არქეოლოგია. გვ. 352.

[71] გ. ლომთათიძე, თბილისის არქეოლოგიური შესწავლილობა, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, V, ნაკ. I, 1960, გვ. 164.

[72] იქვე, შენიშვნა 16.

[73] ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961, გვ. 30—43.

ადრეფეოდალური ხანის მოჭიქული კერამიკა „თბილურ-უჯარმული ნიმუშების მიმსგავსებით“ ცალკეა გამოყოფილი რუსთავის ნაქალაქარის განახლებული გათხრებით მოპოვებულ მასალებში (1959 წ.)[74]. ეს მომენტი შემდეგშიც არაერთხელ იყო აღნიშნული.[75]

ასეთია ზოგადი მონაცემები საქართველოში აღმოჩენილი მოჭიქული კერამიკის ქრონოლოგიის შესახებ. რამდენადაც ქართული მოჭიქული კერამიკის მრავალფეროვანი სახეების წარმოება დაკავშირებული უნდა იყოს ქართული ფეოდალური ქალაქის საქალაქო მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგთან, ამდენად კერამიკული წარმოების აღმავლობის დროის განხილვას საკვლევი თემისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ირკვევა, რომ მოჭიქული კერამიკის ხელახალი აღორძინების და გაფურჩქვნის დრო დაკავშირებული უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებასთან, ფეოდალური ქალაქების წარმოშობასთან და საქალაქო მეურნეობის აღმავლობასთან, რის ქრონოლოგიური საწყისებიც ემთხვევა IX საუკუნეს.

XII—XIII სს. მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ზენიტია მთელს აღმოსავლეთში, რასაც ვერ ვიტყვით ადრეფეოდალურ ხანაზე. ცხადად ჩანს, რომ წყვეტილი ჭიქურის წარმოებაში რამდენიმე საუკუნოვანი არსებობდა და არა ისე, რომ თითქოს ახ. წ. პირველი საუკუნეებიდან მოყოლებული ის ჩვენი მატერიალური კულტურის ერთ-ერთი უწყვეტი თანამგზავრი იყო.

ზემოთ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ბევრი მასალაა დაგროვილი, რომელსაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. პირველ რიგში საჭიროა შევჩერდეთ ძეგლზე, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაში არსებობდა და რომლის არქეოლოგიურ მონაცემებსაც არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ. ურბნისის ნაქალაქარი 13 სეზონის განმავლობაში ითხრებოდა. უამრავი არქეოლოგიური მასალა იქნა აღმოჩენილი. ნივთიერი ძეგლებით, რომელთაც საკმაოდ გრძელი დიაპაზონი აქვთ, განსაზღვრულია ნაქალაქარის დასახლების ცალკეული პერიოდები. ქალაქი წერილობითი მონაცემებით, ასევე არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით დანგრეულია VIII საუკუნის 30-იან წლებში. ამ დროიდან მოყოლებული, ის, ქალაქების რიცხვში აღარ მოიხსენება და უბრალო დასახლებასღა წარმოადგენს. ურბნისის ნაქალაქარზე, მის განათხარ ობიექტებზე, მოჭიქული კერამიკა არა გვხვდება, გარდა მინიატურული ჭურჭლისა, რომელიც IV ს. სამარხში იყო დადასტურებული და ორი პატარა ფრაგმენტისა, რომელიც კორდოვანი ფენის მოხსნისას აღმოჩნდა. ეს მრავლისმეტყველი ფაქტია ზემოთ აღნიშნულის ეჭვს ქვეშ დასაყენებლად. მოვიშველიოთ სხვა მონაცემებიც.

მიუხედავად იმისა, რომ მცხეთა მეხუთე საუკუნიდან სთმობს პოზიციებს პოლიტიკურ ცხოვრებაში, კიდევ კარგა ხანს ინარჩუნებს მოწინავეობას

---

[74] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრა რუსთავში 1959 წელს, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1959 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, 1960, გვ. 52.

[75] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი 1961 წელს, საქართველოში 1961 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, 1962, გვ. 56; მ ი ს ი ვ ე, რუსთავის არქეოლოგიური ექსპედიციის განათხარი 1962 წელს, სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, 1963, გვ. 73.

ეკონომიურ სფეროში. არც სამთავროს სამაროვანმა და არც არმაზისხევმა V—VIII საუკუნეებში არ იცის მოჭიქული კერამიკა. შეიძლება შემოგვედავოს ვინმე, რომ ამ დროის სამაროვნები მცირე რაოდენობით იძლევიან ნივთებს. კერამიკას განსაკუთრებით. მაშინ მცხეთის ნაქალაქარის გათხრების მონაპოვარი უფრო იქნებოდა სანდო. ნაქალაქარიდან ყველაზე უკეთ სვეტიცხოვლის ტაძრის მიდამოებია გათხრილი, სადაც სწორედ კარგად არის გაშიშვლებული ადრეფეოდალური ხანის ნაგებობები. გამთხრელების ვარაუდით აქ ექვსი კულტურული ფენაა წარმოდგენილი. IV—V ფენები ადრეფეოდალური ხანისაა. საყურადღებოა, რომ არც აქ მოჭიქული ნაწარმი არა ყოფილა დადასტურებული.[76]

ანალოგიური სურათია ლოჭინის ნასოფლარის გათხრების შედეგადაც. აქ საკმაო რაოდენობით ჩანს კერამიკა (სადა, მოუჭიქავი), რომელშიც ზოგი ეგზემპლარი სანიმუშოა, თავისი ტექნოლოგიით, ფორმით, ასევე ქართული წარწერებით. ძეგლი თარიღდება IV—VI საუკუნეებით.[77] მოჭიქული კერამიკა არც აქ ყოფილა აღმოჩენილი.

რაც შეეხება უჯარმის მოჭიქულ კერამიკას, აქ მართლაც არის XI—XIII სს. ნაწარმისაგან განსხვავებული სახის მოჭიქული კერამიკა, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის ვახტანგ გორგასალის დროისაა. აქ საქმე უნდა ეხებოდეს ახალ ფორმებს, რომელთაგან ზოგს იმპორტულის ნიშნები აქვს (ამის შესახებ ქვევით იქნება აღნიშნული) და ზოგიც IX—X საუკუნისაა.

თბილისში, ერეკლე II-ის ბაღის გათხრებისას აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭლის განხილვისას, ჩვენის აზრით, პირველივე თვალშისაცემი შეუსაბამობაა, რომ მასალის დიდი ნაწილი. რომელიც ორმოებშია აღმოჩენილი, მყარი დათარიღების ნიშნადაა მიღებული. არა გვგონია ორმოები, რანაირ დელუვიურ ფენებშიც არ უნდა იყოს ამოჭრილი, ხუთი და შვიდი საუკუნის განმავლობაში არსებობდნენ და თანდათანობით კულტურულ შრეებს ჰქმნიდნენ.

ასეთი ახალი ქრონოლოგიის მიღებისათვის და დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადასაჭრელად საჭირო იყო მახლობელი აღმოსავლეთის სათანადო ცენტრების შესწავლა და მასალის გათვალისწინება.

მოჭიქული თიხის ნაწარმის ქრონოლოგიაზე საუბარი ალბათ ცალკე უფრო მიზანშეწონილი იქნება, უფრო ვრცელი საბუთიანობით; აქ მხოლოდ მოკლედ შენიშვნა იყო საჭირო, ისიც იმდენად, რამდენადაც, როგორც ადრე ითქვა, მოჭიქული კერამიკის მოზღვავება, ისევე როგორც სხვა დარგების აღმავლობა (მინის წარმოება, ოქრომჭედლობა და სხვა მრავალი) დაკავშირებულია გარეშე პოლიტიკური საფრთხის შემცირებასთან ან მოსპობასთან, ქვეყნის ეკონომიურად გაძლიერებასთან, ერთიანი მონარქიის შექმნასა და საბოლოო განმტკიცებასთან, ფეოდალური ქალაქების წარმოშობასა და

---

[76] ალ. ბოხოჩაძე, ალ. კალანდაძე, კ. ფიცხელაური, მცხეთის არქ. ექსპედიციის 1961 წლის მუშაობის შედეგებისათვის, საქართველოში 1961 წ. ჩატარებული არქ. კვლევა-ძიების შედეგები, 1962, გვ. 28—35.

[77] რ. აბრამიშვილი, ლ. ჭილაშვილი, ლოჭინის არქეოლოგიური გათხრები, მუზეუმის მოამბე, XXIII-B, 1962.

გაძლიერებასთან, ახალქალაქების გაჩენასთან და შესაბამისად საქალაქო მეურნეობის აღმავლობასთან.[78]

შეცდომა იქნება, თუ შუასაუკუნეების კერამიკის დაწინაურებას მხოლოდ მოჭიქული ნაწარმის ხარჯზე ვიგულისხმებთ. ეს უკანასკნელი, ეჭვი არ არის, მხატვრული შემკობით უფრო გამოსარჩევია, რომლის მხარდამხარაც არანაკლებ დახვეწილ და მოხდენილ სახეებს ჰქმნის მოუჭიქავი ნაწარმიც. დიდი ხნის ხარვეზის შემდეგ კვლავ აწარმოებენ თხელკედლიან ნაზ ჭურჭელს, რომელსაც ხშირად რელიეფურად ამუშავებენ, ანდა ხატავენ სხვადასხვა ფერის (უმთავრესად შავი და წითელი) საღებავებით.

როგორც არქეოლოგიური მონაცემებიდან ირკვევა, შუასაუკუნეების სასაქონლო წარმოების ერთ ნაწილს კერამიკა შეადგენდა, მოჭიქული თუ მოუჭიქავი. წარმოების ცენტრები ამარაგებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე გაჰქონდათ სხვაგანაც. ქართული ფეოდალური ქალაქები უცხოური ნაწარმის აქტიური შემსყიდველები იყვნენ. გასაკვირი არცაა, საქართველოზე ბევრი სავაჭრო გზა გადიოდა, რომლებიც ქართულ ქალაქებს აბამდნენ საერთაშორისო ვაჭრობის ორომტრიალში. ამ გზებით ძალიან ხშირად ხელოვნების ახალ-ახალი ნიმუშებიც გადიოდა და ვრცელდებოდა, ისე, რომ ესა თუ ის ფორმა და მხატვრული შემკობის ხერხი იმდენად ფესვგადგმული ჩანს სხვადასხვა ქვეყნებში, რომ ძნელია მისი წარმომავლობის გარკვევა.

ქართულ არქეოლოგიურ მასალაში არც თუ იშვიათად ვხვდებით ხოლმე იმპორტულ, არა ადგილობრივ კერამიკულ ნაწარმს, რაც უცხო ქვეყნებთან სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობაზე მიუთითებს. ასევე ძალიან ხშირად ვხვდებით უცხოურის მინაბაძებს, რაც კარგად გამოირჩევა ფორმებისა და მხატვრული შემკობის ანალიზით. ეს ორივე ჯგუფი შემოტანილისა თუ ადგილობრივი მინაბაძებისა ნაცნობია ორივე სახის კერამიკულ ნაწარმში, მოუჭიქავში, ასევე მოჭიქულში. ზედმეტი არ იქნება ზოგი მათგანის განხილვა.

იშვიათად რომ ასეთი დიდი გავრცელებისათვის მიეღწიოს რომელიმე ნაწარმს და მკვლევართა განსხვავებული შეხედულებანი დაემსახურებინოს, როგორც ე. წ. სფეროკონუსებს. ეს არის უმთავრესად მონაცრისფროდ გამომწვარი, სქელკედლიანი, ვიწროხვრელიანი, სფეროსებრი ტანისა და კონუსური ძირის პატარა ზომის ჭურჭელი, რომელიც დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი, განსაკუთრებით შუასაუკუნეების აღმოსავლეთის ქალაქების გათხრების დროს.

---

[78] მხატვრული კერამიკის ქრონოლოგიის საკითხები მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებასთან, რაც საერთო ხაზებში თითქმის ერთნაირი ჩანს ამიერკავკასიის ხალხებისათვის, ასევე მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. ამდენად საკითხის კვლევა დაკავშირებული უნდა იყოს ზოგადი სურათის კარგ ცოდნასთან და მასთან დამოკიდებული მთელი რიგი საკითხების გარკვევასთან. მხატვრული კერამიკის ქრონოლოგიის საკითხი უკვე კარგა ხანია დასმულია და მისი შესწავლა უპირატესად მიმდინარეობდა ტექნიკური პროგრესის და ტექნოლოგიური ევოლუციის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს წარმოადგენს ა. ლ. იაკობსონის «Художественная керамика Байлакана» (МИА, 67), სადაც ავტორმა სცადა ზემოთ ნათქვამი პრინციპით ქრონოლოგიის შემუშავება. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ორან-კალაში წარმოდგენილია ტექნოლოგიური და მხატვრული პროგრესის თითქმის ყველა საფეხური, მაშინ ალბათ უნდა ვაღიაროთ მიღებული თარიღიც, რომ მხატვრული მოჭიქული კერამიკის წარმოება ეითარდება სწორედ IX—X საუკუნიდან.

დიდძალი ასეთი ჭურჭელი დადასტურებულია სირიასა და პალესტინაში, ეგვიპტეში, შუა აზიაში, სპარსეთში, ყირიმში, ვოლგისპირეთში, ასევე მოსკოვში და კიევში. საქართველოში აღმოჩენილია დმანისში, თბილისში, რუსთავში, გორში, უჯარმაში, ნადარბაზევში, ვარძიაში და სხ. სომხეთში—ანისში, დვინში, ანბერდში. ეჩმიაძინში და სხ. აზერბაიჯანში—განჯაში, ორენ-კალაში, კაბალაში და სხ.

სფეროკონუსური ჭურჭელი მზადდებოდა კარგად დამუშავებული ცეცხლგამძლე მასისაგან, რომლის ზედაპირიც ხშირად ორნამენტებით, მეტწილად დაშტამპულით არის შემკული.

ზოგი მათგანი წარწერიანია, რომელშიც მოხსენებულია ხელოსნის სახელი[79] ანდა პატრონი.[80] იშვიათად მაგრამ მაინც გვხვდება სფეროკონუსების ინკრუსტაცია მოჭიქული ფაიანსის ნატეხებით. ზოგჯერ ზედაპირი ჭიქურითაა დაფარული.

საერთო ნიშნები როგორც ფორმაში, ასევე შემკობაში აღმოსავლური ელემენტის სიჭარბით ხასიათდება და ამიტომ უფლება გვაქვს საერთოდ სფეროკონუსების სამშობლოდ მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები მივიჩნიოთ. ეს სრულიადაც არ გამორიცხავს, რომ მსგავსი ნაწარმის ცენტრები შემდეგში სხვაგანაც გაჩენილიყო. მაგალითად, სომხეთში აღმოჩენილი სფეროკონუსების შესწავლის შედეგად ადგილობრივი წარმოება ივარაუდა ბ. შელკოვნიკოვმა. მანვე ასეთი მოსაზრება გამოთქვა საქართველოს მიმართაც.[81] სფეროკონუსების წარმოების ერთ-ერთი ძლიერი ცენტრი ორანკალაშიც ყოფილა, რაზედაც მიუთითებს სპეციალურად ასეთი ჭურჭლების გამოსაწვავი ქურების აღმოჩენები 1955 წელს.[82]

სფეროკონუსების დანიშნულების გასარკვევად ძალიან ბევრ ავტორს აქვს გამოთქმული ვარაუდი, რაც მთავარია, ერთი-მეორის გამომრიცხველი, ისე რომ დღესდღეობით ნათელი არ არის, თუ რომელი მათგანია მართებული. ზემოხსენებულ ავტორთაგან შეიძლება დავასახელოთ: ნ. მარი, ნ. სიჩევი, ა. არციხოვსკი, ა. ლიხაჩოვი, ზ. ვინოგრადოვი, ი. ორბელი, რ. ჯანფოლადიანი, კ. ღაფადარიანი, ბ. შელკოვნიკოვი, ვ. ჯაფარიძე, გ. კარახანიანი, გ. ახმედოვი და სხ.[83]

---

[79] Л. Т. Гюзальян, Надписи на местной керамике из Оран-кала, МИА, 67, 1959, стр. 341—349.

[80] Р. М. Джанполадян, Сфероконические сосуды из двинских раскопок, Труды Гос. ист. музея Армении, III, Ереван, 1950, стр. 6.

[81] Б. А. Шелковников, Керамика и стекло из раскопок города Двина,Труды Гос. ист. музея Армении, IV, 1952, Ереван, стр. 33.

[82] Г. М. Ахмедов, Неполивная керамика Оран-кала IX—XIII вв., МИА, 67, стр. 221.

[83] Н. Я. Марр, Ани, Книжная история города и раскопки на месте городища, стр. 36; Н. П. Сычев, К вопросу о булгарских сфероконических сосудах, КСИИМК, XIV, стр. 73; А. В. Арциховский, Введение в археологию, 1947, стр. 161; Э. К. Кверфельдт, Керамика Ближнего Востока, стр. 73; В. Л. Вяткин, Городище Афрасиаб, стр. 60; В. А. Городцов, Древние мусульманские светильники в виде сфероконических глиняных сосудов, Труды Гос. ист. музея, I, стр. 149; А. Ф. Лихачев, О загадочных сосудах сфероконической формы из Волжской Булгарии, Труды IV арх. съезда в Казани, т. I, отд. III, 1884, стр. 34-65; К. Г. Кафадарян, Город

ავტორთა ერთი ჯგუფი ფიქრობდა, რომ სფეროკონუსებს იყენებდნენ ვერცხლისწყლის შესანახად, ასევე წამლების და კეთილსურნელოვანი სითხის გადასატანად (ი. ორბელი). ეს არის დღემდე ყველაზე უფრო გავრცელებული და მიღებული ვარაუდი.

ავტორთა მეორე ჯგუფის აზრით სფეროკონუსებს იყენებდნენ როგორც ყუმბარებს ალყის დროს, მაგრამ ბევრს ეს მოსაზრება საეჭვოდ მიაჩნია და ის, რომ ასეთი ჭურჭლების ნატეხები უმეტესად ქალაქის კედლებთანაა აღმოჩენილი, ახსნილია იმით, რომ სწორედ ქალაქის კედლებთან იყო ნაგვის გადასაყრელი ადგილები (ე. კვერფელდტი).

ზოგის ვარაუდით სფეროკონუსი იგივე ჰრაქია, ანდა „წმინდა წყლის" გადასატანი და შესანახი ჭურჭელი, რომელსაც ხმარობდნენ მექადან „წმიდა წყლის" „ზემ-ზემის" გადმოსატანად და რომელსაც პატარ-პატარა ყლუპებით აძლევდნენ მომაკვდავს, ისლამის მოძღვრების ჭეშმარიტ მიმდევარს.

სამწუხაროა, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, რომელსაც კი უცდია სფეროკონუსების დანიშნულების გარკვევა, აყენებს რა ახალ მოსაზრებას სათანადო საბუთიანობით, აუცილებლად ცდილობს ადრე გამოთქმული მოსაზრების დარღვევას. მაგალითად, როდესაც სცადეს მისი დანიშნულების გარკვევა, როგორც ვერცხლისწყლის შესანახი ჭურჭლისა, ამის დამტკიცება ალბათ ძნელი არ იყო და იგი საკმაოდ კარგადაც დაასაბუთეს (სქელკედლიანობა ნაწარმისა, მცირე ხვრელი, რომ იგი როგორც ადვილად აქროლადი სითხე არ ამომშრალიყო), მაგრამ არ დავიწყებიათ დაერღვიათ ადრე გამოთქმული ვარაუდი, რომ მათ ხმარობდნენ როგორც ყუმბარებს. ასეთ შემთხვევაში სრულიად ზედმეტიაო ზედაპირული შემკობა, მოჭიქვა და სხ. ესეც სწორია თავისებურად, მაგრამ რა ვუყოთ ამ ბოლო დროს სამარაში აღმოჩენილ ერთ სფეროკონუსს, რომელსაც აწერია მაღალხარისხოვანი ღვინის შესანახიაო? განა ისიც ვერცხლისწყლის შესანახი იყო, ან გამოიყენებოდა როგორც ყუმბარა?

სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია სფეროკონუსური ჭურჭლის ხმარების ერთ მნიშვნელობამდე ჩამოყვანა. განა შეუძლებელია მისი სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენება? სწორედ აქედან გამომდინარე, მისი დანიშნულება უნდა განისაზღვროს სხვადასხვა მხრივ.

1. სფეროკონუსები გამოიყენებოდა ვერცხლისწყლის, ასევე სხვა ადვილად აქროლადი და ძვირფასი სითხეების (კეთილსურნელოვანი ზეთები, წამლები) შესანახად და გადასატანად. ასეთი დანიშნულების სფეროკონუსები უმეტესად პატარა ზომისაა და შემკული აქვს ზედაპირი.

2. სფეროკონუსები გამოიყენებოდა „წმიდა წყლის" შესანახად და გადასატანად. ამიტომაა, რომ ის უპირატესად ისლამის ქვეყნებშია მოდებული, ვრცელდებოდა ასევე იქ, სადაც მაჰმადიანები ცხოვრობდნენ. ამის საილუსტრაციოდ, ვფიქრობთ, კარგ მაგალითს იძლევა საქართველოს ქალაქების გათხრები. სფეროკონუსებს ასეთი დანიშნულებით ვხვდებით უმეტესად იქ, სადაც ისლამის რელიგიის მიმდევარი მოსახლეობა იყო. მხედველობაში

---

Двин и его раскопки, стр. 276; Б. А. Шелковников, დასახ. ნაშრომი; ვ. ჯაფარიძე, ქართული კერამიკა, გვ. 20; Караханян, Неполивная орнаментированная керамика из раскопок Двина и Ани; Г. М. Ахмедов, დასახ. ნაშრომი. აქვე იხილეთ ლიტერატურის მიმოხილვაც.

გვაქვს თბილისი და დმანისი, სადაც სწორედ შერეული მოსახლეობა იყო მაჰმადიანთა დიდი ელემენტით. რუსთავში, მაგალითად, რომლის მცხოვრებთა ძირითადი მასა (თუ არა მთლიანად) ქართული იყო 1949—1951 წწ. გათხრების შედეგად მხოლოდ ორი ან სამი ნატეხია აღმოჩენილი. ასევეა უჯარმაშიც.

3. სფეროკონუსებს იყენებდნენ ყუმბარების დანიშნულებით. ისლამის ქვეყნებში, სახალიფოს ძლიერების ჟამს, კარგად იცოდნენ სატყორცნი იარაღების ხმარება, რომელშიც ნავთი ესხა და ალყის დროს ხანძრის გასაჩენად იყო გამოყენებული. საფიქრებელია, ზოგიერთი სფეროკონუსი სწორედ ასეთი დანიშნულების ყუმბარებად გამოდგებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ არაბები იმ პირებს, რომლებიც ასეთი ყუმბარებით იყვნენ შეიარაღებულნი. უწოდებდნენ نفاط მრ. نفاطين პირდაპირი თარგმანით „მენავთე“, „ნავთის მტყორცნელი“, ე. ი. თანამედროვე გაგებით არტილერისტი. ტაბარის ცნობის თანახმად 853 წელს, თბილისის ბრძოლის დროს ბუღა თურქს თურმე გაუგზავნია „არტილერისტები“ (მენავთეები“ — „ნავთის მტყორცნელები“), რომელთაც ქალაქისათვის ცეცხლი დაუშენიათ. ამის შედეგად თბილისი ცეცხლმა მოიცვაო, რადგანაც მისი შენობები ხისაგან ყოფილა ნაგები. შესაძლებელია ბუღას „არტილერისტები“ სწორედ ასეთი ყუმბარებით იყვნენ შეიარაღებულნი.

4. სფეროკონუსები გამოიყენებოდა, თუმცა უფრო იშვიათად, მაღალხარისხოვანი ღვინოების შესანახად. ასეთი ვარაუდი შესაძლებელია დავუშვათ ერთ-ერთ სფეროკონუსზე მოთავსებული წარწერის მიხედვით.[84] სფეროკონუსები მსგავსი დანიშნულებით შედარებით დიდი ზომისა უნდა იყოს.

ადრე ითქვა და შეიძლება აქაც გავიმეოროთ, რომ ზემოთ აღნიშნული სფეროკონუსები, მიუხედავად მათი დანიშნულების რაგვარობისა, აღმოსავლური ნაწარმია, რომელმაც თავისი მოხდენილი, პრაქტიკული ფორმებისა და მასთან შეხამებული დანიშნულების გამო, მალე შესძლო გავრცელებულიყო დიდ ტერიტორიაზე. საქართველო, მსგავსად ბევრი სხვა ქვეყნისა, მისი გავრცელების არეში მოხვდა, სადაც, არ არის გამორიცხული, შემდგომში საკუთარი წარმოებაც გაჩნდა. პირველი ნიმუშები, ცხადია, შემოტანილი იყო. ერთ-ერთი მათგანი, მაგალითად, რომელიც მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში ინახება. არაბული წარწერით არის შემკული. პასპორტის მიხედვით შესულია მუზეუმში ამიერკავკასიიდან, ვარაუდით საქართველოდან.

სფეროკონუსები იმპორტული ნაწარმის ერთ-ერთი პირველი ნაკადი უნდა იყოს შუასაუკუნეების აღორძინებულ საქართველოში. მას მაგრად მოუკიდია ფეხი და შესულა ყოველდღიურ ცხოვრებაში, რაზედაც მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ ამიერკავკასიაში, მხედველობაში გვაქვს ორანკალა, ჩნდება მსგავსი ჭურჭლების ადგილობრივი წარმოება სათანადო სახეცვლილებებით ჯერ კიდევ IX საუკუნეში.

როდესაც შემოტანილზე ან იმპორტულის მიმსგავსებულ ნაწარმზეა ლაპარაკი, გვერდს ვერ ავუვლით საწურიანი დოქების ერთ ჯგუფს, რომლის საუკეთესო წარმომადგენელი აღმოჩენილია თბილისში 1948 წლის გათხრების დროს. ჭურჭელი თხელკედლიანია, ღია ფერის თიხისა. ყელში გასაწური ფილტრი აქვს დატანებული, რომელიც აჟურულ ორნამენტებს გადმოსცემს.

[84] სფეროკონუსი აღმოჩენილია სამარაში, იხ. A. Lane, Early Islamic Pottery, p. 27.

დოქს ირგვლივ გვერდებზე რელიეფური წნულები შემოუყვება. მათ შორის ასევე რელიეფურად შესრულებული სპარსული წარწერაა მოთავსებული. დოქი დაზიანებულია და ასევე არასრულია წარწერაც, ორრიგად შემოვლებული (ტაბ. XI—1). წარწერიდან გასარჩევია: ზედა რიგში: برابرش دهن وا كرده „მის პირდაპირ პირდაღებული", ქვედა რიგში كرده .. كوزه.. اين „ეს ხელადა"... აწ განსვენებული ირანისტის ვ. ფუთურიძის აზრით, აქ შეიძლება იყოს ომარ ხაიამის ლექსის ნაწყვეტი. მის ლექსებში ხშირია ღვინის ჭურჭლების ხსენება.[85]

დოქი აღმოჩენილია თიხის ჭურჭლების გამოსაწვავი ქურების უბანში, აგურებით ნაგები ქურის ქვეშ, დაახლოებით 2, 40 მ-ზე. ამ ადგილზე დადასტურებული იყო სამარხი, რომელთან სიახლოვესაც იყო ნახული ეს ჭურჭელი. ო. ჯაფარიძის შენიშვნით, სამარხი, ძვლების მიხედვით, ჭაბუკისა უნდა იყოს: „კუთხეში ჭურჭელი იდო სპარსული წარწერით. ძნელია თქმა ეს ჭურჭელი საფლავში იყო ჩატანებული, თუ შემთხვევით მოხვდა აქ, ვინაიდან ფენა ძლიერ არეული იყო. ამ წარწერიანი ჭურჭლის ფრაგმენტები შეგვხვდა უფრო ღრმად"[86]. ერთი რამ ცხადია: სპარსულწარწერიანი ჭურჭელი სტრატიგრაფიულად წინ უსწრებს საწარმოს, რომლის დანგრევაც XIII საუკუნეში მომხდარა. დოქის თარიღიც XIII საუკუნემდე კარგა ხნით ადრე უნდა ვიანგარიშოთ. იგი, ჩანს შემოტანილია სპარსეთის რომელიღაც ცენტრიდან. მისი განსაზღვრა, როგორც „ირანული ელემენტისა", წარწერის მიხედვით მაინც ალბათ ეჭვს არ უნდა იწვევდეს.[87] მთავარი კი ის არის. რომ აღნიშნულმა დოქმა მოგვცა საშუალება მსგავსივე იმპორტული ნიშნები გვეპოვა სხვა ნაწარმშიაც. დამახასიათებელ ელემენტად შეიძლება მივიღოთ საწურიფილტრები, რომლებიც ერთხანს თითქმის ძირითადი ნიშანი ყოფილა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების თხელკედლიანი თიხის ნაწარმისათვის. თხელკედლიანი თიხის ჭურჭელი ხშირად შემკული წარწერებით და აჟურული საწურით ძლიერ გავრცელებულია შუასაუკუნეების ეგვიპტეში და შუამდინარეთში. ეგვიპტეში, მაგალითად, ფილტრი, ჭურჭლის ყელში, შემკული იყო ხოლმე ფაქიზი სახეებით. ფილტრი საჭირო იყო მწერებისა და ბუზებისაგან სითხის გასაწმენდად.[88]

როგორც ჩანს, პირველ ხანებში, მსგავსი ფორმის თხელკედლიანი საწურიანი დოქები შემოდის ჩვენშიც. მის გავრცელებაზე ჩვენში მიუთითებს სათანადო აღმოჩენები დმანისში, რუსთავში, თბილისში. ცოტა მოგვიანებით ასეთი ჭურჭლის წარმოება ადგილობრივაც იგულისხმება. ასეთად უნდა მივიჩნიოთ თბილისში აღმოჩენილი საწურიანი ჭურჭელი[89] (ტაბ. XI—2). საგულისხმო ფაქტია, რომ რუსთავში და თბილისში აღმოჩენილი რამდენიმე საწური ძგიდე აბსოლუტურად იდენტურია, ისე რომ მათი ერთი სახელოსნოდან მომდინარეობა თითქოს ეჭვებს არ უნდა იწვევდეს (რუსთავი № 376, 530, თბილისი—1—54 : 7; 1—54 : 124).

---

[85] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრა თბილისში 1948 წ. ზამთარში. მსკა, I. გვ. 154.

[86] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ანგარიში, გვ. 98.

[87] გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, დასახ. ანგარიში, გვ. 154.

[88] A. L a n e, Early Islamic Pottery, სურ. 36D, გვ. 27.

[89] ე. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული კერამიკა, ტაბ. $XII_1$.

რომ კერამიკული ჭურჭლის აღნიშნული სახე ნასესხებია, ჩანს იქიდანაც, რომ იგი ჩვენში მაინცდამაინც დიდად არ გავრცელებულა. მიზეზი შემდეგია: საწურიანი ჭურჭლის შემოღება ნაკარნახევი იყო თავისებური ცხელი და ხაშმიანი კლიმატის პირობებით, სადაც არსებობდა საფრთხე ბუზების და სხვ. მწერების სასმელ წყალში მოხვედრისა. იგი წმინდა აღმოსავლური საჭიროებებით არის გამოწვეული,[90] რაც პირველ ხანებში მინაბაძების შექმნისას უგულებელყოფილი არა ყოფილა. საწურიანი დოქები ჩვენში უმეტესწილად საღვინედ გამოიყენებოდა, უფრო კი მაჭრისათვის.

დაახლოებით მსგავსი ტექნოლოგიის თიხის ნაწარმი, რომლის პროტოტიპები იმპორტული უნდა იყოს, სხვაცაა ცნობილი. მხედველობაში გვაქვს მსგავსივე ღია ფერის თიხის ჭურჭლები დაშტამპული ორნამენტით. თიხა თხელკედლიანია და ფაქიზად დამუშავებული. ასეთ ნაწარმს ვხვდებით დმანისში, თბილისში, რუსთავში. ამ სახის კერამიკა სრულიად გამორჩეულია სხვა ნაწარმისაგან, რისთვისაც ვ. ჯაფარიძემ იგი დამახასიათებლად არ სცნო ქართული კერამიკისათვის.[91] მსგავსი რელიეფური სახეებით შემკობა კარგად იყო ცნობილი მახლობელ აღმოსავლეთში. განსაკუთრებით იქცევს ყურადღებას ქ. სამარას ნაწარმი.[92]

ჩვენში აღმოჩენილი მსგავსი ნაწარმის შესანიშნავი ნიმუშია რუსთავში აღმოჩენილი მათარა, შემკული რელიეფური ორნამენტებით. იგი მოთეთრო გამომწვარი თიხისაა, წრიული ფორმის, განივკვეთში ელიფსოიდი. მათარას ძირზე ოთხი პატარა ფეხი აქვს, ზევით კი ზონარის გასაყრელი ორი მორჩი და დაბალი პირი. მათარა შემკულია რელიეფური ვარდულებით, ჭდეული ხაზებით შედგენილი სამკუთხედებით და კონცენტრული წრეებით. საქართველოში სინქრონული მათარები ჯერჯერობით არაა ცნობილი. როგორც აღვნიშნეთ, ასეთი სახის ნაწარმი უმეტესწილად მახლობელი აღმოსავლეთის ცენტრებში გვხვდება. უფრო მოგვიანებით მსგავსი ნაწარმი ვრცელდება ჩრდილოეთ რუსეთის პროვინციებშიც.[93]

საქართველოს, განსაკუთრებით X—XIII საუკუნეების ძეგლებში, იქნება ეს საეკლესიო თუ საერო, შეინიშნება სამშენებლო კერამიკის მრავალსახიანობა; სხვადასხვა ფორმის და ზომის კრამიტი, აგურები ე. წ. „ქართული“ — ბრტყელი, კვადრატული, ასევე მოსაპირკეთებელი ფილები ამ დროის ნაგებობათა ძირითადი მასალაა. „ქართული აგური“ იმდენად არის დამახასიათებელი შუასაუკუნეების მშენებლობისათვის და გავრცობილი დიდ ტერიტორიაზე, რომ მკვლევართა ერთი რიგი ვარაუდობს საქართველოდან აგურების ექსპორტსაც კი მეზობელ ქვეყნებში. ასეთი მოსაზრების პირველი დამცველი იყო დე ბოკი (De Bock), რომელსაც მიაჩნდა, რომ საქართველოს და სომხეთს სავაჭრო ნედლეული გააჩნდა აგურების წარმოებისათვის და რომ ის

[90] R. L. Hobson, A Guide to the Islamic Pottery, p. 33.
[91] ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.
[92] R. L. Hobson, დასახ. ნაშრომი.
[93] М. Г. Рабинович, Из истории быта городского населения Руси в XI—XVII вв., СЭ, 1955, № 4, стр. 47; Г. П. Гроздилов, Раскопки в Старой Ладоге в 1948 г., СА, XIV, 1950, стр. 140, рис. 2.

გაჰქონდათ ბიზანტიაში[94]. აქ, როგორც ჩანს, ამ მოსაზრების ავტორი ერთიმეორეს უპირისპირებს ორ მოწინავე რაიონს, ერთია კონსტანტინოპოლი და მეორე საქართველო-სომხეთი. საქმე იმაშია, რომ მანამდე მკვლევართ კონსტანტინოპოლი მიაჩნდათ კერამიკის წარმოების ცენტრად, სადაც აგურებსაც ამზადებდნენ. ქალაქის ეს საწარმოო მონაკვეთი ემთხვეოდა პირპაჩას (Pire Pacha), კვარტალს ჰაკეისა და ჰალიჯ-ოღლის შორის. ქალაქის ეს რაიონი 1880 წელს ლორენციისა და კიელის ავტორობით გამოცემულ რუკაზე აღნიშნულია შენიშვნით: „აქ აგურებს ამზადებდნენო". ასეთი განმარტების სისწორე, როგორც ტ. რაისი შენიშნავს, მხოლოდ არქეოლოგიური გათხრებით დადგინდება[95]. ზემოთ აღნიშნული მოსაზრება კი აგურების ექსპორტში საქართველოსა და სომხეთის მონაწილეობის შესახებ ანგარიშგასაწევია, თუნდაც როგორც ვარაუდი, რომელიც დამყარებულია ამ ქვეყნებში კერამიკული წარმოების დიდ შესაძლებლობებზე.

როდესაც სასაქონლო ნაწარმზეა ლაპარაკი, ამ შემთხვევაში უპირატესად იმპორტულ და იმპორტულის მიმსგავსებით შექმნილ მასალაზე გვიხდება მსჯელობა, რამდენადაც მეზობელი ქვეყნების სათანადო მონაცემები საკმაოდ ცოტაა ცნობილი, რაც ქართული საექსპორტო ნაწარმის გაცნობის საშუალებას არ გვაძლევს, რომ კერამიკული წარმოების ესა თუ ის ცენტრი მხოლოდ ლოკალური რაიონით არ შემოიფარგლებოდა და მას ვრცელი ასპარეზი ჰქონდა, ეს კარგად ჩანს არქეოლოგიური მონაცემებიდან: შუასაუკუნეების ქართული ქალაქების ადგილობრივ ნაწარმში ბევრი ნიმუში გვხვდება, რომელიც მეზობელი ქალაქის პროდუქციას წარმოადგენდა. შეიძლება რამდენიმე მაგალითი დავასახელოთ.

შუასაუკუნეების ამიერკავკასიის ქალაქების გათხრებისას საკმაოდ მდიდარი ფონდები შეიქმნა სქელკედლიანი დიდი ზომის ჰურჰლებისათვის, რომელთა ზედაპირიც მეტწილად შემკულია რელიეფური ორნამენტებით. ასეთი დერგები აღმოჩენილი არის ანისში, დვინში, განჯაში, თბილისში, დმანისში, რუსთავში და სხ. ადგილობრივი თავისებურებებით ხსენებულ ჰურჰლებში ლოკალური ჯგუფების გამოყოფაც შეიძლება, სადაც დამახასიათებელ ელემენტებს შეადგენდნენ ჰურჰლის ფორმა, გამოსახულებათა მოტივები და სტილი. დერგების ზედაპირზე მოთავსებული გამოსახულებანი, რომელთაგანაც ჭარბობს ცხოველები, ფრინველები და მცენარეული მოტივები, მიღებულია ცილინდრული საბეჭდავების მეშვეობით.[96] რუსთავის არქეოლოგიური მასალის (1949—51 წწ. განათხარი) დამუშავებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია დერგის ფრაგმენტმა, რომელზედაც საბეჭდავით გამოსახული იყო მოგრძო სწორკუთხედები, შიგ ჩასმული ცალცალკე ფრინველის და ცხოველის ფიგურებით[97]. ზუსტად ასეთივე ჰურჰლის ნატეხი ანალოგიური გამოსახულებებით აღმოჩენილია თბილისში. სამწუხაროდ, მისი აღმოჩენის ზუსტი ადგილი და დრო უც-

---

[94] დ ე ბ ო კ ი ს ნაშრომს „Les Poteries vernissées du Caucase et de la Crimée, 1897", ვერსად მივაკვლიეთ ვერც თბილისში, ასევე ვერც მოსკოვსა და ლენინგრადში, ამიტომ იძულებული ვართ ტ. რ ა ი ს ი ს ნაშრომის „Byzantine Glazed Pottery"-ის შესაბამის ადგილებს დავეყრდნოთ, იხ. გვ. 38.

[95] ი ქ ვ ე, გვ. 39.

[96] ასეთი საბეჭდავი აღმოჩნდა მაგ., ანისში, Г. Н. Ч у б и н о в, Декоративное убранство анийских карасов, Христианский Восток, 1916, V, вып. I.

[97] ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქი რუსთავი, გვ. 100.

ნობია.[98] რუსთავისა და თბილისის ორივე დერგზე გამოსახულებანი მიღებულია ერთი ცილინდრით და ეჭვს გარეშეა ერთი ცენტრის პროდუქციას უნდა წარმოადგენდნენ. შესაძლებელია ორივე ჭურჭელი შექმნილია რუსთავში, სადაც ანალოგიური გამოსახულებანი, ოღონდ მომცრო ზომისა, სხვებიც გვხვდება.

ეს სურათი თვალნათლივ მიუთითებს, რომ სავაჭრო ურთიერთობა სხვადასხვა ქართულ ქალაქს შორის წარმატებით ხორციელდებოდა. ასეთი დიდმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზემოთ აღნიშნულის გამო არ შეიძლება. აქ ყველაზე ხელმოსაკიდი ფაქტი იყო მოტანილი. ამაზე მიუთითებს უამრავი ერთგვაროვანი მასალა, სხვადასხვა პუნქტებში აღმოჩენილი. ასეთია სადუღრები სამკუთხა ყურებით, თხელკედლიანი ქილები, თხელკედლიანი ჭურჭლები რელიეფურად დამუშავებული გვერდებით, მსგავსივე პატარა ზომის ჭურჭლები წითელი და შავი საღებავებით მოხატული და სხვ. აღარაფერს ვამბობთ მოჭიქულ კერამიკაზე, ამის შესახებ ცალკე იქნება საუბარი.

სანამ სასაქონლო მოჭიქული ნაწარმის შესახებ დავიწყებდეთ მსჯელობას, ორიოდე სიტყვით უნდა შევეხოთ იმ კულტურულ-გეოგრაფიულ გარემოს, რომელიც გარს ერტყა IX—XIII საუკუნეების საქართველოს. არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს, რომ საქართველო მოქცეული იყო ორი დაწინაურებული კულტურული სამყაროს შესაყარზე. ერთის მხრივ მას ემიჯნებოდა ბიზანტია, საკმაოდ მაღალი ქრისტიანული კულტურით, რომელსაც მემკვიდრეობით მიუღია ძველ-ბერძნული კულტურული ტრადიციები. მეორეს მხრივ იგი ემეზობლებოდა აღმავლობის გზაზე მდგარ აღმოსავლური-მუსლიმური კულტურის მატარებელ ქვეყნებს, რომლებიც პოლიტიკურ აღმავლობასთან დაკავშირებით ქრონოლოგიურად ენაცვლებიან ერთიმეორეს სახალიფოს ცენტრალური რაიონებიდან და შუამდინარეთიდან სპარსეთისაკენ, სადაც მონღოლთა შემოსევებამდე შემუშავდა მძლავრი კულტურული მიმდინარეობა, სასანიანთა მყარი ტრადიციებით. კულტურული აღმავლობის ერთ-ერთი ანარეკლია მხატვრული კერამიკა. IX—XIII საუკუნეებში, როდესაც ეს უკანასკნელი წარმატებით იქმნებოდა აღმოსავლეთში, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი სახე, იგი ძლივსძლივობით არსებობდა ქრისტიანულ ევროპაში. მხატვრული კერამიკის მრავალსახიანობის შექმნაში აღმოსავლეთის ხალხებმა დიდი წვლილი შეიტანეს, ისე რომ დღეს ჭირს კიდევაც თვითეულს საკუთარი ადგილი მიუჩინო.

მხატვრული კერამიკის განვითარების ცალკეული ეტაპები შექმნეს სამარამ და ბაღდადმა, ფუსტატმა და რაკკამ. რეამ და ქაშანმა დააგვირგვინეს მრავალსაუკუნოვანი ძიება და მხატვრული კერამიკის წარმოება არნახულ სიმაღლეზე აიყვანეს. ჩინური სელადონი ტანის პერიოდისა (618—906 წწ.), რომელიც სამარაში შემოდიოდა, ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებებს და ამიტომ დაიწყეს იმიტაციების დამზადება, მოხატვა მახლობელი აღმოსავლეთის ყაიდაზე, პირველად ცისფრად, შემდეგ მწვანედ და სულ მალევე „ლუსტრით" (ოქროს საღებავით). შედეგად სამარაში და ბაღდადში მიაღწიეს კერამიკის დამზადების ძნელსა და საიდუმლოებით მოცულ ტექნი-

[98] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, ტაბ. VII.

კას, რომელიც ფატიმიდების დროს (969—1171 წწ.) გადავიდა ეგვიპტეში და შემდეგ კი სპარსეთში.[99]

ხელოვნების წინაშე უძლური აღმოჩნდა ყურანიც კი. მართალია, არსებული საგნების გამოსახვა არა ყოფილა „წმინდა წიგნში" აკრძალული, მაგრამ მაინც პირველ ხანებში მუჰამედთან დაკავშირებულ ტრადიციულ თქმულებებს ანგარიშს უწევდნენ, რამაც გამოიწვია გეომეტრიული მოტივის განვითარება და არაბული წარწერების, უმეტესად ყურანის სურების, ორნამენტებში გადმოცემა. შემდგომ აღარც ამას აქცევენ ყურადღებას და ვარაყიან ჭურჭლებზე ყოველნაირი სახეების გადმოცემას ვხედებით.

მრავალფეროვან აღმოსავლურ მხატვრულ კერამიკას მოქმედების დიდი სივრცე ჰქონდა. მისი გავლენის ელემენტები შესაძლოა დავინახოთ ბიზანტიურ კერამიკაშიც, რასაც ორი მოწინავე კულტურის ურთიერთშეხებით ხსნიან. ამ ორი მოწინავე კულტურული სამყაროს შეხვედრებში საქართველოს როლი, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო განსაკუთრებული იყო. როგორც დე ბოკი აღნიშნავდა, საქართველო იყო ხიდი-ქვეყანა, რომელზედაც თავისუფლად გადადიოდა მხატვრული ნაწარმის სტილი, ორნამენტული მოტივები და ტექნიკა. პეზარდის შენიშვნით, ამ ურთიერთობაში უპირატესობა სპარსულ საიმპორტო საქონელს ენიჭებოდა.[100]

კავშირურთიერთობა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის, ამ ორ მოწინავე კულტურულ სამყაროს შორის, ძირითადად ორი გზით ხორციელდებოდა — სამხრეთის გზით შუამდინარეთზე გავლით, რომელიც შუა ფეოდალურ ხანაში სახიფათო და უფრო გრძელი იყო და მეორე ჩრდილოეთის გზით — მთიანი რაიონებით და ტრაპიზონით თავრიზისაკენ.[101] ამ გზაზე გამუდმებით დადიოდნენ ქარავნები სპარსეთიდან და ბიზანტიიდან. შენიშვნის ღირსია, რომ გზის არსებობის შესახებ, რომელზედაც ადრე გვქონდა საუბარი, პირველად ვარაუდი გამოითქვა თანამედროვე უცხო ავტორთა ნაშრომებში. მას დიდ როლს აკისრებენ ბიზანტია-სპარსეთის ურთიერთობაში. მისი მნიშვნელობა საქართველოსათვისაც განსაკუთრებულია. მან თავისი კვალი დასტოვა სამხრეთ საქართველოს პროვინციების წამოწევის საქმეში.

ამრიგად, თუ გამოთქმულ ვარაუდებს დავეყრდნობით, საქართველო შუალედი რგოლი იყო ბიზანტია-სპარსეთის კულტურულ ჯაჭვში. ტ. რაისის შენიშვნით ფაქტიურად კავკასია იყო ჭურჭელი, რომელშიც დიდი ძალის ხელოვნების რომელიღაც ელემენტები აღმოსავლეთისა თუ დასავლეთისა ირეოდნენ. შედეგად მიღებული ნარევი უერთდებოდა დიდძალ ინდივიდუალურს, რომელიც საქართველოს და სომხეთს ჰქონდა ძველ ისტორიაში.[102] ე. ი. აქ კულტურათა უბრალო სინთეზი კი არ ხდება, არამედ მტკიცე ადგილობრივი ელემენტების შერწყმა ახალ ძალასთან. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში ალბათ დე ბოკს, რომელიც აღნიშნავდა ერთგვაროვნებას სტილით, მრავალრიცხოვანი ინდივიდუალური ელემენტებით.[103]

---

[99] A. Lane, Islamic Pottery (from the Ninth to the Fourteenth centuries A. D), London, p. 11.

[100] T. Rice, Byzantine Glazed Pottery, p. 38.

[101] T. Rice, დასახ. ნაშრომი, 88.

[102] იქვე.

[103] იქვე, გვ. 36.

ინდივიდუალური ელემენტები, ადგილობრივი სტილი, განმსაზღვრელი ჩანს მთლიანად ქართულ კერამიკაში. თუ გასული საუკუნის ბოლოს ან 20—30 წლის წინ შეიძლებოდა ლაპარაკი, უმეტესად ვარაუდებით გამოთქმა ამ ორ კულტურათა შორის ურთიერთობაზე და მათი კულტურული შეხვედრების გეოგრაფიულ გარემოზე, სადაც მხოლოდ ჰიპოტეტურად შეიძლებოდა ადგილობრივი ძველი კულტურის აქტიური ზემოქმედების დაშვება, დღეს საკმაო არქეოლოგიური მასალა დაგროვდა, რომლის მიხედვითაც არა ვარაუდებით და ბოდიშებით არამედ გადაწყვეტით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში იქმნება მოწინავე კულტურული კერა, სადაც მხატვრული კერამიკის წარმოება ადის მაღალ დონეზე და მყარდება თავისებური ახალი მხატვრული სტილი, დაფუძნებული ადგილობრივ, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ კულტურულ ტრადიციებზე. მის წინსვლას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს სიახლოვე და მეზობლობა კულტურულ გარემოსთან.

გარე სამყაროსთან ურთიერთობას არ შეუზღუდავს ქართული მხატვრული კერამიკა და იგი უბრალო გადმომღები არა ყოფილა. მისი პირველი დადებითი მხარე სწორედ ის არის, რომ მან შესძლო შეხამება და შეთვისება ერთმანეთთან ორი სხვადასხვა ნიმუშისა, სადაც ადგილობრივს განმსაზღვრელი როლი დააკისრა. სად არ შეხვდებით აღმოსავლეთში მოჭიქულ კერამიკას, სპარსეთში, შუამდინარეთში, ეგვიპტეში, შუა აზიაში, ბიზანტიაში და სხ., მაგრამ აბა ვცადოთ და შევადაროთ რომლის გამეორებაა ქართული მხატვრული კერამიკა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოს მეზობლადვე არსებული ცენტრები ჰქმნიან ნაწარმს, რომელნიც მხოლოდ მცირეოდენი ელემენტებით ემთხვევიან ერთმანეთს. ორიოდე საერთო ნიშანი მხოლოდ წვეთია ზღვაში. ზოგჯერ რაღაც დაუჯერებელი სიჯიუტით მეორდება ერთი და იგივე და გაკვირვებას იწვევს — ნუთუ ასეთი ახლო მეზობლობის პირობებში არ იცოდნენ ერთი-მეორის. მაგალითად, სომხურ მასალებში არც თუ იშვიათად ჯამებზე ხელოსნის ნიშნებია მოცემული, რითაც ნაწარმის ცალკეულ ჯგუფებს გამოჰყოფენ. აზერბაიჯანულ თიხის ნაწარმზე ოსტატების სახელებია აღნიშნული, ტრადიციული არაბული ვარიანტით: عمل محمد, عمل عبد الله გააკეთა მუჰამედმა, გააკეთა აბდულაჰმა. და სხვ. ქართული კერამიკის არცერთ ნიმუშზე ასეთ რამეს ვერ ვხვდებით. არის თუ არა ეს ტრადიციის გავლენა? აუცილებლად არის. რა გასაკვირია თიხის ჭურჭელს რომ ხელოსნის სახელი არ ეწეროს, როცა ალავერდის აშენებელზე არაფერი დაუწერიათ, სიტყვა არ გაიმეტეს შუამთის, ზეგნის, ურიათ-უბნის და სხვათა ქტიტორებზე (ამ მხრივ განსაკუთრებით კახეთის ძეგლებია გამოსარჩევი). ეს ქართული მოკრძალების ტრადიციული ნიშანი იყო, იმ ტრადიციისა, რომელმაც თავისი დაღი დაასვა მხატვრული კერამიკის ადგილობრივობას.

მოჭიქული ჭურჭლის გარკვეული ნაწილი რომ სასაქონლოდ იყო განკუთვნილი, ეს ცხადად იგრძნობა. თიხის ჭურჭლის მომხმარებელი უმეტესად საწარმოს რაიონებშია სავარაუდო, თუმცა, როგორც ჩანს, ის უფრო შორსაც გაჰქონდათ. ე ქ ს პ ო რ ტ ი-ი მ პ ო რ ტ ი გ ა მ ო რ ჩ ე უ ლ ნ ი მ უ შ ე ბ ს ე ხ ე ბ ო დ ა. არქეოლოგიური მასალების მიხედვით შესაძლებელია თვალი გავადევნოთ ზოგიერთ იმპორტულ ნაწარმს, ან უცხოს მიბაძვით ნაკეთებ თი-

ნის ჭურჭელს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შუასაუკუნეების იმპორტული თუ საერთოდ სასაქონლო ნაწარმის გამოყოფა სპეციალური შესწავლის საგანია, ამდენად წინამდებარე ნაშრომში შევეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა ზოგიერთ ნაწარმზე, რაც დაგვეხმარება შემდეგში სპეციალური კვლევისათვის.

როგორც არქეოლოგიური მასალა გვიჩვენებს, საქართველოს მხატვრული კერამიკის ზოგიერთი ნიმუში უკვე IX—X საუკუნეებიდან უცხოური ნაკადის ელემენტებით ხასიათდება. არ არის გამორიცხული საქმე გვქონდეს შემოტანილ ნაწარმთან. ამ მხრივ პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებს ე. წ. მესოპოტამიური წარმომავლობის რამდენიმე ნიმუში, რომლებიც აღმოჩენის ადგილის მიხედვით საკმაოდ კარგად არიან დათარიღებული. საქმე ისაა, რომ ქალაქი სამარა, რომელიც ზემოხსენებული ნიმუშების აღმოჩენების ძირითად ადგილად არის მიჩნეული, IX საუკუნის 30-იან წლებში იქცა აბასიდი ხალიფების რეზიდენციად. მისი დაარსების ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი — 836 ან 838 წწ. ფაქტია, რომ ის დააარსა ხალიფა მუთასიმმა (833—842). ზურგი შეაქცია რა ბაღდადს, სადაც მას თურქული ელემენტის მომძლავრებასთან დაკავშირებით უშიშროება არ ეწერა.[104] IX საუკუნის ბოლოს (883 თუ 892 წ. არც ეს თარიღია დაზუსტებული) ქალაქი დაანგრიეს და რეზიდენცია კვლავ ბაღდადში გადადის. სამარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ე. ჰერცფელდი, ფ. ზარე) დადგინდა, რომ აქ აღმოჩენილი მხატვრული კერამიკა თავსდება მთლიანად IX საუკუნეში, როცა ის სამეფო რეზიდენცია იყო.[105]

სამარის ნაწარმიდან მოუჭიქავი, დაშტამპული ჭურჭლების შესახებ უკვე იყო აღნიშნული. ამჯერად შეიძლება მოვიხსენიოთ მოჭიქული კერამიკის ერთი ნიმუში, რომელიც საერთოდ უძველესი ჩანს მოჭიქული ნაწარმის ხელახალი აყვავების პერიოდში. ეს არის ბრტყელძირიანი, პირგაშლილი ჯამები, შემკული სხვადასხვა ფერის საღებავებით. ჯამის ძირიდან პირისაკენ ვრცელდება ზოლები, დაფარული ჩამოღვენთილი საღებავებით.

ერთ ცალზე, მაგალითად, გამოყენებულია მოთეთრო-კრემისფერი ჭიქური. ჩამონაღვენთებია ყვითელი და მწვანე ფერისა (d—13.75, აღმოჩენილია სამარაში. ტაბ. XII—1).[106] მეორე ჯამი წითელკეციანი ჭურჭელია მსგავსი დამუშავებით, გამოყენებულია მწვანე, მეწამული და ყავისფერი საღებავები (d—9⁷/₈ ალენ ბარლოუს კოლექცია, შესაძლებელია იყოს მესოპოტამიური).[107]

ასეთი ნაწარმის ნიმუშია ჯამი, ჩამოღვენთილი და მიპკურებული ჭიქურებით შემკული, რომელიც ა. პოპმა გამოაქვეყნა. მისივე სიტყვებით, ეს არის ფე-

---

[104] სამარას შესახებ ცნობები მოეპოვებათ არაბ გეოგრაფებს (მასუდი, იაკუბი, მუკადდასი და სხ.): სამარა შემოკლებული სახელია. მას არაბები ეძახოდნენ სურამანრას. ბუღას თბილისში ლაშქრობის აღწერისას, წყარო გადმოგვცემს, რომ როდესაც ბუღამ დასაჯა თბილისის ამირა, მოჰკვეთესო მას თავი და გაუგზავნეს ხალიფას სურამანრას.

[105] სამარას დაცემიდან დიდი ხანი არ იყო გასული, როცა მუკადდასი შენიშნავდა: ეხლა ის დანგრეულია. გაივლის კაცი ამ მიდამოებში. ორ-სამ მილს ისე, რომ ვერ ნახავს იქ სიცოცხლის ნიშანსაც კი (BGA, III, გვ. 122).

[106] R. L. Hobson, A Guide to the Islamic Pottery.... p. 14, სურ. 13.

[107] A. Lane, Early Islamic Pottery (Mesopotamia, Egypt and Persia), London, სურ. 7, p. 12.

რეპით ყველაზე მდიდარი, რომელიც კი ჯერჯერობით არის ცნობილი (d—25 სმ. ეუმორფოპულოს კოლექცია)[108]. (იხ. ტაბ. XIII—1).

ზემოთ ჩამოთვლილი ჯამები მოჭიქული მხატვრული ნაწარმის აღმავლობის პირველი ტალღა უნდა იყოს მახლობელ აღმოსავლეთში. ბევრი ავტორი მათ მესოპოტამიურს უწოდებს, განსაკუთრებით სამარას გათხრების შემდეგ. მაგრამ არის კი ეს ასე? იქნებ ჩინეთს ეკუთვნის პრიორიტეტი? ჩინური სტილი ხომ ძლიერია IX საუკუნეში. ის სტიმულს აძლევდა ამგვარი ჰურჭლების დამზადებას პოლიქრომული ჰიქურით, ორი ან მეტი ფერის საღებავის ერთად მიპკურებით. ასევე ვარაუდობენ, რომ ჯამების შემკობის ეს ტიპი უშუალოდ გადმოღებული იყო სახელგანთქმული ტანის კერამიკიდან[109] (618—906 წწ.). სპარსული ნაწარმის ბევრი ნიმუში ზედმიწევნით ჰგავს ჩინურს. ასეთი აღმოჩენებით განსაკუთრებით მდიდარი იყო რეა, სუზა, ასევე ტისა, კასრ-აბუნასრი და ისთახრი. მსგავსი ნატეხებია დადასტურებული მაზანდარანსა და თურქესტანში.[110]

ასეთი სახის ჰურჭლებს ჩვეულებრივად ამზადებდნენ წითელი კეცისაგან. რომელიც საკმაოდ მაგარი იყო და შედარებით წვრილმარცვლოვანი.

ზემოთ აღნიშნულის მიხედვით, არ არის გამორიცხული მესოპოტამიური წარმოება ე. წ. ჩამოღვენთილი და დაპკურებული ჰიქურიანი ჯამებისა, ჩინური გავლენის ნაყოფი იყოს. ჩინური ჰურჭელი დასავლეთის სამყარომ ჯერ კიდევ პართულ ხანაში გაიცნო. სამარასა და კტეზიფონის აღმოჩენებმა ცხადი გახადეს ჩინეთთან ვაჭრობის არსებობა ისლამის პირველ საუკუნეებში. ამიტომ როდესაც აღნიშნავენ ნაწარმის მესოპოტამიურობას, გულისხმობენ ზემოთ ნათქვამსაც, ჩინური ტრადიციების შესახებ.

ალბათ საკამათო არ უნდა იყოს, რომ მხატვრული კერამიკის ზემოთ აღნიშნული ჯგუფი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სახე იყო. მისი გავრცელების არე მხოლოდ სპარსეთითა და მესოპოტამიით არ შემოიფარგლებოდა. როგორც ჩანს, მას იცნობდნენ ბიზანტიაში და ასევე ამიერკავკასიაშიც. აღსანიშნავია, რომ ნაწარმის შემკობის ეს სტილი განსხვავებული სახითაც არსებობდა. მაგალითად, ყოველთვის სხივური ზოლები ჯამის ძირიდან არ გამოდიოდა. ბიზანტიურ კერამიკაში მან განვითარება სხვა სახითაც ჰპოვა, კერძოდ აქ სხვადასხვა ფერის კლაკნილი ხაზები იწყება არა ჰურჭლის ფსკერიდან, არამედ ერთ-ერთი გვერდიდან. მაგალითისათვის შეიძლება ყურადღება მივაქციოთ კორინთის არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილ ერთ ჯამს, რომელიც ასეთი ხერხით არის შემკული (ტაბ. XIV—2). იგი მოხატული ყოფილა მწვანედ და ყავისფრად. თარიღი IX—XI სს.[111] ასეთი ნაწარმი ჩვენშიცაა ცნობილი. მხედველობაში გვაქვს თბილისში, ერეკლე II სახელობის მოედნის არქეოლოგიური გათხრების ერთ-ერთი მონაპოვარი, ასეთივე სტილით დამუშავებული და შემკული ყავისფერი და მწვანე საღებავებით. (ტაბ. XIV—1).[112]

---

108 A. Pope. SPA, II, გვ. 1500.

109 იქვე, გვ. 1499.

110 იქვე.

111 Charles H. Morgan. II, Corinth. Vol. XI, The Byzantine Pottery, Cambridge, Massachusetts, 1942, ტაბ. XIX.

112 ი. გძელიშვილი, ო. ტყეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, ტაბ. XLII, 2.

ეს ჩინურ-მესოპოტამიური სტილის ნაწარმი უცნობი არა ყოფილა არც ამიერკავკასიაში. ასეთი ჯამი, სრული ანალოგია პოპის, ჰობსონის და ლეინის მიერ გამოქვეყნებული ნაწარმისა, აღმოჩენილია, მაგალითად, დვინის გათხრეპის დროს, ციტადელის ერთ-ერთი დიდი შენობის ჭაში.[113] ჯამი მრავალფერად არის შემკული ჭიქურით (ტაბ. XII—2). ასეთივე ნატეხებია დადასტურებული რუსთავის, დმანისის და თბილისის გათხრების დროსაც.

სავარაუდოა ზემოთ ჩამოთვლილი ნიმუშები, აღმოჩენილი დვინში, ასევე ჩვენში, შემოტანილი იყოს რომელიღაც ცენტრიდან. არ არის, რა თქმა უნდა, გამორიცხული მისი ადგილობრივ დამზადებაც უცხოურის მიბაძვით. ჯერჯერობით არსებული მასალა პირველის სასარგებლოდ ლაპარაკობს. მაგრამ ერთი რამ ცხადია: მინაბაძების დამზადებას საკმაოდ წარმატებით მოჰკიდეს ხელი ჩვენში და ზემოხსენებული სტილი დიდხანს რჩება მოდაში. მაგალითად, თბილისის 1949 წ. გათხრების შედეგად IX თხრილში დადასტურებულია დაახლოებით მსგავსი ნაწარმი, ჯამის ძირ-გვერდის ნაწილი, მოჭიქული სხვადასხვა ფერით[114] (ტაბ. XIII—2). ჯერ ერთი, თვით ჯამის ფორმა იქცევს ყურადღებას და იგი განსხვავდება მაღალქუსლიანი, კონტად გამოყვანილი ჯამებისაგან, რომლებიც ძლიერ მრავალრიცხოვანია XI—XIII სს. ფენებში. ჯამს დაბალი ძირი ჰქონია და თითქმის მიემსგავსება ზემოთ ჩამოთვლილ ნიმუშებს. ამასთანავე შემკობის მანერაც თავისებურია: დაპკურებული წვეთები და ჩამოღვენთილი ჭიქური ჩინურ-მესოპოტამიური სტილის ნაწარმს უახლოვებს, მაგრამ იგი არ უნდა იყოს შემოტანილი, არამედ ადგილობრივად დამზადებული, აღმოსავლურისაგან განსხვავებული ნიშნებით. ყურადღებას იმსახურებს ერთი სხვა ფაქტიც: როგორც ძეგლის გამთხრელის გ. ლომთათიძის დაკვირვებებიდან ჩანს, თხრილში, სადაც თიხის ჭურჭლის გამოსაწვავი ქურაც იყო დადასტურებული, თითქოს შეიმჩნევა ფენათა მონაცვლეობა. სულ ქვევით IX—X საუკუნეების არაბული ფელსიც აღმოჩენილა.[115] ზემოთ აღნიშნული ჯამის ნატეხიც სულ ქვედა ფენაში იყო დადასტურებული 1,5 მ სიღრმეზე, დაახლოებით ფელსის დონეზე თუ არა უფრო ქვევით. ეს კი მის თარიღს განსაზღვრავს.

სრულიად სამართლიანად XII—XIII საუკუნეები ქართული მხატვრული კერამიკის აყვავების ხანად არის მიჩნეული და არა მარტო ქართული კერამიკისათვის. ამ დროს ჭიქურით შემკობილი თიხის ნაწარმი, უმეტესწილად ფაიანსი და ვარაყიანი ჭურჭელი. ერთ-ერთი სასაქონლო პროდუქტია იმდროინდელი მსოფლიოს ისეთი ცივილიზებული ქვეყნებისათვის, როგორიც იყო სპარსეთი, ეგვიპტე და სხვ. მოწინავე წარმოების ცენტრები, როგორც ჩანს, სწრაფად ითვისებდნენ ახალ მხატვრულ სტილს და თვითვე ხდებოდნენ ტექნიკური თუ მხატვრული სიახლის თანაავტორები. ქართულ მხატვრულ კერამიკაში ბევრი ახალი ფორმაა შემოსული, რომლებიც იმდენად გავრცელდნენ აქ, რომ ძნელია მათ შესახებ საუბარი როგორც შემოტანილისა. მიუხედავად ამისა, გავლენის ნაყოფი ხშირად იმდენად დიდია, რომ მისი უარყოფა შეუძ-

---

[113] К. Г. Кафадарян, Город Двин и его раскопки, Ереван, 1952, სურ. 198; Б. Аракелян, Города и ремесла Армении в IX—XIII вв., I, ტაბ. XLVII.

[114] დაცულია საქ. სახ. მუზეუმის ფეოდალური ხანის მატ. კულტ. ისტორიის განყოფილების «განჯისკარის» ფონდში.

[115] გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 134.

ლებელია. მაგალითად, XII—XIII საუკუნეებში ჩვენში ძლიერ ვრცელდება ტანმაღალი ჭურჭლების წარმოება, რომელთაც თავისი დეკორატიული გარეგნობის გამო ვ. ჯაფარიძე „საყვავილეებს“ უწოდებს.[116] ჭურჭლის ეს ფორმა ძლიერ გავრცელებული ჩანს სპარსეთში,[117] შუამდინარეთში,[118] ეგვიპტეში.[119] მან განსაკუთრებით დიდ განვითარებას მიაღწია XII—XIII საუკუნეების სპარსეთში, სადაც აღმოჩენილია ასეთი ფორმის ფაიანსის ძვირფასად მოკაზმული ნიმუშები. დმანისში, თბილისში და რუსთავში აღმოჩნდა სხვადასხვა ფერის ჭიქურით და ამოკაწრული ორნამენტებით შემკული ნაწარმი, რითაც ირკვევა, რომ საქართველოში უნდა ყოფილიყო მსგავსი პროდუქციის ადგილობრივი წარმოება, თუმცა ეჭვს გარეშეა ჭურჭლის ფორმა ადგილობრივი არ უნდა იყოს. როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მინაბაძები იმეორებს ისეთივე ორნამენტებს, როგორიც გავრცელებული იყო შემოსულ ნაწარმზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორნამენტები სრულიად განყენებული თემაა მინაბაძებისათვის. ასეთი სურათი შესაძლებელია აქაც დავინახოთ. ზემოთაც ითქვა, რომ საყვავილეების აღნიშნული სახე გავრცელებული იყო ეგვიპტეშიც. ეგვიპტის შუასაუკუნეების კერამიკის შემკობის ერთ-ერთი გავრცელებული სახე იყო თევზების გამოსახვა. თევზების გამოსახულებებით ამკობდნენ, მაგალითად, თხელკედლიანი დოქების ფილტრებს, ჯამებს და, რაც მთავარია, ზემოთ აღნიშნულის მსგავს „საყვავილეებს.“[120] მოტანილი ნიმუში (ტაბ. XV—1) ლუსტრით მოხატული, ფატიმიდების ხანისაა (XII ს. პირველი ნახევარი). არ არის გამორიცხული სწორედ მსგავსი ჭურჭლები ყოფილიყოს ქართველი მეთუნეების შთაგონების წყაროდ, რომელთაც რუსთავის მსგავსსავე საყვავილეზე სწორედ თევზები გამოსახეს. თანაც ჭურჭლის იმავე ადგილზე, როგორც ეს ეგვიპტურ ნაწარმზეა (ტაბ. XV—2). ფორმათა იდენტურობაზე უკვე აღარაფერს ვამბობთ. ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ თევზების გამოსახვა საქართველოს ფეოდალური ხანის ხელოვნებისათვის (არა მარტო კერამიკაში) არ იყო დამახასიათებელი.

თბილისში, დმანისსა და რუსთავში აღმოჩენილი საყვავილეები რომ ადგილობრივ ნაწარმს წარმოადგენდნენ, ეს ისევე არ შეიძლება იყოს საეჭვო, როგორც ის, რომ მათი ფორმა არ არის ადგილობრივი.

ეტყობა ასევე საერთო მხატვრული სტილით სარგებლობდნენ ქართველი მეთუნეები, რომლებიც სპარსეთში და საერთოდ მახლობელ აღმოსავლეთში გავრცელებული ნიმუშების მიმსგავსებულად აწარმოებდნენ ყელიან ქილებს, ბადიებს და ე. წ. მაწვნის ქილებს, რომელთა წარმოების ძლიერ მაღალი დონე იყო სპარსეთის ქალაქებში.[121]

ქართულ მხატვრულ კერამიკას ბევრი საერთო ნიშანი აქვს უცხო ნაწარმთან, მაგრამ, ჩვენის აზრით, განსაკუთრებით ჩანს სიახლოვე მოჭიქული

---

116 ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 27.

117 A. P o p e, SPA. pp. 700—701; H. W a l l i s. Persian Lustre Vases, Paris, სურ. 23.

118 H. R i v i è r e, La Céramique dans L'Art Musulman, I, Paris, ტაბ. 3, 6, 8; შესაძლებელია საყვავილეების ფორმა სწორედ შუამდინარეთიდან მოდიოდეს. ეს ფორმა აქ IX საუკუნიდან შეინიშნება.

119 A. L a n e, Early Islamic Pottery, ტაბ. 24.

120 A. L a n e, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.

121 H. W a l l i s, Persian Lustre Vases; A. Pope, SPA, p. 611; მ ი ს ი ვ ე, Typical Examples of Persian and Oriental Ceramic Art, I, London.

ჭურჭლის ერთ ძლიერ პოპულარულ ჯგუფთან, რომელიც დღეს მეცნიერებაში ცნობილია „ზენჯანური" კერამიკის სახელით, ქალაქ ზენჯანის მიხედვით. სპარსეთისაკენ მიმავალი გზების შესახებ ადრე გვქონდა საუბარი, რომლითაც ქართული ქალაქები უკავშირდებოდნენ აღმოსავლეთის ერთ-ერთ მოწინავე ქალაქს —ზენჯანს. სწორედ ზენჯანის და მისი მიდამოების თიხის მხატვრული ნაწარმი ამჟღავნებს ახლო ნათესაობას XI—XIII სს. ქართულ კერამიკასთან. თავისებური სტილის თიხის ჭურჭელი პირველად მეცნიერებამ გაიცნო სოფელ აღქენდის მოპოვებული ჭურჭლის მიხედვით, რის თვისაც მას აღქენდის კერამიკა უწოდეს. შემდგომად მის პარალელურადვე ხმარობენ „ზენჯანურსაც" ქალაქის მიხედვით. სოფელი აღქენდი მდებარეობს თავრიზის სამხრეთ-აღმოსავლეთით 125 ვერსზე[122]. ზენჯანსა და მიანეს შორის[123]. თავრიზის, აღქენდის და ზენჯანის მიხედვით მეტნაკლებად განსაზღვრულია აღნიშნული კერამიკის გავრცელების რაიონიც.

„ზენჯანური" კერამიკის შემკობის სტილი იმდენად თავისებურია, რომ მისი გამოცნობა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ნაწარმის შესამკობად იხმარებოდა მწვანე, ყავისფერი და მეწამული ფერები. სახეების გამოყვანა ხდებოდა სგრაფიტოთი. დამახასიათებელია მცენარეული მოტივები, აგრეთვე ცხოველები და ფრინველები. გამოსახულებებით ზენჯანური ნაწარმი ძლიერ ახლოსაა ქართულთან, უფრო სწორად ქართული კერამიკის ერთ ძლიერ გავრცელებულ სახესთან, ცხოველების და ფრინველების გამოსახულებიან ჯამებთან.

პირველ ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიქცია ზენჯანურმა ჯამმა, რომელზედაც გამოსახული იყო კურდღელი. გამოსახულებას ჯამის ფსკერის დიდი ნაწილი აქვს დაკავებული. კურდღელი დინამიურ პოზაშია წარმოდგენილი: უკანა ფეხებზე დაყრდნობილი, გარბის წინ (ტაბ. XXI—2). შემკობისათვის გამოუყენებიათ ყავისფერი და მწვანე საღებავები. ჯამი აღმოჩნდა აღქენდის მახლობლად, დათარიღებულია XIII ს. (d—$9^{7}/_{8}$)[124]. ჯამზე მოთავსებულ გამოსახულებებს ძალიან ბევრი ნიშანი აქვთ, რითაც შეიძლება პარალელები მოიძებნოს ქართულ მასალებში. კერძოდ, ჯამის პირი, შემორიგებული სამკუთხედებით, ძლიერ მიაგავს ლომის გამოსახულებიან ჯამს, რომელიც კასპშია აღმოჩენილი (ტაბ. XXI — 1). ასეთივე მცენარეული მოტივი დამახასიათებელია ქართული კერამიკისათვის, ჯამებისათვის, რომლებზედაც ფრინველებია გამოსახული. თვით კურდღლის გამოსახვაც არ არის უცნობი ქართული კერამიკისათვის; მისი უკანა ფეხებია შემორჩენილი, მაგალითად, რუსთავის ერთ-ერთ ნატეხზე. ასეთივე სტილითაა შემკული მეორე ჯამიც ზენჯანური წარმომავლობისა, რომელიც ლუვრის მუზეუმშია დაცული.[125] (XVI—2).

ზენჯანურისათვის დამახასიათებელი მცენარეული მოტივი, რომელიც გამოსახულია კურდღლებიან ჯამებზე, ეტყობა საერთო ორნამენტად არის ქცეული. მაგალითად, ასეთი მცენარეული ორნამენტით არის შემკული ჯამი, აღქენდში აღმოჩენილი, რომელზედაც მამალია გამოსახული (ტაბ.XVII—2).

---

[122] A. Lane, Early Islamic Pottery, p. 25.
[123] A. Pope, SPA, II, p. 1529.
[124] A. Lane, დასახ. ნაშრომი, გვ. 25, სურ. 34.
[125] A. Pope, SPA, V, ტაბ. 608, გვ. 1527.

იგი დათარიღებულია XI საუკუნით.[126] ფრინველის ასეთი გამოსახულება ჩვენში არ არის ცნობილი, თუმცა ზოგიერთ დეტალში ძალზე დიდი მსგავსებაა, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება. კერძოდ, ფრთაზე, წრეში ჩასმული სამყურა ორნამენტია გამოსახული, რომელიც გვხვდება ჩვენებურ ფრინველებზედაც (ტაბ. XVII—1).

ფრინველებზე ჩამოვარდა ლაპარაკი და კიდევ ერთი პარალელის შესახებ იქნება საჭირო გამახვილდეს ყურადღება. მხედველობაში გვაქვს ფრინველის გამოსახულებიანი ჯამი ზენჯანიდან, პირველად პეზარდის მიერ გამოქვეყნებული. იგი ხელმეორედ გამოაქვეყნა ტ. რაისმა, როგორც ბიზანტიური ფრინველიანი კერამიკის პარალელური მასალა.[127] მას განსაკუთრებული ადგილი დაუთმო თავის მრავალტომეულში ა. პოპმაც.[128] ჯამის ფსკერზე გამოსახულია ფრინველი, ჩასმული მცენარეებში. მცენარეული ორნამენტი ისეთივეა, როგორიც ზემოთ აღწერილ ჯამებზე. მას, ვისაც თბილისში 1948—49 წწ. გათხრების დროს აღმოჩენილი მოჭიქული ჭურჭელი უნახავს ფრინველთა გამოსახულებით, ალბათ არ გაუკვირდება, რომ ეს ჯამი თბილურ ნაწარმად გამოვაცხადოთ. თეთრი ფონი, მცენარეული მოტივები და ცენტრალურ ნაწილში ფეხაწეული, ამაყი გამომეტყველების ფრინველი, ძლიერ მიემსგავსება თბილური ჭურჭლების გამოსახულებას. ჯამის აღმოჩენის ადგილი ზენჯანია. იგი, პეზარდის აზრით, X ს. უნდა დათარიღდეს. ტ. რაისი თარიღს ერთი საუკუნით გვიან ანგარიშობს.[129] საერთოდ ზენჯანური ნაწარმის შესახებ თარიღები სხვადასხვაა და, ჩვენის აზრით, საკმაოდ არამყარიც, ეს ალბათ გამოწვეულია იმით, რომ აღმოჩენები მეტწილად შემთხვევითია. უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ისიც, რომ აქ არ ყოფილა აღმოჩენილი თიხის გამომწვავი ქურები და წუნები.[130] იქნებ ამიტომ ზემოთ აღნიშნული ჯამი სულაც XII—XIII საუკუნეებისაა და თანაც თბილური პროდუქციაა? სამწუხაროდ, ახალ აღმოჩენებს ირანიდან კარგად არ ვიცნობთ და სხვა მონაცემებიც არ გაგვაჩნია, რაც მისი წარმომავლობის საკითხს გაარკვევდა. ფრინველის გამოსახვა თავისი ამაყი გამომეტყველებით თბილისური მანერით ხასიათდება, მცირედ სტილიზებული ფრთაც დმანურსა და რუსთავის ფრინველებთან აახლოვებს მას. სხვათა შორის, რომ თბილური ნაწარმის გარკვეული ნაწილი გარეთ გადიოდა, ჩანს იქიდანაც, რომ 1966 წ. გათხრების დროს ზღუდრის ექსპედიციამ, ზღუდრის ერთ-ერთი ნასახლარის გათხრების დროს აღმოაჩინა მოჭიქული ჯამი ფრინველის გამოსახულებით. ჯამი თბილური ნაწარმი უნდა იყოს.[131]

არაერთხელ ყოფილა აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, რომ ფრინველების გამოსახვა საყვარელი თემა იყო ქართულ მხატვრულ კერამიკაში. არ უნდა ვცდებოდეთ, თუ ვიტყვით, რომ პროცენტულად საქართველოში აღმოჩენილი ფრინველიანი ჯამები ჭარბობს მეზობელ ქვეყნებში აღ-

---

[126] A. Pope, SPA, V, ტაბ. 607, გვ. 1527.

[127] T. Rice, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XVIII.

[128] A. Pope, SPA, V, p. 610 — A.

[129] T. Rice, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

[130] A. Pope, SPA, p. 1529.

[131] აღნიშნული გამოსახულებიანი ჯამი გაგვაცნო ზღუდრის ექსპედიციის წევრმა გ. ნემსაძემ.

